

საქართველოს  
საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტროს  
გამომცემლობა



საგჯთობა 1 სელოვნება  
19190

ISSN 0132-1307



ქართული გამომცემლობა  
1921 წლიდან  
ქართული  
განმანათლებლები

# ს ა გ ჯ ო ტ ა ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

1 • 1990

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
უწყველთვიური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
ნოზარ ზარაზანიძე

სარედაქციო კოლეგია:  
ზურა აბაშიძე  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
პაპი ზაქარაძე,  
ვახტანგ ზარიძე,  
ნოზარ ზარაზანიძე,  
ლილი ზვინაძე,  
ვანო კვიციანი,  
ნოზარ მგალობლიშვილი,  
ზურაბ ნიძარაძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რევაზ ჩხეიძე,  
ანტონ ვალუაძე,  
ნინო ზაპრაძე,  
ნოზარ უანგარიძე.

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ქორეოგრაფია  
ტელევიზია

რედაქციის მისამართი: 380029 თბილისი, კაზის ქ. № 18  
ტელ. 95-10-24, 95-13-24

მხატვრული რედაქტორი პაპო ზაქარაძე

საქართველოს კ. ცენტრ-ლერა  
კომიტეტის გამოცემლობა.  
თბილისი, 1990

# ნომერები:



ქართული  
ენციკლოპედია

	რედაქციის წევრები — პირველი პარაფრაზული სახისმეტყველებლისთვის	99
	იოსებ ზეთიშვილი — ათონელის	99
<b>თეატრი</b>	ანი ჭავჭავაძე — სახელმწიფო მხარისაგან	2
	ვასილ კვიციანი — რა უნდა ქართულ ხალხს „საშრობლომ“?	38
	ნოდარ გურბანიძე — „ნათე აღმდინი სულ ეს არის“ ლავრენტი ბერიძე და რუსთაველის თეატრი (საქ. კ(ბ) ამიერკავკასიის სა- ხარეო კომიტეტის თათბირი რუსთაველის თეატრის მუშაობის შესახებ გუბაზ შეგარელების შესავალი წერტილით)	111
<b>მხატვრობა</b>	დამიტიო თუმანიშვილი — აზნაურის ხელოვნობის მკვლევარის რეზიუმე	23
	გივი გაბუნია — არქიტექტორი ანტონიო ბაუზი ბაღა და სილაგაზა	57 94
<b>მუსიკა, კორეოგრაფია</b>	გულბათ ტორაძე — მუსიკა — მისი სახელოვნო ბარიერი	29
	ვიქტორ გუბუნია — მხატვარი მალაქ ხელმწიფისათვის	77
<b>კინო</b>	მია ზედელიძე — იტალიური კინომატროგრაფიისათვის საქართველოში	32
	გიორგი გეგუაია — კინოფსახიობი და მისი პიროვნება	50
	ჩაულ ლაგოვი — კინო და სოციალიზმი	62
	პეტრ პაოლი პაოლინი — „კომპოზიტივი კინო“ მხატვარი	71
	ოთარ იოსელიანის „და იმან ნათელი“	152
	გორნიკა	158

გარეკანის პირველ, მეორე და მესამე გვერდებზე: შ. ბერძენიშვილი — „მითა  
რუსთაველი“, „მიქელანჯელო“, „მოსკოვი“.

ს ა ბ ტ ლ ტ ა  
ზ ე ლ ო მ ნ ე ბ ა

№ 1 1990 წ.

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის  
გამომცემლობის ტაშა. თბილისი, ლენინის ქ. № 11  
ტელ. 98-98-59

1989 წელი საიუბილეო იყო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრისათვის. ამ დაქტის კონსტატირება, ცოტა არ იყოს, ეხამუშება კოდეც ჩვენ ყურთასმენას: იმდენად მივეჩვიეთ სოხუმსა და აფხაზეთთან დაკავშირებით განსაკუთრებული მდგომარეობის ამსახველი ოპერატული ინფორმაციების მიღებას. აფხაზეთში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, თუმცა გარეგნულად მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევს, — კვლავ გვატყობინებენ ოფიციალური ინფორმაციის წყაროები. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვეული საიუბილეო ცერემონიებისათვის არც თეატრს იცალა და არც ჩვენ. მაგრამ ამიტომაც ნოემბერში თბილისში ჩატარებულმა ცხუმელთა გასტროლებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ეს არ იყო მხოლოდ შემოქმედებითი ანგარიში დედაქალაქის მსაყურებლის წინაშე, არამედ უფრო ჩვენი ერთიანობის, ურთიერთთანადგომის რიტუალი.

თეატრის წლებადელი საგასტროლო რეპერტუარი ნაწილობრივ ნაცნობია თბილისელთათვის. და მაინც, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ნოდარ

დუმბაძის მოთხოვნების საფუძველზე დადგმული „ერთი ცის ქვეშ“, შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, და მაქსიმ გორკის „ფსევრზე“ მსაყურებელთა არანაკლებ ინტერესს იწვევდა, ვიდრე თეატრის ახალი დადგმები — პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და ჰენრიკ იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის“. უფრო მეტიც: ამ ძველმა სპექტაკლებმა ახლებურად გაიფლავა დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც საზოგადოების ყველა სფეროში ათწლეულების მანძილზე დაგროვილი, მიჩუმებული, მოუვლელი პრობლემები თავისი კეშმარიტი არსით გამოვლინდა, გაიშვლდა. სწორედ დღეს აღმოვჩნდით იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ყოველმხრივ გავაცნობიეროთ თუ რას ნიშნავს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი; დღეს ვრწმუნდებით, რომ ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა არ გამოიხატება ეროვნული პრობლემების შენიღბვა-მიჩქმალვით, რომ შეუძლებელია სხვა ერებს პატივს სცემდეს ის, ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, არ იცავს მის ღირსებას. ცხუმელთა დადგმამ „ერთი ცის ქვეშ“ (რეჟისორი გოგი ქვიციანიძე) წინ გაუსწრო აფხაზეთში და-



„დიდოსტატის მარჯვენა“

ტრიალებულ ტრაგედიას და როდესაც დღეს უყურებ ამ სპექტაკლს, ეს გარემოება იქნის მნიშვნელობას. თეატრი თითქოს ინტუიტურად გრძნობდა, ან შესაძლოა ფაქტობრივი საფუძველიც გააჩნდა ეფიქრა, რომ რაღაც სერიოზული ემუქრება საქართველოში სხვადასხვა ერის მრავალსაუკუნოვან მშვიდობიან თანაარსებობას, და იმთავითვე განაწყობდა თავის მკაყრებელს — ეროვნულობის მხრივ, ძალზე მრავალფეროვანს — ამ საკითხზე სერიოზული ფიქრისა და მსჯელობისათვის.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ წამოჭრილი ხელოვანისა და ხელისუფლების დამოკიდებულების მარადიული პრობლემა დღეს ასევე არ კარგავს თავის აქტუალობას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამჯერად ცხუმელთა დადგმაში საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი მეფის რთული, წინააღმდეგობრივი სახე მეტ ყურადღებას იპყრობს. მეფე გიორგის არსების ტრაგიკული გაო-



„ვერცხელი ვაჭარი“. შეილოკი — გ. ჭავჭავაძე

სკენა სპექტაკლიდან „ერთი ცის ქვეშ“



რება თვით მკაყრებლისთვის აღარ არის იმდენად საინტერესო, რამდენადაც იმ ისტორიული მისიის არსი, რომელსაც მონარქი განაზოროციელებს. ეს ბუნებრივია. და მაინც, თეატრი ამ შემთხვევაში ბოლომდე არ მიყვება მკაყრებლის „დაკვეთას“, ცდილობს სრულად გამოავლინოს კ. გამსახურდიას რომანში არსებული მოტივები: ხელი-სუფლებით შემოსილი პირის, ქვეყნის მმართველის პიროვნული ღირსების, ყოველი

მისი ქმედების ზნეობრიობის საკითხი კიდევ უფრო მძაფრად ეღერს დღეს.

მართლაც, ძალაუფლების იდეა ჩვენს თვალწინ განიცდის ძალზე მნიშვნელოვან და რთულ ტრანსფორმაციას. ათწლეულების მანძილზე დეველივირებულმა ჩვენამდე საკმაოდ საეპეო რეპუტაციით მოაღწია და ამჟამადაც რეალობაში იგი თითქმის ვერ ახდენს თავისი შებღალული ღირსების რეაბილიტაციას. მაგრამ, რაღაც ნიშნები იმისა, რომ ძალაუფლების სფეროში აღდგეს უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ბალანსი, უდაოდ შეიმჩნევა, რაც მთავარია, თვით საზოგადოებაში შიფდდება ამ პროცესის აუცილებლობის შეგნება. ალბათ ამიტომ საგასტროლო სპექტაკლებს შორის განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა გოგი ჭავჭავაძისა და თენგიზ კოჭავაძის ახალმა დადგმამ „ბრძოლა ტახტისათვის“. ამ პიესის არჩევით თეატრი, ერთი მხრივ, თითქოს აგრძელებს „დიდოსტატის მარჯვენაში“ გამოკვეთილ თემას, მეორე მხრივ კი — მისი უფრო მრავალმხრივი გაშლის შესაძლებლობას ეძიებს.

„ბრძოლა ტახტისათვის“ ჰენრიკ იბსენის ადრეულ, „ახალ დრამამედელ“ პიესებს განეკუთვნება და ერთ-ერთი ყველაზე საინ-



ტერესოა მათ შორის. საინტერესო, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული თემის დამუშავების თვალსაზრისით. შექსპირის „გაყვითლების“ სარგებლიანობა აშკარად შეიგრძნობა მასში, ისევე როგორც რომანტიზმის იდეალების მოძალბება. სხვათა შორის, საინტერესოა თვით ამ პიესის შექმნის მოტივები და ის ისტორიული ვითარება, რომელშიც მოღვაწეობდა იბსენი. საოცარია, სწორედ იბსენი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც აშკარად გაილაშქრა სმხანად, XIX საუკუნის 50-60-იან წლებში, ნორვეგიის კულტურაში მომძლავრებული ტენდენციის — „ეროვნული რომანტიკისა“ და ყოველივე ეროვნულის უტრირების, ნორვეგიის ისტორიული წარსულითა და ეროვნული ხასიათით ტკობის წინააღმდეგ. თავის სატირულ-გროტესკულ პიესაში „ნორმა, ანუ პოლიტიკოსის სიყვარული“ იგი სასტიკად ჰკიცხავდა ნორვეგიის ეროვნულ-განმა-

თავისუფლებელ მოძრაობაში ემოციების მოძალბებას, მაგრამ ამავე ნაწარმოებში ამხელდა ლიბერალების მერყეობას, უპრინციპობას, რომელიც დამლუპველია განმათავისუფლებელი იდეისათვის. დაბოლოს, სწორედ იბსენი ქმნის ნორვეგიის წარსულის შთამბეჭდავ, მასშტაბურ სურათს ისტორიულ დრამაში „ბრძოლა ტაბტისათვის“, რომლის მთავარი იდეა — ერის გაერთიანება, ერთიანი თვითშეგნების ჩამოყალიბება სწორედ ნორვეგიაში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების გამომხატველია.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ არაერთმნიშვნელოვან ხასიათს ატარებს ხელოვანის მიერ ისეთი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გააზრება, როგორცია ეროვნული მოძრაობის აქტივიზება. ნამდვილი ხელოვანი შეუძლებელია არ შეიგრძნობდეს თავისი ხალხის ცხოვრების ამ საბედისწერო ეტაპის მთელ სიძაფ-



რეს არ იზიარებდეს მის სულისკვეთებას; მაგრამ კეშმარიტი ხელოვანი, ისე როგორც არაფინ, შეიგრძნობს ხოლმე იმ საფრთხესაც, რომელიც ნებისმიერი რადიკალიზმის, მით უფრო ნაციონალური რადიკალიზმის, წიაღში ბუდობს. ამასთან ერთად, მას ზარავს „ზომიერთა“ რიტორიკული მასლათი, რომელშიც მტრწილად ხალხისადმი, თავისუფლების იდეალებისადმი ურწმუნობა და საკუთარი სტაბილური მდგომარეობის დაკარგვის შიში გამოსკვევის.

თვით „ბრძოლა ტახტისათვის“ ამ წინააღმდეგობებს არ შეიცავს. პირიქით, იგი საოცრად მთლიანი, მონოლითურია თავისი იდეური მიმართულებით და ავტორის პოზიციაც საკმაოდ ნათლადაა გამოხატული. მაგრამ სწორედ „ბრძოლა“ გამოხატავს იმ ძირითად წინააღმდეგობებს, რაიც თავს იჩენს ხოლმე ახალი საზოგადოებრივი სიტუაციის მომწიფებასთან ერთად. „ბრძოლა ტახტისათვის“ გმირული დრამაა და ლიბერალიზმის იდეალების მატარებელი მის წიაღში ადგილს ვერ პოულობს (ისევე როგორც არ არსებობს იგი თვით იმ ისტორიულ სინამდვილეში, რომელსაც ასახავს პიესა). მაგრამ იარღ სკულესა და მეფე პოკონ პოკონსენის — დაქუცმაცებული ფეოდალიზმის მოძველებული იდეის მქადაგებლისა და ერთიანი ერის შექმნის ჩანაფიქრით შთაგონებული მონარქის დაპირისპირებაში,



„ბრძოლა ტახტისათვის“. ნიკოლასი — ს. პაქოკრა, მეფე პოკონი — დ. ჭიანი

მაინც იჩენს თავს მესამე, შუალედური ძალა ეპისკოპოს ნიკოლასის სახით. იგი, ცხადია, არ ჰგავს იბსენის დროინდელ ზომიერების მოსურნე ბურჟუას ან „ლიბერალიზმით“ შენიღბულ კონსერვატორს. პირიქით, იგი ისეთივე რადიკალია, როგორიც სკულე და პოკონი — შუღლის, განხეთქილების

„უვარჯჯავრ თუთობერი“





„ბრძოლა ტახტისათვის“. იარლი სკულე—ნ. ბეჭეტი  
ეპისკოპოსი ნიკოლასი — ს. პაჭორია

სენით დაავადებული რადიკალი, რომელიც მხოლოდ მაშინ იძენს რეალურ ძალას, მაშინ შეიგრძნობს თავის სიღიადეს, როდესაც მის გარშემო ყველა და ყველაფერი დამდაბლებულია ძმათა ომის უაზრო ბაქტანალით.

აი სამკუთხედი, რომელიც იბსენის პიესის საფუძველს წარმოადგენს.

გ. ქავთარაძისა და თ. კოშყაძის სპექტაკლი ამავე სამფიგურიანი კომპოზიციის გარშემო ვითარდება. აღსანიშნავია ერთი რამ:

„თოლია“ და „ფსევრზე“ — ამ კლასიკური პიესების ქავთარაძისეული დადგმების წარმართვის, მოულოდნელი არ იქნებოდა ალბათ ასევე თავისუფლად ექვემდებარებულ-ადაპტირებულ იბსენისეულ სპექტაკლში. მაგრამ „ბრძოლა ტახტისათვის“, სწორედ რომ ყოველგვარი „ჩარყვის“ გარეშეა წარმოდგენილი. სპექტაკლი მაქსიმალურად სადაა. ზედმეტი ემოციებისგან დაცული, იგი არც გადამეტებული რაციონალიზმით სყოდავს. მთავარი აზრი მძლავრადაა გამოკვეთილი, ამასთან დამდგმელები შეგნებულად გაურბიან მისი უტრირების შესაძლებლობას. ასევე მსახიობები; არ ცდილობენ ეფექტური ბერბებით მასურებლის ერთბაშად დაპყრობას. სპექტაკლში თითქმის არაა მოდუნებული, მეორე პლანზე გადასული ეპიზოდები. იბსენის დრამის საოცარი, ბრძნული ტექსტი ზღვის ტალღებით ესაღებუნება ყურთასმენის, გატყვევებს თავისი მრავალნიშნადობითა და სიღამაზით, ლაკონურობითა და ტევადობით (ესეც თქვენი „მოყირკებული“ უცხოური კლასიკა, გაიფიქრებ უნებურად). ეს ბრწყინვალე ლიტერატურა შეკრულ, ერთ მიზანს დამორჩილებულ კმედებაში გაშლილი, ბოლომდე გააზრებული, გაათვისებული და ღირსეულად წარმოდგენილი მსახიობთა მიერ უდავოდ გავსებს შთაბეჭდილებებით.

მაშ ასე, იარლ სკულესა და მისი სახით ფეოდალური დაქუცმაცებულობის იდეის დაპირისპირება მეფე პოკონის ერთიანობის იდეასთან — ამაშია დრამატული კონფლიქტის არსი. მაგრამ ამ შეჭახების მეორე მო-



„ბრძოლა ტახტისათვის“. ეპისკოპოსი ნიკოლასი—ს. პაჭორია, ივარ ბოდე—  
ლ. გაგვილაძე, ინგა ვარტყიველი — ფ. შეღანია



ტივირებაც არსებობს: ტრაგედია პიროვნებისა, რომლის ნიჭი, ენერჯია, სიმამაცე მოკლებულია საფუძველს, რადგან მთლიანად წარსულისკენაა მიმართული, და ძლევამოსილება ადამიანის, რომელიც — გონებით თუ ინტუიციით — თავისი ხალხის, ერის მომავალს ჰვრეტს, ახალ ფასეულობებს ჰშნის, ახალ ტაძარს აღაშენებს.

ნოდარ ბექაურის სკულე და დიმიტრი ჭაიანის ჰოკონი ღირსეული მოწინააღმდეგენი არიან. ორივეს ძალა თავიანთი შინაგანი ბუნებისადმი ერთგულებაშია და მსახიობებიც სწორედ ამ გზას მიჰყვებიან. მუდამ დაძაბული, საკუთარ თავში დაეკეცებული, უფრო სწორედ, რწმენასა და ურწმუნობას შორის მერყევი სკულე — ნ. ბექაური, სწორედ ამ თავის გაორებული სამყაროს



ჩაენკილი —  
ლ. პაუაშვილი,  
სივრილი — თ. ბაბლიძე




იარლ სკულე — ნ. ბექაური  
პოლ ფლიდა — გ. სირიძე

შმაფრი თვითშეგრძნებითაა საინტერესო. იგი მუდამ, ნებისმიერ გარემოცვაში, თავისიანების გვერდითაც კი, დისკომფორტს განიცდის, თითქოს თვით მის გარშემო არსებული სამყარო უტეხო, მიუღებელია მისთვის.

ეს მართლაც ასეა. სცენაზე წარმოგვიდგება ხარაჩოებში ჩასმული, მშენებარე ქვეყანა (მხატვარი დ. დათუკიშვილი). თუმცა ჯერ მხოლოდ მისი საძირკველია ჩაყრილი და კედლების ამოყვანა მომავლის საქმეა, მაინც ყოველივეს „სხვისი“ ხელი ატყვია, ყველგან „სხვისი“ სული ტრიალებს — სული აღმშენებლობისა. ეს ჰოკონის სამყაროა, ამიტომაც დ. ჭაიანის მეფე — მუდამ თავდაპირილი, შინაგანად მშვიდი, მისთვის გადამწყვეტ, სახელისწერო წუთებშიც კი

კეთილმოსურნე, ყველას მიმართ სამართლიანი — ლალად და ღირსეულად დააბიჯებს თავის ქვეყანაში. იგი ერთგვარად იღვწავს, მისი თვისებებია თეატრის მიერ. მის სწამს თავისი მისიის, სწამს, რომ მისი ხელით ღვთის ნება სრულდება. ეჭვი და ყოყმანი უტეხოა მისი კეთილშობილი ბუნებისათვის. მისი ხასიათის ძირითადი თვისება — შინაგანი ექსპრესიისა და ბრძნული სიმშვიდის ურთიერთშერწყმა დეკორაციამაცაა გამოხატული: გაურანდავი ხის პირველქმნილ სიუხეშეს, ერთმანეთზე გადაკლობილი ხარაჩოების კონსტრუქციას უფრო მეტად გამოკვეთავს, გამომსახველობას ანიჭებს შავი ფონი; მეორე მხრივ კი, პერსონაჟთა რბილ ტონებში გადაწყვეტილი სამოსელი, ღვინო-



სცენა სპექტაკლიდან „ბრძოლა ტახტისათვის“

სფერის, მკრთალი იისფერის, ყავისფერის შეხამება ნაცრისფერსა და შავ-თეთრის კომბინაციებთან ჰარმონიულობის უჩვეულო შეგრძნებას ბადებს.

იარღ სკულე ერთი შეხედვით არ გამოიყოფა ამ სამუაროდან, პირიქით, მისი ორგანული ნაწილია, — ამას ხაზს უსვამენ რეჟისორებიც და მხატვარიც. თვით სკულესა და ჰოკონის თანამებრძოლებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველნი — ჯვალის კოსტუმების ქვეშ შავ პერანგებსა და შებლზე შავ არშიებს ატარებენ, მეორენი კი — თეთრს. ეს არსებითად ერთი ხალხია, ერთი ქვეყნის შვილები. ერთადერთი ფერი, რომელიც გამოიყოფა ამ საერთო კეთილზოვანებაში და თვალს გჭრის, არის ოსლოს ეპისკოპოსის ნიკოლასის წითელი მოსასხამი. სერგო პაჭკორიას გმირი ეპისკოპოსი ნიკოლასი არც ერთ მხარეს არ ეკუთვნის — ორივესთან კარგად არის და ორივეს ემტერება. მისი მიზანი ერთია: ძალაუფლება. მაგრამ ბუნებით მხალისა და უსუსურს არ ეწერა მეფობა. ამიტომ სხვა გზას მიმართა და დღეიწად ერთი მცნება შერაცხა: „დაე ნურავის ერგება ის, რაც მე არ მერგო“. მეფე არ უნდა გახდეს არც სკულე, არც ჰოკონი: მათ ერთმანეთი უნდა დააუძღვრონ ერთმანეთთან ომით.

სიტუელილიდან აღმოცენებული ცინიზმი — აი მთავარი თვისება ნიკოლასის, რომე-

ლსაც ოსტატურად გამოკვეთავს მსახიობი. ეპისკოპოსის აღსარება მეფის წინაშე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სცენაა სპექტაკლში. ს. პაჭკორია — ნიკოლასი, ერთი მხრივ, სკულეს აბამს მის მიერ დაგებულ ხაფანგში: მისივე ბელით დააწვევინებს ანდერძს, რომელშიც ჰოკონის მეფური წარმომავლობის დადასტურება ან უარყოფა უნდა მოიპოვებოდეს. სკულე ველარასდროს გაიგებს, მართლა მეფის ჩამომავალია თუ არა ჰოკონ ჰოკონსენი და ამიერიდან ეკვის ქია სიტუელილით აღაგებს მასაც. ნ. ბექაური-სათვის ეს ძალზე რთული ეპიზოდია: გაურკვეველობის ზღვარზე მავალი თავისი გმირის სასოწარკვეთას მძლავრად გადმოსცემს მსახიობი. მეორე მხრივ კი, ეპისკოპოსი ჰოკონის რწმენის, მისი ერთიანი შინაგანი ბუნების დარღვევას, საკუთარ თავში დაეჭვებით მის დასუსტებას ცდილობს.

დ. ჯაიანს სხვა ამოცანა აქვს: აჩვენოს მეფის სულში ამ ეკვის დამარცხების, გადალაზვის პროცესი და ამასაც მძაფრად შეიგრძნობს მსაყურებელი. ს. პაჭკორია-ნიკოლასი კი თავის სტიქიაშია: ცინიკური ღიმილით ყველაფერს დაუფარავად მოუთხოვს მის გარშემო შეკრებილთ, სიკვდილის წინ დაუძღვრებულს აღარაფერი აქვს დასაკარგი, მაგრამ დარწმუნებულია, რომ შეუღლსა და სიხლისღვრას, მარცხის სიმწარეს უანდერძებს ერთსაც და მეორესაც. ს. პაჭკორია-ნიკო-

ლასი ზემოზს ამ გამარჯვებას და თავისი სისხლიანი ხელებით — წითელ ხელთათმანებში შემოსილი სამეფო ტახტს ჩაფრენილი განუტყევეს სულს. ეს შთამბეჭდავი სცენაა ბრწყინვალედ შესრულებული მსახიობის მიერ. ეპისკოპოსი ისე ჩაიკიდებია სანუკვარ სამეფო საეარძელს, რომ რამდენიმე ძლიერ ჭარისკაცსაც კი უჭირს მოგლიჯონ მისი ხელედი ტახტის სახელურებს. ავანსცენაზე გამოსული მეფის შეცბუნება თანდათან ქრება, თვალბში კვლავ იღვავებს შინაგანი ძალის სხივი, დინჯი ნაბიჯებით უახლოვდება ჰოკონი მიცვალებულს და ძალდაუტანებელი მოძრაობით აუხსნის ხელებს.

მაინც რაშია ჰოკონის ძალა? რა ბადებს ნორვეგიის მთავარ სეულეში, რომელიც ქვეყანაში ყველაზე ძლიერი ფეოდალია და მეორე კაცი მეფის შემდეგ, ერთი მხრივ, ასეთ დაუცხრომელ ყინს ეწინააღმდეგოს ჰოკონს, ხოლო, მეორე მხრივ, რა ეკვი ხლიჩავს მის გონებას?

ჰოკონ ჰოკონსენის, ნორვეგიის მეფის ძალი მის სულსა და გონებაში ჩასახული დიადი მეფური აზრია, ერთიანი ძლიერი ქვეყნის შექმნის იდეა. „ჩემი ქვეყანა სახელმწიფო იყო და ერი უნდა გახდეს“, — ამბობს იგი ჭკრით ხელში და სჯერა, რომ ეს მისთვის ღვთით ბოძებული მისიაა.

ამ აზრთან ჰიდლოში გარდაუვალა სეულეს მარცხი. იარლი თანდათან სულ უფრო მძაფრად შეიგრძნობს და გააცნობიერებს ამას. მისი სიკვდილიც სწორედ ნებაყოფილობითი მსხვერპლშეწირვაა, რამეთუ მას — ბუნებით ამაყსა და ძლიერს — სხვისი აზრისთვის, იდეისთვის სიკვდილი ძალუმს, ხოლო სიციცხლე მხოლოდ საკუთარი აზრისთვის უღირს. საინტერესოა მისი დიალოგი ახალგაზრდა სკალდ იატგეირთან — მომღერალ პოეტთან. სეულეს აინტერესებს, შეიძლება თუ არა სხვისი შთაგონების მითვისება, კვდებიან თუ არა პოეტის შეუთხზველი სიმღერები მის სიკვდილთან ერთად; თუ ასეა, მაშ სეულე მოკლავს ჰოკონს, მისი მეფური აზრაც მოკვდება მასთან ერთად. ან იქნებ შესაძლებელია სხვისი შთაგონების წყაროდ იქცეს იგი. სკალდი — მ. ყოლბაია ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა: მე ჩემი სიმღერებიც ბევრი მაქვს.

სეულეს დრამა ძლიერი ადამიანის დრამაა. ადამიანისა, რომელსაც თავისი შთაგონების

წყარო, თავისი სასიცოცხლო იდეა არ გააჩნია, ხოლო სხვისი შთაგონებით ცხოვრება არ სურს.

ამ დაპირისპირებაში ნაძირსა და ნაძირს ქვეთა სადღეისოდ მეტად შეესაბამებოდა: განწირულობა ურწმუნობაზე დამყარებული ძალისა. მომავალი მას ეუთვნის ვინც ამ მომავალს ჰერტეს და მისთვის იბრძვის ამასთან, მეფე ჰოკონის სახით ჩვენ სცენაზე ვიხილეთ წმინდა იდეის — ერის ერთიანობის იდეის სამსახურში მყოფი ძლიერი ბრძენი მმართველი, რომელიც არა უზურპაციის, არამედ თავისი მოვალეობის შეცნობის გზით მოიპოვებს ერის წინამძღოლობის უფლებას.

მრავლისმეტყველია სპექტაკლის ფინალი: შინაომების ბურუსიდან გამოვლილი ქვეყანა აღმშენებლობის გზას ადგება. ხალხთან ერთად მეფეც ხმლის მაგიერ უროს იღებს ხელში, სამეფო ტახტს — მთელი სპექტაკლის მანძილზე თვალს რომ გვეკრიდა თავისი ნათელი, გაშალაშინებული ბრწყინვალეობით, — ჰიშკარს მიადგამს, ზედ შედგება და კარიბჭეზე ნაღს აჭედებს. უროს მიმე დარტყმები მთელ ქვეყანას მოედება. შეუქი თანდათან ქრება, მაგრამ უეცრად იქ, სადაღე სცენის სიღრმეში, ხარაზოების სიმალღეზე ვილაციის ჭვალის სუდარა შეიარა: ეს უტყვი მღვდელია (კახა შარაბიძე), ჩემად, თითქმის შეუმჩნეველად თან რომ დაჰყვებოდა ეპისკოპოს ნიკოლასს, ყურს უგდებდა მის განმარტოებულ ხმამალა წარმოთქმულ ფიქრებსა და აღსარებებს, უთვალთვალებდა თავის პატრონს (უნებლიედ გახსენდება მღვმარე რიჩმონდი „რიჩარდ III“-დან). ზურგშეკცივით მდგარ მღვდელი ნელ-ნელა შემობრუნდება მათურებელთა დარბაზისაკენ და უმაღ თვალს მოგვეკრის ეპისკოპოსის წითელ, სისხლისფერ ხელთათმანებში შემოსილი ხელების ელვარებით.

ასე მთავრდება სპექტაკლი „ბრძოლა ტახტისათვის“ და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს შუღლითა და სისხლის წყურვილით ნასაზრდოები ბოროტების მარადიულობას.



ქართული  
წიგლისწერის  
კავშირისთვის

# ქართული პარადიგმული სახისგეგმვა

რედაქცია სიბრძნე

## I. თეორიული წინამძღვრები

### I. ზოგადი შენიშვნები

I. 1. 1. მწერლობის და, საერთოდ, ხელოვნების თავისებურებებს განსაზღვრავს განსაზღვრების რაობა ანუ სახისმეტყველება. განსაზღვრება და სახე არის „ენა“, რომლითაც შედგენდება შემოქმედების ინდივიდუალობაც, ეროვნულობაც და ზოგადობაც (ბ. კროჩე, რ. იაკობსონი, რ. ბარტი).

განსაზღვრება, ვითარცა „ენა“, არის დრო-სივრცულად სრულიად კონკრეტული და, ამასთანავე, ზედროულიც და შეუძლებელიცაა, რომ არ იყოს ზედროული. ისევე, როგორც ენაში, განსაზღვრებაშიაც თანაარსებობენ სხვადასხვა ეპოქის შრეები.<sup>1</sup>

განსაზღვრების დრო-სივრცული (ქრონო-ტოპული) ერთიანობის ერთ-ერთი მთავარი გამოვლენა არის პარადიგმები ანუ სანიშნუ-შო სახეები, მოტივები თუ „მოდელები“ (ასევე ენაშიც).

განსაზღვრების ეროვნული რაობა ენის ბუნებას, მის შინაფორმას (ანუ შინა-არსს) ემყარება.

ენა პოტენციაა, ენის შინა-არსი არის არა მხოლოდ ის, რაც უკვე გამოვლენილია, არამედ ისიც, რაც უნდა გამოვლინდეს. ამ აზრითაა ენა პოტენცია. ამავდროით, ქართული ენის შინა-არსი შეტია, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“,

„მერანის“, „გველის-მკამელის“ ან „ღურჯაა ცენების“ მხატვრული სამყარო (აქ ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ მხატვრული სიტყვა სპარაბოზს სავანს და საამისო პოტენცია ენაშია). ეროვნულ სახისმეტყველებაში არც რამ უფილა და არც რამ იქნება, რაც არაა ენის პოტენციაში. განსაზღვრება ენობრივი პოტენციის ცხადყოფაა. ენის პოტენცია განსაზღვრებით ნამდვილდება.

„ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“, — ამ მხატვრული სახის ძირითადი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტულ კონტექსტში შედგენდება, მაგრამ, ამასთანავე, მას უკავშირდება არაერთი პარადიგმული წარმოდგენა, წინაქრისტიანული თუ ქრისტიანული (ასტრალური კულტი, წმინდა გიორგისთან დაკავშირებული სახეები).

I. 1. 2. ქართული ლიტერატურის სახისმეტყველებითი ისტორია, ანუ ისტორია მხატვრულობის თვალსაზრისით, ვერ იფიქრება პარადიგმულ სახეთა შესწავლის გარეშე. უკვე არაერთი მხატვრული სახეა შესწავლილი აგიოგრაფიიდან, ჰიმნოგრაფიიდან, „ვეფხისტყაოსნიდან“, „დავითიანიდან“ თუ სხვა თხზულებებშიდან.

სახეთა პარადიგმულობის ძიების მრავალი გზა გამოიკვეთა, მაგრამ არსებითია ამნაირი კვლევა-ძიება დაემყაროს ქართული ენის ბუნებას, მისი შინაფორმის თავისებურებებს, რაც უნდა ითვალისწინებდეს ენისა და კულტურის ისტორიის მთლიანობაში წარმოდგენას.

ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ხშირად მოიხმობდნენ ხოლმე ენის საკითხებს, მაგრამ ეს უმეტესწილად ხდებოდა ტექსტოლოგიური მიზნებით, ანდა სხვა კონკრეტული ფილოლოგიური პრობლემების გადაჭრისას. რასაკვირველია, ესეც ემსახურებოდა ლიტერატურის შესწავლას მხატვრულ-ესთეტიკური თუ საერთო-კულტუროლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ კვლევ განსახორციელებლად რჩება ლიტერატურული სახისმეტყველების საგანგებო და კომპლექსური დამყარება ენის შინაფორმაზე, ენობრივ სამყაროში ასახულ მსოფლმხედველებაზე, და ამ მხრივ, კულტურულ-ტიპოლოგიურ მიმართებებზე.

1. 1. 3. ქართული მწერლობა და, არსებითად, მთელი ქართული სახისმეტყველება ტიპოლოგიურად „ვერობულია“, რადგან ქართული მწერლობა ვითარდება აღმოსავლურ-ევროპულ (ანდა აღმოსავლურ-აზიურ) კულტურულ-ისტორიულ რეგიონში, რომელშიაც შედიოდნენ ბიზანტიური, კობტური, სირიული, ეთიოპური, სომხური, აღმანური და შემდეგ — სლავური მწერლობანი. ამასთანავე, ქართულ მწერლობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ებრაულ და სპარსულ მწერლობასთან. ყოველივე ეს საერთო კულტურული ორიენტაციის გამომხატველი იყო, რასაც შორეული ძირები ჰქონდა.

ამიტომ ქართული სახისმეტყველების ენობრივი საფუძვლების კვლევის დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ისტორიული ძირების მიმართებას ინდოევროპულ ენებთან.<sup>3</sup>

1. 1. 4. თ. გამყარულიძისა და ვ. ივანოვის მონოგრაფიაში — „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ საერთო-ინდოევროპული წინარე ენისა და რეკონსტრუირებული პროტოკულტურის კონტექსტში განხილულია ქართული ენის მონაცემები. ეს ემყარება კულტურის ლინგვისტურ პალეონტოლოგიას.<sup>4</sup>

ლინგვისტური პალეონტოლოგია ენობრივ რისა საშუალებას ქმნის ვიკლიოთ ენობრივი სახისმეტყველების უძველესი პოტენციალი, განსახოვნების უძველესი მონაცემების ბანი, რაც ვლინდება მითოსურ და ლიტერატურული ტრადიციებში (იქვე), ადამიანური სამყაროს ფუნდამენტალურ ფენომენთა ურთიერთმიმართებათა ხასიათი შიდა ცალკეულ სიტყვათა ბუნებაში მათი ისტორიისა და ასე ვთქვათ, პრეისტორიის გათვალისწინებით. უძველესი ძირების ძებნა ამ შემთხვევაში ითვალისწინებს პარადიგმულ მოდელთა წარმოჩენას და არა მხოლოდ წყაროთა გამოვლენას. ამიტომ აღნიშნულ მონოგრაფიაში წარმოდგენილ კულტურის ლინგვისტურ პალეონტოლოგიას შეიძლება დაემყაროს სახისმეტყველების ლინგვისტური პალეონტოლოგია.

რადგან დასახელებულ მონოგრაფიაში (კრძოდ, მის მეორე ნაწილში, გვ. 439-858) წარმოდგენილია „საგანთა სამყაროს“ კლასების ენობრივი მოდელები, ისინი ფაქტობრივად ხდებიან საფუძველი ქართული პარადიგმული სახისმეტყველების ტიპთა დადგენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აქ ძირითადად ინდოევროპულ ენათა მონაცემებია, აქვე გათვალისწინებულია ქართულ და ქართველურ ენათა მონაცემებიც. არაერთი ფაქტია მოხმობილი ქართული მწერლობიდან (იქნება ეს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეები, შაირის სალექსო საზომი თუ სხვა), რომლებიც შეპირისპირებულია ინდოევროპული პროტოკულტურის ტრადიციებთან.

## 1. 2. პარადიგმული სახისმეტყველება და ენის შინაფორმა

1. 2. 1. სახეთა პარადიგმულობის შესასწავლად გამოიკვეთება ორი პრობლემა: ა) როგორ სახეებში ვლინდება სპეციფიკა ეროვნული ესთეტიკური მსოფლალექსისა? ბ) როგორ ვლინდება ენაში საფუძვლები პარადიგმული სახისმეტყველებისა?

ამ პრობლემათა კვლევა, გარკვეული ასპექტით, უნდა დაეფუძნოს დ. უზნაძის განწყობის თეორიას.<sup>5</sup> ზემოაღნიშნული პრობლე-

შეზღვევის შესაბამისად ამ მოძღვრებიდან უნდა მოვიშველიოთ ორი საკითხი: ა) განწყობის ეროვნული საფუძვლები; ენის შინაფორმა ვითარცა ეროვნული განწყობის (მზაობის) შემცველი და ბ) ენობრივი მსოფლზედგა როგორც საფუძველი პარადიგმული სახის-მეტყველებისა.

1. 2. უმეტესწილად გამოიყოფა ხოლმე განწყობის ორგვარი საფუძველი: ფსიქოლოგიური და სოციალური, მაგრამ ენობრივი სახისმეტყველების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განწყობის ეროვნულ საფუძვლებს. ლიტერატურის სახისმეტყველებით ისტორია განწყობის ეროვნულ საფუძვლებს წარმოაჩენს ცნობიერადაც და არაცნობიერადაც, რადგან თვით განწყობა ქვეცნობიერს ემყარება. ქვეცნობიერი განსაზღვრავს პიროვნების მთლიანობას, მის მზაობას.<sup>8</sup> ამისდაკვალად, არსებობს „კოლექტიური ქვეცნობიერება“, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ განწყობას, ეროვნულ მზაობას.

სახეშინალობა არაცნობიერი პროცესია. იგი დამოკიდებულია პიროვნების მზაობის რაგვარობაზე. „არაცნობიერი ჩვენში ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს არაცნობიერი სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის განწყობა“, — აღნიშნავდა დ. უზნაძე.<sup>9</sup> ასევე არსებობს „კოლექტიური ქვეცნობიერი“ და ამისდაკვალად — კოლექტიური განწყობა. ამისი გამომხატულებაა ეროვნული განწყობა, რომელიც ყველაზე სიღრმისეულად შედგენდება ენაში, კერძოდ, მის შინაფორმაში.

«Бессознательная разработка наиболее скрытых языковых принципов составляет нередко самую сущность словесного искусства» (Р. Якобсон).<sup>8</sup>

1. 2. 3. ენის შინაფორმა განსაზღვრების ქვეცნობიერი საფუძველი. გ. შპეტის მოსაზრებითა მოხმობით დ. უზნაძე მიუთითებდა, რომ „შინა ფორმა გარეთ გამოვლენილი ფორმა. ბგერითი ფორმა კი არ არის, იგი უფროს არის, რაც ამ გარეფორმის საფუძვლად უნდა ვიგულისხმოთ, რაც მას უკან ან მასში მარბია, მაგრამ თვით ბგერის აგებულების არაა, ბგერითი მასალით არაა აგებული“.<sup>9</sup>

მაშასადამე, ენის შინაფორმა უნდა ვიგულოთ ენის სახეშინალობითი პოტენციის საფუძვლად, თუმცა სახეშინალობისას დი-

დი მნიშვნელობა ენიჭება ყოველგვარ იმას, რაც „გარეფორმაში“ მიიჩნევა.

პარადიგმული სახისმეტყველებითისათვის გასათვალისწინებელია, ერთივე მხარეც მათე-ვლი ისტორია როგორც მხარეც მათე-ვლი ინდივიდუალური მსოფლზედგის ერთიანობა (რაც, როგორც ვთქვით, შედგენდება ენის შინაფორმაში), ხოლო, მეორე მხარე, შინაფორმა სიტყვისათვის ერთიანობა. პირველი მათგანი გვეხმარება სახეშინალობის ისტორიული პროცესის გასაგებად, ხოლო მეორე — ცალკეულ სახეთა შესასწავლად, რაც ნაწარმოებთა, ვითარცა სახეთა სისტემის, შესწავლის საფუძველია.

1. 2. 4. ენობრივი მსოფლზედგის ცვალებადობისა და, იმედგარე, მისი მთლიანობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ნაწარმოებთა ტექსტის ისტორია, რაც ნათლად იკვეთება შუა საუკუნეთა ძეგლების მაგალითზე. საკმარისია გავიხსენოთ „ნიონის ცხოვრების“ რამდენიმე რედაქცია („მოქცევათა ქართლისისა“, ლეონტი მროველისეული, არსენ ბერისა და უცნობი ავტორისა), აგიოგრაფული ძეგლების კომენტარი და მეტაფრასული რედაქციები, „ქართლის ცხოვრების“ რედაქციული ცვალებადობა და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, რომელიც სრულადაა შესწავლილი.<sup>10</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის შესწავლისას სხვა მრავალ ასპექტთა შორის საყურადღებო ხდება მხატვრულ სახეთა ცვალებადობა, ანდა მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია თუ ადაპტაცია. მაგალითად, ნიშანდობლივია, რომ თეიმურაზ პირველი სწორედ იმას ეხმარებოდა ინდო-ზატაელთა ამბებიდან, რაც აღბეჭდილი იყო სპარსული პარადიგმული სახისმეტყველებით.<sup>11</sup>

ამიტომ, რომ ტექსტში შეტანილი ცვლილებანი ეპოქათა პარადიგმების კონტექსტში განიხილება.

1. 2. 4. მხატვრული სიტყვა სჭარბობს საგანსო, — ეს ნიშავს, რომ მხატვრული სახის შინაარსი (ცხადია, მხატვრულივე შინაარსი) არ ამოიწურება მისი მიმეტური რაობით. სწორედ ამით ვლინდება სიტყვის სახისქმნალობითი პოტენცია, მისი შინაფორმა. ეს ყარგად ჩანს ამ ტიპის მაგალითებით:

„რა მობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგენს

სხივნი კლდესა,

ღაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზეხო ზეხა“ (სტრ. 1132).

ხაზგასმულ სიტყვები არაა გარერეალოზის ექვივალენტური (რომლისკენაც ისინი თითქოსდა მიმართულია), არამედ ვანცდის ექვივალენტურია. ამიტომ მათი მიჩნევა ვარსინამდვილის აღწერად შეუძლებელია. აქაა არაკნობიერად წარმოქმნილი ხატი, რომელსაც ნესტანის სილაშხის უბრალო აღწერას არ იძლევა, თუმცა მისი სილაშხიდანაა აღმოცენებული. ასეთივეა შემდეგი სახე: „მან ვანანთლა ქვეყანა, გაუდღეს შუქნი მზისანი“ (შდრ. „ამირანდარეჯანიანი“: „მე განათლო შენგან დაბრელებული ქვეყანაო“).<sup>12</sup>

დ. უზნაძე წერდა:

„უშეზღვედრე ხაზგასმით მიუთითებს, რომ სიტყვა არასდროს არ წარმოადგენს ექვივალენტს თვითონ გრძნობად მოცემული საგნისას, რომ იგი უფრო იმისი ექვივალენტია, თუ როგორ ასახავს მას სუბიექტი“.<sup>13</sup>

სიტყვაში, ვითარცა მიკროკოსმოსში, ძვეს სუბსტრატი ენის შინაფორმისა. სიტყვაშივე ჩანს „ენობრივი მსოფლზედვის“ ხასიათი.<sup>14</sup> (გ. რამიშვილი). ამასთანავე, ენა არაა სიტყვათა უბრალო წამი. ენა სახისმეტყველებითი მთლიანობადაა.<sup>15</sup>

სახეთქნადაობისათვის, კერძოდ, პარადიგმული სახისმეტყველებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვათა სემანტიკური მიმართებების ხასიათი. როგორც ჩანს სწორედ მიმართებათა თავისებურებებითაა უახლოვდება ქართული ენა ინდოევროპულს (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).<sup>16</sup>

### 1. 3. სახისმეტყველების ზესოციალური საფუძვლების შესახებ

1. 3. 1. ენაში ყველაფერია. გარკვეული აზრით, ენაში მოცემულია მთელი ადამიანური სამყარო და კიდევ მეტი რამ. ენა შეიცავს სამყაროს აბლებურად მოდელირების შესაძლებლობას. სამყაროზე ამგვარი „ზემოქმედების“ შესაძლებლობას ემყარება სახისმეტყველება.

სახისმეტყველების შესწავლა „კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ საფუძ-

ვლზე გულისხმობს თვით ბუნებასთან ერთ ვულკანიკური მიმართების გავრცელებას. სწორედ ბუნებასთან მიმართების ხასიათი განსაზღვრავს ეროვნულ კულტურას (თავად ეს მიმართებაა ეროვნული განწყობა“ ელინდება ბუნებასთან მიმართებითაც.

1. 3. 2. იმას, რასაც „ეროვნულ განწყობას“ ვუწოდებთ, ლ. გუმბლიოვთან ეხმიანება „პასიონარობის“ ცნება. ეთნოსის რაობა განისაზღვრება პასიონარობის ხასიათით.<sup>17</sup> პასიონარობა გულისხმობს, რომ ბუნებასთან მიმართებისას არსებითია არა სოციალური, არამედ ეთნიკური ასპექტი (თუმცა ლ. გუმბლიოვი ზნერად არათანმიმდევრულია). ეთნოსი არა მხოლოდ პროდუქტი ბუნებისა, არამედ ბუნებაც თავისებურად „პროდუქტია“ ეთნოსისა. იგი სახეს იცვლის ეთნიკური ხასიათის კვალობაზე (თუ ეს ზემოქმედება შეუსაბამოა, თვით ეთნოსი იქცევა კიშერად).

შსგავსად სეამდა საკითხს ჭერ კლდე ციღეც:

«Как у отдельных индивидов, у народов и эпох есть свойственная им направленность духа или жизненная установка».<sup>18</sup>

ჩანს, „პასიონარობაც“ ნიშნავს „ცხოველმყოფელობით განწყობას“, ლ გუმბლიოვი წერს:

«Этногенетический процесс есть инерция на пассионерного толчка, при котором выделяется энергия живого вещества биосферы».<sup>19</sup>

ადამიანი ბიოსფეროს მიემართება არა მხოლოდ თავის ბიოლოგიური არსებობით, არამედ სულიერადაც. ბიოსფერო ასახება ენობრივ მსოფლზედვაში ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც. ეგვევ ითქმის სახისმეტყველებაზე. „ცხოველმყოფელობითი განწყობა“ (მზობა) ანუ პასიონარობა შედგენდება ენაშიაც.

1. 3. 3. ლ. გუმბლიოვი ემყარება ვ. ვერნადსკის თეორიას ნოოსფეროზე. ნოოსფერო არის ის, რაშიაც ჩართულია ადამიანი არა მხოლოდ თავისი ბიოლოგიური არსებით, არამედ თავისი გონებით და სულიერებით, უფრო ზუსტად, ნოოსფეროა მთლიანობა ადამიანის სულიერ სწრაფვათა და იმ სამყაროს, რასაც კი ადამიანი თავისი სულიერი სწრაფვით მიემართება (ამ თვალსა-

ზრისით, ბიოსფეროც იქცევა ნოოსფეროდ) ნოოსფერო მოიცავს სოციალურ სფეროსაც, ეკოლოგიურსაც, ბიოლოგიურსაც, ასტროლოგიურსა და იმ სულიერ სფეროებსაც, რასაც სწვდება ან ვერ სწვდება ადამიანის გონება და რაც მოქმედებს მასზე ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც. ენაში ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც ჩანს ნოოსფერო.

ნოოსფერო ზეკლასობრივი რაობაა, ზეკლასობრივი ფენომენია ენაც (თუმცა ენაც მოიცავს სოციალურ მოვლენებსაც და ბიოლოგიურსაც). თავის არსით ზეკლასობრივი მოვლენა განსაზღვრება (ამიტომაც კლასიკური ნიშნები ხელოვნებისა ფსევდულია ნებისმიერი სოციალური ეპოქისათვის). განსაზღვრებაში უშუალოდ შემოდის მთელი ნოოსფერო და არა ოდენ კლასობრივი „ფილტრაციით“. ამისი პირობაა სწორედ ენის ზეკლასობრივობა და „ზესოციალურობა“.

1. 3. 4. აღნიშნული თეალსაზრისით, განსაზღვრების ბუნება ადასტურებს ვ. ვერნადსკის დებულებას, რომ „ცნობიერება კოსმიური მოვლენაა“. 19 პოეზიაში (და არა მხოლოდ მითოსში ან რელიგიურ ცნობიერებაში) გამოვლენილი კოსმიური ძალთა შეგრძნება ხშირად განიშარტებოდა და განიშარტება ხოლმე ვითარაც მეტაფორა ან ჰიპერბოლა, ე. ი. როგორც მხოლოდ პირობითი „ხერხი“ და არა როგორც ინტუიციური წყდომით აღმოცენებული ჰეშმარტი განცდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ გ. ტამბის „ლურჯა ცხენები“, ანდა მისი ლექსი:

„ზამთრის სიცივე მოდის მწარე  
ვგზერვისებად,  
შე რამ ახალი მათის ხლებით არ  
მელირსება,  
მოდის სიცივე და თარეში სულის  
ბორბტის,

დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“.

აქ ორგვარი განცდაა: „ზამთრის სიცივისა“ და „კოსმიური სიცივისა“. მართალია, „კოსმიური სიცივე“ აქ მეტაფორაა, მაგრამ მას აქვს რეალური საფუძველი. აქ განცდილია „ბორბტი სულის“ ყოვლისმომცველი ძალმომრეობა. მეტაფორას რეალური შეგრძნება უდევს საფუძვლად.

1. 3. 5. ადამიანი კოსმიური მლთანობის ნაწილია და ადამიანური ცნობიერებაც ან სული ადამიანისა ნაწილია ყოვლისმომცველი

სულისა, ანდა ნოოსფეროსი, — ასეთი ვ. ვერნადსკის ის ძირითადი დებულებანი რომლებიც ნათელს ჰყენს განსაზღვრების შენიშვნა-ლოვან ასპექტებს. ვ. ვერნადსკის შეხედულებაში ეს დებულებანი თანამდებობაში მდებარეობს ერთი მეთოდებით მტკიცდება, მაგრამ, ჩვენი აზრით, აღნიშნული კონცეფცია თავის არსებით ნაწილში აგრძელებს იმ სააზროვნო ნაკადს, რომელიც ადრევე გამოვლინდა პლატონურ-ნეოპლატონისტურ მოძღვრებაში და კარგადაა ცნობილი შუა საუკუნეებში, კერძოდ, კანადოკიელ მოღვაწეთა პატრისტიკაში (გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილ დიდი) თუ არეოპაგოტიკაში. ის საქართველოშიაც ცნობილი იყო და განვითარებულია ი. პეტრიწის მოძღვრებაში.

შედეგობაში გვაქვს პლატონურ-ნეოპლატონისტური და ქრისტილოგიური მოძღვრება მიკრო და მაკრო კოსმოსზე, „სოფლისა“ და „ზესთასოფლის“ ურთიერთმიმართებაზე. ჩვენი კვლევა-ძიების მთავარი მიზანდასახულობის შესაბამისად, ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ამგვარ ბინარულ ურთიერთმიმართებათა გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული სახის მეტყველების თავისებურებათა წარმოსახენად და საამისო საფუძველიც ქართული ენის წილში ძვეს.

1. 3. 6. ვ. ვერნადსკის თეორია რომ თავისებური გაგრძელებაა პლატონურ-ნეოპლატონური და ქრისტიანული კონცეფციებისა. ამას ადასტურებს ბ. ფლორენსკის შემდეგი შენიშვნა:

«Хочу выразить мысль, нуждающуюся в конкретном обосновании и представляющую скорее эвристическое начало. Это именно мысль о существовании в биосфере, или может быть, на биосфере, того, что можно было бы назвать превматосферой, т. е. существовании особой части вещества, вовлеченной в круговорот культуры, или, точнее, круговорот духа. Непосредственность этого круговорота к общему круговороту жизни едва ли может подлежать сомнению. Но есть много данных, правда, еще недостаточно оформленных, намекающих на особую стойкость вещественных образований, проработанных духом, например, пред-



ასეთი განხილვის მიხედვით, სამყაროში არსებობს ბიოსფეროზე მაღლა მდგომი პნევმატფერო («პნევმატოსფერო»), რომელიც თავს იჩენს ხელოვნებაში. ეს არაა მისტიკური სფერო. მისტიკური სფერო ამის მიღმაა. განსაზღვრება სწვდება «პნევმოსფეროს», მაშასადამე, ნოსტეროს.

ამიტომ განსაზღვრების ბუნების შემოფარგვლა სოციალური ფაქტორებით ისევე შეუძლებელია, როგორც ენის ბუნებისა.

1. 4. 6. ზემოაღნიშნული მოსაზრებები აღსატურებს განსაზღვრების საკითხთა დაკავშირებას ენის ზესოციალურ ბუნებასთან და წარმოაჩენს განსაზღვრებაში მუდმივმოქმედი პარადიგმების არსებობის შესაძლებლობასაც. საამისოდ ვ. ვერნადსკის ნოსტეროს კატეგორია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ლ. გუმბოლივისეული მატერიალისტური მოდერნიზაცია (მეტადრე, ბოლოდროინდელ შრომებში), რომელიც მხოლოდ იმით იპყრობს ყურადღებას, რომ ადამიანი არაა ოდენსოციალური არსება; ამისდაკვალად, განსაზღვრებაც არაა ოდენსოციალური მოვლენა. ამიტომ მისი ბუნება უფრო ღრმად იხსენება ენის ისტორიით, ვიდრე კონკრეტული სოციალური ფაქტორებით.

ამ თვალსაზრისისათვის გაცილებით ფართო და მყარ საფუძველს ქმნის შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური ესთეტიკის პრინციპები.

### 1. 4. „მშვენიერება ვითარცა ესთეტიკური კეშმარიტება“

1. 4. 1. ქართული სააზროვნო ტრადიცია ზემოაღნიშნულ პრობლემებს უახლოვდება პლატონურ-ნეოპლატონისტურ მოძღვრებათა გზით, რისი ქრისტოლოგიური გადამუშავებაც განაბორცვლა იოანე პეტრიწმა, რომლის განვითარება თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შეიძლება დავინახოთ შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიურ ესთეტიკაში.<sup>21</sup>

ალეთოლოგიური ესთეტიკის მიხედვით, სიტყვებში უნდა ვეძიოთ არაცნობითი, უფრო ზუსტად, ზეცენე ბითი შინაარსი. ამიტომაც ეს თეორია ყურადღებას წარმართავს სიტყვის შინაფორმისკენ.

1. 4. 2. მისი ძირითადი ესთეტიკური დებულება ასეთია — მშვენიერება უნივერსალური კეშმარიტებაა.<sup>22</sup> ე. ი. მშვენიერება ემართება იმ სფეროს, სადაც ესთეტიკური და ლოგიკური ერთმანეთს ჰკვეთს კონკრეტული მშვენიერება სიტყვის სემანტიკის მიღობურ სფეროშია. ეს ეხმიანება გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან მომდინარე განმარტების „ხელოვნებისა“ — „ხელოვნებააო კეშმარიტების უშუალო კერტა“.<sup>23</sup> ეს უკანასკნელი ძალზე ახლოა „სახის“ იოანე დამასკელისეულ განმარტებასთან, რომელიც გავრცელებული იყო ძველ ქართულ მწერლობაში — „სახეთო ხილვა და ჩვენდა დაფარულია“.<sup>24</sup> ესეც გვიჩვენებს, რომ ალეთოლოგიური ესთეტიკა შუა საუკუნეებში ცნობილ კლასიკურ მოძღვრებასაც ემყარება.

1. 4. 3. ქართულ სააზროვნო ტრადიციათა ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „სახეზე“ შემუშავებულ მოსაზრებებს. „სახეზე“ მოძღვრება ქართულ აზროვნებაში გადაქცეულია კოსმოლოგიის საფუძვლად. იოანე პეტრიწის შეხედულებით, სამყარო საბეთა სისტემაა. სამყაროში მოვლენები ერთმანეთს უკავშირდებიან სახეობრივად.<sup>25</sup> ამ გავებით, სახე ზეცნობიერი ფენომენია, ამასთანავე „სახე“ კონკრეტულია და საგნობრივი.

შ. ნუცუბიძის შეხედულებით, კეშმარიტება («ესთეტიკური კეშმარიტება, ანუ მშვენიერება») დგას ყოველგვარ დაპირისპირებულობაზე მაღლა. ამას უშუალო კავშირი აქვს შუასაუკუნეობრივ მოძღვრებასთან ანტინომთა შესახებ, რომელიც განსაზღვრების თეორიათა ერთ-ერთი საფუძველი იყო. ეს მოძღვრება ანტინომიზმისა და ხელდავდა თვით სიტყვაშივე. სწორედ ანტინომიზმობა ანიკების სიტყვას განსაზღვრების უნარს.

ამ მხრივაც შ. ნუცუბიძის ალეთოლოგია აგრძელებს არეოპაგიტისა და პეტრიწის სააზროვნო ტრადიციებს. ამიტომაც მას უნდა დაეყრდნოს ქართული პარადიგმული სახის-მეტყველების კვლევა, მეტადრე, როცა საქმე ეხება შუასაუკუნეობრივ სახისმეტყველებას.

ამავე თვალსაზრისით, გამოსაყოფია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

1. 4. 4. ალეთოლოგიური მოძღვრებით, კეშმარიტებას, ვითარცა ყოველგვარ დაპი-

რასპირებულობაზე მალამდგომს, ადამიანი სწვდება „სიბრძნით“ და არა თეორიულ-ფილოსოფიური აზროვნებით. ე. ი. ადამიანი „სიბრძნით“ მალდდება ანტიომიურ დაპირისპირებულობაზე. ესეც ტრადიციულ მოძღვრებას უკავშირდება.

„სიბრძნე“ ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ძველი ქართული ესთეტიკისათვის (გაეიხსენოთ, რუსთაველის დეფინიცია: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, რაც ნიშნავს, რომ პოეზია ეკუთვნის არა „ტექნეს“ არამედ „სოფიის“).

რაც მთავარია: ძველი ქართული ესთეტიკის საფუძველს წარმოადგენდა მოძღვრება „ორგვარ სიბრძნეზე“.<sup>26</sup> „სიბრძნეს“ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. „სიბრძნე ამა ქვეყნისაი“ (შდრ. „გან-შე-რაი-აყოფა ღმერთმან სიბრძნეი იგი ამის ქვეყანისაი“. I კორ. 11-და 2. ზესთასიბრძნე.

1. 4. 5. აქ უკვე დადებულია საფუძველი, რათა სიტყვის სემანტიკაში გამოიყოს ორი მხარე: კონკრეტული და ზოგადი, სხვაგვარად, ერთის მხრივ, მისწრაფება კონკრეტულობისაკენ. ხოლო მეორეს მხრივ მისწრაფება ზოგადობისაკენ. ამათი ურთიერთმიმართების ხასიათში (ბინარულობაში) შეიძლება დაინახოთ ენობრივი მსოფლზედვის ზოგი თავისებურება.

ამგვარი გაგება ამკვიდრებს ლიტერატურის სახეობრივ აღქმას.

## II. საკითხთა შესწავლის ისტორიიდან

### II. 1. „სახის“ კატეგორია ბიზანტიურსა და ქართულ ესთეტიკაში

II. 1. 1. ძველქართული სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგი (მათ შორის, ახალი მხატვრული მწერლობის წინამორბედი დარგები აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, აპოკრიფები, პომილეტიკა და სხვანი) ბიზანტიურ ესთეტიკას მიჰყვება. საერო მწერლობაზე კი გავლენას ახდენდა სპარსული სახისმეტყველებითი პარადიგმები, თუმცა ქართულ საერო მწერლობას ეროვნული სახე არ დაუკარგავს შამნიაც კი, როცა ამისი

რეალური საფრთხე არსებობდა (თითქმის პირველის სპარსოფილური სკოლა). ამიტომაც მასში სხვაგვარი პარადიგმებიცაა.

II. 1. 2. ძველი ქართული ესთეტიკის ბიბლიის შემდეგ განსაზღვრულწესისაა მნიშვნელობა ჰქონდა პატრისტიკულ ქრისტიანობას, კერძოდ, პატრისტიკულ ეგზეგეტიკას. განსაკუთრებით, სახისმეტყველებით (სიმბოლურ) ეგზეგეტიკას.

სახისმეტყველებითი ეგზეგეტიკა ფაქტობრივად ბიბლიურ სახეთა პარადიგმებად დასახვავს; ეს ეხება ყველაფერს, ყველა მისტიკურ მოვლენას: სამებას, შესაქმეს, ადამის დაცემას, კენის ცოდვას, თორმეტ საუფლო დღესასწაულს და სხვას; ბიბლიურ პირებს, საღვთო სახელებს, ღვთისმშობლის სახელებს, ასევე, თვით ფრაზეოლოგიას თუ — ცალკეულ სიტყვებს.

II. 1. 3. ბიზანტიურ ესთეტიკაში უმთავრესი კატეგორიაა „სახე“.<sup>27</sup> რადგან „სახეა ხილვა და ჩვენება დაფარულისა“ (იოანე დამასკელი), განსაზღვრულია სიტყვის ორპლანიანობა: ერთია, კონკრეტულობა სიტყვისა, მეორეა მისი მიღებული მხარე (წინასახე). მთავარია არა სიტყვის მიმეტური ბუნება (ანუ ასეთი მიმართება: სიტყვა-საგანი), არამედ სიტყვათა „ზიარება“ საყოველთაო უნივერსალიზებთან. სწორედ ეს მომენტია არსებითი ქართულ სიტყვაში ორპლანიანობის რავგვარობის გასააზრებლად.

ე. პანოფსკის იკონოლოგიური შეხედულებით, კონკრეტულიდან უნივერსალიზებისკენ სვლას ითვალისწინებს ბიზანტიური ხელოვნების ნებისმიერი სახე.<sup>28</sup> ამიტომაც ქრისტიანობაში ყოველგვარი სახე ეიკონურია (ანუ ხატისებურიცაა), იქნება ეს თვით ხატი, არტიტეტურული სახეები თუ სიტყვიერი სახეები. ქრისტიანულ ხელოვნებაში სიტყვა უნდა განვიხილოთ როგორც ხატი.

II. 1. 4. ნებისმიერი სახე რომელიმე პარადიგმას ეზიარება და, გარკვეულ აზრით, თვით იქცევა პარადიგმად („სამყარო სუფევს წესრიგსა და მშვენიერებაში შემადგენელ ნაწილთა გარკვეული თანაზიარებით“, — აღნიშნავს ე. ყილსონი<sup>29</sup>). ე. ყილსონთან ისიც ჩანს, რომ სახე არ შეიძლება დაეიყვანოთ ოდენესთეტიკურ რაობაზე,<sup>30</sup> რაც არ ნიშნავს, რომ მისგან ესთეტიკური რაობა გამორიცხულია. ცნობილია აზრით, როცა არ არსებობდა ოდენესთეტიკური რაობანი, ეს

ნიშნავდა, რომ ყველაფერში ხედავდნენ ეს-  
თეტიკურს, ამიტომ თვით ესთეტიკური ბუ-  
ნება სიტყვისა ქრისტიანულ მწერლობაში  
ბიბლიური ქრისტოლოგიითაა განსაზღვრე-  
ლი (ე. ეილსონი აღნიშნავდა: „ის ფაქტი,  
რომ საღვთო წერილში არ იყო ფილოსო-  
ფია. უფლებას არ გვაძლევს მხარი დავუჭო-  
როთ აზრს, რომ თითქოს საღვთო წერილს  
არ ძალუძს გავლენა მოახდინოს ფილოსო-  
ფიაზე“<sup>31</sup>).

ქვემოთ ჩვენ სიტყვიერ სახეებს ვეხებით  
და ამ მიზნით ე. ეილსონის დაკვირვებებს  
შემდეგი მნიშვნელობა ენიჭება: ყოველ სა-  
ხეს თავისი კონტექსტით ერთი გარკვეული  
მიზანდასახულობა აქვს, მაგრამ სახის სიტ-  
ყვიერ შედგენილობის სემანტიკური სივრცე  
გაცილებით ფართოა, ვიდრე ერთი კონკრე-  
ტული მიზანდასახულობა. ეს გამომდინარე-  
ობს სიტყვის უნივერსალურობისაგან, აქე-  
დანვე მოდის სახის უნივერსალობაც.

II. 1. 5. აგიოგრაფიულ სახეთა ზოგადობა  
ამაღლებულობის კატეგორიას ემყარება  
(„მშვენიერების ცნება პირდაპირ კავშირშია  
კლასიკურ ხელოვნებასთან, ამაღლებულისა  
კი ბიზანტიურ ხელოვნებასთანა“, — აღნი-  
შნავს პ. მიხელისი<sup>32</sup>). ამას ავლენს ქრისტი-  
ანულ ხელოვნებაში „ტრანსცენდენტური დე-  
მიტერიალიზებული არსებანი, უსაზღვრო სი-  
ვრცეები, არამიწიერი სინათლე“ და ა. შ.  
პ. მიხელისი ითხოვს, რომ მიუხედავად გან-  
სხვავებისთვის არსებული უნივერსალური  
წინაპირობებისა, ხელოვნების ანალიზისას  
ამოსავალი უნდა იყოს კონკრეტული სახე-  
ები. „თორემ ვეთანი ხარებზე წინ წავაო“<sup>33</sup>

ფიქრობთ, რომ განსახოვნების შესწავლი-  
სას ენის ბუნების გათვალისწინება სწორედ  
კონკრეტულ სახეთა ანალიზს მოემსახურება  
და არა მხოლოდ სახეთქმანადობის ზოგად  
პრინციპთა შესწავლას, რომლის გათვალის-  
წინებასაც ავრთვევ არსებითი მნიშვნელობა  
აქვს, მეტადრე, შუასაუკუნეობრივი კანონი-  
ზებული სახისმეტყველებისათვის.

II. 1. 6. პარადიგმათა ყოვლისმომცველ-  
ობას და ერთიანობას გვიჩვენებს უნივერსა-  
ლურ მოდელთა ურთიერთმსგავსი განხორცი-  
ელება ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.  
ე. პანოფსკი გოთიკურ არქიტექტურაში ხე-  
დავს „ეიზუალურ ლოგიკას“, რომელიც ემ-  
ყარება ფსევდო-დონისე არეოპაგელის იე-  
რარქიზმის პრინციპს (კერძოდ, ზეციურ და

ამქვეყნიურ იერარქიათა ურთიერთმსგავსე-  
ბის), რის პირდაპირ ანალოგიასაც იგი ხე-  
დავს დანტე ალიგიერის „ლეთეცტრეკ-ლოგე-  
ლიაში“<sup>34</sup> (ნათლად ჩანს ეს „აბოლუტური  
წამებაშიც“). აქ აბოს სულიერი განწყობების  
საფუძვრები მოწოდებულია ცხრა ცის სიწ-  
ვინდეთა იერარქიის შესაბამისად. ცხრა ცის  
იერარქია წარმოდგენილია ქართულ ტაძარ-  
ში ფრესკათა განლაგებით კარიბჭიდან სა-  
კურთხველისაკენ).

საერთო მოტივთა და გამოსახვის ბერბთა  
ერთიანობის წარმოაჩენს იერარქიზმის პრინ-  
ციპს თ. დემუსისა<sup>35</sup> და სხვათა სპეციალური  
გამოკვლევები.<sup>36</sup>

II. 1. 7. სიტყვის სემანტიკური ველის  
იერარქიული შრეების გასაზარებლად მნიშ-  
ვნელობა აქვს არ მხოლოდ თვით ენობრივ  
მონაცემებს, არამედ სახვითი ხელოვნების  
სახეთა პარადიგმულობასაც.<sup>37</sup> სიტყვიერ  
განსახოვნებას ბევრი რამ აქვს საერთო ფრე-  
სკასთან, ხატთან, ზურთთმოდერებასთან.  
ტაძართა ფრესკული მოხატულობის პარადი-  
გმული მიზანდასახულობა მრავალმხრივ  
განპირობებულია იმით, თუ ვისდამია  
მიძღვნილი ტაძარი და რა ტიპის ლიტურ-  
გიაა მისთვის წამყვანი. (თ. დემუსი).<sup>38</sup> ტაძარ-  
ში ნებისმიერი განსახოვნებისა და ნების-  
მიერი ლიტურგიის საერთო მიზანია სოფ-  
ლისა და ზესთასოფლის დაკავშირება.<sup>39</sup> ამ-  
ავე აზრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასუ-  
ლიერო მწერლობაში ნებისმიერი სიტყვიერ  
განსახოვნება, უმორველეს ყოვლისა, ლი-  
ტურგიულია და მხოლოდ ამის შემდეგ და ამ-  
ვე ფარგლებში შეიძლება იყოს ესთეტიკური.  
ე გ ე ვ ე ქ მ ნ ის ს ი ტ ყ ვ ის ბ ი ნ ა რ უ ლ ი  
ს ე მ ა ნ ტ ი კ ის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს.

სიტყვა ჩართულია ყოფიერების იერარ-  
ქიულ სტრუქტურაში. ე. ი. სიტყვა უბრალოდ  
კი არ ასახავს ამ სტრუქტურას, არამედ მისი  
უნივერსალური ნაწილია.

## II. 2. ქართული პარადიგმატიკის შესწავლის ისტორიიდან

II. 2. 1. ძველი ქართული მწერლობის პა-  
რადიგმული სახეები ენობრივ მოვლენებთან  
კავშირში უმეტესწილად შეისწავლებოდა  
ცალკეული ფილოლოგიურ საკითხებთან და-  
კავშირებით, თუმცა არაერთი მნიშვნელო-

2. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 1990

ვანი საკითხია განხილული ქრისტოლოგიის არსებით პრობლემებზე დამყარებით (ჯ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, ილ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ა. გაწერილია, გ. იმედაშვილი. ს. ციოშვილი ნ. ნათაძე, რ. ბარამიძე, თ. თვარაძე, ზ. გამსახურდია, თ. გრძელიძე, მ. გვიგინიშვილი, გ. ფარულავა, ე. ხინთიბიძე, ლ. გრიგოლაშვილი). ამ მხრზე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჯ. კეკელიძის გამოკვლევანი.

ფილოლოგიურ ძიებათა სფეროში მოპოვებულმა შედეგებმა შექმნა საფუძველი ძველი ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული აგიოგრაფიის მხატვრულობის თვალსაზრისით შესწავლისათვის.

II. 2. 2; პარადიგმულ სახეთა ენობრივ მოვლენებთან კავშირი ზშირად განიხილება ლიტერატურულ წყაროთა დადგენის დროს. ცხადია, ყოველი ლიტერატურული წყარო არაა პარადიგმა. ლიტერატურული წყაროს ძიებისას ყურადღება ექცევა წყაროს სიძველეს და მის ფილოლოგიურ თანხვედრას ტექსტთან. არქიტოპები და პარადიგმები გულისხმობს ტიპოლოგიურ მიმართებებს, ე. ი. ისეთ წყაროს, რომელსაც სახისმეტყველებითი პოტენცია გააჩნია. მაშასადამე, წყაროს დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს პარადიგმის დადგენას და მის ახსნას. პარადიგმათა ძიება ითვალისწინებს განსახილველების პოტენციალთა დადგენას. (პრინციპით: „თესლი გარდუვალობაჲთ ყველილსა“. რ. თვარაძე. ი. პეტრიწი წერდა: „თესლითა შორის არიან ყოველინივე: გული, ღვიძლი, ტვინი, სხეული, ძუალი, ძარღვნი, ფრცხილნი, თმანი, გარნა შეურევნელად. და კუალად მარცულთა ზედა ვითარ იფქლთა შორის წუელია, თიხაი, ლერწამი, მუხლი, — ყოველივე ერთებრივ და არა შეერთებულად“).<sup>40</sup>

II. 2. 3. ფუნდამენტური ქრისტოლოგიური პრინციპების ეროვნული ადაპტაციის შესწავლა ჯ. კეკელიძის ნაშრომებში საფუძვლებს ქმნის ქართული პარადიგმული სახისმეტყველების კვლევა-ძიებისათვის, კერძოდ, ენობრივი თვალსაზრისითაც. თვით ეკლესიულ პარადიგმულ სახეთა შინაარსის გარკვევისათვის საჭირო ხდება კომპოზიციური წყობის პარადიგმული მოდელების გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო ხდება ის პარადიგმული კომპოზიციური მოდელები, რომლებიც ქართულმა საერო ლიტერატურამ

რამ გამოიყენა სასულიერო მწერლობიდან (ჯ. კეკელიძე).<sup>41</sup>

საკუთრივ აგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი პარადიგმული კომპოზიციური მოდელების სამ სახეს გამოვყავთ: 1. ტიპურალურ-ციკლური სტრუქტურის მქონე კომპოზიციები, სადაც ერთი მთავარი პერსონაჟის ძირითადი ამბის ირგვლივ დაჯგუფებულია სხვა არერთი ციკლი ამბებისა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ათონელთა „ცხოვრებანი“; წმინდა გიორგის ხატები, სადაც ცენტრში წმინდანის მთავარი გამოსახულებაა, ხოლო მის ირგვლივ მედალიონების სახით მოკეპულია წმინდანის ცხოვრების ეპიზოდები); 2. ტრიპტიქული სტრუქტურა („ამოს წამება“, სამკარედი ხატები); 3. უწყვეტ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე აგებული კომპოზიციები („შეშინიკოს წამება“).

„ამოს წამება“ აგებულია ღერძული სიმეტრიის მიხედვით სამკარედული ხატების მსგავსად: I თავი ქდაგება, მასში წარმოდგენილია ქართლის იმდროინდელი ვითარება და საღმრთო სახელები. საკუთრივ ამოს თავგადასავალი II-III თავებშია, ხოლო IV თავში ამოს ქება I თავში მოკეპული იდეალების შესატყვისად. ამგვარი სტრუქტურა შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით: a (Iთ) — b (II-III თავები) — c (IVთ.), I თავში მოკეპული პარადიგმული საღვთო სახელების მიხედვითაა დახასიათებული ამო IV თავში: „კარი სამოთხისა განალე“; აბოა „გზა“, „ტარიგი“; „მოძღულარ ჩუენდა იქმენე“, „ვარდი ეკალითად გამორჩეული“; „ვითარცა უბორცოჲმან დაითმინე სიკელილი“. აქვე, IV თავში, ამოს სულიერი სიწმინდე სიკეთის ცხრა ზეალმავალ პარადიგმულ საფეხურთანაა შედარებული. ასე რომ, ამოს დახასიათებანი არაა ნებისმიერი, არამედ უშუალოდ მიჰყვება კანონიერ პარადიგმებს. ნებისმიერი სიტყვის შინაარსი გაუგებარი იქნება პარადიგმულ პირველსახეთა გაუთვალისწინებლად. ამიტომ, მაგალითად, „კარი სამოთხისა“ გულისხმობს, ერთს მხრივ, ქრისტეს, ხოლო მეორეს მხრივ, ამოს.<sup>42</sup> მსგავსი სახისმეტყველება დამახასიათებელია სხვა აგიოგრაფიული თხზულებებისათვისაც.

ჰიმნოგრაფიაში პარადიგმულობას განსაზღვრავდა ძლისპირ-დასდებულთა სისტემა. მაგრამ საგალობელთა პარადიგმულობა ამით არ ამოიწურებოდა. მაგალითად, დავით აღმა-

შენებლის „გალობანი სინანულისანი“, გარდა იმისა, რომ მიჰყვება 50-ე ფსალმუნსა და, ამისდაგვარად, ანდრეა კრიტელის „დიდ კანონს“, თითქმის ყოველი სიტყვით თუ შესიტყვებით ან ეხმიანება, ანდა პირდაპირ მიჰყვება ბიბლიას, პატარასტიკულ ეგზეგეტიკას და სხვა პარადიგმებს. პარადიგმულობა სარულიადაც არ უკარგავს ორიგინალობას ნაწარმოებს.<sup>43</sup> თვით სახის ორიგინალობა არ გამოირიყნება პარადიგმულობით. საკმარისია გაიხსენოთ უაღრესად გავრცელებული პარადიგმა „მზიანი ღამისა“ (მ. გვიგინიშვილი).

ქართული საერო მწერლობა ძირითადად ეროვნულ პარადიგმულ სახისმეტყველებას დაემყარა, მაგრამ ამასთანავე მძლავრობს აღმოსავლურ მწერლობათა პარადიგმები,<sup>44</sup> უმეტესწილად მეტაფორული ტროპიკის, საფლავნო და სამიწუნრო კონვენციური მოტივების სახით.<sup>45</sup>

სპარსულ მწერლობაში შემუშავებული იქნა მყარი, შებლონური ტროპიკის მთელი სისტემა, რომელიც გავრცელებას სპარსული ლიტერატურული სამყაროს გარეთაც (ე. ჯაველიძე)<sup>46</sup>, რომლის გათვალისწინება ქართული მწერლობისათვის საჭიროა არა მხოლოდ მსგავსებათა, არამედ განსხვავებათა წარმოსაჩენადაც. იქ სადაც თითქმის მოსალოდნელი იყო შეხვედრები, განსხვავებანი და სტერადები. მაგალითად, მგრძნობელობის პიპერტროფიკების კვალობაზე „გულის“ განსაზღვრებისას „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის უნდა არეკლილიყო სპარსული პოეტიკის ნიშნები. „გული“ შემდეგი შედარება-მეტაფორებით იხატება აღმოსავლურ პოეზიაში: ქვეყანა, ქალაქი, ეგვიპტე, ბაღდადი, სულთანი მონა, ტახტი სასახლე, დივანი, ავადმყოფი, დაკოდილი, ქურდი, ტყვე, ჩამოხრჩობილი, ხელი, მეჭუნე, დამსხვრეული, უბედური, ყომარბაზი, მთვრალი, ყარიბი, ავრა, ჯამბაზი, ნგრეულეთი, პარემი, ჰელეეთი (სენაკი), ყანდალი, ქაბაბი, მლოცველი, ბუღბუღი, თუთიყუში, გვრიტი, მტრედი, ვარდნარი, ცრია, ცეცხლი, ქაბაბი, წყალი, ზღვა, მყვინთავი, ნავი, სანიშნე, ნადირი, ყურბანი, მებაღე, თოკით ჩამოხრჩობილი, ცა, ქვეყანა, სარკე, შუშა, სირჩა, ჯამი, თასი, კახა, ნეი, უდი, დეფი, მუტრიბი, დაფა, ეფვანი, მგზავრი, ბნელეთი, იაკობი, ისკანდერი, მუშრიდი, დერეში, სული, უსხუელა“.<sup>47</sup>

არც ერთი ამ სიტყვათაგანი „გულის“ გა-

მოსახატავად „ვეფხისტყაოსანში“ არ გამოიყენება, ამევე დროს შეხვედრები აღმოსავლურ პოეზიასთან ჩანს სახის დაწვრილ ბაგის მეტაფორული გამოხატულებებში.

გვიგინიშვილი

### III. ქართული პარადიგმული სახისმეტყველება და ქართული ენა

#### III. 1. კულტურის ლინგვისტური მალეონტოლოგია და მიმართებათა სისტემები ენაში

III. 1. 1. განსაზღვრების ეროვნული საფუძვლები ძვეს ენაში. ენა ეროვნული კულტურის სახეა. ენაში ჩანს არა მხოლოდ საკუთრივ — ეროვნული, არამედ ისიც, თუ რას ითვისებს და ითავისებს ეროვნული კულტურა. თუ რა უნდა გაითავისოს ეროვნულმა კულტურამ, ამის იმპულსი იძლევა ენა. ენაში იისახება ორგანულ კულტურულ ურთიერთობათა წარმონაქმნიც და უცხო კულტურა ანექსიის შედეგებიც. ამიტომ ენობრივი შეპირისპირებანი საშუალებას ქმნის განსაზღვრების ტიპოლოგიური ბუნების კვლევისათვის.

«Ограничение исследования языка только вопросами его структуры сменяется в последние два десятилетия принципом изучения языка как продукта человеческой культуры в тесной связи с этой культурой на широком фоне истории носителей языка» (Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов).<sup>48</sup>

III. 1. 2. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მონოგრაფიაში — „ინდოევროპული ენები და ინდოევროპელები“ ქართული ენის ტიპოლოგია განხილულია ინდოევროპული წინარე-ენისა და პროტოკულტურის ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზის ფონზე. აქ ენობრივ მონაცემთა საფუძველზე წარმოჩენილია კულტურის ისტორიის ორი ძირითადი საფუძველი: მითვისისა და რიტუალურ მოტივთა ენობრივი სისტემები, ამასთანავე, აღმიაწერი ყოფის ფუნდამენტურ ფენომენთა საგნობრივი კლასები. ყოველივე ეს ინდოევროპულ მასალასთან ერ-

თად განხილულია ქართული რეალობით, რაც კმინის საფუძვლებს ქართული პარადიგმული საბისმეტყველების ტიპოლოგიური ბუნების შესასწავლად. რადგან მითოსური და რიტუალური მოტივთა ტიპოლოგია და საგანთა კლასიფიკაციის პრინციპები შინაგანად შეიცავს საბისმეტყველებით პარადიგმათა წარმოქმნელ კანონზომიერებას.

«Составительский семантический анализ слов отдельных индоевропейских диалектов и фрагментов текста в различных индоевропейских традициях и связанной с ним метод «лингвистической палеонтологии культуры» позволяет реконструировать семантический словарь лексем индоевропейского праязыка и восстановить общую картину индоевропейской протокультуры в широком антропологическом смысле носителей индоевропейского праязыка» (Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов).<sup>17</sup>

სახისმეტყველებითი ცნობიერების საფუძველია-საფუძველია სწორედ კომპლექსური ანთროპოლოგიური მსოფლმხედვა, რადგან იგი გულისხმობს მთლიან ადამიანს.

III. 1. 3. რასაცრაველია, პარადიგმულ სახეთა კანონზომიერებების პირდაპირ დაყვანა „სემანტიკურ ლექსიკონში“ წარმოდგენილ მოვლენათა კლასიფიკაციის პრინციპებზე არ იქნებოდა მართებული. საბისმეტყველებელთა ენობრივ მონაცემთა შევსება და მოდელირებაა, მაგრამ მეორადი მოდელირების სპეციფიკაც ენაშია. მის შინაფორმაში, სწორედ მისი ძირების ძიებისკენა მიმართული „ელტერის ლინგვისტური პელეონტოლოგია“, რადგან იგი ითვალისწინებს ენისა და ელტერის მთლიანობაში გააზრებას.

შეუძლებელია პარადიგმულ საბისმეტყველებაში თავი არ იჩინოს სამყაროს სტრუქტურის საეკენეთა მანძილზე შემეშავებულმა მოდელებმა, კერძოდ, იმან, თუ როგორაა ფუქსირებული ენაში ადამიანის უფასო დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა ურთიერთმიმართება.

სახისმეტყველების შესწავლა პარადიგმებით ვერ აღიწერება. პარადიგმულობა სახე-ტყმნადობის ზოგად მხარეს, მის ზოგად პრინციპებს ეძება. უმოკერესა ცალკეული სახის თავისთავადობა, მისი განუმეორებლობა, სწორედ ამასთან მიაბლოცება საბოლოო მიზანს, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება

შეუძლებელია, სახეთა პარადიგმების შესწავლის გარეშე. პარადიგმულობა მისი ბისმეტყველებული სახესტრუქტურულ სახისაის. სახისტყმნადობის ერთგვარებულ განსაზღვრავს ენაში ფიქსირებული ნიშნებისათვის ურთიერთმიმართების პრინციპები. ამ მხრე, ერთგულ თავისებურებათა ზოგად-ელტერული ფონზე განსაზღვრულად არსებითია კონკრეტული ენობრივი მონაცემებით გავიფიქრების „შეპირისპირებათა ინდოევროპული სტრუქტურა“ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).<sup>18</sup>

III. 1. 4. მოვლენათა შეპირისპირების სტრუქტურა გულისხმობს სხვადასხვაგვარ მიმართებას: მსგავსება-განსხვავებებსაც, ოპოზიციისა და პოლარიზაციის თავისებურებებსაც.

ქართულში ცხოველთა კლასი უკავშირდება სოცოტლეს, მაგრამ ენობრივად მასში არ შედის მცენარეთა კლასი. სოცოტლეს ცხოველებთან აკავშირებენ სოც-ეს, ცხოველის ძირს, ცხოველთა კლასიდან ენობრივად განცალკევებულია გარეული ცხოველი (ნადირი, უფრო ძველი ძირისა ჩანს „შეცო“). კლასიფიკაციის ამგვარი ენობრივი მოდელისაგან განსხვავებულ მონაცემებს გვიჩვენებს ზოგიერთი ლიტერატურული ძეგლი, რომლებშიც, აღბათ, თავს იჩენს თეორიული გზით შემოსული თვალსაზრისი. ამ გაგებით, კლასიფიკაციის საფუძველია „სელი“ და არა — „სოცოტლე“, თავისი მრავალი ფორმით, როგორც ჩანს, ადრეულ ეტაპზევე „სელს“ საკლასიფიკაციოდ თავისებურად ენაცვლებოდა „სოტყვაც“ („მეტყველი“ — „პირტყვი“). ამ გაგებათა ერთგვარი სინთეზისა ს. ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“: „ნერგნიცა სელიერად ითქიან, რამეთუ აქვს მათ მოძრაობისა და აღორძინებისა და თესლოვანებისა ძალი, ხოლო სელი პირტყვთა, რომელ არს სამშინველი, სისხლისაობითი და სოცოტლითი განმტყობელობითი, მოძრაობითი, ნივთიერისა ძალისა მოქმედება და გრძნობის ქონება; ხოლო კაცთა სელი — სიტყვიერი, არსება — გონიერი, ესეულო; უცნაერი, სიტყვიერი და უცნაერი, არსება-წველია. ესახო; ხატო და მსგავსი ღმერთისა; სელი ანგელოზი — სიტყვიერი, და გონიერი და მეორე ნათელი და ეშმაკიცა, რომელთაცა თვისი დაიხნეულეს თავნი თვისნი ამპარტყენებითა;

და სული — სული წმინდა — დამშლდებელი ამით უოველთა, პირველი ნათელი და მიწვევლიშელი. ქარნიცა სულიდ უთქვათი“<sup>1</sup>).

ენობრივად ფიქსირებული მიდვლის კვალობაზე (სტოველი — სიკოცელი — ცხოვრება — მაქოვარა) „სული“ მიმართებათა „სული“ მიმართებათა მიუღ სისტემას ქმნის. სული მკენარეთა, სტოველია და აღმაიანს „სიკოცელით“ სული (სამშენიველი), „სიტყვეთა“ სული კაცის („ხატი და მსჯავისი ღმრთისა“), ახველოზის სული („ხეობრე ნათელი“) და სული წმინდა („დამშლდებელი“).

შნ.შენვლობათა სიმრავლას მიუხედავად, წარმოდგება „სულის“ შემდგენლობა სემანტიკური ობიექტთა (თუ პოლარულითა) — „სული“ ამქვეყნიურა და ზეყურა „სული“, ორი ძირითადი შნ.შენვლობა ნათლად და ფერხტორებელი ხ. პირადაშვილის ორ ლექსში: „სული ობიექტი“ და „სულთ ბირთვი“. პირველში იგულისხმება ინდივიდუალური, პირთხველი სული (душа), ხოლო მეორეში — მსოფლიო სული (дух).

სხვადასხვა ენაში „სულის“ სხვადასხვა მნიშვნელობათა გამოსახატვად სხვადასხვა სიტყვა იმარტება, მაგალითად, ბერძნულში „ფსიქე“ ნიშნავდასამშენიველს, ხოლო აღმთიანში ღვთაებრივ სულს აღნიშნავდა ძველმა.

სულის თქმას (სუხაქვეს) აღნიშნავდ ქართულში, მართალია, „სამშენიველი“ იმარტებოდა („სორხინდარქვანიანი“: „ძალი წყვილი ვარე, რომე ჩვენ თანა სამშენიველისაგან კიდე სხვა ღონე არა იყო“<sup>2</sup>), მაგრამ ამ თავითვე „სულისაქმაც“ უნდა ვთვლილო (მღრ. „ვეფხისტყაოსანი“: „სულთქება, რა ნანა ყველი მან უნაქვან ხანისა“ 1326).

ამრიგად, „სული“ აღნიშნავდა ორ ერთობრივდ-სორტებულ სფერას: ამქვეყნიურსა და ზეყურის“ ამჯვარა ბინარული პოლარულითა ინდივიდუალურ ენებშია ქართულშიცა ბინარული სემანტიკური პოლარულითა თქმსა სხვადასხვა ცხეიანი ერთი სიტყვეთა ფორმით გამოიხატება.

ამ მთავ. ქართულ ენობრივ მსოფლზედა კიდევაც ენმკაცება და კიდევაც განმხვედები ინდივიდუალულისაგან.

„Духовная социальная организация древнего индоевропейского общества, основанная на дуалистическом характере брачно-родственных отношений... накладывает глубочайший отпечаток на характер всей духовной жизни древних индоевропейцев и определяет бинаризм, двой-

ность во многих основных сферах религиозных и мифологических представлений и некоторый черт модальности“ (Т. В. Гамкрелидзе, Вост. Вестн. 1987, № 1).



9 5 5 0 9 5 5 5 5 5 5

1. А. Соболев, „Лингвистическая типология“ Киев, 1987, стр. 3-41 (თავი: ქართული ენობრივი სემანტიკისათვის); სოფიო ბოვიშვილი და კობიძის ქართული სემანტიკისათვის სხვადასხვა ენობრივდ დამხმარებელი სტრუქტურული მიხედვები.
2. შ. ბესიკიძის „ეფესტკავობის“ სტრუქტურა გამოხველია 1989 წელს გამოცემის მიხედვით.
3. Т. В. Гамкрелидзе, Вост. Вестн. 1987, № 1 (სტრუქტურული კონსტრუქციისა და ისტორიკული ანალიზი არაქანისა და პროტო-სლავური), ს. 1, 16, 1981, с. 25.
4. Т. В. Гамкрелидзе, Вост. Вестн. 1987, № 1 (სტრუქტურული კონსტრუქციისა და ისტორიკული ანალიზი), ს. 11, 16, 1981, с. 158.
5. დ. ენმაძე, ენობრივდ ერთდ (განწყობის თეორიის ბირთვი) დებულებები — შრომები, ტ. VI, იბ., 1977; განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული სფეროებები — ენა და ენობრივთა სხვა გამოკვლევები, თბილისში გამოცემის ცხოველი ერთი სფეროებებისათვის იბ. ნათე სხვადასხვა განმარტების ფსიქოლოგიის სფეროებებისათვის ბოიშვილი, იბ., 1970; თანხვეთივად იგულისხმის ბინარულითველი შ. ბესიკიძის და „ფრანკულითა შრომების“ განწყობის თეორია გამოხვევითი ენობრივ მიხედვებში ეფესტკავობის მიხედვლობის წინამძებრე (დ. ბინარული მიხედვლობის სფეროებში) განმარტება იბ. ენობრივ სემანტიკისათვის სხვადასხვა სტრუქტურული ანალიზისა და განმარტების.
6. დ. ენმაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული სფეროებები — შრომები, VI, გვ. 41.
7. დ. ენმაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ბირთვი დებულებები — შრომები, VI, გვ. 280.
8. Р. Яковлев, К антропологической проблематике общества и государства — Восточный вестник (Парацели, философия, история и культура), т. III, 1976, с. 165.
9. დ. ენმაძე, ენის მიხედვობა — „ფსიქოლოგი“, ტ. IV, 1977, გვ. 159.
10. ხ. კარგელი, ეფესტკავობის ტექნიკის აღმარება — „ქართული ენობრივთა“ ტ. I, იბ., 1980, გვ. 2-23.
11. იბ., გვ. 18.
12. მთე სოფელი, „სორხინდარქვანიანი“ გამოკვლევა შნ.შენვლობის თეორიაში, იბ., 1969, გვ. 115.
13. დ. ენმაძე, ენის მიხედვობა — „ფსიქოლოგი“, IV, გვ. 158.
14. გ. ბინარული, ენის ექსპერიმენტული თეორიის სფეროები, იბ., 1978, გვ. 15 (თავი: ენობრივ მნიშვნელობა).
15. Р. А. Яковлев, Что такое расовое и соци-

- შენათვისებელი ენა? М., 1977 (გ. ესთეტიკური  
შენათვისებელი ენა, ს. 188—214).
16. Т. В. Гамкрелдзе, Вяч. Вс. Иванов. Указ. соч., ч. II, с. 474.
  17. Л. Н. Гумилев. Этногенез и биосфера Земли. Ленинград, 1979 (вып. I, 3, 3, УДК. 550, 75).
  18. К. Г. Юнг. Об отношении аналитической психологии к поэтическо-художественному творчеству. Зарубежная эстетика и теория литературы XIX—XX вв. (Трактаты, статьи, эссе). М., 1987, с. 231.
  19. Л. Н. Гумилев. Указ. соч., с. 101.
  20. В. И. Вернадский. Научная мысль как планетарное явление. — В. И. Вернадский. Философские мысли натуралиста. М., 1988, с. 20—195.
  21. შ. ნუცუბიძე, ხელოვნების თეორია, — შრომები, III, თბ., 1960, გვ. გვ. 441-446; 306. შ. ნუცუბიძის ალთოლოგიური ესთეტიკა, განხილულია შემდეგ შრომებში: გ. ჭიბლაძე, შალვა ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია“, — კრიტიკული კრიტიკები, ტ. VI, 1981; ფ. ნადიმაძე, ალთოლოგიური ესთეტიკის პრინციპები, — „მაცნე“, 1986, № 2, ბ. ურდია შალვა ნუცუბიძის „ხელოვნების თეორიის“ ერთი პრინციპული საკითხის გაგებასთვის. — „სამშობო ხელოვნება“, № 3.
  22. შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. III, გვ. 306.
  23. ეს განმარტება განხილული გეოქს ნარკვევში — „სახისმეტყველება“. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 5-12.
  24. იქვე, გვ. 207.
  25. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 123-138 (აგრეთვე ქვეთავი: სამყაროს იერარქიული წყობის ესთეტიკური პრინციპი, გვ. 102-105).
  26. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, (თავი ფილქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საფუძვლებიდან (მოძღვრება ორგანო სიბრძნეზე) გვ. 213-280).
  27. რ. სირაძე, სხვის ცნება ბიზანტიურ ესთეტიკაში, რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.
  28. E. Panofsky. Studies in Iconology. N. — Y., 1962, p. 7—8.
  29. Etienne Gilson. L'Univers Dionisien. Lille, 1954, p. 111.
  30. G. Mathew. Byzantine Aesthetics. London, 1963, p. 3.
  31. Etienne Gilson. L'Esprit de la philosophie médiévale. Paris, 1936, p. 11.
  32. P. A. Michelis, Esthétique de l'art byzantin. Paris, 1959, p. 26.
  33. იქვე, გვ. 29.
  34. E. Panofsky, op. cit., p. 22.
  35. O. Demus. Byzantine Art and the West. New York, 1970.
  36. H. Goltz. Hiera Mesitea. Zur Theorie der hierarchien Sozialer im Corpus Hierarchicum. Er langen, 1974, S. 135—136.
  37. O. Demus, op. cit., p. 111.
  38. Ibid., p. 101.
  39. Ibid., p. 121.
  40. რ. სირაძე, ქ. აქელიძე და ქართული სხისმეტყველება, — რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987, გვ. 246-268.
  41. ქ. აქელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 6-7.
  42. რ. სირაძე, ქართული ავთორაფია, თბ., 1987, გვ. 49-79 (თავი: ა. სახანისძის ლიტერატურულ-პოეტური თვალთახედვა).
  43. ლ. გრიგოლაშვილი. შუა საუკუნეების ქართული ლირიკის ისტორიიდან (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“), თბ., 1989.
  44. ვ. ჩაველიძე, თერქული პოეტია, თბ., 1988 (განსაკუთრებით შემდეგი თავები: „სახისმეტყველება“, გვ. 211-242; „თემატიკური რეალი და ლიტერატურული თემატიკა“, გვ. 243-277).
  - 44ა. ვ. ჩაველიძე, დასაბუთებული ნაშრომი, გვ. 219
  45. ნ. ნათაძე, რუსთველური მიწნულობა და რენესანსი, თბ., 1973.
  45. ვ. ჩაველიძე, იქვე, გვ. 217-218 (შდრ. შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1968).
  47. ვ. ჩაველიძე, დასაბ. ნაშრომი, გვ. 241.
  48. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის დასაბ. ნაშრომი. ნაწ. II, გვ. 458.
  49. იქვე, გვ. 461-462.
  50. იქვე, გვ. 474, და შემდეგ.
  51. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, 2, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1966, გვ. 116-117.
  52. მოსე ხონელი, ამირანდარჯანის, გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანდიაშვილმა, თბ., 1969, გვ. 115.
  53. ოთარ დამასკელი, დიალექტიკა (მ. რაფაელს გამოცემა), თავი 51,6.
  54. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის დასაბ. ნაშრომი. ნაწ. II, გვ. 776.

(გაგრძელება იქნება)





# ავხაზეთის ხუროთმოძღვრების

## რაობისათვის

დოქტორი თეზანოშვილი

ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში, ღიხს იქეთა თუ აქეთ, მთასა თუ ბარში, ისეთი კუთხე, წარსულის სახსოვრად ძველი ტაძრები, ციხე-დარბაზები, მხატვრობა-ნაქანდაკევი არ ამშვენებდეს. გამონაკლისი, რასაკვირველი: ვერც ახლანდელი აფხაზეთის ასსრ-ში მოქცეული მიწა-წყალი იქნება, სხვაც რომ არა იყოს რა, ერთობლივი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შემოქმედი ერთ-ერთი უმთავრესი კერა.

რა აღარ არის აფხაზეთში — ძველთა-ძველი დოღმენებიც, ანტიკური ნაშთსაზღარებიც, საბერძნეთიდან ჩამოტანილი საფლავის ფილაც... მაგრამ ყველაზე თეალსა-ჩინო, ამ მხარის ახლანდელი სახის შემქმნელი, მაინც შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაა — შუა საუკუნეების ნაციხვარები (მარტო ანაკოფიის სახელგანთქმული ციხე რადა ღირს!) და, პირველ ყოვლისა, ტაძრები. სწორედ ამ უკანასკნელთ იხსენებენ ზოლმე, უპირატესად, როდესაც აფხაზეთის ღირსშესანიშნაობანი სურთ წარმოისახონ, ისინი გვიჩვენებენ

უკაფიოვსად ძველი დროის შემოქმედებით სახეს. რთული იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და, სახელდობრ, აფხაზეთის ისტორია გვიანანტიკურსა და ადრეკრისტიანულ ხანაში. იქ ჭეროში ბატონობდა, შემდეგ მისი მემკვიდრე ბიზანტია, იქ ებრძოდა ბიზანტია, დასავლეთის სამყაროს ეს ბატონ-პატრონი აღმოსავლეთის „მსოფლიო იმპერიას“ სპარსეთისას.

მუდმივი იყო მცდელობა თავის თავის შენარჩუნება-გადარჩენისა. VIII საუკუნის ბოლოს, „ბერძენთა“ დასუსტების ყამს, სწორედ აფხაზეთის სამთავროში იწყება ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების მოღონიერება, რომელიც IX საუკუნეში მთელი დასავლეთი საქართველოს მომცველი „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებით გვირგვინდება.

ეს ყოველივე ჩვენ წერილობითი წყაროებით ვიცით, მაგრამ ბედისწერის სიმუხთლით დაწერილი რომც არაფერი შემოგვრჩენოდა, ჩვენ მაინც შევძლებდით ნივთიერი ნაშთებით ისტორიული მდინარე-

ბის ზოგად ხაზებში აღდგენას, აი — ბიკვინტის ნაქალაქარზე გათხრილი ბაზილიკა (უფრო სწორად, ბაზილიკები, ერთი მეორეზე დაშენებული). იგი უტყუარად ბიზანტიურია, ისევე როგორც რომაულ-ბიზანტიურია ძველი „პიტოუნტი“, სვეტები, ხის გადახურვა, გეგმარება, ყველაფერი რომაულ-ელისტურ სემპაროზე მივითითებ. მაგრამ სულ ცოტა გვიან, VI საუკუნეში აწინდელ გაგრაში ააგეს ეკლესია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „ბერძენების“ აღმშენებლობასთან. ესაა ე. წ. „სამეკლესიოანი ქაზილიკის“, უგუმბათო არქიტექტურის ტიპად საქართველოში ჩამოქნილი სახის ერთ-ერთი ნაირსახეობა. აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში იპოვება მისი გეგმარების, ხოლო ქართლში კარის შემამკობელი მოკრძალებული ჭვრის პარალელები. ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს კვალი მაშინდელი ქართლის პირდაპირი სახელმწიფოებრივი ზემოქმედებისა — მეტისმეტად ძლიერი იყო სამაგისოდ იმხანად ბიზანტიამ — არამედ გამოხატულება ქვეყნის მკვიდრთა სულიერ-კულტურული ერთობისა ქართულ

„ქვეყნებთან“, ერთიანი გემოვნების, შემოქმედებითი ძიების საერთო მიმართულებისა, რომელმაც იქნებ განაპირობა კიდევ ზოგ რისამე მოსესხება ლისგადმული ქვითხურობისაგან.

„აფხაზეთის სამეფოს“ დანატოვარ ხუროთმოძღვრების ნაწარმოებებშიც საკმაოდ დიდხანს ბიზანტიურისა და ადგილობრივი, მთელი კულტურულ-ისტორიული საქართველოსათვის საზიარო მხატვრული დინებების შერწყმა-შეერთებას ვხედავთ. საკმარისია ავიღოთ დრანდას ტაძარი, რომელიც საბოლოოდ სახელოვნებათმოდნეო და საბუნებისმეტყველო-ფიზიკური მეთოდებით VIII საუკუნით დათარიღდა (ამის შესახებ იხ. რ. მეფისაშვილის მოხსენება ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე). თავისი ზოგადი იერით ეს აგურით ნაშენი ნაგებობა, დაბალი და განიერი მრავალსარკმლიანი გუმბათით, მრავალრიცხოვანი კარ-სარკმლებით, შუაში, გუმბათქვეშ, მრგვალი, როტონდული სივრცით — აშკარა „იმპორტია“: მისი მაშენებელი იქიდან მოსულიყვნენ, სადაც ჭრაც ცოცხლო-

ლობის ტაძარი



ბდა გვიანრომული მემკვიდრეობა. მაგრამ ამისთანავე მასშიც კი ყონავს, ჭერხანობით წერილ ხაზებში, რალაც სხვა, არა-ბიზანტიური. ბიზანტიური კულტურის არეში ვერ ნახავთ ნართექსისა და მთავარი სივრცის შესასვლელთა ღერძების აცდენას, ვერც საკურთხევლის სამი შვერილი აფსიდის თალებით გადაბმის ხერხს — პირველი VIII-IX საუკუნეების ზოგადქართულ შემოქმედებით სწრაფვას ეხმიანება, მეორე — როგორც ჩანს, „მცხეთის ჭვრისა“ და მისი ჭვუფის (თუნდაც აქედან ახლოს მდებარე მარტვილის ტაძრის) გამოცდილებას. უფრო მოგვიანო ნაგებობებში თანდათან ძლიერდება სწორედ რომ არაბიზანტიური საწყისი. ჯერ ერთი, ცვლავაც აშენებენ „სამეკლესიოან ბაზილიკებს“ (მისი ერთი მაგალითი VI-VII საუკუნეებშიც ავღიათ — აბაანთა სიხეში), რომლის მართლაც რომ შესანიშნავი ნიმუშებია ამბარასა და ჭიანჭის მთის ეკლესიები, ისეც და ისეც იმ ტენდენციების ამსახველი, რაც აღმოსავლეთსა თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იჩენს თავს, იქნება ეს გეგმარების გართულება, თუ შიდა კედლების ძალოვანი შვერილებით დამუშავება (ჭიანჭი — იგი ძალზე ჰგავს ნეძვის IX საუკუნის ეკლესიას ახლანდელი ბორჯომის მიდამოებში); არის წვრილმანი მსგავსებანიც.

ძალზე მნიშვნელოვანი, ალბათ უმნიშვნელოვანესიც, იმდროინდელ ტაძრებში აფხაზეთის გუმბათოვან ტაძართა ჭვუფია — ბზიფის, ანაყოფიის, ლიხნეს, მოქვის ტაძრები. ამთგან ზუსტად მხოლოდ მოქვის ტაძრის აღშენების დროა ცნობილი — „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით იგი X საუკუნის 60-იან წლებში ააგებინა აფხაზთა მეფე ლეონმა — ეს ის ლეონია, რომელიც 964 წლის კუმურდოს წარწერაში იხსენიება, ბაგრატ III-ის მკვიდრი ბიძა და

ნართენი სამის შექმნის დროის განსაზღვრა ალბათ ძალზე გასწავრდებოდა, რომ არა ბზიფის ტაძრის გარე კედლების, ქვების კვეთილობა. იგი უახლოესად მხოლოდ ბაქარის I-X, უფრო კი მაინც IX საუკუნის (მაგ. რუისის ტაძრის პირველი ფენის) ხუროთმოძღვრულ შემეულობას. ამდენად კი, ბზიფის ტაძარიც IX საუკუნის — საფიქრებელია, მისი მეორე ნაბეგრის, ნაგებობა უნდა იყოს. დანართენი ორი ეკლესია, როგორც ლ. რაჭულიშვილის მიერ ჩატარებულმა კომპოზიციურმა და, მგტადრე, პროპორციულმა ანალიზმა აჩვენა, მათ შორის უნდა თავსდებადეს. ასე რომ, ჭვუფის თავში ბზიფის ტაძარი დგას, ბოლოში კი — მოქვის დიდებული საყდარი. ამ ოთხი ნაწარმოების განხილვისასაც შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთი ნიშნები, რომელნიც ბიზანტიელებთან მეზობლობა-თანაცხოვრების კვალად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთია, მაგალითებრ, შიგნით შეზნეპილი სემენტებისაგან შედგენილი გუმბათი (ინგლისელები მას გოგარისებურს უწოდებენ), სწორედ ბიზანტიისათვის ნიშანდობლივია. შედარებით იშვიათია — თუმცა უმავალითო კი არ არის — იმეამინდელ ქართულ ხუროთმოძღვრებაში სამი შვერილი აფსიდი აღმოსავლეთის მხარეს, საკურთხევლის გვერდითი სადგომების უშუალოდ (დასავლეთი კედლის გარეშე) გახსნა შუა სივრცისაყენ. ამიტომაც არის, XIX საუკუნიდან მოყოლებული ამ ტაძრებს ბიზანტიური ხელოვნების ქმნილებებად რომ მიიჩნევდნენ. ამავე დროს, უფლებელოყოფოდა მთელი რიგი მეტად საგულისხმო ნიშან-თვისებებისა და მხატვრულ-ისტორიული მახასიათებლებისა. დავიწყოთ იმით, რომ ოთხივე ეს ტაძარი ე. წ. „ჩაწერილი ჭვრის“ ტიპისაა, ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაბეჭენილ გუმბათით. ასეთი აგებულების



გუმბათიანი ნაგებობები მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოშია გავრცელებული X საუკუნიდან მოკიდებული — კონსტანტინეპოლსა და თესალონიკში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც, ძველ რუსეთშიც. მხოლოდ ანგარიშგასაწყევია, რომ უადრესი სადღესოდ მიკვლეული ამ სახის ტაძრები საქართველოსა და სომხეთშია აგებული. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოში უწყვეტი მწყრივიც გვაქვს ამგვარი ნაგებობების (წრომი — VII ს., სამშვილდე — VIII ს., იყალთო და რუისი — VIII-IX სს.), მაშინ როდესაც ბიზანტიაში ისინი ეს-ესაა ფეხს იკიდებდნენ. რაკი, თანაცვე, აფხაზეთის ტაძრებში უადრესი, ბზიფისა, აშკარად ქართლს უკავშირდება, ცხადყოფილად უნდა ჩაითვალოს, რომ „სამეკლესიან ბაზილიკასათ“ ამ ტიპის შენობანიც საერთო-ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ქართულ სამყაროზე მიგვითითებს მათი გარე და შიდა აღნაგობაც. ბიზანტიურთაგან განსხვავებით აქაც გუმბათქვეშა თაღები პირდაპირ ბურჯებს ეყრდნობა და არა გუმბათის დაბალ საბჯენებზე ამოყვანილ კედლებს; არც გარედან არის კედლები ბიზანტიურ ტაძართა გვარად მოზრდილი ლიობებით დაცხრილულ-დაცხაურებული (ასეა არა მხოლოდ იმპერიის დიდ ქალაქებში, არამედ მის აღმოსავლეთ განაპირა მხარეებშიც, კერძოდ მცირე აზიის მთიანეთში). და კიდევ ერთი რამ: ბზიფიდან მოქცამდე ჩვენ ვხედავთ მოკვლობათა სიგრძივ, საკურთხევლისკენა ღერძის გაყოლებით თანდათანობით დაჭკუფებას — ბიზანტიაში VII საუკუნიდან სწორედ რომ საპირისპირო რამ ხდებოდა, ე. ი. სიგრძივი ღერძის დამოკლება. ამრიგად, კიდევაც თუ არად ჩავაგდეთ ცალკეული ფორმები — გინდაც იმავე ლიხნის დასავლეთი

პატრონიკის რამდენიმე სართულად დაწყობილი თაღები, რამდენადაც ვიცით, უცხო ბიზანტიისათვის და ჩვენში კი გურჯაანის ყველაწმინდაში დამუშავებული და ამბარის ზემოხსენებულ ეკლესიაში გადმოსული, ანდა დიდი თაღვანი ბუქეთა აფხაზეთსა და კახეთში ცნობილი, — დასკვნა ერთი თუ შეიძლება იყოს: აფხაზეთის ტაძრები ზოგადასა და უმთავრეს ხაზებში ისევეა აღნაქვსი, როგორც აღმოსავლეთისა თუ სამხრეთი საქართველოს ეკლესიები, „ბიზანტინიზმები“ კი აქ მხოლოდენ „მინარევი“, სხვა არაფერი.

ეს ვითარება კიდევ უფრო გამოკვეთილი ხდება X საუკუნის ბოლოდან. სამწუხაროა, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ბაგრატ III-ის აგებულსა და ჩვენს მატთანში დიდი ზარ-ზეიმით ნახსენებ ბედლის ტაძარს — როგორც გააჩქვია არქიტექტორ-რესტავრატორმა ლ. ხიმშიაშვილმა, ახლანდელი ნაგებობა ბაგრატიანების ნაშთებზეა დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში. სამაგიეროდ მანვე გამოაგონა თავდაპირველი ეკლესიის გეგმა — იგი დაახლოებით იმგვარივეა, როგორც ზემოგანხილული გუმბათიანი ეკლესიების. ამ დროს კი გადარჩენილი ბაგრატ III-ის ეამინდელი რელიეფური სამკაულები სრულებით ახლებურია, ამის მსგავსი არც ბზიფის ტაძარს აქვს რამე, მით უმეტეს, სრულებით მოურთავ ლიხნეს (ანაკოფია ნაწილობრივ, მოჭვი კი მთლიანად გადამოსილია XIX საუკუნეში თქმვა უნდა ვიფიქროთ, რომ სამკაულის სიჭარბე აქ არც თავიდან იქნებოდა). ჩვენ დანამდვილებითაც შეგვიძლია იმის თქმა, თუ საიდან მოსულიყვნენ ბედლის ტაძრის მეჩუქურთმე-შქანდაკებლნი — უცლოზლად ბაგრატ მე-

ფის მამული სამხრეთ საქართველოდან. ასეთივე, სამხრეთ საქართველოდან წამოსული, ჩუქურთმოვანი საპირე-ჭვრები აქვს ილორის წმ. გიორგის სახელმწიფო სალოცავსაც, XI საუკუნის დამდეგისას. ასეთნაირი ნაგებობანი რომ მრავლად იქნებოდა ამის საბუთად ანაკოფიის ციხის ეკლესიაში XIX საუკუნის ბოლოს ახალ-ათონელი ბერების გამართული თავისებური მუზეუმშიც გამოდგება — იქ კედელი ამოიყვანეს და მასში ჩააყოლეს ახლმახლო დანგრეული ეკლესიების ნაქანდაკევი ქვები — მათ შორის X საუკუნისა და XI-იც და ყველა ქართლსა და სამხრეთ საქართველოს რელიეფებს ემსავსება.

ზოგიერთი ავტორი ისე სჯის, თითქოს XI საუკუნეში აფხაზეთში რაღაც აღმოსავლეთ-ქართულ „ექსპანსია“ მომხდარიყოს. ზემორე მსჯელობას თუ მივყვებით, იგი ძალიან ადრეც დაწყებულა VI საუკუნიდან. ოღონდ ასე განმსჯელთ დავიწყებით, რომ IX-X

საუკუნეებში არაბთაგან პურობილი ქართლი კი არა, აფხაზეთის სამეფო მოიწვედა აღმოსავლეთით — აქ დედაქალაქად ჩქარა წამოვიდა თია იყო, შემდეგ კი ქუთაისი. აღარც იმას იხსენებენ რატომღაც, რომ გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფის ტიტულატურაში პირველად „მეფე აფხაზეთის“ ითქმოდა — ფრიალ უცნაური რამ „მოძალების“ შემთხვევაში, ზოგიერთს არც იმის ცნობა სურს, რომ აფხაზეთის სამეფო სახლი ქართულ სახელმწიფოებრიობას ჰქმნიდა. შეიძლება მოგვიგონ, არცთუ უსაფუძვლოდ, შუა საუკუნეებში ეროვნული სახელმწიფო არ იყოდამ როგორც პრინციპი. ეს ასეა, რასაკვირველია, მაგრამ ამ ჩვენს შემთხვევაში ზოგადი დებულებები კი არ გვკვირია, ჩვენი ისტორიის მართალი გადმოცემა. ჩვენ კი ხელთა გვაქვს ერთი მეტად საკვირველი მოვლენა — აფხაზეთის მცხეთის საკათალიკოსოში შემოსვლა. ვიცით რა იგი ფაქტად, მისი ახსნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს: აფხაზე-

გაგრის სამეკლესიანი ბაზილიკა





თა მეფეს ხელს არ აძლევდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელშეწყობა, რაც მას, ასე თუ ისე, ბიზანტიას პოლიტიკურადაც მიაგაქვევდა; ამასთანავე, ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შეერთებისათვის მიიწვედა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უუბრძოდნენ საფუძველს“... ვველაფერი უპველად ასევე იყო, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლად შეიძლება მოხდეს საქმე სულ სხვაგვარად დატრიალებულიყო. აფხაზეთის სამეფოს კიდში, ნიკოფსის, ეგულებოდათ მორწმუნეთ წმ. მოციქულის სვიმონ კანანელის სფლავი. როდესაც XI საუკუნის შუა წლებში წმ. გიორგი მთაწმიდელს ქართული ეკლესიის თვითმწყობის დაკვა უბედა, იგი მაშინვე იმას ეუბნება ბერძენთ, ჩვენი ეკლესია სამოციქულოა, ჩვენში წმ. ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და წმ. სვიმონ კანანელი დამარხდა. მივაჯყოთ უუბრძოდება — მცხეთის ტაძრის უძვირფასეს რელიქვიას — უზილვად დაფარულ კვართს უფლისს კი არ აშეულოებს, არამედ აფხაზეთის სიწმინდესს განაღო არ შეიძლება და აფხაზთ მეფეებს, ქართლის შემოერთების მოსურნეთ ეცადათ მცხეთის საყდრის გაძლიერება კი არა, მისი, როგორც ტაოკლარჯელ ბაგრატიონებთან დაკავშირებულის, დაჭაბნა-დაუძღურება? ამისთვის ნიკოფსიად საეპისკოპოსო საყდრის აღმართვა და მისი ვითარება სამოციქულოს აღზევება იქნებოდა საჭარო და ეს არც მხელი იყო. თუკი ეს არ გავითვალ, თუკი, ამდენად, ამის მოთხოვნა იღებდა არვის გასჩენია, ჩანს ამიტომ, რომ აფხაზთა მეფეებს უცხოენოვანი და კულტურულად უცხო ეკლესიისაგან ჩამოშორებასთან თავისი, მშობლიურა ქართლ-კახეთ-სამცხე-ტაო-კლარჯეთში ეგულებოდათ. მათი ასეთი არჩევანი ცხადად გვიმოწმებს რა იყო და რა კიდევ არა მათთვის „საკუთარი“ — ისინი ხომ ქართლის კი არ იერთებდნენ, უერთდებოდნენ მას — ძალოვანი პოლიტიკურად უძღურეს.

ასევე ტაო-კლარჯული ბეროთმოდგენების მონაპოვარნი კი არ „შემოკრილან“ აფხაზეთში, ისინი, ასე ვთქვათ, „მოიღეს“, რადგანაც ისინი საუკეთესოდ უღებობოდა აქაურთა სურვილებსა და მისწრაფებებს. არც ისაა დასავიწყვი, რომ ესეც ზოგად ქართული მოვლენაა. ადრე, V—X საუკუნეებში სხვადასხვა კუთხეში ერთგვარი მხატვრული სწრაფვა საქმარისად განსხვავებული გარგნული ფორმით იმსახებოდა, ახლა კი, XI საუკუნის დამდეგიდან იმერეთშიც, ქართლშიც, კახეთშიც სამხრეთ-ქართული ისტორიების ხელში ჩამოქალია ელემენტების მოხმობა-გამოყენებით ერთგვარი გარგნული ფორმა აქმნება.

ამგვარ სურათს გვიხატავს ნიკოფსიური ძეგლები, ხელაქმნილი უტყუარი მატიაზე ძველი დროისა, რომლის გაყვალბება შეიძლება, შეცვლი კი — ვერა. სხვათა განსარკვევია, რა ენაზე ლაპარაკობდა იმეპინდელი აფხაზი, ის კი უთვია, რომ იგი ქართული კულტურული სამუაროს მონაწილე ვაფილა. და რა ტომისაც უნდა იყოს აფხაზეთის ახლანდელი მცხოვრები, უკეთე იგი ამ მხარის ისტორიას თავისად მიიჩნევს, თავი გაირღვევოდა „ქართლის ბედის“ მოზიარედაც უნდა იგრძნოს.

# მუსიკა — მისი სასიამოვნო გარემო



(პროფ. თ. ჩარეჭიშვილის პედაგოგიური  
მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო)

გულგათ ბორაძე

მზინამ საბატო და სასიამოვნო მისია მზედა წილად. არ დაეფარავ, რომ ქალბატონ თამარ ჩარეჭიშვილის შესახებ წერა შინაგან კმაყოფილებას მანიჭებს, უპირველესად ყოველისა, ამის გამო, რომ მისი სახელი ჩემს წარმოდგენაში განუუვრელადაა დაკავშირებული უმშვენიერეს ხელოვნებასთან — მუსიკასთან. შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი თამარი სულდგმულობს მუსიკით და მუსიკისათვის, ეს არის მისი ჩვეული სასიცოცხლო გარემო, რომლის გარეშეც მას ვერც წარმოუდგენია არსებობა.

ახალგაზრდობაში — საფორტეპიანო შესრულელობა, ხოლო იგერ ეკვე 50 წელია, — საფორტეპიანო პედაგოგიკა შეადგენს მისი ცხოვრების უმთავრეს და უმაღლეს მიზანს, რომელსაც იგი ემსახურება დღენიადაც და მზურვალე გატაცებით.

საინო, კეთილშობილი და უხეგარო ადამიანი — იგი ქართული მანდილოსნის საუკეთესო თვისებების მატარებელია.

არის მეორე მიზეზიც, რომელიც ჩემს მისიას ესოდენ სასიამოვნოს ხდის. ქალბატონი თამარი — მეუღლეა ჩემი დაევიწყარი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი მუსიკოსმკოდნის — ბატონ ლადო დონაძისა, რომელთანაც ურთიერთობის ბედნიერება მჭონდა მთელი 40 წლის მანძილზე, როგორც მოწაფეს, სტუდენტს, შემდეგ კ — უმცროს კოლეგასა და მეგობარს. მაღალი ზნეობრივი ატმოსფერო, რომელიც მუდამ სუფევდა მათ ოჯახში, კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა ჩემზე და ყველაზე, ვინც კ მის გარემოში ხედებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ატმოსფეროს შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჩემი მასწავლებლის მეუღლესა და „კეთილ ფეროს“ — ქალბატონ თამარს, რომელსაც, არანაყლებს თავისი მოწიფეებისა, უუვარდა ბატონ ლადოს მოწაფეებიც.

შინაარსიანი და საინტერესოა თ. ჩარეჭიშვილის ცხოვრების გზა, რომელიც სავესე შეჩვედრებითა და ურთიერთობებით მრავალ შესანიშნავ ადამიანთან: გამოჩენილ მუსიკოსებთან, კომპოზიტორებთან, პიანისტებთან, როგორც ქართველებთან, ისე სხვა ეროვნებების წარმომადგენლებთან. ამის შესახებ მეტყველებს მრავალრიცხოვანი წერილები, ფოტოები, სხვადასხვა დოკუმენტი, რომელიც მის არქივშია დაცული. მათ შესახებ ცოცხლად და ხატოვნად ყველა თვით ქანი თამარი.

თ. ჩარეჭიშვილი კეთილშობილი ქართული ოჯახის შვილია. საგმარისია ითქვას, რომ მამამისი — იოსებ ჩარეჭიშვილი — განათლებით იურისტი — ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის მეგობარი და ახლოებული იყო, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან. დედა — სოფიო ანდრონიკაშვილი ფრანგულ და გერმანულ ენებს ასწავლიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდგომ, დედბანს მუშაობდა თბილისის კონსერვატორიის სასწავლო ნაწილში.

ბავშვობის წლები თ. ჩარეჭიშვილმა ქუთაისში გაატარა. მელიტონ ბალანჩივაძის რჩევით იგი ქუთაისის ახლადდაარსებულ

სამუსიკო სასწავლებელში მიიბარეს, სადაც მისი მასწავლებელი გახდა შესანიშნავი პიროვნება, ქართული მუსიკალური პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შემდგომში თბილისის კონსერვატორიის პრორექტორი ქ-ნი ლარისა ქუთათელაძე. მასთანვე სწავლობდა ამ წლებში პატარა ანდრია ბალანჩივაძე, მომავალში სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი. ლარსასხსოვრად დარჩა ორივე ნორჩი მუსიკოსისათვის ერთ-ერთი საჩვენებელი საღამო, რომელზედაც მათ მოცარტის კონცერტი რე მეორი შეასრულეს. თ. ჩარეჭიშვილი I ნაწილს უკრავდა, ა. ბალანჩივაძე კი მე-2-3 ნაწილებს. კონცერტს ესრუებოდა დიმიტრი არაყიშვილი, რომელმაც ურჩია მათ მომავალში მუსიკალური ხელოვნების გზით წასულიყვნენ. ასეც მოხდა, ქ-მა თამარმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება (ლ. ქუთათელაძის კლასით), ა. ბალანჩივაძემ კი — საკომპოზიტორო განყოფილება.

კონსერვატორიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ქ-ნი თამარი მივიღებულ იქნა სახელგანთქმულ ლენინგრადის კონსერვატორიაში, სადაც შეცადინებოდა ცნობილი პედაგოგისა და მეთოდისტის პროფ. ს. საეშინსკის ხელმძღვანელობით. ქ-ნ თამარს ბედმა არგუნა ჩვენი ქვეყნის მრავალ შესანიშნავ მუსიკოსთან ურთიერთობა და, როგორც თვითონ ამბობს, ეს მისი სიმძლიდრე და სიამაყის საგანია. მართლაც, ოჯახური მღვდლომარცობის გამო თბილისში ერთი წლით დაბრუნებულს. მას აქ დახვდა დროებით სამუშაოდ ჩამოსული გამოჩენილი პიანისტი და პედაგოგი პროფ. მ. იუდინა. სწორედ მასთან დაიწყო ასპირანტურაში სწავლა თ. ჩარეჭიშვილმა, რალა თქმა უნდა, რომ ეს იყო არაჩვეულებრივად ნაყოფიერი წელი ქ-ნ თამარისათვის. ისევე ლენინგრადი, ისევე პროფ. საეშინსკი. ღვაწლმოსილ პროფესორთან ურთიერთობა მის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა და ძალზე გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა. წიგნში, რომელიც ლენინგრადშია გამოცემული, ქ-ნი თამარი საეშინსკის საუკეთესო მოწაფეთა შორისაა მოხსენიებული.

მაგრამ ცხადია, რომ ლენინგრადში ცხოვრების წლები სხვა ძლიერი და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებითაცაა აღნიშნული. ჭეშმარიტ „მუსიკალურ აკადემიად“ იქცა ქ-ნი თამარისა და მისი მეუღლისათვის ლე-

ნინგრადის სახელგანთქმული ფილარმონია თავისი საკონცერტო ცხოვრების ელვარე კალეიდოსკოპით. ესტრადაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამოჩენილი ევროპული კლასიკოსები: დირიჟორები, მუსიკალური კრიტიკოსები, და მათ შორის — ა. შნაბელი, ა. კორტო, რ. ვახუაშვილი, ბრწყინვალე შესრულებით ეტლრდა კლასიკოს კომპოზიტორთა და მე-20 საუკუნის მუსიკის კორიფეების ნაწარმოებები. დაუფიწყარია ლეგენდარული ი. სოლერტინსკის ფეიერვერკული ფილარმონიული ლეკიკებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. ქ-ნი თამარი სამართლიანად თვლის ლენინგრადში გატარებულ წლებს თავისი ცხოვრების უბედნიერეს ხანად, რომელმაც გააღმწვეტო როლი შეასრულა მისი როგორც მუსიკოსის ფორმირებაში. სხვათა შორის, ლენინგრადის კონსერვატორიაზე არ იფიწყებს თავის აღზრდილს. გასულ წელს თ. ჩარეჭიშვილი მიიწვიეს ლენინგრადში კონსერვატორიის 125-ე წლისთავის საიუბილეო საღამოზე. აქ მან მონაწილეობა მიიღო საიუბილეო ღონისძიებაში.

1938 წ. ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ თ. ჩარეჭიშვილმა დაიწყო მუშაობა ჭერ ახლადდაარსებულ მუსიკალურ ათლეტში, ზოლო ერთი წლის შემდეგ — პარალელურად კონსერვატორიაში პროფ. ი. ასინბერგის (კიდევ ერთი დიდებული მუსიკოსი!) ასისტენტად. სხვათა შორის, გასულ წელს მინსკის კონსერვატორიის ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ქ-ნმა თამარმა წააკითხა შინაარსიანი მოხსენება პროფ. ი. ასინბერგის პედაგოგიური სკოლის შესახებ, რომელიც დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი. 1942 წ. ასინბერგი გარდაიცვალა და თ. ჩარეჭიშვილი თბილისში ევაკუირებული გამოჩენილი პიანისტისა და პედაგოგის პროფ. ს. ფეინბერგის ასისტენტი გახდა. სწორედ მან წარადგინა ახალგაზრდა, მაგრამ მშვენიერი პედაგოგიური სკოლაგავილი მუსიკოსი დოცენტობაზე და მას საკუთარი კლასიკ ჩააბარეს. აქ მოვიტანთ ნაწყვეტს იმ დაბასიანთებიდან, რომელიც მისცა ახალგაზრდა მუსიკოსს ჩვენმა სახელოვანმა კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა: „მე ფფიქრობ, რომ თამარ ჩარეჭიშვილის სახით ქართულ მუსიკალურ კულტურას ჰყავს სოლიდურად მომზადებული, თავისი ხელოვნების ერთგული სპეციალისტი, რომელსაც ყველა პირობა უნდა შე-



ვექმნათ შემდგომი სრულყოფისათვის" (1946 წ. 21 VII).

ცხადია, რომ პედაგოგიური „მწვერვალების“ დაძლევა არც თუ იოლი საქმე იყო და ახალგაზრდა მუსიკოსისგან გამუდმებულ და დაუცხრომელ შრომას მოითხოვდა. უნდა ითქვას, რომ თავისი პედაგოგიური მუშაობის საწყის ეტაპებზედაც ქან თამარს ბედი სწყალობდა. მას მზრუნველ მეურვეობას უწევდნენ ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლები, უხუცესი პროფესორები ანასტასია ვირსალაძე და ანა თულაშვილი, რომლებიც სხვადასხვა დროს საფორტეპიანო კათედრას ედგნენ სათავეში. დიდად დავალებულად თვლის თავს ქანი თამარი გამოჩენილი საბჭოთა პიანისტებისა და პედაგოგებისაგან — პროფ. ა. გოლდენვეიზერისა და პროფ. გ. ნეიპაუზისაგან, რომლებიც 40-50-იან წლებში სისტემატურად ჩამოდიოდნენ კონსულტაციების ჩასატარებლად თბილისში.

ახალგაზრდობაში ქანი თამარი ხშირად გამოდიოდა ესტრადაზე, უკრავდა საფორტეპიანო ლიტერატურის რთულ ნიმუშებს, რის შესახებაც მეტყველებს მისი კლავირაბნდების პროგრამებიც, რომლებიც, ვფიქრობ, არ საჭიროებს კომენტარს: ი. ბახის პრელუდიები და ფუგები და საკლავირო კონცერტი, ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, „აპასიონატა“, 32 ვარიაცია, შოპენის ფანტაზია, შუბერტის „ფანტასტიკური კიუბები“, ლისტის „პეტრარკას სონეტი“, სერიაინის ეტოუდები და ბევრი სხვა. (შემდგომ ხანებში ქანი თამარი ხშირად უკრავდა რადიოთი).

განვლილი წლების მანძილზე თ. ჩარეჭიშვილთან მრავალმა ახალგაზრდა პიანისტმა დაამთავრა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში (მარტო თბილისის კონსერვატორიაში მისი 9 აღზრდილი მუშაობს). მათ შორის არის ქარაქი ბალანჩივაძე, რომელიც, ჯერ კიდევ მე-9 კლასის მოსწავლე, ამიერკავკასიის ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი გახდა, საქართველოს სახ. ფილარმონიის სოლისტი პიანისტი ლალი მიქავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ხარაძე-დიმიტრიადი, მ. ალთუნაშვილი, დამს. პედაგოგი ნ. იმედაშვილი. მისი ერთ-ერთი პირველ მოწაფეთაგანი იყო დირიჟორი და პიანისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. კობახიძე (აწ განსვენებული). ქან

თამარს მოწაფეები ჰყავს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მან, ა. ბაბოქანი, მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი, უკრავდა: ერევნის კონსერვატორიის პროფესორი, ამ უკანასკნელის მიერ თ. ჩარეჭიშვილის მიერ, ამ მძლავნელობით მომზადებული ა. ხანატურიანის საფორტეპიანო კონცერტის შესრულება მოისმინა თვითონ ავტორმა, რომელმაც შემდგომ აჩუქა ქან თამარს ამ კონცერტის ნოტები ასეთი წარწერით: — პატივცემულ თამარ იოსების ასულს, დიდი მადლიერების გრძობით ჩემს კონცერტზე ჩინებული პედაგოგიური მუშაობისათვის. არამ ხანატურიანი. 1944 II/VII. თბილისი.

ა. ხანატურიანიმაც აჩუქა აგრეთვე თავისი „ტოკატის“ ნოტებიც, რომელსაც შემდგომ ხშირად უკრავდა ქანი თამარი.

ძალზე ნაყოფიერი იყო თ. ჩარეჭიშვილის მუშაობა კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის გამგედ. ამ პერიოდში მან განაზოციელა მთელი რიგი საინტერესო შემოქმედებითი და სასწავლო-მეთოდოლოგიური ხასიათის ღონისძიებებისა, იწვევდა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან საკონსულტაციოდ და ღია გაკვეთილების ჩასატარებლად ცნობილ მუსიკოსებს. ქანი თამარის თაოსნობით იმ ხანად თბილისში ფართოდ აღინიშნა ა. გოლდენვეიზერისა და გ. ნეიპაუზის საიუბილეო თარიღები. ჯერ კიდევ 25 წლის წინ მას მიენიჭა პროფესორისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებები.

ქანი თამარი არც ახლა ჰყრის ფარ-ხმალს. მის კლასში — კონსერვატორიისა და მუსიკალურ ათწლეულში დღესაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი სწავლობს. პედაგოგიურ მუშაობას, ჩვეულებისამებრ, იგი მთელი სულითა და გულით ეძლევა. ამავე დროს, ბოლო ხანებში, დიდ დროს უთმობს სხედასახვა სახის მეთოდოლოგი და მემუარული ხასიათის შრომებს, რომლებშიც გვიზიარებს თავის მდიდარ შემოქმედებით და პედაგოგიურ გამოცდილებას. ასე, მაგალითად, გასული წლის გაზაფხულზე შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა გ. ნეიპაუზისა და მისი როლის შესახებ.

ქანი თამარი ჩარეჭიშვილის ცხოვრება მუსიკაში და მუსიკოსათვის გრძელდება.



## საქართველოში

მანია ხვედელიძე

სხვადასხვა გარემოების წყალობით უცხო მხარეში მოხვედრილი ქართველი ადამიანი ცნობიერად თუ არაცნობიერად მუდამ სამშობლოსთან ეძებს რაიმე მსგავსებას. უფოდ დაინტერესდება საერთო შეხების წერტილებითა თუ ოდესმე არსებული კულტურული ურთიერთობებით. მით უმეტეს, თუკი იტალიაში მოხვდა ქართველი, არ შეიძლება ზეენ ორ ქვეყანას შორის ოდითგანვე არსებულმა კულტურულმა ურთიერთობებმა არ დაინტერესოს, არ მოიძიოს და იპოვოს თუნდაც რაიმე დეტალი ან ინფორმაცია, რამაც შეიძლება ნათელი მოფინოს ამ ურთიერთობათა ისტორიას.

ამა წლის ივლის-აგვისტოში მიწვეული გახლდით მილანის კათოლიკური უნივერსიტეტისა და უდინეს უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად ორგანიზებულ კონფერენციის საერთაშორისო ლაბორატორიაში მონაწილეობის მიზანსა. ლაბორატორია, იტალიაში არსებულ იტალიური ენის ტრადიციული კურსებისგან განსხვავებით, მიზნად არ ისახავს მხოლოდ იტალიური ენის სწავლებას. ლაბორატორიის ორგანიზატორთა მიზანია იტალიური კულტურისა და ხელოვნების შესწავლით შექმნან საერთაშორისო კონფერენციის იდეალური პირობები, დაამეგობრონ ერთმანეთთან

მსოფლიოს ახალგაზრდები. ლაბორატორია ჩრდილოეთ იტალიის ლენინთა და სტუმართმოყვარეობით განთქმულ ფრიულის მხარის ქალაქ ჭემონაში ჩატარდა. ზვენი სამუშაო პროგრამა უაღრესად საინტერესო და კარგად ორგანიზებული იყო. მასპინძლებმა არაფერი არ დაიშურეს საიმოსოდ, რომ თანამედროვე იტალიის სულიერ ცხოვრებასა და მის წარსულს გავცნობოდით. ლაბორატორიის პროგრამაში სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებთან ერთად ჩართული იყო იტალიური მუნჯი კინოს საღამოებიც. ქალაქი ჭემონა, სადაც ბინა დაიდო ზვენმა ლაბორატორიამ და მსოფლიოს 27 ქვეყნის ახალგაზრდები ვეცნობოდით იტალიის ხელოვნებისა და მეცნიერების მიღწევებს, გარეგნულად ძნელად თუ გავედა იმ ქალაქს, რომელიც 1979 წელს საშინელმა მიწისძვრამ თითქმის მთლიანად მიწასთან გაასწორა.

ჭემონელების ვაჟაკობისა და შეუდრეკელობის წყალობით ქალაქი პირვანდელი სახით კვლავ აღდგა და განაგრძობს სიცოცხლეს. ეს სწორედ ის მხარეა, მიწისძვრისაგან დაზარალებულ სომხეთს სახლები და ბევრი საქირო რამ რომ გაუჯუჯავნა.

დღევანდელი ქალაქი ჭემონა მტკიცედ არის ინტეგრირებული თანამედროვე იტალიის ცხოვრე-

ბის რიტში. არც კულტურის მხრივ უღებს ტოლს იტალიის დიდ ჯალაქებს. სწორედ ჭეშონაში არსებობს ფრიულის მხარის ყველაზე დიდი იტალიური მუნიციპალიტეტის საკავი. ჭეშონელები სამართლიანად ამყობენ თავიანთი კინოთეკით. ჩვენი საღამოებიც კინოთეკის საინტერესო პროგრამის წყალობით კიდევ უფრო მრავალფეროვანი და სახალისო გახდა. ნაჩვენები იყო ოციანი წლების იტალიური კომედიები, ისეთი ცნობილი კომიკური პერსონაჟებით, როგორცაა კრეტინეტი, პოლიდორე კრი კრი, რობინეტი. გარდა ამისა მართლაცამერიანის „როგორ ვუღალატო ქმარს“ (1925 წ.). ფრანჩესკა ბერტონის „სალამე“ და „კონტესა სარა“. აღსანიშნავია, რომ ეს ბოლო ფირები ერთმა ვენეციელმა კოლექციონერმა აღმოაჩინა ერთ-ერთ მივიწყებულ გარაჟში და რესტავრაციის შემდეგ ისინი კინოთეკაში მოხვედნენ. კინოთეკის დირექტორმა ლივიო იაკობიმ, თავის საქმეში უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, რომელმაც დიდი რუღუნებითა და სიყვარულით შეაგროვა იტალიის სხვადასხვა კუბურში მიმოფანტული და ხშირად მივიწყებული ფირები, იზრუნა მათ აღდგენა-რესტავრაციაზე, რათა მათ კვლავ ეხილათ დღის სინათლე.

ბატონი აკაკი ბაქრაძის წიგნიდან „კინო. თეატრი“ (1989 წ.) ჩემთვის ცნობილი იყო, რომ „საქართველოში კინო ფრანგებმა მოიტანეს. ფრანგი კინომრეწველის პატეს წარმომადგენლები საქართველოში იღებდნენ დოკუმენტურ სურათებს. გადაღებულია დიდძალი მასალა. ყველაფერი ეს პარიზშია. არ ვიცი, ვინ იღებდა ამ სურათებს. მხოლოდ ფრანგები თუ მათ შორის ქართველი კაციც არის? იქნებ პატეს არქივში დაცულ ზღვა მასალაში მიმალულია ქართველი კინემატოგრაფისტე-



ჭეშონი ვიტრუტი იღებს ფილმს „ერთი ლაშ ვენეციაში“ (1933 წ.)

ბის გვარები და ლეაწლი? ამას ყველაფერს შესწავლა და გამოიზეთურება უნდა. საქართველოში მუშაობდნენ იტალიური კინოფირების „ამბროზიოსა“ და „ჩინეზის“ წარმომადგენლებიც (ხაზასმა ჩემია — მ. ხ.). ამ კინოფირების არქივებშიც უამრავი ქართული მასალაა. არც ეს შეუსწავლიათ ქართველ კინოსტორიკოსებს. მათ არც ამ მასალაზე მიუწვდებათ ხელი“ (გვ. 110).

ცხადია, ვისარგებლე ამ იდეალური შემთხვევით და ვთხოვე ბატონ ლივიო იაკობის, მოეწოდებინა რაიმე ინფორმაცია, მასალა იმ იტალიელ კინემატოგრაფისტებზე, რომლებიც საქართველოში იღებდნენ ფილმებს ჩვენი საუკუნის ათიან წლებში. იგი დამეთანხმა, რომ საქართველოში ათიან წლებში იტალიელები მართლაც იღებდნენ ფილმებს. სამწუხაროდ, ეს ფირები ჭეშონას კინო-



ვიტროტი „ევზოტიკურ“ სამოსელში

ნოთეკაში არ აღმოჩნდა. მისი აზრით, ფირები, თუკი საერთოდ გადაურჩა დრო-ჟამს, მილანსა ან მოსკოვში უფრო უნდა ვეძიოთ. სამაგიეროდ მაჩუქა ძალზე საინტერესო, კარგად ილუსტრირებული აღმანახი,\* რომლის დაწვრილებით მოგვითხრობს იტალიელი რევებისორის ჯოვანიში ვიტროტის მოღვაწეობაზე როგორც ევროპაში, ასევე რუსეთსა და საქართველოში. ვინაიდან წიგნის მთლიანად თარგმნა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, საქიროდ ვცანი ფართო საზოგადოებასა და კინოსპეციალისტებს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გვაუცნო. მომიტევეთ კინოკრიტიკოსებმა, ვინაიდან ჩემი, როგორც არასპეციალისტის მოკრძალებული მცდელობა გამორიცხავს რაიმე პრეტენზიას კინომკოდნეობაში. იგი მიზნად ისახავს, გარკვეუ-

\* სტატიაში გამოყენებულია მასალა მუნჯური ფილმებისადმი მიძღვნილ ფესტივალის ამ აღმანახიდან.

ლი ბიძგი მისცეს კინოსპეციალისტებს შემდგომი სერიოზული კვლევისათვის.

იტალიური მუნჯი კინო-ფართო პირველი მსოფლიო ომის ბატისტა ვიტროტი დაიბადა 1882 წელს, ქალაქ ტურინში. „ვიტროტინ“, როგორც მას კინემატოგრაფისტები უწოდებდნენ, ცხოვრობდა ეპოქაში, როცა ფეხს იდიდებდა და უკვე ყოველდღიურობად იქცა ავტომობილი. რადიო, ფოტოგრაფია, ტელეფონი, კინემატოგრაფი. მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა და 18 წლის ჯოვანი ვიტროტი, რომელიც ფერწერით იყო გატაცებული, ფოტოგრაფიამ მიიზიდა. მისი ფოტოგრაფიით გატაცება მალე პროფესიონალიზმში გადაიზარდა და 1903 წელს ტურინის ერთერთ პრესტიჟულ ფოტოკონკურსზე იგი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ვიტროტი მალე ძალზე პოპულარული გახდა და ტურინის ფოტოვიტროტინები მისი ნამუშევრებით იყო აჭრელებული. ჯოვანი ვიტროტის კინემატოგრაფიული ბედი გადაწყვიტა შეხვედრამ კინომრეწველ არტურო ამბროზიოსთან, რომელმაც მას „ცოცხალი სურათების“ დადგმა შესთავაზა. არტურო ამბროზიომ შემოიკრიბა კინემატოგრაფის ერთუზისტები, მათ შორის ვიტროტის ძმა — ჯუზეპე პაოლოც. ამბროზიოს და ვიტროტის კავშირი ნაყოფიერი აღმოჩნდა. იღებდნენ ძირითადად კომიკურ ფილმებს, ისეთი პერსონაჟებით, როგორცაა იტალიაში საკმაოდ ცნობილი მუნჯი კინოს კომიკური გმირები: ფრიკოტი, რომინეტი, ფირული, ჭიკეტი, როდოლფი და სხვები; გარდა ამისა, იღებდნენ დოკუმენტურ ფილმებს, ჭრონიკებს. ჯოვანი ვიტროტი თავის საქმეში უზომოდ შეყვარებული კინემატოგრაფისტი იყო, თავისი დროის დიდი პროფესიონალი, კა-



ცი, რომელსაც სწამდა მეგობრობისა და სოლიდარობის, კინოს ხალხს რომ აკავშირებს. ვიტროტი ერთდროულად ოპერატორიც იყო, რეჟისორიც, რეჟიზიტორიც და მემანქანეც. იღებდა მუნჯ და შემდგომ ხმოვან ფილმებს, შავ-თეთრსა და ფერადს. აინტერესებდა ასევე ვიდეოტექნიკის პერსპექტივებიც. ეს დაუღვგარი ვიტროტი ხშირად მიმართავდა კოლეგებს: „საოცარია პირდაპირ, ათი აპარატია საჭირო, ოცი მკლავი გადასალეზად და კიდევ ფრთები, ფრთები ასაფრენად, ისე არაჩვეულებრივია ირგვლივ ყველაფერი“.

იტალიურ ფილმებს მთელს ევროპასა და ამერიკაში უჩვენებდნენ. ხოლო რაც შეეხება რუსეთს,

იქ პირველად ფრანგები გამოჩნდნენ 1904 წელს. კინომრეწველობის მონოპოლია იქ პატეს ეპურა ხელთ, შემდეგ კი რეჟისორ გომონს. მათ მოსკოვში დააარსეს პატეს ფილიალი. პატე ძირითადად ევროპული ყაიდის და გემოვნების ფილმებს იღებდა. მის რეჟისორებს არ ესმოდათ და არც აინტერესებდათ ქვეყნის ისტორია და ტრადიციები. მათ მიერ გადაღებული ფილმები ძლიერ იყო დაშორებული რუსეთის სინამდვილეს.

იტალიას არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო ამ წამოწყების მიღმა. და აი, ამბროზიომ ჭოვანი ვიტროტი 1909-1911 წლებში რუსეთში მიავლინა. მოსკოვში მან





„კავკასიის ტყვე“ (1911 წ.)

გადაიღო „ბაღინსარაის შადრევანი“ (1909 წ.).

ვიტროტი შალე საქართველოში მიიწვიეს. მან თითქმის მთელი კავკასია მოიარა თავისი კინოაპარატით ხელში და ათობით მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. მან ფირზე აღბეჭდა საქართველოსა და სომხეთის მთიანეთი. ფრანგი კინემატოგრაფისტებისაგან განსხვავებით ვიტროტიმ რუსული კლასიკური ლიტერატურის ეკრა-

ნიზაციას მიმართა. კავკასიაში გადაიღო მან „დემონი“ ლერმონტოვის მიხედვით, ასევე პუშკინის „კავკასიის ტყვე“, ავერკევის „კაშირის ტყვე“, ანდრეევის „ანფისა“, იუენინის „ლალატი“ და სხვა. კინოსპეციალისტების აზრით, ამ ფილმებიდან მხოლოდ რამდენიმე ფოტოა შემორჩენილი („კინო“, საბჭოთა და რუსული კინოს ისტორია, 1966 წ.).

თბილისში ვიტროტის დაუარ-

„ლალატი“ (1911 წ.)



სებია კინემატოგრაფილი სტუ-  
დია, რათა შესაძლებელი ყოფი-  
ლიყო გადაეღოთ ფილმები ლერ-  
მონტოვის, პუშკინისა და იუგენის  
ნაწარმოებების მიხედვით. კინო-  
გადაღებები კავკასიაში არც თუ  
ისე უხიფათო იყო. არსებობდა  
სხვადასხვა სახის ხელისშემშლე-  
ლი პირობები, მაგრამ ვიტროტის  
ერთიანი, მეგობრული კინოგადამ-  
ღები ჯგუფი არავითარ სიძნელეს  
არ უფრთხობდა. კავკასიის გარდა  
ამბროზიომ ვიტროტი მიავლინა  
ავსტრიაში, შვეიცარიაში, ბულ-  
გარეთსა და ლიბიაში. ვიტროტი  
მუდამ მზადყოფნაშია და თავისი  
აპარატით ხელში, როგორც ერთ-  
გული ჭარისკაცი, იღებს იტალია-  
თურქეთის ომს, მიწისძვრებსა და  
მშვიდობიან ცხოვრებას. ერთი  
სიტყვით, ყველაფერი.

1921 წლიდან იტალიური კინო  
კრიზისი განიცდის. არ შევუდგე-  
ბით ყველა იმ მოტივის განხილ-  
ვას, რომლებმაც იტალიური კინო  
ამ კრიზისამდე მიიყვანა. ერთ-  
ერთ მიზეზად მოხსენებულია 1917  
წლის რევოლუცია, რის გამოც  
რუსეთის კინობაზარი იტალიის-  
თვის დაიხურა.

1921 წელს ვიტროტი თავის  
გადაშლვებ ჯგუფთან ერთად ბერ-  
ლინში ჩადის. ოციან წლებში ბე-  
რლინში კინოს ნამდვილი ბუმი  
იყო. ბერლინური პერიოდიც ფრი-  
ად ნაყოფიერი აღმოჩნდა ვიტრო-  
ტის შემოქმედებაში. არ შევუდ-  
გები ვიტროტის მიერ ბერლინში  
გადაღებული ყველა ფილმის ჩა-  
მოთვლას, უნდა აღინიშნოს ის,  
რომ გერმანია-იტალიის ერთობ-  
ლივ ნაწარმოებში — დოკუმენ-  
ტურ ფილმში „რაფაელ სანტის  
მადონა“ მხატვრის მოდელად პირ-  
ველად მოგვევლინა ეკრანზე  
სრულიად ახალგაზრდა ჯინა ლო-  
ლობრიჯიდა.

ჯოვანი ვიტროტიმ ხანგრძლი-  
ვი, საინტერესო ცხოვრება განე-  
ლო. 84 წლისა ის კიდევ ახალ-

გაზრდული და ენერგიით აღსავ-  
სე იყო. ცოცხალი, დინამიკური,  
მუდამ ანთებული, მუდამ მოძვი-  
ობაში მყოფი. მას ყველაფერი  
აინტერესებდა. არასრულს ვერ-  
ნია გამდიდრებაზე, როდესაც იგი  
გარდაიცვალა 1966 წელს, მისი  
კაპიტალი ზუთას ლირას შეადგენ-  
და. გარდაცვალებამდე მან თავის  
მეგობრებს გაანდო, რომ ნოს-  
ტალგიას განიცდიდა რუსეთისა და  
კავკასიის მიმართ, იმ ფილმების  
მიმართ, რომლებიც მან იქ გადა-  
იღო, ვლადიკავკაზში, თბილისსა  
თუ ყაზბეგის მთაზე 1910-1911  
წლებში. კატალოგის მიხედვით  
ვიტროტის საქართველოში შემ-  
დეგი დოკუმენტური ფილმები  
გადაუღია:

- ქალაქი ბათუმი — 250 მ.
- თბილისიდან მღვთამდე —  
165 მ.
- ექსკურსია ყაზბეგის მთაზე  
— 172 მ.
- კავკასიის ადამ-წესები და  
კოსტიუმები — 142 მ.
- სამხედრო პარადი თბილის-  
ში — 116 მ.

თბილისი, კავკასიის დედაქალა-  
ქი — 142 მ. და ა. შ.

ვინ იცის, იქნებ ეს უნიკალუ-  
რი ფირები კიდევაც გადაურჩა  
დრო-ჟამსა და ხიფათს. იქნებ  
კონსტანტინე გამსახურდია 1821 წელს წერდა: „დაე ეველაშ იყოდეს, რომ არ არსებობს ქვეყანაზე ძალა, რომელსაც შეუძლოს გათვითცნობიერებულ ერში და-მოუკიდებელი არსებობის სტრუქტურის მოკვლა“.<sup>27</sup>

ამ ადვის გამოვლენა იყო სენაზე დავით ერის-თავის „სამშობლოც“. ამ დიდი ღვაწლისათვის მთაწ-მინდის მანდილოსნი დავით ერისთავის ძეგლს აკყო წერეთლის სიტყვები ამუშვენებს.

„ძღვნი და მკურთხედ ხმარადისოდ,  
სამქვეყნიო და სამსოფლო,  
ღირსმა ერის ძემ თვით ერისთავმა,  
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.



1. ვაზ. „ღროება“, 1881, № 152.
2. კ. მესხი, 1953, 38.
3. „ღროება“, 1881, № 236.
4. ვაზ. „ღროება“, 1881, № 152.
5. იქვე.
6. ს. გერსამია, „დავით ერისთავი და მისი პიესა „სამ-შობლო“, გვ. VIII. იმ. წიგნი დ. ერისთავი „სამშობ-ლო“, წინასიტყვიობა, 1947 წ.
7. „ღროება“, 1881, № 9.
8. იქვე.
9. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, 106.
10. „ივერია“, 1883, № 1.
11. „ღროება“, 1882 № 25.
12. ილია ჭავჭავაძე, თეატრის შესახებ, 1955, 128.
13. იქვე.
14. ი. ზურაბიშვილი, თბილ პორტრეტი, 1949, გვ. 123.
15. ა. ბანდიანიშვილი ეროვნული საკითხი საქართვე-ლოში 1801—1921, 80.
16. ვ. გოზალიშვილი, 1832 წლის შუიქმუღუბა, 1, 90.
17. ა. მუნარაგია, დ. ვ. ერისთავის დრამატული ნა-წერები, 36.
18. „მრომა“, 1881, № 12.
19. ა. წერეთელი, თეატრის შესახებ, 1955, 88.
20. ი. ზურაბიშვილი, თბილ პორტრეტი, 1949, 125.
21. იქვე.
22. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. V, 1987.
23. „ღროება“, 1882, № 45.
24. „ღროება“, 1882, № 67.
25. „ივერია“, 1882, № 11.
26. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1985, 157.
27. ვაზ. „სოციალისტი ფედერალისტი“, 1921, № 53.



## პირობი გვახარია

ვაგრძელებთ 1989 წლის № 12-ში კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის წერილით დაწყებულ საუბარს კინომსახიობის პროფესიაზე.

ამერიკელი რეჟისორის ალან პარკერის ფილმში „წარმატება“, რომელიც ნიუ-იორკის თეატრალური სასწავლებლის სტუდენტთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ძალზე საინტერესოა ნაჩვენები სამსახიობო ხელოვნების სწავლების პროცესი. აქ ახალგაზრდა მსახიობებისგან მოითხოვენ მხოლოდ ერთს — საკუთარი პიროვნების მაქსიმალურ გახსნას. სტუდენტი ადგილს იკავებს სცენაზე, თანაკურსელები და პედაგოგები კი უსმენენ მის მონოლოგს საკუთარ თავზე, მის აღსარებას. ეს თამაში თავისებურ ფსიქოანალიზს ემსგავსება. მსახიობი „ხმამალა“ მოგზაურობს საკუთარ თავში და თანაც ისე, რომ ამ მოგზაურობაში სხვასაც რთავს — ლამაზობს თავის პირად ცხოვრებაზე, იხსენებს თავისი ბიოგრაფიის კრიტიკულ სიტუაციებს. მოკლედ რომ ვთქვათ, მსახიობი არაფერს სხვას არ თამაშობს, არ ბაძავს ადულებულ ჩაიდანს, გაცოფებულ ძაღლსა თუ გადაიმწვარ ნათურას, ის საკუთარ თავს განასახიერებს.

მაგრამ ამ პროცესს სხვა მიზანიც აქვს. იგი არ გულისხმობს მხოლოდ საკუთარი თავის განსახიერებას. პირიქით, იგი გვაგონებს ზოგიერთი თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსის ცნობილ მეთოდს, რომელსაც, თავის მხრივ, უძველეს მისტიკურ სკოლებში ჩაეყარა საფუძველი: რაც უფრო მეტად უღრმავდება ადამიანი თავის თავს, თავის ცხოვრებას, იხსენებს თავისი ბიოგრაფიის დევიწუებულ სცენებს, ეპიზოდებს, რაც უფრო მეტად სწვდება მისი ცნობიერება განვლილი ცხოვრების „პირველად“ სახეებს, მით უფრო მეტად სცილდება იგი საკუთარ თავს. ფაქტიურად ადა-

მიანი „იხსენებს“ იმას, რაც რეალურ ცხოვრებაში საერთოდ არ შემთხვევია (თუმცაღა ჰგონია, რომ ეს ამბები მართლაც გადახდა ცხოვრებაში). ასე, თანდათან იქცევა „მე“ — „არა მედ“, ან უფრო სწორად, როგორც იტყვიან ხოლმე, ადამიანის ცნობიერება გადადის თავის „წინა ცხოვრებაში“, ადრევეს კონკრეტული პიროვნების ცხოვრების დროისა და სივრცის საზღვრებს — „მეს“ საზღვრებს და „სხვა“ ხდება.\*

თავის დროზე, პავლე ფლორენსკი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში «Стол и Утверждение Истинны» ქრისტიანობის არსს სწორედ „მესიან“ განთავისუფლების ამ პროცესს ხედავდა. მისი აზრით, კეშმარიტების მიკვლევა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნული „მე“ იხსნება სხვა „მესათვის“, ტოვებს თავის თავს, გადადის სხვაში, თავისუფლდება „თავისთავადობისგან“. ამ პროცესში ადამიანი წვდება თავის კეშმარიტ „მეს“ — სხვაში, წვდება იმ საერთოს, რაც ადამიანებს, სამყაროს აერთიანებს, ე. ი. ფაქტიურად სწორედ ასეთი გახსნის პროცესში მიიგნება თავის ნამდვილ პიროვნულობას.

\* ეს პროცესი შესანიშნავად გამოიხატა იღნე რენეს ფილმში „ზირისიზა — ჩემი სიყვარული“, რომლის მთავარი გმირი — ადამიანის სლონაა — შესანიშნავი იარაღი კეშმარიტების შესაცნობად. რაც უფრო მეტად „მოგზაურობენ“ ფილმის გმირები თავიანთ სლონაში, მით უფრო მეტად ურთობდებიან უსაზღვრო დროსა და სივრცეს. თითოეული მათგანი თავისი ერის, ისტორიის თავისებურა სიმბოლო ხდება. რი ადამიანის, იაპონელი მამაკაცისა და ფრანგი ქალის ურთიერთობა, საერთოდ, დასაუფლისა და აღმოსავლეთის, როგორც თავისებურა ანტიპოპების ერთიანობა-დაპირისპირების სიმბოლოდ იქცევა.

ასეა აღარ პარკების ფილმშიც. „წარმატება“ თითქოს გვახსენებს, რომ ადამიანის მრავალმხრივი ბუნება თავის თავში აერთიანებს განსხვავებული ხასიათის როლებს, რომელთაც ის განუწყვეტლივ იღებს განსხვავებულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, აერთიანებს განსხვავებულ „ცხოვრებებს“. ხელოვნება კი თვითნაღრმადებსას, საკუთარ თავში ამ როლების მიჯნების „თამაშს“ ემსახურება. ამიტომაც განსხვავებულ როლში „შესვლის“, განსხვავებული ბედის განსახიერების პროცესში, მსახიობს, ისე როგორც არაფის, ეძლევა საშუალება თავიდან აიცილოს საკუთარი ხასიათის ზედაპირული, „თავისთავადი“, გარეგნული ფორმები (მდაბალი „მე“) და მიავნოს ჭეშმარიტ „მეს“ (რომელიც — და ეს დიალექტიკაა — ფაქტიურად „არამეს“ ტოლფასია), განათვისუფლდეს დროსა და სივრცეში შეზღუდვისაგან, და აქედან გამომდინარე, შეიცნოს თავისი თავი.

სწორედ ეს ჭეშმარიტი „მე“ ადამიანს სხვასაც ამსგავსებს და ამავე დროს მის უნიკალურობასაც გამოხატავს (ამ შემთხვევაში მსახიობის უნიკალურობას) — მსახიობი თითქოს „წვდება“ ერთგვარ შარავანდედს, თავის პიროვნულ აფრას, როგორც მარადიულს, რომელიც მთელ მის ცხოვრებას თავის „წინა“ და „მომავალ“ ცხოვრებებთან აერთიანებს.

კინემატოგრაფს, რომელსაც აქვს თავისი, ყველა სხვა ხელოვნებებისგან განსხვავებული უნარი მსხვილი ხედით აჩვენოს ადამიანის სახე და, რაც მთავარია, მოძრაობა ამ სახეზე, შესაძლებლობა აქვს აღბეჭდოს სწორედ ეს უნიკალურობა ადამიანის, ყერძოდ მსახიობის სახეზე — გამოხატოს მისი ეს შარავანდედი, მისი აურა... — და რაც უფრო მეტად „პიროვნულია“ მსახიობი, რაც უფრო მეტადაა იგი განათვისუფლებული თავისი „მდაბალი“ მესგან“, რაც უფრო მეტად „ცხოვრობს“ ჭეშმარიტებაში, მით უფრო ჩანს და მით უფრო ზემოქმედებს მავურებელზე მისი ეს შარავანდედი.

70-იან წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1968 წლის ახალგაზრდულმა მოძრაობებმა მარცხი განიცადა, მას შემდეგ რაც საბოლოოდ გაბდა ნათელი ყველანაირი რევოლუციური ბრძოლის უაზრობა, კიდევ უფრო გამძაფრდა სულიერი კრიზისი, პიროვნების „გასწავლების“ ტენდენცია, რომელმაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში პიროვნების უნიკალურო-

ბის, მისი განუმეორებლობის დაკარგვის საშიშროება შექმნა. ამან ბუნებრივად გამოიწვია ჭეშმარიტ ხელოვანთა შემოფოთება, დაბადა ერთგვარი ოპოზიცია, ენთუზიუზმური ტიტენდენცია“ ხელოვნებაში, მისი მხარესთანაშეხვედროვე კინოში. ამიტომაც 70-80-იანი წლების კინოგმირის ბუნებაში სულ უფრო თვალსაჩინოა ის თვისებები, რომლითაც იგი დაუპირისპირდება მიღებულ ნორმებსა და კანონებს (იმ ნორმებს, რომლებიც ზღუდავენ, ბორკავენ მის პიროვნულ თავისუფლებას). შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდშია განსაკუთრებით თვალსაჩინო ამერიკელი კინოს ტრადიციების კრიზისი — იმ ტრადიციებისა, რომელთა თანახმად პიროვნებას არ ჰქონდა უფლება გადაეღობა მიღებული მორალის საზღვრები, უკვე ტიპურ ქვეყნული ზნეობრივი ნორმები. ამ ტრადიციების მიმართ პროტესტი შესანიშნავად არის გამოხატული ვუდი ალენის ფილმში „ზელიგი“, რომლის გმირს დაკარგული აქვს თავისი სახე და ემსგავსება ყველას, ვისთანაც შედის კონტაქტში. რეჟისორი არ მიაღწევს თავის შემოფოთებას პიროვნების განსხვავების თანამედროვე ტენდენციის გამო და ფაქტიურად იღებს ერთ-ერთ ბირველ ფილმს თანამედროვე ამერიკულ კინოში, რომელშიც პიროვნება დაყენებულია უფრო მაღლა, ვიდრე მისი თავისუფლების შემზღუდველი ნორმები და ტრადიციები.\*

მსოფლიო კინოში მიმდინარე ეს ტენდენცია ქართულ კინოში ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო — გიორგი შენგელაიას „ალავრდობით“. მოგვიანებით კი უკვე ჩამოყალიბდა კიდევ „შერეკულების“ სახე—სახე „ილიოტებისა“, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ადამიანის შესახებ მიღებულ და დაკანონებულ ფორმულებს. 60-70-იან წლებში ყველაფერი ეს ჯერ კიდევ რომანტიკულ-გროტესკულ პლანში იყო გადაწყვეტილი. 70-იანი წლების მიწურულს კი — პიროვნების უნიკალურობის განმტკიცების ტენდენციამ რეალისტური, ანალიტიკური ფორმა მიიღო.

\* თვით ისეთ ველურბრველი ფილმშიც კი, როგორცია ულიამ უაილარის „რომელიც არდავადები“ ამერიკული კინოსთვის ძალზე სერიოზული თემა წარმოინდგება — ადამიანი, რაოდენ მძაფრია არ უნდა იყოს მასში თავისუფლების მოთხოვნის, უპირველესად უნდა გრძობდეს თავის მოვალეობას სამშობლოს, თვების ტრადიციების წინაშე და არ უნდა დათმოს იგი „პიროვნულობის“ სასარგებლოდ.

ამ პროცესებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში შეცვალა მსახიობისადმი დამოკიდებულება. თანამედროვე მსოფლიო კინემატოგრაფში უკვე 70-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო ეწეობდა ავტორიტეტი ვარსკვლავებისა, რომლებიც ერთნაირად „თანაბრდნენ“. სულ უფრო თვალსაჩინო გახდა მაყურებლის სურვილი შეხედეს ეკრანზე უპირველეს ყოვლისა განუმეორებელ პიროვნებას. ასე მომზავდნენ (სწორედ რომ მომზავდნენ) კინოში პოპულარული მსახიობები, რომლებმაც მერილინ მონროსა და ბრიჯიტ ბარდოსგან განსხვავებით (მათი „იმიჯი“ თავის დროზე „კოლექტიური გემოვნების“ კონიუნქტურამ ჩამოაყალიბა) სახელი მოიხვეჭეს, ერთი მხრივ, ეკრანზე ხორცშესხული მრავალფეროვანი გმირებით და, მეორე მხრივ, თავიანთი ინდივიდუალურობით, პიროვნულობით, ე. ი. უნაირთ შეიცვალონ ნიღაბი და, ამევე დროს, პიროვნული განუმეორებლობა, უნიკალურობა არ დაკარგონ. დღეს სწორედ ისინი არიან პოპულარულნი: დასტინ ჰოფმანი, მერილი სტრიპი, ევარა დუპარდიე, კატრინ დენევი...

50-იანი წლების მიწურულს ფრანგული „ახალი ტალღის“ რეჟისორებმა კინოხელოვნებაში ტიპაჟის ინსტიტუტი ჩამოაყალიბეს, რათა როგორც მოეხდინათ ადამიანის პიროვნულობის რეაბილიტაცია. ესეც პოლივეფიწინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი იყო და ანკეთარებდა იმ ტენდენციას, რომელიც ნეორეალიზტებმა დაიწყეს. ფრანგი რეჟისორები თავიანთ ფილმებში მთავარი როლების შემსრულებლებს განზრახ ქუჩაში ეძებდნენ. მაგრამ, როგორც ვიცი, ზოგიერთი „ტიპაჟი“, როგორც, მაგალითად, ბრიჯიტ ბარდო ან ეან-პოლ ბელმონდო, მალე პოპულარულ მსახიობად იქცა.

60-იანი წლების ქართულ კინოში ტიპაჟით დაინტერესება აბსოლუტურად გამართლებული იყო — ეს იყო პირდაპირი რეაქცია 40-50-იანი წლების კინოზე, რომელიც ზოგიერთი გამოჩენილისი გარდა, ფაქტიურად მთლიანად თეატრალური სამსახიობო სკოლის ტრადიციებზე იგებოდა. ტიპაჟი არ თამაშობდა, იგი ცხოვრობდა ეკრანზე და რაც მთავარია — თავის თავს განსახიერებდა. ეს კი ძალზე სკირდებოდა 60-იანი წლების კინოს, რომელსაც სინამდვილესთან მაქსიმალური დაახლოება ჰქონდა მიზნად დასახული. მაგრამ უკვე 70-იანი წლებში ტიპაჟზე პედალირება მოა-

ველებულ ხერხად იქცა. ტიპაჟს მხოლოდ თავისი მდამალი, გარეგნული „მეს“ გამოხატვით შეეძლო, მაგრამ იმისათვის, რომ ტიპაჟი-პიროვნება გამბდარიყო, იგი ფაქტურად „მესს“ უნდა შეერთებოდა. შექმნილი მსახიობი ლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი მსახიობის ქცევაში მაყურებლის თავისი თავი დაენახა და მომხდარიყო ის, რაც ესოდენ აუცილებელია ნებისმიერი ხელოვნებისათვის და განსაკუთრებით კინოსათვის, — მაყურებლის იდენტიფიკაცია გმირთან, ეკრანული სივრცის შექრა მაყურებლის სივრცეში... არადა ქართულ კინოს ჰქონდა ამის ტრადიციები: სესილია თაყაიშვილის ბებია, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა მთლიანად შეინარჩუნა თავისი ინდივიდუალობა, ქართველი ბებების, საერთოდ ბებიის სახედ იქცა მაყურებლისათვის. სერგო ზაქარიაძის ჭარისკაცის მამა — საერთოდ მამად (რეზო ჩხეიძე ყვებოდა, თუ როგორ მიიღეს ვიეტნამელებმა, ფრანგებმა და სხვებმა ეს პერსონაჟი, — თითოეული მათგანისთვის სერგო ზაქარიაძე ვიეტნამელ, ფრანგ მამად გადაიქცა...). მაგრამ ეს ტრადიციები არ ემართა — სესილია თაყაიშვილი და სერგო ზაქარიაძეც კინოში თეატრალური ოსტატობის სკოლა და ბრწყინვალედ თამაშობდნენ ცხოვრებას ეკრანზე.

ამ თვალსაზრისით 70-იანი წლები ერთგვარი გარდამავალი პერიოდი ქართული კინოსათვის. ტიპაჟის ინსტიტუტი თეატრალურა მსახიობის ტრადიციებთან ერთად მოქმედებს. სულ უფრო ხშირია ფილმი-კენტაერები, რომლებშიც თეატრალურ მსახიობებთან ერთად მონაწილეობენ ქუჩიდან აყვანილი ადამიანები. ასეთ სურათებში ერთი ჩრდილავს მეორეს და მხატვრული მთლიანობა ირღვევა. ბოლო დროის ფილმებიდან ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ქ. დოლიძის „სანამ წვიმა გადვილიდეს“, რომელშიც სრული ქაოსია მსახიობთა შერჩევის თვალსაზრისით — მთავარი როლებს ანსახიერებენ თენგიზ არჩვაძე, მელოა ჭაფარიძე და არაპროფესიონალი, „ტიპაჟი“ — ირაკლი ჭანტურია... განსაკუთრებით არ „უხდებიან“ ერთმანეთს მედეა ჭაფარიძე (რომელიც ვერ იშორებს თეატრალურ პირობითობას, მით უმეტეს, რომ მას ეს როლი უკვე ჰქონდა ნათამაშები, და საკმაოდ წარმატებითაც, მარჯანიშვილელთა სპექტაკლში — „ძველი ვალსი“) და ირაკლი ჭანტურია, რომელიც უძლიოებს არაფერი ითამაშოს. ასეთი

უნებლიე დაპირისპირება ბადებს სიყალბეს, მხატვრულ სისტემის რღვევას. გარდა ამისა გვაფიქრებს, რომ არც თეატრის მსახიობი (თუ, რა თქმა უნდა, ის ვერ იცის ეკრანზე ექსტის, მიმიკის, ხმის ერთგვარ ხაზგასმულობას, თეატრალური პირობითობის ხერხებს, რომლებიც განსაკუთრებით ყალბად გამოიყურება მსხვილ ხედებზე) და არც მარტო ტიპაჟი არ შეიძლება პასუხობდეს თანამედროვე კინომაყურებლის ესოდენ გამძაფრებულ მოთხოვნებს პიროვნებაზე. ამას განსაკუთრებით 70-იანი წლების ქართული კინო გვაფიქრებინებს, რომელშიც ზოგჯერ აშკარად შეიმჩნევა რომანტიკულ-პოეტური ინტონაციებით სპეკულაცია. ასეთ ფილმებში (შემიძლია დავასახელო ზოგიერთი მათგანი: „რაქა — ჩემი სიყვარული“, „ბატონი ავანტიურისტები“, „ჩარი-რამა“ და, სამწუხაროდ, მრავალი, მრავალი სხვა) ტიპაჟი და პროფესიონალი მსახიობიც მხოლოდ ზედაპირს გამოხატავს, რადგან დრამატურგიულად ვეღარ იძენს სიღრმეს ეკრანზე. მხოლოდ ხანდახან, როცა არამოფესიონალი ჰუმორისტ პროფესიონალურ ნიჟს აქვდავენებს, როგორც, მაგალითად, ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმში „გზა შინისაკენ“, მაშინ ტიპაჟი გამართლებული ხდება. თუმცაღა ეს უკვე ტიპაჟი არ არის, ეს კინომსახიობია. რეხვიაშვილი ამ მხრივ თითქოს უბრუნდება საბჭოთა კინოს კლასიკისს ვსევლოდ პულდკინის ძველ პიზნიკს — გადასალეხ მოედანზე კინომსახიობის აღზრდის პიზნიკს, როცა არამოფესიონალი-ტიპაჟი ეუფლება არა საერთოდ მსახიობის ხელოვნებას, არამედ ოპერის ბმინის განსახიერების ხელოვნებას. ამიტომაც თავისუფალია შტამპებისაგან, პირობითობისაგან, ინარჩუნებს თავისი სხვის გამოხატველობას ეკრანზე (რაც რეხვიაშვილისთვის, რომლის კინემატოგრაფი თეატრიდან კი არ მოდის, არამედ პლასტიკური ხელოვნებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია). გარდა ამისა, რეხვიაშვილის კინემატოგრაფი კიდევ ერთ ტენდენციას უყრის საფუძველს თანამედროვე ქართულ კინოში მსახიობის ხელოვნების თვალსაზრისით: იმის გამო, რომ რეხვიაშვილის ფილმებს მკაფიოდ გამოვლენილი ნიშან-სიმბოლური ხასიათი აქვს და მათ მხატვრულ სისტემაში თითოეული საგანი თუ დეტალი გარკვეულ ინფორმაციას, აზრს თუ კოდს ატარებს, მსახიობსაც ასეთივე ტიპაჟურ-ნიშნობრივი ხასიათი ენიჭება. მსახიო-

ბისადმი მსგავსი მიდგომა პიერ პაოლო პაზოლინის, სერგო ფარაჯანოვის სურათებში (ფილმში „ამბავი სურამის ციხისა“ ფარაჯანოვმა თვით ვერიკო ანჯაფარაძეც უკანაშენადა, საერთო დეკორატიულობის, ხელოვნების პლასტიკის ერთ-ერთ ელემენტად აქცია და „არ მისცა უფლება“ ნიშან-სიმბოლოდან — გმირად ქცეულიყო). ამკირებს თუ არა ეს მსახიობის როლს კინოში? ცხადია, არა... ზოგჯერ პირიქით, ზრდის კიდევ, რადგანაც შედეგს განსაზღვრავს დიალოგი რეჟისორსა და მსახიობს შორის, განსაზღვრავს, თუ რამდენად დამაყრებლად მოხდა მათ კავშირი, რამდენად ზუსტად მოერგო მათ „შინაგანი წერტილები“ ერთმანეთს და, რაც მთავარია, რამდენად გრძნობს მსახიობი რეჟისორის შინაგან რიტმს, მის სამყაროს, გემოვნებას, ხედვას... ხოხლოვა თავის დროზე, კულეშოვთან მხოლოდ „მენატურის“ როლს ასრულებდა. მაგრამ ის უდიდესი კინომსახიობია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს! საქმე ისაა, რომ ხოხლოვა „მენატურე“ კი არ იყო, არამედ თავის თავს, თავის პიროვნებას, თავის განუმეორებელ, უნიკალურ პიროვნებას თამაშობდა ეკრანზე — ამან განაპირობა ასეთი ბუნებრიობა მის თამაშში.

ჩვენს რეჟისორებს ხშირად ავიწყდებათ მსახიობის, როგორც პიროვნების და როგორც ნიშნის ერთდროულად გამოყენების ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა. ავიწყდებათ, რომ მსახიობის შერჩევა ამა თუ იმ როლის შესასრულებლად, ეს გარკვეული პიროვნების ბედის ჩართვაა ფილმში, მისი განუმეორებელი აურის ჩართვა... ავიწყდებათ და ამიტომ არ შეუძლიათ ამ აურის წარმოჩენა ეკრანზე. გაიხსენოთ თუნდაც ლილა აბაშიძე. ცხადია, გმირთა ის გალერეა, რომელსაც მსახიობი 50-იან წლებში ანსახიერებდა, თანამედროვე ეკრანს არ მოუხდება და შეიძლება ირონიის საგანი გახდეს. მაგრამ ლილა აბაშიძის გმირებმა დაიშვიდრეს ადგილი ქართული კინოს ისტორიაში. მსახიობს თავისი ბედი, თავისი აურა აქვს და იგი ჭერ კიდევ ცოცხლობს ჭყურებლის მახსოვრობაში, ქმნის უამრავ ასოციაციას — გვახსენებს გარდასულ ეპოქას. რა საინტერესოდ შეიძლება მისი გამოყენება კინოში, რამდენ რაჟერსში შეიძლება მისი წარმოჩენა ახლებურად, თანამედროვეობასთან კონტაქტში. სამწუხაროდ, ის ამოცანა, რომელიც ლანა ლოლობერიძემ დაისაბა ფილმში „ორომტრიალი“, ბო-

ლომდე ვერ განხორციელდა და ამ რატომ: რეჟისორი ზედმეტად სწორხაზოვნად მიუღმა ლეილა აბაშიძის „იმეჯს“ — მსახიობმა ეკარანზე თავისი თავი განასახიერა და არა ის წარმოდგენა, რომელიც ხალხს ჰქონდა მისი გმირების და მის შესახებ. ამაში ბრალი მიუძღვის უპირველეს ყოვლისა დრამატურგსა და რეჟისორს. ლეილა აბაშიძე შეიძლება გადასაზრებელი ეპოქის სიმბოლო-ნიშანი, ისტორია. ამისათვის კი საჭირო იყო ინდივიდუალურობის შერწყმა „არამესთან“, კონკრეტულისა და ზოგადის სინთეზი. ყველაფერი კი კონკრეტულამდე დავიდა — გულის ამარწყებელი ისტორიამდე ქალისა, რომელიც ოდესღაც კინოვარსკვლავი იყო, ახლა კი არავინ იღებს კინოში. და რადგანაც ადამიანის მართლაც საკმაოდ დრამატული ბედი ეკარანზე ვერ განზოგადდა, ფილმი, ჩემი აზრით, გარკვეული თვალსაზრისით შეურაცხმყოფელიც გახდა მსახიობისათვის. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სურათის ავტორებმა „შეიკვიტეს“ ადამიანის ბედში, გარეთ, საშეკარაოზე გამოიტანეს იგი მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მაყურებელს... შეტოდებოდა მსახიობი. უნებურად მახსენდება ბილი უაილდერის შესანიშნავი ფილმი „სანსეტ ბულვარი“, რომელშიც გლორია სვენსონი, სწორედ იმიტომ, რომ ბრწყინვალედ უკავშირებს ერთმანეთს „მეს“ და „არამეს“, მხოლოდ და მხოლოდ თავის ბედზე კი არ აფიქრებს მაყურებელს, არამედ გაცილებით უფრო ღრმა პრობლემას სვამს — ფილმი გვიამბობს ეპოქის სულიერ კრიზისზე, იმაზე, თუ რამდენი ტრაგედია შეიძლება მოიტანოს ყველანაირმა რევოლუციამ, ამ შემთხვევაში რევოლუციამ კინოში, რომელიც ხმის შემოსვლასთან ერთად მოხდა და უკუაგლო მუნჯი კინოს სამსახიობო კულტურა — გამაფრებელი პლასტიკურობა, რომელსაც გლორია სვენსონი გენიალურად ფლობდა. ასე გადაიქცა გლორია სვენსონი — ეპოქის სიმბოლოდ, ასე გამოხატა მან დროის, იდეალების, ზნეობრივი ფასეულობების წარმავლობის ტრაგედია.

ბერნარდო ბერტოლუჩიმ თავის ფილმში „უკანასკნელი ტანგო პარიზში“ ერთ-ერთ პატარა როლზე მიიწვია ნეორეალიზმის ვარსკვლავი — მასიმო ჭიროტი, რომელიც 70-იან წლებში სრულიად დავიწყებული იყო კინოში. მაგრამ არა იმიტომ, რომ მაყურებელს ამ მსახიობის ბედზე აზრებოდა გული, არამედ მიიწვია, როგორც სიმბოლო გარკვეული ეპო-

ქისა, წარსული იდეალებისა, რომელიც ახალ იდეალებს — ფილმის გმირების იდეალებს დაუპირისპირდა და გამამაფრა ფილმის კონტექსტი. იგივე შეიძლება ითქვას ვიქტორ ხსენებული გმირზეც — მარია შნაიდერზე, რომელიც კინოში, რომელსაც ფრანგული „ახალი ტალღის“ სიმბოლო — ეან-პიერ ლეო ანსახიერებს. მისი გმირი — ახალგაზრდა კინორეჟისორი კაპერით დარბის და ცდილობს აღბეჭდოს „ცხოვრების ნაყადი“ მაშინაც კი, როცა სეროზულ პრობლემას ხედება ცხოვრებაში. ეან-პიერ ლეო აქაც ნიშანია, რომელიც გამახატავს ავტორის — ბერნარდო ბერტოლუჩის ირონიას „ახალი ტალღის“ ესთეტიკისა და ფილოსოფიის მიმართ (რადა თქმა უნდა, იმ ეპოქის მიმართაც, როცა „ახალი ტალღა“ შეიქმნა). ამ ირონიამ არის ტკივილიც, შემფოთება: ვერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ ადამიანებს რადიციის სწამდათ, უყვარდათ და თანაუგრძობდნენ ფრანსუა ტრიუფოს ფილმების ამ გულუბრყვილო, ინფანტილურ გმირს ეან-პიერ ლეოს შესრულებით. დღეს კი ამ გულუბრყვილობისა აღარავის სწამს — იცვლება მორალის, სიყვარულის, სექსის გაგება. ადამიანი ის აღარაა, რაც იყო. თუმცა, იმ ეპოქის ხსოვნა ვერ კიდევ მოქმედებს მასში.

ჩვენს კინოსაც ახსოვს მსახიობისადმი ასეთი დამოკიდებულება: ერთი წამით გამოჩნდება შედეგა ჯაფარიძე ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“, როგორც ნიშანი. მაგრამ რამდენ ფიქრს, ასოციაციას ბადებს ეს ნიშანი მსახიობის ახალ ატმოსფეროში მოქცევის შემდეგ.

ჩვენს რეჟისურას მსახიობებთან დამოკიდებულებაში ერთგვარად ეგოცენტრისტული ხასიათი აქვს. ვგულისხმობ არა რეჟისორის დიქტატს, რასაც, როგორც წესი, უჩივიან ხოლმე ჩვენი კინომსახიობები (და არა მარტო კინომსახიობები), რაც არც თუ ისეთი ანომალიაა, როგორც ეს მათ ჰგონიათ („დიქტატორი“ იყო მაგალითად რაინერ ვერნერ ფასბინდერი, რომელიც არათუ ართმევდა მსახიობს გარეგნულ თავისუფლებას, არამედ ზოგჯერ... ფიზიკურადაც კი უსწორდებოდა მათ. მაგრამ ფასბინდერმა შესანიშნავი, განუმეორებელი კინო შექმნა, რომელშიც, სხვათა შორის, მსახიობსაც ჰქონდა უდიდესი როლი). მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენს რეჟისორებს ხშირად უჭირთ „საერთაო თავისუფან გამოსვლა“, უჭირთ მსახიობის „აურის“ შეგ-



რძნება და, ამასთან, მისი რომელიმე ერთი მხარის განსაკუთრებული აქცენტირება. სულ ახალი მაგალითია ლევან თუთბერიძის ფილმი „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“. შეიძლება ითქვას რომ ნაზარის როლზე რამაზ ჩხიკვაძის მოწყვეთა? ამ მსახიობისა, რომელმაც სტალინი განასახიერა ეკრანზე? ამ შემთხვევაში ფილმის რეჟისორს, როგორც ჩანს, რამაზ ჩხიკვაძის გარდასახვის ბრწყინვალე ნიჭის იმედი ჰქონდა. მაგრამ ის, რაც შესაძლებელია თეატრში, ფაქტობრივად შეუძლებელია კინოში. ვიმეორებ, კინოში, რომელიც თავისი ბუნების ნატურალური „ფაქტორის“ მხატვრულ სახეებს ეყრდნობა, მხოლოდ ზოგიერთი გამოხატვის ვარდა („ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“ კი არ შეიძლება გამოხატვისად ჩათვალოს — ეს არც სიურრეალისტური ფილმი და არც მძაფრად გროტესკული) მსახიობის თამაშის ძირითადი პრინციპიც ეს ნატურალურობა უნდა იყოს, ე. ი. — თუ იგივე ზიგფრიდ კრაკაუერს გავიხსენებთ — მსახიობი არ უნდა თამაშობდეს, ჩასაც მყურებულა, რომელსაც მსახიობის სახის „დათვალიერება“ შეუძლია, წამსვე შეამჩნევს. ისეთ ზედმიწევნით რეალისტურ ფილმში, როგორც ლევან თუთბერიძის სურათია, ნაზარი როგორც გმირი ერთდროულად პიროვნებაც და ნიშანიც უნდა ყოფილიყო. ეს კი ვერ აღტანდა მსახიობს, რომელიც მყურებულში რიჩარდისა და სტალინის ასოციაციას შექმნიდა. ამიტომაც მოუხდა მსახიობს თამაში (განსაკუთრებით ჩანს ეს მსხვერპლ ხედვებში), რაც, საკმაოდ უხეირო გრიზსა და ძალზე ერთფეროვან განათებასთან ერთად, სიყალბის შთაბეჭდილებას ქმნის. არადა რამდენს შეძენდა ფილმს მსახიობი-პიროვნება, რომელიც თავისი ბედით, თავისი რწმენითა და მსოფლმხედველობით თვით გმირის ცხოვრებისეულ პოზიციას, მის ხასიათს გაუტოლდებოდა. რამდენს შესძენდა ფილმს მსახიობი, რომელიც ეკრანზე „სხვას“ კი არ ითამაშებდა, არამედ თავის პიროვნებას გამოხატავდა და თანაც ისე ჩაუღრმავდებოდა თავის თავს, რომ საკუთარ თავშივე „აღმოაჩინდა“ ნაზარს და ყველას, ვინც სულის უკვდავების რწმენას წამების დროს და სიკვდილის პირისპირ მდგომამაც არ უღალატა.

რა თქმა უნდა, აქ მთავარი შეცდომა მოუვიდა რეჟისორს, რომელმაც, როგორც ჩანს, მსახიობების შერჩევის დროს კინოს სპეციფიკა დაივიწყა. ვიმეორებ, სამწუხაროდ, ეს

ტიპური მოვლენაა ჩვენს კინემატოგრაფში. მაგრამ ეს ეგოცენტრიზმი (როცა მხატვარი იმდენად გატაცებულია თავისი ჩანაფიქრით, რომ ავიწყდება კინოს ბუნება, გვეწყდებოდა რომ კინო კოლექტიური ვერ შეიქმნებოდა) ჩვენს მსახიობებსაც ახასიათებთ. ხშირად არც ისინი არიან „მომზადებული“ კინოს სპეციფიკისათვის.

ჩემი აზრით, თუ ჩვენ გავხსნით კინომსახიობის სკოლას, უპირველეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ არა იმაზე, თუ როგორ განასახიერებს მსახიობი ადრეულბულ ჩაიდანს, ან კიდევ რამდენად შთამბეჭდავად წაიკითხავს ლექსს, არამედ მსახიობის ინტელექტზე, მის აზროვნებაზე... მხოლოდ ინფორმაცია და განათლება კი არა მაქვს მხედველობაში, არამედ ერთი მხრივ, საკუთარ თავში, საკუთარ პიროვნებაში ჩაღრმავების და, ამავე დროს, გადასაღებ მოედანზე საკუთარი თავიდან „გამოსვლის“ უნარი, რაც რეჟისორის მხატვრული სამყაროს შეგრძნებას გულისხმობს და თავისთავად მოითხოვს თანამედროვე კინომსახიობისაგან მონტაჟური რიტმის გრძობას, ფილმის სტილისტიკის აღქმას და სხვა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მსახიობი დრამატურგისა და რეჟისორის სრულყოფილი თანავეტორი იყოს, რომ მსახიობმა გააფართოოს, გახსნას დრამატურგიის ჩარჩოები, გააღრმავოს რეჟისორის სათქმელი უპირველეს ყოვლისა თავისი პიროვნებით — პირნიშნები და არა იმდენად თამაშის ოსტატობით.

ეს პრობლემა ყოველთვის იდგა კინომსახიობის წინაშე — საზღვრებიდან, უპირველეს ყოვლისა საზღვრებიდან გამოსვლა, საკუთარ თავზე შექმნილი სტამბილური აზრის გარღვევა, სტერეოტიპისაგან განთავისუფლების უნარი, ალბათ პირველი და ძირითადი მოთხოვნილებაა მსახიობისათვის, რომელსაც, სამწუხაროდ, ყველა ვერ ანხორციელებს. როგორც წესი, ყველაზე პოპულარული მსახიობი კი მონა ბდება ხოლმე იმ ხატისა, რომელიც თავდაპირველად შექმნა და რომელმაც პოპულარობა მოუტანა. გავიხსენოთ თუნდაც ვასილ ჩხაიძე — კინომსახიობი, ამ სიტყვის პირდაპირი და ზუსტი გაგებით. ძალზე დიდი პერსპექტივის მსახიობი, რომელიც შესრულების უდიდეს დიაპაზონს ატარებდა თავის თავში იმდენად, რამდენადაც თავად უდიდესი დიაპაზონის პიროვნება იყო. მაგრამ მსახიობმა ვერ შეძლო გაერღვია ერთ-ერთი როლი თავისი ამ დიაპაზო-

ნიდან — როლი, რომელიც თავის დროზე ელდარ შენგელაიამ აღმოაჩინა მისში, მაგრამ შემდეგ კ ვერც სხვა რეჟისორებმა და ველარც მსახიობმა ვერ შეძლეს სხვა „როლეზის“ წარმოჩენა. თავის დროზე მერაბ კოკოჩაშვილმა და დოლო აბაშიძემ გააჩვენეს „აბაშიძის სქემა“ „დიდ მწვანე ველში“, შემდეგ იგივე მერაბ კოკოჩაშვილმა და კახი კავსაძემ — „ცხელი ზაფხულის სამ დღეში“... არც დოლო აბაშიძეს და არც კახი კავსაძეს არ უღალატია საკუთარი თავისათვის, მათ სხვა ნიღაბი არ ჩამოუცივიათ, თამაში არ დაუწყიათ. როგორც ეს რამაზ ჩხიკვაძემ გააკეთა ლევან თუთბერიძის ფილმში, მათ თითქოს თავიანთ თავში „აღმოაჩინეს“ სულხანი და სოსანა. ამიტომაც არ დაუკარგავთ ბუნებრიობა ეკრანზე, ამიტომაც იცხოვრეს ეკრანზე. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ კინოში ასეთი მაგალითები ბევრი არა გვაქვს.

ჩვენში დღეს ფაქტიურად არ არის მსახიობი, რომელსაც არ ეშინია გმირში, ეკრანზე რომ უნდა განასახიეროს, უპირველესად საბჭოთაში ტიპში დაინახოს და თავისი თავი „ითამაშოს“, მთლიანად მოსძიოს დისტანცია თავის თავსა და იმ გმირს შორის, რომელსაც ისახიერებს (თუ ეს დისტანცია იქნება, ბუნებრივია, კიდევ უფრო დიდი იქნება უფსკრული მკაფურებელსა და გმირს შორის). ცხადია, ეს ძალზე რთულია. მსოფლიო კინოში ცოტაა ისეთი მსახიობები, რომელთაც პიროვნული თავისუფლება მოჰქონდათ ეკრანზე (ე. ი. იმდენად იყვნენ თავისუფალი „მდაბალი მენსაჯან“, რომ შეეძლოთ ადვილად შეარწყმოდნენ „არამეს“ და იგი საკუთარი „ში“ შემადგენელ ნაწილად ექციათ)... მაგალითად, ესან გაბენი და ანა მანიანი — მათ არ ეშინოდათ განმეორებისა. უფრო სწორად, მათი განმეორება, თუნდაც ვასილ ჩხაიძის გმირებისაგან განსხვავებით, განმეორებად არავის აღუქვამს. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ თავად ის ტიპი, რომელსაც ისინი ეკრანზე ქმნიდნენ, თავისუფალი იყო... გარკვეული დროის გემოვნებისა და დროებითი „ეკლექტიური გატაცებისაგან“ განთავისუფლებული ეს ტიპი შეესატყვისებოდა იმ სტაბილურ ფორმებს, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პროცესებს აერთიანებდნენ; რომელიმე თაობისა თუ ეპოქის ეთუნილებად მისი გადაქცევა შეუძლებელია (ამიტომაც არიან ამ მსახიობთა მიერ განსახიერებული გმირები ასეთი მონუმენტური, ძლიერი, ტრაგიკული — დროთ:

ცვლა ვერ მოქმედებს მათზე, ხოლო ეპოქისათუ კონკრეტული დროის მერკანტილურ მოთხოვნებთან დაპირისპირება მათ სიძლიერეს, მათ „უდროობას“ ტრაგიკულად ეწყობა). ე. ი. ეს არის ტიპი, რომელიც ეფუძნება თავის ინდივიდუალურობას დროისა და გემოვნების ცვლისაგან.

ამიტომაც — ისევე ჩემს აზრს ვუბრუნდები — ისევე როგორც ყველა ხელოვანის, მსახიობის შემოქმედების მიმართაც მიდგომა ერთი უნდა იყოს — ის კი არ არის მთავარი. რას განასახიერებ და არც ის, თუ როგორ განასახიერებ — მთავარია ვინ განასახიერებს... რაც უფრო ღრმად „იუფრება“ მსახიობი თავის თავში, მით უფრო მრავალმხრივ შესაძლებლობებს აღმოაჩენს, მრავალმხრივობა კი ამ თავისუფლების მიღწევის პირველი სტადიაა და აბსოლუტურად გამორიცხავს განმეორებას ეკრანზე.

ყველაფერი, რაც ზემოთ აღვნიშნე, ცხადია, უამრავ სირთულეს უქმნის მსახიობს, მაგრამ იგი მარტო არ არის — მის გვერდითაა რეჟისორი, რომელიც მოვალეცა და დეხმაროს მას. ძალიან დიდი კრიტიკისა და კინომცოდნეობის როლიც. მას შეუძლია იკისროს რეჟისორისა და მსახიობის შემთავაზებლის მისია, რათა ჩვენს კინოშიც იყოს ისეთი დუეტები, როგორიც ფელინი და მაზინი, დირჯ ბოგარტი და ლუკინო ვისკონტი, ფრანსუა ტრიუფო და ეან-პიერ ლეოა... დღესდღეობით თავის როლებს ელოდება უამრავი ქართველი კინომსახიობი. მაგრამ ჩვენი რეჟისორების უმრავლესობა ან არაპროფესიონალებს იწვევს ან კიდევ უკვე ცნობილი მსახიობის „იმიჯით“ სპექულაციას ეწევა (ისეა ნიკიერ მსახიობს, როგორიც გურამ ფირცხალავა, წამდაუწყუმ ანტიგმირების როლების შესასრულებლად იწვევენ და ამით თითქოს ანტიგმირებზე თანამედროვე მოდას აკმაყოფილებენ. მაგრამ განა არ შეიძლება გამოვიყენოთ ეს მსახიობი, ვთქვათ, რომანტიკული გმირის განსახორციელებლად? ვნახოთ როგორი იქნება ეს არტიკული და არმდენადაც ვიცი, საკმაოდ რომანტიკული კაცი ამ როლში). ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საჭიროა პროფესიონალი კინომსახიობის აღზრდა. ასეთი მსახიობის მოთხოვნილება ქართულ კინოში დღეს აშკარაა.

3030 ბაზენია

ანტონიო გაუდის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შეცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ 60 წელზე მეტი გავიდა. მრავალრიცხოვან წიგნებსა თუ სტატიებში, რომლებიც მას მიეძღვნა დასავლეთში, ერთნი მიიჩნევენ, რომ გენიოსმა და ჭადოქარმა გაუდიმ ათეული წლებით ადრე განავითარა XX საუკუნის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი იდეები, მეორენი კი შეგნებულად არიდებდნენ თავს მის ფენომენს და მხოლოდ დროს მოწყვეტილ, მეოცნებე არქიტექტორს უწოდებდნენ.

ალბათ ასეთი მიდგომა არცთუ გამონაკლისია XIX საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბევრი ხელოვანის მიმართ, რომელთაც ხშირად გაუგებრობისა და დაუფასებლობის ატმოსფეროში უხდებოდათ მუშაობა. საბედნიეროდ, ეს მათ კი არ აჩერებდა, არამედ პირიქით, ხშირად მძალერი იმპულსის, კატალიზატორის როლს თამაშობდა მიზნის მიღწევისათვის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არქიტექტურაში ახალი სტილის ჩამოყალიბების პროცესი შედარებით უფრო თანდათანობით მიმდინარეობდა და არ ატარებდა ისეთ მძაფრ ხასიათს, როგორც ფერწერაში. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ყალიბდება მრავალი ახალი კონცეფცია, მათ შორის ინგლისელ ჯონ რიუსკინის ხელოვნების თეორია, რომელიც მიმართული იყო მზარდი ინდუსტრიალიზაციის გავ-

ლენის წინააღმდეგ და ქადაგებდა ბუნებაში არსებული კანონებისა და ფორმების არქიტექტურაში გადატანას.

ჩნდება ახალი პლასტიკური ენა არქიტექტურისა, რომელიც ცდილობს აითვისოს და მოირგოს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები. აესტრიული ოტო ვაგნერი, ბელგიელი ვან დე ველდე, ამერიკელი ლუის სალივანი და სხვები, დროზე უღებენ ალღოს მომწიფებულ ტენდენციებს და XX საუკუნის არქიტექტურაში პირველ ნაბიჯებს დგამენ. ძნელია იმის თქმა, რამდენად იყო გაცნობილი ა. გაუდი თავისი თანამედროვეების შემოქმედებას, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა შემთხვევაში ეს მხოლოდ გააღრმავებდა მის ნიჭიერებას, მგრძნობიარობას და ოდნავადაც არ შეეცლიდა გაუდისებური ხელწერის ჩამოყალიბებას პროფესიაში.

კატალონია, სადაც ა. გაუდი 1852 წელს დაიბადა, XVI საუკუნემდე დამოუკიდებელი იყო, ხოლო ბარსელონა, რომელიც მის მთავარ, აუვავებულ საეპიკო ქალაქს წარმოადგენდა, დიდი გავლენით სარგებლობდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ცნობილია, რომ ის ხალხი, ვინც ერთხელ მინც იგემა თავისუფლება, მეტად მტკივნეულად ეგუება თავისი დამოუკიდებლობის შეზღუდვას, რაგინდ ლმობიერად არ უნდა ხდებოდეს ეს პროცესი. ამიტომ ესპანეთთან გაერთიანების შემდეგ, აქ იმძლავრა ბევრმა რევოლუციურმა და ანარქისტულმა მოძრაო-



საგრადა ფამილიას ტაძარი

ბამ. კატალონიელების ეროვნული მისწრაფებები თავდაპირველად რაინდულ დღესასწაულებში, ხალხური მუსიკის ფესტივალებში, პოეზიაში, ლიტერატურაში, შემდეგ კი არქიტექტურაში, კერძოდ გოთიკური სტილის აღორძინებასა და მის ახლებურ გააზრებაში გამოვლინდა. როდესაც ა. გაუდიმ არქიტექტურულ სკოლაში სწავლა დაიწყო, ბარსელონაში ეკონომიკური და კულტურული გამოცოცხლება იგრძნობოდა, ეწყობოდა საერთაშორისო გამოფენები, შენდებოდა მეტრო, იქმნებოდა საფეიქრო ფაბრიკები, აქტიურად ვრცელდებოდა კატალონიური ენა, დააარსდა საკუთარი გაზეთი და ნაციონალური თეატრი, ქალაქი ძველ გალავანს გასცდა და მიმდებარე სოფლები შეიერთა.

ა. გაუდი არა მარტო სწავლობს,

არამედ, როგორც ნამდვილი პატრიოტი თავისი კულობის კვილობს გაერკვეს მწვევე სოციალურ პრობლემებზე, გველდასებით ეცნობა კატალონიის მფიქრე ქვარსულს, მის ისტორიულ ძეგლებს, იელინთება იმ კათოლიკური სულით, რომელიც ქალაქშია გამეფებული.

1878 წელს, დიპლომის მიღების შემდეგ, ა. გაუდი დაუახლოვდა ახლადჩამოყალიბებულ ფეიქარ მუშათა გაერთიანებას, სადაც შექმნა თავისი პირველი ნამუშევრები. მათ შორის უნდა აღინიშნოს მუშათა საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც ერთი მხრივ ფერიესა და ოუენის უტობიური იდეების გავლენას განიცდის და მეორე მხრივ, ქრისტიანული სიკეთის მატარებელია. თვით წარწერებიც კედლებზე ამ შინაარსისა უნდა ყოფილიყო: „გაუმარჯოს წმინდა გულს, რაც თვით სიკეთეა“, „იყავით სოლიდარული და აკეთეთ სიკეთე!“ და ა. შ.

ამ სამუშაოების პარალელურად მან დაიწყო კერამიკით მოვაჭრე კომერსანტის მანუელ ვიცენსის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სადაც უხვად გამოიყენა ფერებით მდიდარი მავრიტანული მოტივები. ყველაფერი — სხვენის სათავსოები, საკვამურები, ფანჯრის ცხაურები, კედლების მოხატულობა საოცრად ხალისიანია და სიცოცხლით აღსავსე. ფერადი კერამიკისგან შემდგარი გარსი ამ ნაგებობისა ქმნის ძლიერ კონტრასტს მოუპირკეთებელ კედლის ზედაპირთან, განსაკუთრებით, როცა ჩარჩოში აქცევს მას. ა. გაუდის უბის წიგნაკში ჩნდება ჩანაწერი: „ორნამენტი იყო. არის და დარჩება ფერადი. ბუნება არაფერს გვიჩვენებს ერთ ფერში, არც მცენარეულ და ცხოველთა სამყაროში, არც ნიადაგსა თუ მის ზედაპირზე, ამიტომ ფერი არქიტექტურის ყველა ელემენტში უნდა იქნას გამოყენებული“.

1882 წელს ბარსელონაში დაიწყო ახალი დიდი ტაძრის მშენებლობა, რაც თავდაპირველად სხვა არქიტექტორებს ჰქონდათ დაეღებული და მხოლოდ შემდეგ გადაეცა 30 წლის ა. გაუდის. ეს ქმნილება სიკვდილამდე იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დავლება, თუმცა წინასწარ იცოდა, რომ ამ გრანდიოზული შენობის ბოლომდე დამთავრებას ვერ მოეწეებოდა. მიუხედავად ამისა, დიდმა შემართებამ და ღრმადი რწმენამ თავისი გააკეთა. ეს ტაძარი, „საგრადა ფამილიას“ სახელწოდებით ცნობილი, თავისი წაგრძელებული, კონუსისებური კოშკებით აღმართულია მუშათა რაიონში, საცხოვრებელ სახლებს შორის. ჩანაფიქრი ნაკარნახევი გოთიკური არქიტექტურით, იმ არქიტექტურით, რომელმაც, ნ. ვ. გოგოლის თქმით, ადამიანი ღმერთს დაუახლოვა, მაგრამ, ამავე დროს, შეიცავს სრულიად განსხვავებულ გულდისებურ სივრცით გადაწყვეტებს და ფერადოვნებას. „საგრადა ფამილიას“ კონსტრუქციული სისტემა ქმნის ხეებისმაგვარ სვეტებს, რომლის ტოტების მსგავს განშტოებებს თაღების სიმძიმე გადააქვთ მთავარ საყრდენებზე. ფასადში უხვად იჩენს თავს ბრჭყვიალა მოზაიკით შესრულებული, ფაუნისა და ფლორის ელემენტები — ლოკოკინები, ნიჟარები, ფრინველები; სახურავები მოძრავი ბორცვების ასოციაციას, ხოლო თაღები ხელოვნურ მღვიმეებსა და ქვაბულებს ქმნიან. ყველაფერი ეს სამკაულივით აღამაზებს ქალაქს და ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

ცნობილია, თუ როდენ დიდ როლს თამაშობს არქიტექტორის შემოქმედებაში დამკვეთი, რომლის ნიჟიერება და გემოვნება არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით ხუროთმოძღვრისა. სწორედ ასეთ დამკვეთს მიეკუთვნებოდა

ბარსელონელი ფაბრიკანტი <sup>დ. გუ</sup> ცენატი ეუსებო გუელი, რომელმაც თავიდანვე ირწმუნა ა. გაუდის შესაძლებლობებზე. <sup>გაუ</sup> დენიმე საინტერესო მშენებლობა დაავალა მას. მათ შორის საგულისშია ქალაქის 15 ჰექტარ ტერიტორიაზე გაშენებული პარკ ნაგებობებით, საიდანაც მშვენიერი ხედი იშლება ხმელთაშუა ზღვაზე. ამბობენ, რომ ამ პარკის ავეჯს ყველაზე რაციონალური ფორმა რომ მიეღო, გაუდიმ მშენებელი მუშა მშვენილი დასვა სველი თამაშრისაგან დამზადებულ ნიმუშზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაახუსტა მერხის მოხაზულობა. გუელინის სასახლეში, რომელიც გაუდიმ ცოტა უფრო ადრე დააპროექტა, მას საშუალება ჰქონდა ფართოდ გამოეყენა ყოველგვარი საშუალებები და ფინანსური სახსრები. გარედან რუხი ფერის ქვით მოპირკეთებული შენობა, ნაკვდი რკინის ცხატურების ორნამენტით, თელოვანი ქიშკრით, რაღაცით მოგვაგონებს ვენეციის მდიდრულ სასახლეებს. შუაში მოთავსებულია სამსართულიანი, გუმბათოვანი ვრცელი შიგა ეზო, რომელიც სამეჯლისო დარბაზად გამოიყენებოდა. ქერცლის მაგვარი შიგნითა გარსი ქმნის კარგ აქუსტიკას და შეიცავს წრიული ფორმის სინათლის სარკმელებს, რითაც ვარსკვლავებით მოჭედული ცას წააგავს. პაბლო პიკასო, რომელსაც მახლობლად სახელოსნო ჰქონდა, აღფრთოვანებული იყო ამ ნაგებობით და ფანტასტიკურ ქმნილებად თვლიდა. ასევე განუმეორებელია ა. გაუდის მიერ შექმნილი, საყოველთაოდ აღიარებული მილოას სახლი, რომლის არქიტექტურა გაცილებით უსწრებდა ამ პერიოდს, აგრეთვე კალვეს სახლი, რომელმაც მაშინ ბარსელონის მმართველობის პირველი პრემია მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბარსელონელი მოქალაქეების —



მისი დამკვეთების სახელები, ისევე როგორც ფაბრიკანტ ბატლოს სახელი, ა. გაუდემ ისტორიაში თავისი არქიტექტურით დამკვიდრა. განსაკუთრებით უნდა ითქვას ბატლოს სახელზე, რომელიც თითქოს მოქანდაკის საჭრეთლით არის შექმნილი. კერძოლის მსგავსი მოკიქული კერამიკის ფილები, თხელ კრამიტთან ერთად, სხვენის გარსს ანიჭებენ უხსოვარი დროის რეპტილიის სახეს. მისგან ამოზრდილ პატარა კოშკს ჭვარის-მაგვარი ყვავილი აგვირგვინებს. მოციხფრო პასტელის ტონებით შეფერილი ფსადის ზორკლიანი ზედაპირი, ოვალური ფანჯრებით, აივნების მოხატულობით არავის ტოვებს გულგრილად და უჩვეულო შეგრძნებებს იწვევს.

ასევე საინტერესოა ამ შენობის ავეჯიც, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დაიკარგა და მხოლოდ ფოტოებია შემორჩენილი. ა. გაუდის ავეჯი საოცრად პრაქტიკულია, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა მხოლოდ უბრალო კომფორტს, ზოგჯერ, მაგალითად ეკლესიაში, მის მიერ შექმნილ სავარძელში მჭდომ კაცს საკმარისი იყო ფეხი ფეხზე გადაედო და მოდუნებულყო, რომ მყისვე მოუხერხებელ და უფრო მეტად, მტკივნეულ პოზაში აღმოჩნდებოდა. ა. გაუდის სურდა, რომ ღმერთის სახლში, მორჩილებებს ასეთ დეტალებშიც მკაცრი წესები დაეცვათ.

მთელი თავისი სიციცხლის მანძილზე ა. გაუდის არასოდეს განუზრახავს საფინანსო რაიმე განყენებული ხელოვნების ნიმუში შექმნა; მისთვის არ იყო სულ ერთი, თუ სად მოათავსებდა ამ საფანს. მისი ავეჯი ადამიანის ორგანიზმის კანონებს ემორჩილება. იგი შეიცავს ჩონჩხს, ორგანოებს და კანს — სტრუქტურას, მოცულობას და დეკორაციას. ისევე როგორც ადამიანის სხეულის თითოეული ნაწილი აუცილებელია

სიციცხლისათვის, ასევე ავეჯის თითოეული დეტალი, ხილული თუ უხილავი, მის დანიშნულებას ემსახურება.

გაუდი არქიტექტორი, გაუდი კონსტრუქტორი, გაუდი ფერმწერი, გაუდი მოქანდაკე, გაუდი დიზაინერი. რისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, იქნებოდა ეს რკინის ცხაური, რომლის დამზადების გაკვეთილები მან პროფესიით მკვდელი მამისა და ბაბუისაგან მიიღო, წითელი ხის ავეჯის საიდუმლოებანი, თუ მოზაიკისა და ძვრწვის ხელოვნება, ყველაფერში იგი არა მარტო ოსტატი არამედ ნოვატორი, სიახლის შემტანი იყო. მაგრამ, თუკი მიქელანჯელო არქიტექტურაში მოვიდა როგორც მოქანდაკე, ა. გაუდი ყველაფერს არქიტექტორის პოზიციიდან უღებებოდა და ყველაფერს მას უფარდებდა როგორც უმთავრესს. შენობის ყველა ელემენტი, დეტალი და ნივთიც კი მხოლოდ არქიტექტურული ჩანაფიქრის კონტექსტში აღიქმებოდა და მისგან გამომდინარეობდა. აქ შეიძლება პარალელი გავატაროთ მის თანამედროვე, ბელგიელ არქიტექტორ ეან დე ველდესთან, რომელსაც სურდა, რომ თვით ტანსაცმელიც, რომელიც მისი დამპროექტებული სახლის მობინადრეს ეცვა, არქიტექტორის ესკიზით შეეკრიბო და ინტერიერის მისადაგებელი ყოფილიყო.

დეტალებშიაც კი მთლიანობის ეს სურველი დღესაც არის შემორჩენილი ისეთ ქვეყნებში, როგორც მაგალითად ფინეთია. აქ არავის გაკვირვებია, როდესაც ტურქუს უნივერსიტეტის მესვეურებმა, აშენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ პროექტის ავტორს შეუთანხმეს თუ რა სურათი, რა ფერის ჩარჩოთი ჩამოეყიდათ შენობის ექსტიბიულში.

როცა წარმოვიდგინოთ არქიტექტორის შრომას, გვახსენდება მაგია, სახაზავი, ფანქარი... ა. გა-



ბატლის საცხოვრებელი სახლი

უღის ეს არ ეხებოდა. მისი მუშაობის პროცესი უფრო შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრის შრომას წააგავს, როდესაც სამუშაო ოთახი და სამშენებლო მოედანი განუყოფელი იყო. დღის უმეტეს ნაწილს იგი სამშენებლო მოედანზე ატარებდა, რათა უპირველესად, მშენებლობისთვის გაეწია ხელმძღვანელობა. დარჩენილ დროს კი შრომობდა სახელოსნოში მხაზველებთან და თანაშემწეებთან ერთად. მისი სივრცობრივი აზროვნება იმდენად დინამიური და რთულია, ხოლო დეტალიზება იმდენად მრავალფეროვანი, რომ ყველაფრის ქაღალდზე ან მაკეტზე გათვალისწინება შეუძლებელი იყო და ბევრი რამ უშუალოდ სამშენებლო მოედანზე წყდებოდა. არ შეიძლება დიდი პატივისცემით არ განიხილვალო იმ მშენებლების, ხელოსნე-

ბის მიმართ, რომელნიც მატეი ოსტატობით და ასევე მოთმინებით ასრულებდნენ ნეტურაში მის ჩანაფიქრს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ჩანს, რომ რად ლოკიასა და რაკიონალურობას იყენებდნენ მოკლებული.

საგულისხმოა, რომ ა. გაუდის შემოქმედება, პირველ რიგში, თვით არქიტექტორებმა, მისმა მომდევნო თაობებმა აღიარეს, მათ შორის ისეთებმა, რომელთაც სრულიად განსხვავებული ხელწერა და აზროვნება ჰქონდათ. ეს გარკვეული ნოსტალგიითაც აიხსნება, რადგან XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებულმა, ტექნიკური ძალების სწრაფმა ექსპანსიამ, ნაწილობრივ ძირს დასწია არქიტექტურული პროფესიის პრესტიჟი. გართულდა და ცალკეულ დარგებად დაიწყო გამოყოფა პროექტირებისა და მშენებლობის ეკონომიკურმა ტექნოლოგიურმა საინჟინრო სფეროებმა. არქიტექტორის ერთობროვნულ ლიდერობას პროფესიაში და თვით არქიტექტურასაც, როგორც ხელოვნების განუყოფელ ნაწილს, საფრთხე გაუჩნდა სხვადასხვა დისციპლინებში გათქვეფრისა და გაუფასურების სახით.

აი რას წერდა 60-იან წლებში ერთ-ერთი ამერიკელი არქიტექტორი ამ პროცესთან დაკავშირებით: „ჩვენ გვსურს გავუტოლოთ ტექნიკა მეცნიერებას, როგორც მომავლის მონაბერი და არქიტექტურა ხელოვნებას, როგორც წარსულის გადმოწამი. მაგრამ ტექნიკას არ შეუძლია ფუნქციონირება არქიტექტურის გარეშე, მეცნიერება და ხელოვნება კი ორი მთავარი განუყოფელი ელემენტია ადამიანის უსასრულო სწრაფვაში გაიმჯობესოს ცხოვრების პირობები. მეცნიერება აფართოებს ჩვენს ცოდნას სამყაროს შესახებ, ხელოვნება კი აყალიბებს ამ ცოდნის მნიშვნელობის გაგებას ჩვენს ცხოვრებაში. მეცნიე-

ჩება გვეხმარება ვიფიქროთ უფრო ნათლად, ხელოვნება გვეხმარება შევიგრძნოთ უფრო ღრმად, უფრო დახვეწილად და უფრო შემოქმედებითად. ტექნიკა იყენებს მეცნიერების მონაპოვრებს, არქიტექტურა კი ხელოვნებისას. მაგრამ ტექნიკამ და არქიტექტურამ უნდა იმუშაონ ერთად, რათა გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგარი პრობლემები. მაშინ მეცნიერებისა და ხელოვნების აღმოჩენები შეერწყმებიან და გაამდიდრებენ ჩვენს ცხოვრებას. სხვა შემთხვევაში არქიტექტურა შეიძლება ტექნიკის მონა გახდეს, ხელოვნება კი სამეფო კარის ხუშარას დაემსგავსოს მეცნიერების ტახტის წინაშე“.

ა. გაუდიმ შეიძლება ვერც იგრძნო ბოლომდე, თუ რა ძალი იყო მასში და რამდენი ვააკეთა, რათა თავისი პროფესიის მნიშვნელობა მთელი სიცხადით წარმოეჩინა საზოგადოების წინაშე. 1914 წლის შემდეგ ა. გაუდი კარჩაკეტულ ცხოვრებას ეწეოდა, ახალი შენობები არ შეუქმნია და მხოლოდ „საგრადა ფამილის“ დამთავრებაზე მუშაობდა გარდაცვალებამდე.

რამდენადაც დიდია ა. გაუდის როლი მსოფლიო არქიტექტურასა და ხელოვნებაში, იმდენად მოკრძალებული იყო მისი ცხოვრება და დასასრული. გაივლის რამდენიმე ხანი და სალვადორ დალი იტყვის, რომ მიუხედავად მდარე გემოვნების მოძალებისა, ესპანეთს შეუძლია წარმოშვას ისეთი გენიოსები, როგორც გაუდი და პიკასო. მაგრამ თუკი პიკასომ და თვით დალიმ მსოფლიო აღიარებას სიკოცხლევშივე მიადწიეს და თავისი გენიოსობა თვითონვე ირწმუნეს, ა. გაუდი, ხელმოკარულივით უპრეტენზიო, უწყინარი და უცნაური. მშობლიურ კატალონიას არ გასცილებია და მხოლოდ აქ მოესწრო მცირე დაფასებას.



კინოსა და სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ურთიერთმომართების საკითხი ჩვენთან პერჯერობით არ გამხდარა სერაიოზული მეცნიერული კვლევის საგანი. თბილისის უნივერსიტეტის კინოს ენისა და სტრუქტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლის რაულ მუხომბიძის წერალი ერთ-ერთი პირველი ცდაა ამ მიმართულებით. ამიტომ ავტორი უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს ზოგად პლანში მაინც წარმოადგინოს ის, თუ რა პრაქტიკული სამსახურის გაწევა შეუძლია სოციოლოგიას კინემატოგრაფისთვის, რა ხაზის სირთულეები შეიძლება შეგვხედეს კინოხელოვნებისა და სოციოლოგიის ურთიერთშეხების წერტილებში, რამდენადაა მზად სოციოლოგიური მეცნიერების ის დარგი, რომელიც საზოგადოებაში კინემატოგრაფის ფუნქციონირებას შეისწავლის, ამ წინააღმდეგობების დაძლევისათვის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხიც, რომელთა გარკვევაში აუცილებელია ამ მნიშვნელოვანი პრობლემების საფუძვლიანი გააზრებისას.

საშუალო ხალხში მომავალში კინემატოგრაფი თვითანაზღაურებაზე გადავი, რაც მოითხოვს კინოპროდუქციის წარმოებისა და ექსპლუატაციის ხარჯებსა და კინოპროდუქციის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს შორის თანაფარდობის ცოდნასა და გათვალისწინებას. ამასთან, რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა მნიშვნელოვნად უნდა გადაფაროს წარმოების ხარჯები. კინოპროდუქციის უმთავრესი „გასაღების ბაზა“ კი კინომაყურებელია. თუ ადრე კინემატოგრაფი შინაგანად არ იყო დინტერესებული საქმის





## რატულ ლაპვილაჰა

კომერციული მხარით, დღეს ეს მისი არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა ხდება.

შექმნილმა ვითარებამ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დააყენა კინოაუდიტორიის შესწავლის პრობლემა. ნუ იფიქრებთ, რომ ასეთი პრობლემა ჩვენი კინემატოგრაფის წინაშე აქამდე საერთოდ არ იდგა. კინომაყურებლის თანდათანობითი კლების ტენდენცია ამ უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე აშკარად გამოიკვეთა. კინოდასწრების საშუალო წლიური მაჩვენებელი ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ მცხოვრებზე საგრძნობლად ჩამორჩება ანალოგიურ საერთო საკავშირო მაჩვენებლებს. 1985 წელს ეს მაჩვენებელი იყო 9,6 კინოდასწრება, 1986 წელს — 9,5, 1987 წელს — 9,3. კინოდასწრების საკავშირო წლიური მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე შესაბამისად იყო: 14,8; 13,9; 13,8. უკანასკნელ სამ წელიწადში მხოლოდ თბილისის კინოქსელს დააკლდა 822 ათასი კინოდასწრება. ამან, თავის მხრივ, გავლენა იქონია კინოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კინოაუდიტორიის შესწავლის საჭიროება თავდაპირველად ამ ფაქტორით იყო განსაზღვრული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კინომაყურებლის პრობლემით დაინტერესება ამ ეტაპზე უფრო შემცენებითი ინტერესებით შემოიფარგლებოდა, ვიდრე კინემატოგრაფის რენტაბელობაზე ჰუმანიტარული ზრუნვით. და ეს არცაა გასაკვირი. სანამ კინემატოგრაფი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტზე, მას ნაკლებად დაინტერესებს საქმის კომერციული მხარე და, აქედან გამომდინარე, სტაბილური აუდიტორიის პრობლემაც. კინოპროდუქციის წარმოება დაგვიგვიდ ფარგლებში იმთავითვე გაანტირებულია. კინოსტუდიები იღებენ ფილმების წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას, მაგრამ როგორია ამ ფილმების

წარმატება მაყურებელში, მათ ნაკლებად იღვლებთ. ამ ვითარებაზე მიგვიანიშნებს თუნდაც ის გარემოება, რომ მეცნიერული კვლევის ობიექტად აქამდე მხოლოდ კინონაწარმოები იყო მიჩნეული, ხოლო მაყურებელი მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა. მაგრამ დღეს, ახალ პირობებში, როცა სტაბილური მაყურებლის პრობლემა მთელი კინემატოგრაფიული პროცესისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, კინოაუდიტორიის კვლევის საჭიროებას პრაქტიკული მნიშვნელობაც მიენიჭა.

მეცნიერების ის დარგი, რომელიც კომპლექსურად იკვლევს კინოსა და მაყურებლის ურთიერთმიმართების მრავალწახნაგოვან პრობლემას, კინოსოციოლოგიის სახით ჩამოყალიბდა. თუ ბელოვებთანმოდენობით თეორიები კინემატოგრაფს განიხილავენ როგორც მხატვრული შემოქმედების ახალ და უნიკალურ საშუალებას, სოციოლოგიური მიდგომის დროს კინემატოგრაფი გაგებულია როგორც შედარებით დამოუკიდებელი სოციალური ინსტიტუტი, რომლის არსებობაცა და განვითარებაც საზოგადოებრივი მოთხოვნილებებითაა განპირობებული. მას საზოგადოების ერთიან სტრუქტურაში თავისი სპეციფიკური ფუნქცია გააჩნია; მისი ეს ფუნქცია ერთი მხრივ საზოგადოების განსხვავებული ფენების მხატვრულ-ესთეტიკური თუ სხვა სახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, და, მეორე მხრივ, მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით, მისი სასურველი მიმართულებით წარმართვა და რეგულირება.

მხატვრული პროდუქცია არ არსებობს მხატვრული საქმიანობის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი, ყოველ მოცემულ საზოგადოებაში გარკვეულად ორგანიზებული მთლიანობაა. კინოწარმოებისა და კინოპროდუქ-

ციის მოხმარების ორგანიზაციული ასპექტი კინოსოციოლოგიის ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს.

ყოველი საზოგადოება გარკვეულ მიზანს ისახავს. იგი რეალობას დასახულ მიზანთან, იდეალთან მიმართებაში აფასებს. ხელოვნებას და განსაკუთრებით კინოხელოვნებას, ხალხის ფართო მასების ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და მისი იდეალის მიმართულებით წარმართვისა და რეგულირების უნიკალური უნარი გააჩნია. ამ უკვე ნელ-ნელა იკვეთება მოცემული კონკრეტული საზოგადოებისათვის კინოხელოვნების მნიშვნელობის საკითხი — კინემატოგრაფი, როგორც სოციალური ინსტიტუტი საზოგადოების ერთიანი სტრუქტურის აუცილებელი და საჭირო კომპონენტია. ის, როგორც ამ ერთიანი სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი, ამ სტრუქტურის ინტერესების გამომხატველია და, როგორც ასეთი, ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია სტრუქტურის სხვა ელემენტებთან. მოცემულ საზოგადოებაში კინოხელოვნების ფუნქციონირება კონკრეტულ მექანიზმებს გულისხმობს. ეს კონკრეტული მექანიზმი რეალურად არსებული და მოქმედი კინემატოგრაფის ცნებაშია განხორციელებული. მაგრამ კინოხელოვნების ფუნქციების გააზრების ხარისხი საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარების მიღწეულ დონეზეა დამოკიდებული. მისი ყოველი ფუნქცია გარკვეული ამოცანაა, რომლის რეალიზაციასაც ესწრაფვის კინემატოგრაფი და მისი შინაგანი სტრუქტურა ამ ამოცანებითაა განსაზღვრული. როდესაც კინოხელოვნების უმთავრეს ფუნქციად საზოგადოების ცნობიერებაზე იდეოლოგიური ზემოქმედება აღიარებული, მაშინ კინემატოგრაფის შინაგანი სტრუქტურა და ფუნქციონირების მექანიზმები სხვაა. და სხვაა იგი, როცა მისი უმთავრესი ინტერესი მასობრივი ცნობიერების მოთხოვნილებებისა და მხატვრული გამოკვლების დაქაყოფილებისკენაა მიმართული.

საბჭოთა სინამდვილეში მოხდა საზოგადოების იდეოლოგიზაცია. შესაბამისად, ხელოვნება და მათ შორის კინოხელოვნებაც ფაქტურად სახელმწიფოს იდეოლოგიურ დანიშნულად გადაიქცა. კინოს იდეოლოგიური ფუნქციის გაფაქტურებამ დაბლა დასწია მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარე, იმიტომ,

რომ შეიზღუდა ხელოვანის შემოქმედებით თავისუფლება, კინორეპერტუარი იდეოლოგიურ კონიუნქტურას დაემორჩილა, და ა. შ.; თვით კინემატოგრაფის შიგნითაც შეიქმნა სტრუქტურები, რომელთაც განაწესებდა მხატვრული მნიშვნელობა არ ჰქონდა კინემატოგრაფისთვის, ვარდა იმისა, რომ ქმნიდნენ ხელოვნურ ბარიერს მისი ნორმალური განვითარების გზაზე. ჩამოყალიბდა კინოპროდუსის სრული ციკლის რეალიზაციის ზედმეტად გადატვირთული და გრძელვადიანი მექანიზმი, მაყურებლისთვის დასრულებული კინოპროდუქციის მიწოდების ასევე მოუქნელი და ეკონომიკურად გაუმართლებელი მექანიზმი. ამის პარალელურად კინოპროდუქციიდან ამოვარდა ისეთი აუცილებელი სტრუქტურული კომპონენტი, როგორცაა კინორეკლამა, რომლისთვისაც დღემდე სასაცილოდ მცირე თანხებია გამოყოფილი. რეკლამა ზევში მხოლოდ ნომინალურად არსებობს. არ გამოიყენება ასევე მაყურებლის კინოში მიზიდვის სხვა მნიშვნელოვანი საშუალებებიც.

ეკონომიკურად დამოუკიდებელი კინემატოგრაფის იდეა თავდაპირველად თვით კინომოღვაწეთა წრეში მომწიფდა და ვაცნობიერდა როგორც შემოქმედებითი დამოუკიდებლობის, თავისუფლების მიღწევის ერთადერთი გზა.

კინემატოგრაფის კინოაუდიტორიაზე ორიენტირების პირობებში მაყურებელი ხდება არა მხოლოდ პასიური შემფასებელი კინოპროდუქციისა, არამედ მისი არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელი კომპონენტიც. ეკონომიკურად დამოუკიდებელი კინემატოგრაფი მსოფლიო კინოსთვის არ არის ახალი მოვლენა. დასავლეთის კინოხელოვნება ჩასახვის დღიდან კინოპროდუსის მართვის ეკონომიკურ მექანიზმს ეყრდნობა. ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინება, დასამალი არ არის, რომ კომერციულმა ინტერესმა საგრძნობლად დასწია კინოხელოვნების მხატვრული და შინაარსობრივი მხარე დასავლეთის კინოში. კინობაზრის კონიუნქტურა ასევე არ აძლევს კინემატოგრაფს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

მოკლედ, ქართული კინემატოგრაფი, როგორც მთლიანად საბჭოთა კინემატოგრაფი, მასობრივი მაყურებლის თავისებურებებით

არ იყო განსაზღვრული და ამ გავებით თავის შემოქმედებაში უფრო თავისუფალი იყო. ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის კინემატოგრაფი, მაგრამ ეს თავისუფლება იდეოლოგიურ კონიუნქტურასთან დამორჩილების ხარჯზე იყო მიღწეული. ახლა ძნელია ლაპარაკი იმის შესახებ რომელი ბატონის მსახურება სჯობს: ძალაუფლების მქონე პარტიული აპარატისა, რომელიც ხელოვნებას ამორჩებს საზოგადოების კეშმარტი ინტერესებს და აბსტრაქტულ სახეს აძლევს მას, თუ მაყურებლის გასაშუალოებული მასისა, რომელიც ზომავს მეტად „ამიწებს“ მას. როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი რამ ცხადია — კეშმარტი ხელოვნება არ შეიძლება იყოს კონიუნქტურული, სხვის ნებას დამორჩილებული, ის არცერთ ბატონს არ ჰგეობს. მაგრამ ამგვარი სიტუაცია უფრო იდეალთა კინემატოგრაფის ფუნქციონირებისა. ხოლო იმის გარკვევაში, თუ როგორი შეიძლება იყოს მისი ოპტიმალური მოდელი, მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია კინოსოციოლოგიურ მეცნიერებას.

კინო, პირველ რიგში, ხელოვნებაა და მისი უმთავრესი ფუნქცია საზოგადოების მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. მაგრამ საზოგადოება თავისი შემადგენლობით, აღნაგობით არ არის ერთგვაროვანი. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა განსხვავებულ სოციალურ ფენებს მოიცავს და შესაბამისად თითოეულ მათგანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული თუ ღირებულებით-ორიენტაციული თავისებურებებით ხასიათდება. ამ პარამეტრების სხვადასხვაობა მათი კინოსადმი დამოკიდებულების სხვადასხვაობას იწვევს. ზოგი კინოში ხედავს არსებითად დროის მოკვლისა და გართობის საუკეთესო საშუალებას, ზოგი კი სულიერი კომუნიკაციის უნიკალურ საშუალებას. კინოსადმი დამოკიდებულების მიხედვით კინოაუდიტორიის უზარმაზარი მასივი შესაძლებელია ორ უმთავრეს სფეროდ დაიყოს: კინოხელოვნების მაღალმატერულ ნიმუშებზე ორიენტირებული აუდიტორია და კინოსანახაობაზე ორიენტირებული აუდიტორია. კინოაუდიტორიის ეს ორი ტიპი შეიძლება წარმოვიდგინოთ კინოაუდიტორიის დიფერენცირებული სკალის საწყის და ბოლო წერტილებად, რომელთა შორის კინოაუდიტო-

რის სპექტიფიკურ ტიპთა მთელი სპექტრია განლაგებული. სოციოლოგმა მაყურებლის თითოეული ამ ტიპის კინოსადმი დამოკიდებულება უნდა იკვლიოს. მან უნდა განსაზღვროს აუდიტორიის ყოველი მოცემული ტიპისთვის ზოგიერთი სოციალური, დემოგრაფიული თუ გონითი პარამეტრი, რომელთა ერთობლიობაც კინოსადმი მის ამ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკვლევა და, მათ შორის კინოსოციოლოგიური გამოკვლევა, სოციალური სუბიექტების ცნობიერების განსაზღვრელი ფაქტორების დადგენას გულისხმობს. მან უნდა გამოავლინოს საზოგადოების განსხვავებული ფენები, მოახერხოს საზოგადოების სტრუქტურირება კვლევისთვის მიზანშეწონილი პარამეტრების მიხედვით.

საზოგადოების დაყოფა თვისებრივად განსხვავებულ ფენებად სოციოლოგიურ ლიტერატურაში სოციალური სტრატეფიკაციის ცნებითაა ცნობილი და მის გარეშე კონკრეტულ-სოციოლოგიური ძიება კარგავს იმ საფუძველს, რომლის მეშვეობითაც მან საზოგადოებრივი ცნობიერების კონკრეტული სახე უნდა წარმოაჩინოს. მარქსისტულ სოციოლოგიაში სტრატეფიკაციის ცნება დღემდე ფაქტიურად იგნორირებულია და სოციოლოგიური კვლევა საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას ეფუძნება. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ არის შემუშავებული მანკვენებელთა მერტნაკლებად მყარი სისტემა, რომელთა ერთობლიობაც საზოგადოების განსხვავებული ფენების სასურველი დახასიათების საშუალებას მოგვცემდა, ამის უმთავრესი მიზეზი, როგორც ჩანს ისაა, რომ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განმსაზღვრელი რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებისა. ისეთი აუცილებელი ცნებები, როგორცაა, მაგალითად, საზოგადოების განსხვავებული ჯგუფების რეალური შემოსავალი ან საცხოვრებო მინიმუმის ოდენობა, საერთოდ არ არის დამუშავებული. პირველი მათგანი თითქოს უნდა ემთხვეოდეს ხელფასის სტრუქტურას, მაგრამ ჩვენი ცნობებებისთვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებების გამო მხოლოდ ხელფასზე დაყრდნობა არ იქნება გამართლებული, თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი სარკებლობს სხვადასხვა სახის შეღავათებითა და

პრივილეგიებით, ეს კი ნიშნავს, რომ მხოლოდ ხელფასზე მითითებით მოსახლეობის ამ ნაწილის შესახებ ბევრს ვერაფერს გავიგებთ, ან, ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მსახურნი, რომელთათვისაც ხელფასს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს. ამ პარამეტრების ცოდნა ხომ გარკვეულად მიგვანიშნებს საზოგადოების განსხვავებული ფენების სულიერ მდგომარეობაზე, მათს სოციალურ განწყობებზე და ღირებულებებით ორიენტაციებზე, იმაზე, თუ არსებობდა რა საკითხების მოგვარებაზეა ორიენტირებული ესა თუ ის სოციალური ფენა თავისი რეალური ცხოვრება-მოდეაჟივის პროცესში. ეს ორიენტაცია, ყველაზე ზოგადი გაგებით, შეიძლება იყოს მიმართული ცხოვრების მატერიალური მხარის მოგვარებისაკენ, საბოლოოდ, ორგანიზმის სახით არსებობის შენარჩუნებისაკენ, ან სულიერი ღირებულებისაკენ, შინაგნი ჯონითი პოტენციების რეალიზაციისაკენ. თუ სოციალური ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ინდივიდის მოდეაჟივობა არსებითად მატერიალური მხარის უზრუნველყოფითაა დაკავებული, მაშინ ნაკლები შესაძლებლობა არსებობს ინტენსიური სულიერი ცხოვრებისათვის, ე. ი. ნაკლებია ხელოვნებასთან სტაბილური ურთიერთობის პირობაც.

თუ საცხოვრებო მინიმუმის გაანგარიშება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს (ამ ცნებით მანიპულირება სხვა მოსაზრებების გამო იგნორირებული), საზოგადოების ამ თუ იმ წევრის რეალური შემოსავლის ოდენობის დადგენა მეტად რთულია, უფრო სწორად, მხოლოდ გარკვეული მიახლოებითაა შესაძლებელი, ისიც შემოვლითი გზით.

რა მოსაზრებებიდან შეიძლება ამოვიღეთ ამ კრიტერიუმის დადგენისას?

აღმიაანი საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ცხოვრების სტაბილიზაციას ეწრაფვის. რას ნიშნავს ეს?

მე მაქვს ცხოვრების გარკვეული გაგება. ცხოვრების ამ გაგების რეალიზაცია ითხოვს გარკვეულ პირობებს. ამასთან ჩემეული ცხოვრების გაგების რეალიზაცია სინამდვილეში იდეალური სისრულით ვერასდროს მოხერხდება. ამიტომ, მე ვესწრაფვი თვითრეალიზაციის შესაძლო და ჩემთვის ყველაზე მისაღებ ვარიანტს. თუ როგორი იქნება ეს ვარიანტი, დამოკიდებულია არა მხოლოდ ჩე-

მზე, ჩემს შინაგან უნარ-შესაძლებლობებზე, არამედ იმ სოციალურ სინამდვილეზეც, სადაც რეალურად მიხდება ცხოვრება. ყოველი აღმიაანი გარკვეულად გვემყვება ცხოვრებას. მაგრამ ცხოვრების დაგეგმვას მაშინ აქვს აზრი, როცა ცნობიერად თუ არა-ცნობიერად გამოძრავებს მიზანი, რომლის განხორციელებასაც ემსახურება შენი გვეგმიანი, ე. ი. მიზანდასახული ქმედებანი. ეს მიზანი მე წარმომიდგენია ჩემი გარკვეული მდგომარეობის სახით საზოგადოებაში. მე ვცდილობ მივაღწიო გარკვეულად სტაბილურ მდგომარეობას ცხოვრებაში, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების ჩემეული პროექტის მეტნაკლები სისრულით დაქმყოფილების შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ მე ცხოვრების ჩემეული პროექტის რეალიზაცია მოვახერხო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავიქმყოფილო ჩემი საარსებო მოთხოვნილებები. აქ ჯერჯერობით ლაპარაკია მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე. მე უნდა მოვაგვარო ჩემი ცხოვრების მატერიალური მხარე, მიუხედავად იმ ადგილისა, რომელსაც ენიჭებ მე ცხოვრების მატერიალურ მხარეს ცხოვრების ჩემეული გაგების საზღვრებში. ცხოვრების მატერიალური მხარის მოგვარება, თუნდაც მის მინიმალურ დონეზე, იმგვარი არჩების მოძიებას გულისხმობს საზოგადოებრივი მთელის შიგნით, რომელიც, ამ დონეზე მაინც, ჩემი ცხოვრების (თუნდაც არსებობის) სტაბილურობის გარანტიას მაძლევს.

საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფი ცხოვრების სტაბილიზაციის დონითა და ხარისხით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნორმალურ სიტუაციაში ისეთი სოციალური მაჩვენებლის გათვალისწინება, როგორიცაა შემოსავლის ოდენობა, პრაქტიკულ სირთულეს არ წარმოადგენს. დასავლეთის ქვეყნებში დაწესებული მკაცრი კონტროლი საშემოსავლო გადასახადების სახით, თითქმის სრულ წარმოდგენას გვექმნის ამ მიმართულებით მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზე და, აქედან, მათი ცხოვრების წესზეც. ჩვენთან შემოსავალი ხშირ შემთხვევაში არ არის ლეგალიზებული. ამიტომ მისა ოდენობის თუნდაც მიახლოებითი განსაზღვრის მიზნით, უნდა მოვახერხოთ მოსახლეობის განსხვავებული ფენების ცხოვრების წესის ანალიზი და ამაზე დაყრდნობით გავიღეთ ამა

თუ იმ სოციალური ფენის რეალური შემოსავლის ოდენობაზე. ასეთ პირობებში საზოგადოების განსხვავებული ფენებისთვის უნდა შემუშავდეს მაჩვენებელთა შესატყვისი სისტემა, ისეთი პარამეტრების გათვალისწინებით, რომელთა ერთობლიობამაც უნდა დაახასიათოს ცხოვრების მატერიალური მხარის შემადგენელი ისეთი კომპონენტები, როგორცაა: შრომით მოღვაწეობის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, ყოფის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, დასვენებისა და გართობის განმსაზღვრელი მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების საარსებო მინიმუმთან შეყვება საზოგადოების სტრუქტურირების საშუალება მოგვცემს და მიგვიჩვენებს განსხვავებული სოციალური ჯგუფებისათვის ცხოვრების სტაბილიზაციის მიღწეულ დონეზე. მაჩვენებელთა ამგვარი სისტემის უქონლობამ კინოს მასობრიობის სოციოლოგიური შესწავლისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოს ენისა და სტრუქტურის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ძალებით, არ მოგვცა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე კინოპროცესების უფრო სიღრმისეული კვლევის საშუალება. ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლეთ კინოაუდიტორიის ტიპოლოგიის ტრადიციული მეთოდებით, კინოაუდიტორიის დიფერენციაციის საფუძვლად ავიღეთ მოსახლეობის ზოგიერთი სოციალური და დემოგრაფიული პარამეტრი. ჩვენ იმთავითვე ვგულისხმობდით, რომ მყაყრებლის ასაკი, განათლება, პროფესია და ამ რიგის სხვა პარამეტრები განაპირობებენ კინოაუდიტორიის მოცემული ტიპის სპეციფიკურ სახეს მისთვის დამახასიათებელი სოციალური განწყობებითა და სოციალურ-ტურული მოთხოვნილებებით.

აქ მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ამ რიგის სოციალური პარამეტრები, ისევე ჩვენი ცხოვრების სპეციფიკური თავისებურებების გამო, ხშირ შემთხვევაში არაა იმ ინფორმაციის მატარებელი, რომლის წარმოჩენისა და გათვალისწინების მიზნითაც ოპერირებენ ამ ცნებებით კონკრეტულ-სოციოლოგიური ძიებისას. მაგალითად, განათლების მაჩვენებელი საზოგადოების დიფერენციაცია არ იძლევა საჭირო ეფექტს, ერთი მხრივ, განათლების სოციალური ინსტიტუტის არანორმალური ფუნქციონირების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტური სა-

ბაზისო სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო. ვინაიდან სტატისტიკური მონაცემები ვახსენეთ, აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს სტატისტიკური სამსახურის მნიშვნელობა სოციოლოგიური კვლევისათვის. სოციოლოგიური კვლევისას, როგორც წესი, იყენებენ ასეთ მონაცემებს და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას, ხშირ შემთხვევაში, ამ მონაცემების არსებობისა და ხელმისაწვდომობის პირობებში მუშავდება. ამ მეთოდების პირდაპირი ვადმოტანა გაუმართლებელია. ერთი მხრივ, ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების არაობიექტური და შეგნებულად დამახინჯებული ხასიათის გამო; ამ მონაცემებზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, ბუნებრივია, ვერ მოახერხებს სოციალური პროცესების ადეკვატურ შეფასებას, მეორე მხრივ, სამეცნიერო საპირობისათვის გამოუყენებელი ხდება ე. წ. გასაიდუმლოებული დოკუმენტები, რომელთა გავრცელების არეც ჩვენი ცხოვრების მეტნაკლებად მნიშვნელოვან ყველა სფეროს მოიცავს.

ეს რაც შეეხება ზოგიერთ იმ სირთულეს, რომელიც აუცილებლად შეგვხვდება სოციოლოგიური ძიების ვაზაზე, და რომელთა უმრავლესობაც, არსებითად, ჩვენი ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

როგორც უკვე ითქვა, კინემატოგრაფის თვითანაზღაურებაზე გადასვლის შემდეგ განსაკუთრებით აქტუალური გახდება სტაბილური აუდიტორიის პრობლემა. სტაბილური აუდიტორიის ქმნის კინოხელოვნების ქეშმარიტ დამფასებელთა შედარებით მცირე აუდიტორია და კინოსანახაობისკენ ორიენტირებული მასობრივი აუდიტორია, ახალ პირობებში სასიკონკლო მნიშვნელობა ენიჭება სტაბილური კინოაუდიტორიის ფორმირებას საერთოდ, მაგრამ კინოაუდიტორიის სტაბილიზაცია უნდა მოხდეს გარკვეულად მისაღებ დონეზე, რომელმაც ეროვნული კინემატოგრაფის ნორმალური ეკონომიკური ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს, ამ ამოცანის განხორციელება ძალზე რთულია, მითუმეტეს ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო. ამასთან, კომერციულმა ინტერესმა არ უნდა იმოქმედოს ქართული კინემატოგრაფის მიღწეულ დონეზე. აქ უკვე აღინიშნა, რომ მყაყრებელზე ორიენტირებული კინოხელოვნებაც სპეციფი-

კური პრობლემების წინაშე დგება. კინოაუდიტორიის ყველაზე აქტიურ ნაწილზე, მასობრივ მაყურებელზე ორიენტირებული კინოხელოვნება შეზღუდული აღმოჩნდება მასობრივი ცნობიერებით, მისთვის დამახასიათებელი მხატვრული გემოვნებითა და ლირებულებითი ორიენტაციით.

ქართული კინოს ავტორიტეტი დღეს საქვეყნოდ აღიარებული ფაქტია. ეს აღიარება ქართული კინემატოგრაფის მაღალმხატვრულმა კინოპროდუქციამ განაპირობა. ეროვნული კინემატოგრაფის ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ და აქედან გამომდინარე მისმა ეკონომიკურმა ინტერესმა არ უნდა დაჩრდილოს კინოპროდუქციის მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებები. ამას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ეროვნული კინემატოგრაფის ახალი მოდელის სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებების გააზრებისას ამ მნიშვნელობიდან უნდა გამოვიდეთ. დღეს, ობიექტურად არც ერთ სხვა ხელოვნებას არ აქვს იმდენი საშუალება ქართული კაცის უნიკალური მსოფლგანცდა ზოგადსაკაცობრიო კომუნიკაციურ არხში ჩართოს, როგორც ეს კინოხელოვნებას შეუძლია. უპირველეს ყოვლისა კინოხელოვნების დემოკრატიული ბუნების გამო, რაც, ერთი მხრივ, იმაში გამოიხატება, რომ კინო ყველასთვის ხელმისაწვდომი ხელოვნებაა და, მეორე მხრივ, ფაქტურად არ იზღუდება ენობრივი ბარიერით და სხვა ეროვნების ადამიანთათვის ამ მხრივაც ხელმისაწვდომი და გასაგები ხდება. დღეს ქართულ კინოს დამახასიათებლად უკვეა მოწინავე ადგილი მსოფლიო კინემატოგრაფიულ სამყაროში და ახალ პირობებში მან კიდევ უფრო უნდა განიმტკიცოს პოზიციები.

მოკლედ, კინემატოგრაფი ჩვენთვის არაა მხოლოდ ერთგვარი ეკონომიკური სარგებლიანობის შექანიზმი. ის უპირველეს ყოვლისა, სულიერ ღირებულებებს ქმნის და, როგორც ჩვენი სულიერი პოტენციების გამომხატველი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს გარემოება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ეროვნული ნიშნით განსაზღვრული კინემატოგრაფის ახალი მოდელის ფორმირების საკითხს. მაგრამ ქართული კინემატოგრაფის დღევანდელი მდგომარეობა არ იძლევა ამის სრულფასოვანი განხორციელებ-

ის საშუალებას. ეს მდგომარეობა შემდეგი პარამეტრებით შეიძლება დახასიათდეს:

1) კინოსტუდიების ტექნიკური აუქსუერობა, ე. ი. ის საშუალებები, რომლებიც ხდება კინოპროდუქციის წარმოებისათვის არაა თანამართლებიერი. ვინც ოდნავ მაინც ჩახვეულია ამ საქმეში, დაგვეთანხმება, რომ ამ მხრივ საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

2) კინოს რეკლამირების საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ კინორეკლამა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, ჩვენთან საერთოდ არ არსებობს, აქ იგულისხმება კინოპროდუქციის რეკლამირება არა მხოლოდ რესპუბლიკურ ბაზარზე, არამედ საკავშირო და საერთაშორისო კინომაზარზეც. 1987 წელს კინოს რეკლამირების სხვადასხვა საშუალებისათვის გამოყოფილი იყო მხოლოდ 15 ათასი მანეთი.

3) კინომომსახურების მიღწეული დონე რესპუბლიკაში — აქ შედის რესპუბლიკაში არსებული კინოთეატრების არასაკმარის რაოდენობა და განლაგება, მათი ტიპური ერთგვაროვნება, მოუწყობლობა და არაკომფორტაბელურობა.

4) კინორეპერტუარის დაგეგმვა კინოაუდიტორიის თვისებრივი პარამეტრების გათვალისწინების გარეშე, რაც გამოწვეულია კინოაუდიტორიის სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების უკოდინარობით.

აქ შეიძლება ითქვას, რომ შემაფერხებელი გარემოებების ჩამოთვლა.

კინემატოგრაფის დღევანდელი მდგომარეობის გამო მისი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გაუშართლებლად გვეჩვენება. კინემატოგრაფი ეკონომიკური და მოქალაქეობის მიმართულებით უნდა განვითარდეს. მაგრამ პირველ ეტაპზე მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი იქნება ფინანსური დახმარებაც. ასეთი დახმარება გასაგები მიზეზების გამო არაა მიზანშეწონილი საკავშირო ბიუჯეტის მხრიდან. ყველაზე მისაღებია დახმარება საქართველოს კულტურის ფონდის მხრიდან, ან რესპუბლიკის მსხვილი წარმოება-დაწესებულებების მხრიდან შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამის პარალელურად აუცილებელია მუშაობა იმ რეზერვების გამოვლენისათვის, რომ-

მელიც მაცურებლის კინოში მოზიდვის ოპტიმალურ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. ეროვნული კინემატოგრაფი უპირატესად ეროვნულ კინოაუდიტორიაზე უნდა იყოს ორიენტირებული და, როგორც ჩანს, ეს ორიენტაცია მას უფრო მეტ წარმატებას მოუტანს საერთაშორისო ბაზარზეც. ამის შესახებ იმიტომ გვჩვენება საუბარი, რომ დღეს ქართული კინემატოგრაფი ნაკლებად ითვისებს ინტერესებს ქართული კინოაუდიტორიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ ქართულ ფილმებზე დასწრებამ რესპუბლიკის კინოაუდიტორიის საერთო მოცულობის მხოლოდ 8.3% შეადგინა (1988 წ.). სავარაუდოა, რომ ეს მონაცემი, გარკვეული მიზეზების გამო, არ შეესატყვისება სინამდვილეს და ის კიდევ უფრო დაბალია. ქართულ ფილმებზე დასწრების ეს მაჩვენებელი არსებითად ჩვენი სოფლის მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი კინოაქტიურობითაა გამოწვეული. კინოდასწრების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი საქართველოს სოფლისთვის ყველა სხვა რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელზე დაბალია და სულ რა თქვით შემოიფარგლება (ანალოგიური მაჩვენებელი რსფსრ-ის სოფლებში 14-15 კინოდასწრებაა). გართალია, ამას თავისი ობიექტური პირობებიც გააჩნია ქართული სოფლის არაბელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაციისა და ეთნიკური შემადგენლობის გამო. ცნობილია, რომ ყველაზე მაღალი კინოაქტიურობით ახალგაზრდები გამოირჩევიან, მაგრამ თანამედროვე ქართული სოფელი ახალგაზრდობის ნაკლებობას განიცდის. უარყოფითად მოქმედებს კინოდასწრებაზე სოფლად კინომომსახურების მიუღებლად დაბალი დონეც. სოფლის მოსახლეობის დაბალი აქტიურობის ერთ-ერთი ფაქტორი ქართული კინოპროდუქციის ხასიათშიც უნდა ვეძიოთ. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კინემატოგრაფი არ ითვისებს ინტერესებს სოფლის კინოაუდიტორიის სოციალურ-კულტურულ თუ ღირებულებით-ორიენტებულ თავისებურებებს. მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება არ ნიშნავს ხელოვანის შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურ ჩარევას, როგორც ეს ზოგჯერ ესმით ხოლმე ხელოვანთა წრეში. სოციოლოგის რეკომენდაციები კონკრეტული ხელოვანის შე-

მოქმედებით მოღვაწეობას კი არ ეხება, არამედ კინოპროდუქციის ორგანიზაციული მხარის კონკრეტურობისა და მისი ოპტიმიზაციისათვისაა მოწოდებული. კინოსოციოლოგიური რეკომენდაციები უნდა დაგვიწოდოს წლიური კინორეპერტუარის ფორმირებისას, კინოპროდუქციის განრობრივი სტრუქტურის შემუშავებისას და სხვა. აქვე უნდა ითქვას, რომ კინოს ამ თუ იმ ენარის შინაარსი კინოთეორიის პოზიციებიდან კი არ უნდა იყოს დადგენილი, არამედ მის შინაარსში უნდა ვხედავდეთ იმ მნიშვნელობას, რომელსაც მასში დებენ კონკრეტული კინოაუდიტორიის განსხვავებული ტიპები, ამის მიღწევა კი სოციოლოგიური მეთოდებითაა შესაძლებელი. აქ იკვეთება კინოსოციოლოგიური მეცნიერების შეხების წერტილები კინოგაქიარავებისა და კინოქსელის მოღვაწეობასთან.

ბუნებრივია, რომ კინოქსელის ნორმალური მუშაობა კინოში მოსული მაცურებლის რაოდენობაზე დამოკიდებულია. ამის მიღწევა შეიძლება, ერთი მხრივ, ე. წ. რთული, ინტელექტუალური ფილმებისა და თვალსასიყარი, გასართობი ფილმების ოპტიმალური თანაფარდობით კინორეპერტუარში და, მეორე მხრივ, კინომაცურებლისთვის მხატვრული პროდუქციის დიფერენცირებულად მიწოდების შესატყვისი ხერხების გამოანახით.

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ უფრო მიზანშეწონილია ე. წ. „საღარიბე“ ფილმების ერთდროული ჩვენება ქალაქის რამდენიმე დიდ კინოდარბაზში, ვიდრე მისი მონაცვლეობა ერთი კინოთეატრიდან მეორეში, ამის საპირისპიროდ რთული, ინტელექტუალური ფილმების დემონსტრირება უმჯობესია რამდენიმე პატარა კინოდარბაზში, ოღონდ შედარებით უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე. თუ მასობრივ აუდიტორიაზე ორიენტირებული ფილმი მაცურებელს თავს უყრის დროის გარკვეულად ლოკალურ მონაკვეთში, ასე ვთქვათ, პირიზონტალური მიმართულებით, მაღალმხატვრული კინოაწარმოები მაცურებლის „დაგროვებას“ დროის ვერტიკალურ პრილში ახერხებს. და ვინაიდან ქართული კინემატოგრაფი არსებითად მაღალმხატვრული კინოაუდიტორიისკენაა მიმართული, უფრო მიზანშეწონილი და მოსახერხებელი ჩანს ორიენტაცია უფრო მცირე ზომის კინოდარბაზე-

ბზე. ეს ქალაქში და სოფლად მათი ოპტიმალური განლაგების საშუალებას იძლევა, შედარებით მცირე დანახარჯებს მოითხოვს და კომპარატიულ საწყისებზეც შეიძლება გადაწყვედეს.

გარდა ამ პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისა კონოსოციოლოგიურ ინფორმაციას შეუცვლელი სამსახურის გაწევა შეუძლია კონოკრიტიკისათვის. ხელოვნებასა და, განსაკუთრებით კონოხელოვნებას ძალუძს ზემოქმედება მოახდინოს ხალხის ფართო მასების ცნობიერებაზე. სხვათა შორის კონოკრიტიკის უმთავრესი დანიშნულებაა კონოს ფუნქციონირების სოციალური ეფექტიანობის დადგენა. კონომცოდნეობითი ძიებისგან განსხვავებით, კონოკრიტიკამ ეკონომიკური ხელოვნების მხატვრული და ესთეტიკური თავისებურებები კონკრეტულ სოციალურ სინამდვილესთან მიმართებაში უნდა გაიაზროს. ამა თუ იმ ფილმის სოციალური ეფექტი გამოამდინარეობს არა იქიდან, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მასში ხელოვანმა, არამედ არსებითად იქიდან, თუ რა ამოიკითხა ფილმში მკითხველმა. ხოლო ის, თუ რა ამოიკითხა ფილმში მკითხველის განსხვავებულმა ტიპმა, კინოაუდიტორიის სოციოლოგიური შესწავლის შემდეგ გახდება შესაძლებელი. ჩვენ დღეს შეგვიძლია ამა თუ იმ ფილმის ეკონომიკურ წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე საუბარი. მაგრამ გვიჭირს საუბარი ფილმის სოციალურ ეფექტიანობაზე, მაგალითად ვამბობთ, რომ „მონანიება“ მკითხველის საკმაოდ დიდი რაოდენობა მოიზიდა, მაგრამ თვით ამ მკითხველის თვისებრივი გარკვეულობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. სხვათა შორის „მონანიების“ სოციალური ეფექტიანობა იმაში გამოვლინდა, რომ მან დაარბია მოიყვანა ადამიანი, რომელიც საერთოდ არ დადიოდა კინოთეატრში ფილმის სანახავად. ჩვეულებრივ, კინოაუდიტორიის სოციალურდემოგრაფიული სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება „მონანიების“ აუდიტორიის ანალოგიური სტრუქტურისაგან. შეიძლება ითქვას, რომ მან გააღვივა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიძინებელი კონონტერესი.

კონოკრიტიკოსმა ისიც უნდა გაარკვიოს, რა ფაქტორებმა განაპირობა ფილმის მასობრივი წარმატება, მხატვრულმა თავისებურებებმა. პუბლიცისტურმა ჟღერადობამ თუ

ფილმის სანახაობითმა მიმზიდველობამ მას კონოკრიტიკა ვერ მოახერხებდა, თუ რა რეჟისორმა შესატყვისი სოციოლოგიური ინფორმაცია თანამედროვე კონოკრიტიკის მკვლევარად, წარმოუდგენელია კარგად დასაწყისებული სოციოლოგიური სამსახურის გარეშე.

კონოსა და სოციოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხის ირგვლივ კიდევ შეიძლება და მსჯელობის გაგრძელება. მაგრამ ვთვლით, რომ მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათელია კონოსოციოლოგიური ძიების საჭიროება კინემატოგრაფის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, განსაკუთრებით ახალ, ეკონომიკურად დამოუკიდებელი კინემატოგრაფის პირობებში.

სოციალური სამყარო, როგორც მნიშვნელობა მინიჭებული სამყარო, მნიშვნელობის მიმნიჭების თავისებურებებითაა განსაზღვრული. სოციოლოგი თავისი ცვლადის ობიექტად ამ თავისებურებებს იხდის, რათა მასზე დაყრდნობით ამაღლდეს თავისი ცვლადის ქეშმარიტ საგნამდე — საზოგადოების განსხვავებული ფენების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე აღმოცენებულ იდეალურ რეალობამდე. ეს ის რეალობაა, რომელიც სოციალური სუბიექტების კონკრეტული ურთიერთზემოქმედების პროცესში იქმნება და შესატყვის სახეს აძლევს ამ ურთიერთობებში. სოციოლოგის მხოლოდობა იქ ჩერდება. ის ყოველდღიურ ცხოვრებაში აღმოცენებული ურთიერთობის კონკრეტულ ფორმებს აფიქსირებს. ამ ფორმების შეფასება ცნობიერების შესაძლებლობის ცვლადის ნიადაგზეა შესაძლებელი. მისი შედეგი ისაა, რაც საზოგადოების სოციალური კულტურის ცნებაში გვესმის. განზოგადების უფრო მაღალ საფეხურზე სოციოლოგია კულტუროლოგიის მნიშვნელობას იძენს, რადგან შეფასება ღირებულების ცნებას გულისხმობს, ხოლო კულტურის ცნება ღირებულებითი ასპექტის გარეშე არ იაზრება. თუმცა იქ ჩვენ უკვე ნელ-ნელა ვიჭრებით ფილოსოფიის კომპეტენციას. ამ გაგებით სოციოლოგია სოციალური ფილოსოფიის ემპირიად შეიძლება დავსახოთ. სოციალური ფილოსოფია იცვლევს ცნობიერების შესაძლებლობებს სოციალური ცხოვრების მოწყობის გზაზე, სოციოლოგია კ—ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩამოყალიბებულ ნამდვილ სოციალურ სამყაროს.





კვირ პაოლუ პაფორენი

ეროვნული  
გენერაციონალური

# პოეტური კინო. შესავალი

კინოსმოდერნიზმითი კვლავს მეოდიოდეკაურტობლებს დღეს უდიდეს მნიშვნელობა ენიჭება. უველაზე უფალითავე ეს პობლებსა „კინოს“ კვლავს ხდროში წარმოჩნდება. კინოხელოვნებას ენის, ფილმის სახერტრუქტურაში მისაფუნქციონირების საკითხები ჩვენს კინოხელოვნებაში, სამწუხაროდ, დღემდე შეუსწავლელია. პირველი მოკრძალებული ნახიქება ამ გზაზე, ფიქტურად, ახლა ეთდება. მხოფლიო კინოფორმულ აზროვნებაში კ ამ მხრავ მდადარი გამოცდადება დეაგროვად, ხაზოვალბდა კონცეფციები, შეაკმნა სკოლები, სხვადასხვა მიმდინარეობები. ვფიქრობთ, რიგორც კინოს სპეციალიზტბმისათვის, ისე კინოსმოყვარული ქართველი მკითხველისათვის ინტერესპობლებული არ იქნება ამ სკოლებსა და მიმდინარეობების უველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია შრომების გაცნობა. ჩვენი ფურხნლის 1985 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ფრანგმეტაგამოჩენალი იტალიელი პოეტის, ენესტოს, რეზნორისა და კინოს თეორეტკოსის პირტ პაოლუ პაფორენის მოხსენებადან „პოეტური კინო“. პაფორენი იყო პუნჯარში (იტალია) ახალი კინოსადმი მიძღვნილი პირველი ფიქტურების (ამ ფიქტურებზე პირიფული ფილმბსაც უფილდა წარმოდგენალი) აქტური მონაწილე და რეჟულარულად გამოდიოდა თეორიული მოხსენებებში. „პოეტური კინო“ არის მისი ერთ-ერთი პირველი კინოსმოდერნიზმითი ტექტი, რომელიც მან 1985 წელს მოახზადა.

მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ ფრანგმეტაგამოჩენალი (მოხსენების შესავალს), რომელსაც ატორია განახილავს აუდიოვიზუალურა შემოქმედების სპეციაფიკას ლიტერატურულიდან შედარებით და სთავაზობს კინოს მკვლევარს ხეკრასო შემოქმედების შესწავლის ერთ ახებტბ, რომელიც იძლევა ფილმის „ლინგვისტური“ და „ესთეტური“ (პაფორენის ტერმინი) დონეების გამოქენის საშუალებას.

ვფიქრობთ, ჩვენს დროში კინოზე, როგორც ექსპრესიულ ენაზე, ვერ ვისაუბრებთ სემიოტიკურ ტერმინოლოგიაზე ორიენტაციის გარეშე. იმიტომ, რომ პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: თუკი ლიტერატურული მეტყველების პოეტკოს კვლევა მეტყველის საზოგადოებრივ მონაპოვარს — ფუნქციონალური ენის მყარ ფუნდამენტს უყრდნობა, კინომეტყველება, ერთი შეხედვით, თითქოს, არაფრისგან ყალიბდება, მას არავითარი სა-

კომუნიკაციო ენა არ უდევს საფუძვლად. ამის გამო ლიტერატურული მეტყველების ვარიანტებს ჩვენი ცნობიერება უმალეს საზოგადოებრივ დონეზე ჩამოყალიბებული, მართლაც რომ კომუნიკაციისათვის განუყოფნილი ინსტრუმენტის რეალიზაციად მიიჩნევს. საყოველთაო მოხმარებისათვის ხელმისაწვდომი ასეთივე ეფექტიანი ინსტრუმენტის გარეშე, კინემატოგრაფიული კომუნიკაცია მკდარი და თვითნებური იქნებოდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ აღამიანთა ურთიერთობა მყარდება სიტყვების და არა ხატების მეშვეობით, სპეციფიკურად ხატოვანი მეტყველება ხელოვნური, წმინდა წყლის აბსტრაქცია იქნებოდა.

ეს რომ მართლაც ესე ყოფილიყო, რაკ ერთი შეხედვით შეიძლება ჰემარტიკებად მოგვეჩვენოს, კინო ფიზიკურად ვერ იარსებებდა და ხელში შეგვრჩებოდა უაზრო ნიშანთა რიგი. მაგრამ კინო კომუნიკაციაში მონაწილეობს ე. ი. ის ასევე იყენებს საყოველთაოდ მიღებულ ნიშანთა მემკვიდრეობას.

სემიოტიკას ერთიანი დამოკიდებულება აქვს სხვდასხვა ნიშანთა სისტემების მიმართ. იგი გამოყოფს, მაგალითად „ლინგვისტურ ნიშანთა სისტემებს“ იმდენად, რამდენადაც ისინი არსებობენ. მაგრამ ეს სრულეობით არ გამოირიცხავს სხვა ნიშანთა სისტემების თეორიული განხილვის შესაძლებლობას, თუნდაც მიმიკურისას. ამასთანავე, სასაუბრო ენის სრულყოფილი აღწერისათვის ასეთი სისტემა აუცილებელია.

მართლაც, სახის სხვადასხვა გამომეტყველება ერთი და იგივე სიტყვა-ლინგვონიშანს სრულიად განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობას ანიჭებს (განსაკუთრებით თუ მოსაუბრე ნეაპოლია): სიტყვა ერთი ქესტის თანხლებით ერთი ნიშნავს, ხოლო სხვა ქესტის თანხლებით — სულ სხვას და ა. შ.



გიორგი შალვა ჩიქობავა

მიმიკურ ნიშანთა სისტემა, რომელიც რეალური კომუნიკაციის დროს ლინგვისტურ ნიშანთა სისტემასთანაა გადახლართული და მის ინტეგრირებას ახდენს, შესაძლოა ავტონომიურად იქნას შესწავლილი.

აბსტრაქტული ჰიპოთეზის სახით შესაძლოა ვივარაუდოთ მიმიკურ ნიშანთა უნიკალური სისტემის, როგორც ადამიანისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის ერთადერთი ინსტრუმენტის არსებობა (ყველა ნეაპოლეელი საბოლოო ჯამში ყრუ-მუნჯია). მაშინ კომპეტენტების პრაქტიკული არსებობისა და ბუნებრივი კომუნიკაციის მთელი რიგი არქეტაპებისათვის მისი გამოსადგვობის შესაძლებლობა ვიზუალურ ნიშანთა ამგვარ ჰიპოთეტურ სისტემაზე იქნება დაფუძნებული.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტა იქნებოდა. მაგრამ აქვე დაუყოვნებლივ უნდა დავუმატოთ, რომ ადრესატი, ვისთვისაც განკუთვნილია კინემატოგრაფიული პროდუქტი, შეჩვეულია „წაიკითხოს“ გარემომცველი სინამდვილე, ე. ი. ჩაებას მასთან კონკრეტულ დიალექში ისე, რომ მისი კოლექტივისტური არსი გაითვალისწინოს; ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ ადრესატის ჩვეებასა და მოქმედებებს სრულიად მარტივი ხილული გამოხატულება აქვთ. სულ მარტო, ყურებდაცობილმავე რომ ვისეირნოთ ქუჩაში, ჩვენ

მაინც განუწყვეტლივ კონტაქტში ვიქნებით იმ ატმოსფეროსთან, რომელიც გამოხატულებას პოულობს მის შემადგენელ ხატებში — ადამიანთა სახეებში, მათ ქცევებსა თუ ექსტრემში, სცენებში, რომლებშიც ადამიანი მონაწილეობენ, მათ კოლექტიურ ჩვენებაში (მაგალითად, შექნიშანთან შეჯვრებულ ხალხი, ან კიდევ ალღეზებული ბრბო, გარს რომ შემოხვევია საგზაო შემთხვევის მსხვერპლს ან ქალთევზას კაპუანის კარიბჭესთან). გარდა ამისა, სასიგნალო ფარებში, საგზაო ნიშნებში და ა. შ. ერთი სიტყვით, ნივთებსა და საგნებში, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ „უხეშად“, თვით თავისი არსებობის ფაქტით მეტყველებენ.

მაგრამ ამის გარდა, იტყოდა თეორეტიკოსი, თვით ადამიანის შიგნით არსებობს მთელი სამყარო, რომელიც გამოხატავს თავის თავს გარკვეული მნიშვნელობის მქონე ხატების (მოდით, შემოვიღოთ ტერმინი „ნიშან-ხატი“) — საშუალებით. მხედველობაში

მაქვს სიხშირებსა და მოგონებების სამყარო.

მესსიერების მიერ განხორციელებული ნებისმიერი რეკონსტრუქცია არის „ნიშან-ხატი არსებობის შედეგი“. მარტივ შემთხვევაში — ეს კონკადრია („სად შინაბავს ეს კაცი? მოიცა... მოიცა... ვგონებ, ძაგორში“, — მწვანე პალმებიანი, ვარდისფერი სანამპირის ხატება, — .... — აბდ-ელ-კადერის პროტაში“... — სახე აბდ-ელ-კადერისა“ და ამ — „ადამიანისა“, რომელიც ფრანგული ექსპანპოსტის წინ დასეირნობს და ა. შ.). ამგვარად, ყოველი ზმანება არის კონკადრის თვისებების (მსხვილი და საერთო ხედების, დეტალებისა და ა. შ. გამოყოფის უნარი) მქონე ნიშან-ხატთა თანმიმდევრობა. ერთი სიტყვით, არსებობს გარკვეული მნიშვნელობის მქონე ხატებათა რთული სამყარო, რომელიც კინემატოგრაფიული კომუნიკაციის წინამორბედა და მის „ინსტრუმენტულ ბაზისს“ წარმოადგენს.

აქ აუცილებლად ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ინსტრუმენტარიაში, რომელიც საფუძვლად უდევს პოეტურ ან ფილოსოფიურ კომუნიკაციას, ყოველმხრივ და გულდასმით არის დამუშავებული და წარმოადგენს რეალურ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ და მომწიფებულ სისტემას. მაშინ როდესაც ვიზუალური კომუნიკაცია, რომელიც საფუძვლად უდევს კინომეტყველებას, პირიქით,

სრულიად დაუმუშავებელ, პირველყოფილ მდგომარეობაშია. ისევე, როგორც მიმიკა და უბეში რეალობა, ასევე სიზმარი და მესხიერების მექანიზმები პროტოადამიანურს მიეკუთვნებიან ან კაცობრიობის ერის ზღვრბლოან დგანან: ყოველ შემთხვევაში, ისინი პროტოგრამატიკულნი და პროტომორფოლოგიურნი არიან (სიზმარი, მნიშვნელოვანი მექანიზმების მსგავსად აღმოცენდება არაცნობიერის დონეზე, მიმიკა უაღრესად პრიმიტიული ელტურის ნიშანია და ა. შ.). ამგვარად, ლინგვისტური ინსტრუმენტარიაში, რომელსაც კინემატოგრაფი ეფუძნება, ირაციონალურია, ამით აიხსნება კინემატოგრაფის ღრმად ონირიული ბუნება და კონკრეტულობა, რომელსაც შეიძლება საგნობრივი კონკრეტულობა ვუწოდოთ.

შევედები უკეთ გამოვხატო ჩემი აზრი: ყოველგვარ ნიშანთა სისტემა ლექსიკონში: თამოყარილი და ჩაეტილი. ამ ლექსიკონის გარეშე არაფერი არ არის, გარდა მიმიკისა, რომელიც ამ ნიშანს საუბრის დროს ახლავს.

ამგვარად, ყველა ჩვენგანს თავში აქვს ლექსიკური თვალსაზრისით არასრული, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით — სრულყოფილი ლექსიკონი. ესაა ჩვენი წრისა და ერთისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნიშანთა სისტემა.

მწერალმა უნდა ამოიჩინოს ამ ლექსიკონიდან სიტყვა ისევე, როგორც ირჩევენ ყუთში შენახულ საგნებს და მოიხმაროს იგი როგორც სიტყვის ისტორიული, ისე მისი უშუალო მნიშვნელობის შესაბამისად. ამის შედეგად, ისტორიულობის ხარჯზე, ამ სიტყვის მნიშვნელობას კიდევ რაღაც ემატება.

თუკი მომდევნო ლექსიკონებში ეს მწერალი დაითვლის მის მიერ „სიტყვის განსაკუთრებული ხმარების“ შემთხვევებს, აღმოჩნდება, რომ ისინი სიტყვათა მთელი კორპუსის ნამატს შეადგენენ. ამგვარად, გამოშახველობის ძიება ამ მწერალური მიგნება წარმოადგენს ენისადმი ისტორიული კონტექსტუალურობის ანუ რეალურობის ნამატს. ეს ნამატი ამუშავებს, ხეყწს ენას, როგორც ინსტრუმენტული ლინგვისტური სისტემა ან როგორც კულტურული ტრადიცია. ამგვარი საქმიანობა, ტოპონომასტიკური აღწერისას, მხოლოდ ერთ მომენტამდე დაიყვანება: ნიშნის მნიშვნელობის განმეორებით წარმოება-მდე, თუმცა მოსახმარად გამზადებული ეს ნიშანი უკვე იყო ლექსიკონში.

ფილმის ავტორისათვის მსგავსი ქმედება: გაცილებით უფრო რთულია. ხატთა ლექსიკონი არ არსებობს. არ არის არცერთი ხატორომელიც მზა სახით ეარტოთეეს, ბუნებრივი იყოს შეტანილი, ხატთა ლექსიკონის შექმნის დღენას თუ ვისურვებდით, იგი უნასრულო სახით უნდა წარმოგვედგინა — ისეთივე უსასრულო, როგორც შესაძლებელ სიტყვათა ლექსიკონი იქნებოდა.

ავტორს კინოში არა აქვს ლექსიკონი, მაგრამ მის განკარგულებაშია შეუზღუდავი საშუალებები: იგი თავის ნიშნებს (ნიშან-ხატებს) ყუთიდან, საცაყიდან, სახაბარკო განყოფილებიდან კი არ იღებს, არამედ ქაოსიდან, სადაც არის მექანიკური და ონირიული კომბინაციის მხოლოდ რეალური შესაძლებლობა ან მინიშნება მაინც.

ამგვარად, კინოში ავტორის საქმიანობა ტოპონომასტიკურად რომ აღვეწროთ, აღმოჩნდება, რომ იგი ორი ობერაკისაგან შედგება. მართლაც, მან უნდა აიღოს ქაოსიდან ნიშან-ხატი, ზღმისაწყდომი გახალისა ლქმისათვის და იგარაუდოს, რომ იგი გარკვეული მნიშვნელობის მქონე ნიშან-ხატთა (მიმიკა, ატმოსფერო, სიზმარი, მესხიერება) ლექსიკონშია შეტანილი; მხოლოდ ამის შემდეგ შეასრულოს ის ობერაკია, რომელსაც ახოტყიელებს მწერალი — ამ წმინდად მორფოლოგიურ ნიშან-ხატის ინდივიდუალურა, ექსპრესიული თვისებები მიანიჭოს.

ერთი სიტყვით, თუ მწერლის მოღვაწეობა — წმინდად მხატვრული შემოქმედებაა, ფილმის ავტორის მოღვაწეობა გერ ლინგვისტური შემოქმედებაა და შემდეგ — მხატვრული.

\* \* \*

კინემატოგრაფის არსებობის ორმოცდაათ წლის მანძილზე შეიქმნა ერთგვარი კინემატოგრაფიული ლექსიკონი ანუ პირობითობების სისტემა, რომელიც იმითაა საინტერესო, რომ მისი სტილისტიკა უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე გრამატიკა.

ავიღოთ, მაგალითად, ორთქლში გაბეული მატარებლის ბორბალთა ხატი: ეს სინტაგმა კი არა, სტილიემაა, რაც უფლებას გვაძლევს ეცუარაუდოთ, რომ თუმცა კინემატოგრაფს აქვს ნამდვილი გრამატიკული ნორმატივობა, მისი გრამატიკა სხვა არაფერია, თუ არა ე. წ. სტილისტური გრამატიკა; ფილმის გადართვისას ავტორმა უნდა გაიმეოროს ის ორმა-

გი ოპერაცია, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. რაც შეეხება ნორმას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს გამომსახველ საშუალებათა გაურკვეველი რაოდენობით, რომლებიც გაჩნდა როგორც სტილემები, მაგრამ სინტაგმებად იქცა.

სამაგიეროდ კინო-ავტორმა უნდა განავითაროს სტილისტური ტრადიცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ათწლებლებს ითვლის: პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი პირობითობა, რომლის დარღვევაც სკანდალს გამოიწვევდა. ასეთ შემთხვევაში „კონტექსტუალურ-ისტორიული ნაშატი“ ეხება ნიშანხატს, რომელიც სულ ახლახან გაჩნდა.

შესაძლოა სწორედ აქედან მოდის კინემატოგრაფის ერთგვარი არამდგრადობის შეგრძნება; მისი გრამატიკული ნიშნებია საგნები, რომლებიც იმ სამყაროს კუთვნილებას წარმოადგენენ, რომელშიც ქრონოლოგიურად დრო მოჭამა: 30-იანი წლების კაბები, 50-იანი წლების ავტომანქანები... — უტიმლოვით ან იმ განსაკუთრებული ეტიმოლოგიის მქონე „ნივთებია“, რომელიც სიტყვათა შესაბამისი სისტემით გამოიხატება.

ევოლუციას, რომელიც წინ უსწრებდა გარკვეული გემოვნების ჩამოყალიბებას (რამაც განაპირობა გარკვეული სახის კაბებისა და ამა თუ იმ ტიპის ავტომანქანების გამოგონება), თან ახლავს შესაბამისი სიტყვათა ევოლუცია, მაშინ, როცა თვით ეს საგნები უძრავია და თავის თავზე მხოლოდ იმას ამბობენ, რასაც ყოველ კონკრეტულ მომენტში წარმოადგენენ. ლექსიკონი, რომელშიც ეს საგნები შეაქვს ფილმის ავტორს, მის მიერ წარმოებული ოპერაციის დროს ვერ შეუქმნის მათ ისტორიულ საფუძველს, რომელსაც მოცემულ მომენტში და შემდგომშიც ერთნაირი ღირებულება ექნება.

ამგვარად, კინოხატად ქცეული საგანი ერთსახოვანი და დეტერმინირებული ხდება, რაც ბუნებრივია იმიტომ, რომ ლინგვონიშანი, რომელსაც იყენებს მწერალი, ჩამოყალიბდა მთელი გრამატიკული ისტორიის შედეგად. მაშინ, როდესაც ნიშან-ხატი, რომელიც ერთი წამის წინ თავის თავს განსაზღვრებდა, საგანთა ქაოსიდან არის გამოყოფილი.

მაგრამ უნდა დავახსენო: მიუხედავად იმისა, რომ ხატები, თუ ნიშან-ხატები არ არის ორგანიზებული ლექსიკონში და მათ არა აქვთ გრამატიკა, ისინი მაინც საზოგადოებრივი მონაპოვარია. ყველას გვინახავს

ორთქლმავალი ბორბლებითა და დღეულებით ეს ჩვენი ვიზუალური მესხიერებისა და სიზმრების კუთვნილებათა, მაგრამ თუ ჩვენი ორთქლმავალს რეალურ სინამდვილეში ვნახავთ, ის უსათუოდ „რალაის გვეტყვის“ მთელი მთად, მისი გამოჩენა უდაბურ ტრამპლიზე „გვეტყვის“ თუ რა უსაზღვროა ადამიანის შრომისმოყვარეობა და რაოდენ ძლიერია შესაძლებლობები ინდუსტრიული საზოგადოებისა და კაპიტალისტისა, რომელიც ახალ-ახალ ტერმინებს იპყრობს; ყველაფერი ეს ზოგადი ჩვენგანს „გვეუბნება“, რომ მემანქანე — ექსპლუატირებული ადამიანია, მაგრამ მიუხედავად ამისა ღირსეულად აქეთებს თავის საქმეს საზოგადოების საკეთილდღეოდ (როგორც არ უნდა იყოს ეს საზოგადოება). ყველაფერმა ამან შეიძლება ისიც გვითხრას, რომ საგანი — მატარებელი — შესაძლებელი კინემატოგრაფიული სიმბოლოა, რომელიც უშუალო კომუნიკაციაშია ჩვენთან და გაუშუალებელში სხვასთან.

ამგვარად, რეალურ სინამდვილეში უბრალოდ „უბნებია საგნები“ არ არსებობს — თითოეულ მათგანს აქვს თავისი ბუნებრივი მნიშვნელობა, რაც იძლევა მის სიმბოლურ ნიშნად ქცევის საშუალებას, ამიტომაცაა შესაძლებელი კინოავტორის მოღვაწეობა — იგი არჩევს საგნებს, ნივთებს, პეიზაჟებსა და ადამიანებს, როგორც სინტაგმებს (სიმბოლური მეტყველების ნიშნებს), რომლებსაც, გააჩნიათ რა მოცემულ კონკრეტულ მომენტში მოგონილი, ისტორიულ-გრამატიკული ისტორია. (როგორც ერთგვარი ჰეპენინგი, რომელიც ემორჩილება არჩევანისა და მონტაჟის იდეებს), ამავე დროს აქვთ მოვლენებით დატვირთული, ხანგრძლივი პროტოგრა-მატიკული ისტორია.

ერთი სიტყვით, ისევე როგორც სამეტყველო ენის ნიშნთა პროტოგრამატიკულობას აქვს მოქალაქეობრივი უფლებები პოეტურ სტილში, საგანთა პროტოგრამატიკულობასაც ასეთივე უფლებები ექნება ფილმის ავტორის მიერ შექმნილ სტილში. ეს სხვა სიტყვებით გამოხატავს იმასვე, რაზეც უკვე მქონდა საუბარი. კინემატოგრაფის ონირიულ ხასიათს მისი მოძვლებების ელემენტარულბოა განაპირობებს. ლექსიკონის შედგენისას, რაც უპირველეს და ფუნდამენტურ ოპერაციას წარმოადგენს, ფილმის ავტორი ვერასდროს ვერ შეიტანს მასში აბსტრაქტულ ტერმინებს.

სწორედ ესაა პრინციპული სხვაობა ლიტერატურულ და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს შორის (ღირს კი ასეთი შედარება?). ლინგვისტური ანუ გრამატიკული სისტემა, რომელსაც ფილმის ავტორი ეყრდნობა, ხატებისაგან ყალიბდება: ეს ხატები ყოველთვის კონკრეტულია და არა აბსტრაქტული (ნათელზილვით მხოლოდ ათასი წლის შემდეგ შეიძლება წარმოვიდგინოთ სახე-სიმბოლოები, რომლებმაც იგივე პროცესი განიცადეს, რაც თავისი არსით კონკრეტულმა სიტყვებმა ან სიტყვათა ფუძეებმა, რომლებიც მრავალჯერადი ხმარების შედეგად გაცივითნენ და აბსტრაქტულნი გახდნენ, ამიტომაც კინოგერ-გერობით მხატვრული მეტყველება და არა ფილოსოფიური. იგი შეიძლება იყოს იგავი და არა კონცეფციის პირდაპირი გამოხატვა).

ასეთია კინემატოგრაფის მხატვრულობის, მისი ხაზგასმული ექსპრესიულობის ონირიული არსის, ერთი სიტყვით მისი პრინციპული მეტაფორულობის დამადასტურებელი მესამე მეთოდი.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ კინოს ენა თავის საფუძველში — „პოეტური ენაა“. მაგრამ თუკი მივმართავთ კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს, დავინახავთ, რომ კინემატოგრაფის სათავეებთან დაცვირბებული რამდენიმე ცდის შემდეგ ჩამოყალიბდა გარკვეული კინემატოგრაფიული ტრადიცია, რომელიც „პროზის ენას“, უფრო ზუსტად, „ნარატიული პროზის ენას“ მოგვაგონებს.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ როგორც დავინახავთ, საუბარია სპეციფიკურ, არანამდვილ პროზაზე: იმიტომ, რომ ღრმად ირაციონალური ელემენტის არსებობა კინემატოგრაფში გარდუვალია. სინამდვილეში იმ მომენტში, როდესაც კინემატოგრაფი ახალი ტექნიკისა თუ ახალი ტიპის ექსპრესიის სახით მოველინა ქვეყნიერებას, იგი წარმოგვიდგა როგორც ახალი ტექნიკა ან ესკაპისტური სანახაობის ახალი ტიპი, რომელსაც გამოუმსახველობის სხვა ფორმებისათვის წარმოუდგენელი რაოდენობის მომხმარებელი აღმოაჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კინემატოგრაფმა საკუთარ თავზე გარდუვალი ძალდატანება განიცადა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ყველა ირაციონალური, ონირიული, უმარტივესი, პირველყოფილი ელემენტები ჩვენი ცნობიერების დონეზე დაბლა

იყო: ისინი ფუნქციონირებდნენ როგორც მიუღებლობისა და შთაგონების არაპრობირი ელემენტები. ხოლო იმ პიპსოტიკურ „მონსტრზე“, როგორც ფილმი, სწრაფად აღიზნებოდა წესების ნარატიულ, კონკრეტულ, რომელიც თეატრთან და რომანთან უახლოესი და ფსევდოკრიტიკული პარალელების საბაზად იქცა: ეს ნარატიული ტრადიცია, უეჭველად, სათავეს იღებს პროზაული კომუნიკაციის ენაში, რომელთანაც მას მხოლოდ გარეგნული მსგავსება აქვს — ლოგიკისა და ილუსტრაციულობის თვალსაზრისით; „პროზის ენის“ ძირითადი ელემენტი — მისი რაციონალურობა — აქ არ არის. კინემატოგრაფის ფუნდამენტი, საფუძველია ის მითიური თუ ინფანტილური ქვეფილმი, რომელიც, თვით კინოს ბუნების ძალით, ყოველ კომერციულ სურათში ძევს.

(მაგრამ როგორც ცოტა მოგვიანებით დავინახავთ, კინოზელფენების ნაწარმოებებმა თავისი სენსიტივობა ენის სახით ახევე აითვისეს ეს „პროზის ენა“ — ექსპრესიულ, იმპრესიონისტულ, ექსპრესიონისტულ და სხვა მომენტებს მოკლებული წესების ნარატიული სისტემა).

შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ კინოენის ტრადიცია, რომელიც ისტორიულად ჩვენი საეკლესიო პირველ ათწლეულში ჩამოყალიბდა, ნატურალიზმისა და ობიექტურობისაკენ მისწრაფვის, სწორედ ამაშია ის ცნობისწადილის აღმძვრელი წინააღმდეგობა, რომლის მიზნულია და ტექნიკურ შედეგთა განხილვისაც კვეთთ ვაპირებთ.

ზემოთქმულის შესაგამებლად შევნიშნავ, რომ ნიშან-ხატთა ლინგვისტური არქტიპები — ესაა მოგონებებსა და სიზმრებში ანუ „საკუთარ თავთან კომუნიკაციისას“ აღმოცენებული ხატები. ეს კი ნიშან-ხატებს უქმნის სუბიექტურობის ანუ პოეტურ საძეაროსთან მაქსიმალური თანაზიარობის უშუალო საფუძველს; ამ შემთხვევაში კინომეტყველებას თავისი ტენდენციით აწყარად სუბიექტურ-ლირიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მაგრამ როგორც დავინახავთ, ნიშან-ხატებს აქვს აგრეთვე სხვა არქტიპებიც, როგორცაა მეტყველების მიმიკური ინტეგრაცია და ათასობით სასიგნალო ნიშნების მომცველი ხილული რეალობა. ეს არქტიპები ძალიან განსხვავდებიან მოგონებათა და სიზმართა არქტიპებისაგან: ისინი უხეშად ობიექტურ-

ნი არიან და განეყოფნებიან „სხვებთან კომუნიკაციის“ ტიპს, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულია და ყოველთვის უაღრესად ფუნქციონალური. ამიტომაც ტენდენციას, რომლის პროეცირებასაც ეს არქიტექტები ნიშან-ხატთა ენაზე ახდენენ, ჩემი აზრით, უხეშად ობიექტივისტური და ინფორმაციული ხასიათი აქვს.

დაბოლოს, ოპერაცია, რომელიც უნდა განახორციელოს რეესორმა, არის ნიშან-ხატთა — როგორც შესაძლებელი ლინგვისტური ინსტრუმენტული ბაზის — ლექსიკონის შერჩევა (ცხადია, ეს ლექსიკონი მოკლებულია იმ ობიექტურობას, რომელიც აქვს ნამდვილ, საყოველთაოდ მიღებულ ლინგვისტურ ლექსიკონს, მაგრამ მისი პრინციპით არის შედგენილი). ეს ოპერაცია უკვე შეიცავს სუბიექტურ მომენტს, ვინაიდან რეესორის მიერ შესაძლებელ ხატთა სპონტანური შერჩევა დამოკიდებულია სინამდვილის იდეოლოგიურ და პოეტურ ხედვაზე, რომელიც მისთვის იმ მომენტშია დამახასიათებელი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი კვლავ მიმართავს ნიშან-ხატთა ენას, რომელიც სუბიექტურობისაგან ისწრაფვის.

მაგრამ არსებობს უაქცევი, შებრუნებითი ტენდენცია: კონსტილისტიკის ხანმოკლე ისტორია, რომლის ექსპრესიული შესაძლებლობები, ფილმის ადრესატთა მრავალრიცხოვნების გამო, შეზღუდულია, მეტყველებს იმაზე, რომ კინოში სტილუმების სინტაგმებდალ გადაქცევა და ამ გზით თავის ლინგვისტურ სათავეებთან მიბრუნება ძალიან იშვიათია და რომ ამის მაგალითები მეტად უხეშია (კვლავ გაიხსენოთ ლოკომოტივის ბორბლები, ერთნაირი მსხვილი ხედების გაუთავებელი ჯაჭვი და ა. შ.). ყველაფერი ეს ნიშან-ხატთა ენაში პირობით მომენტად იქცევა და კლდე ერთხელ უზრუნველყოფს მის ელემენტარულ ობიექტურ კონვენციონალურობას.

ერთი სიტყვით, კინო, ანუ ნიშან-ხატთა ენა, ორბუნებოვანია: იგი ერთდროულად უაღრესად სუბიექტური და უაღრესად ობიექტიურია. ეს ორი განსხვავებული მომენტი მკიდროდ მეზობლობს ერთმანეთთან და მათი გათიშვა, ლაბორატორიულადაც კი, შეუძლებელია.

ლიტერატურული ენაც, ბუნებრივი აქვევით ორმაგ საფუძველს ემყარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ორი ბუნების გაყოფა შესაძლებელია — ესაა „პოეზიის ენა“ და „საუბრის ენა“, რომლებიც იმდენად განსხვავებულია რომ წარმოქმნის ორ დიაქრონიკულ რეალობას, აქვს ორი განსხვავებული ისტორია.

სიტყვის მეშვეობით შემძლია წყვილთხო „ლექსი“ ან „მოთხრობა“. ამ დროს ორი სხვადასხვა ოპერაცია ხორციელდება. ხატის მეშვეობით კი, დღესდღეობით, შემძლია შევქმნა მხოლოდ კინო (რომელიც მხოლოდ ელფერით შეიძლება ისწრაფოდეს მეტნაყლები პროზაულობისაგან. ეს — თეორიულად. პრაქტიკულად კი, როგორც უკვე დავინახეთ, ელვის სისწრაფით შეიქმნა „ნარბიტული კინემატოგრაფიული პროზის ენის“ ტრადიცია).

რა თქმა უნდა, არის გამოხატულის შემთხვევებიც, როდესაც ენის პოეტურობა უკიდურესობამდეა მიყვანილი. მაგალითად, ბუნიუელის „ანდალუზური ნაგაზი“ (1928) აშკარად წმინდა გამომსახველობის რეგისტრშია შესრულებული, მაგრამ სწორედ ამის გამო მას სჭირდება საცნობი ნიშანი: სიურრეალიზმი. უნდა ითქვას რომ როგორც სიურრეალიზმის პროდუქტი ეს ფილმი მომზიბლავია. ძალიან ცოტა ლიტერატურული თუ ფერწერული ნაწარმოები შეედრება ამ ფილმს, ვინაიდან მათი პოეტური თვისებები ირრეალურია შინაარსის, ე. ი. სიურრეალიზმის პოეტიკის წყალობით, რომელიც წარმოადგენს შინაარსის საკმაოდ უხეშ აბსოლუტიზაციას (რის გამოც სიტყვები თუ ფერები კარგავენ თავის ექსპრესიულ სისუფთავეს, რათა შინაარსის ბუნდოვანებას, გაუგებრობას დაემორჩილონ) და პირიქით, კინემატოგრაფში შინაარსით სურრეალისტურ ხატთა სისუფთავე აქცენტირებულია. სიურრეალიზმი კინემატოგრაფის სამასხურში აყენებს სიზმარეული სამყაროს ონირიულ, მოგონებათა არაცნობიერ რეალობას და ა. შ.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ კინემატოგრაფი, რომელსაც კონცეპტუალური და აბსტრაქტული ტერმინოლოგია არ გააჩნია, პოტენციურად მეტაფორულია, უფრო მეტიც — იგი აქვე, ა ფორტიორი, გადადის მეტაფორულ დონეზე, მიუბნავად ამისა, ცალკეუ-



# შეხვედრა მაღალ ხელოვნებასთან

ეთიპ გუგუშვილი

ლო. განზრახ შექმნილი მეტაფორები უოვე-  
ლოთის რაღაცით უბნში და პირობითია. გა-  
ვიხსენოთ მტრედების განგავისმოგვერელი  
ან შიარული გადაფრენა, რომელიც პერსონა-  
ნათა სულიერი მდგომარეობის — განგავში-  
სა თუ სიზარელის მეტაფორაა. ერთი სიტყ-  
ვით, ის ოდნავ შესაძრწევი მეტაფორა, ვფე-  
მერული პოეტური ნათება, რომელიც უმაღ-  
წარმოქმნის ფესკრულს „სიღვიას“<sup>1</sup> ენასი  
და პეტრარისტულ-არკადისტული ტრადი-  
ციის ენას შორის, კინოში შეუძლებელი იქ-  
ნებოდა. პოეტურ-მეტაფორული სიუჟე-  
მისი სიმძაფრე, დაუღგრომლობა, რაც კინე-  
მატოგრაფშია შესაძლებელი, მეზობლობს  
სხვა, პროზის წმინდა კომუნიკაციურ ბუნე-  
ბასთან. სწორედ ის პრევალირებს კინემატო-  
გრაფის ხანმოკლე ისტორიაში და შედევრე-  
ბსაც და კომერციულ სერიალებსაც ლინგვი-  
სტურ წესთა სისტემაში აერთიანებს.

ყოველ შემთხვევაში, ასეთია უკანასკნელი  
წლების მთელი კინემატოგრაფის ტრადიცია,  
რომელიც სათავეს იღებს დღიდან როსელი-  
ნის სოკრატედ<sup>2</sup> გამოცხადებისა და წვდება  
უკანასკნელი წლებისა თუ თვეების უახლო-  
ეს პროდუქციას („პოეტური კინოს“ ჩათ-  
ვლით).

### შენიშვნები:

1. ვახუშტის კარაპე — მოედანი ნეაპოლში. პა-  
ზოლინი, როგორც ზანს, გულისხმობს ამ მოედანზე  
განლაგებულ რომელიც საბაზრო ბაღავანს.
2. აბდულ კადერი (1807-1883) — სახალხო გმირი  
1832-1847 წწ. ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ  
აღიარებლია აქაუნების მეთაური.
3. „სიღვიას“ — პაზოლინის კომენტატორების აზ-  
რით აქ ნაგულისხმევია იტალიელი პოეტის ქაოზო  
ლეონარდის ლეჭი, დაწერილი 1835 წელს.
4. 1958 წელს გერანებზე გამოვიდა როსელინის  
ფილმი „ინდოეთი — 58“, რომელსაც მაღალი შეფასე-  
ბა მისცა ფრანგმა რეჟისორმა ვან-ლუა ვოდარმა  
და განსაზღვრა იგი როგორც „სოკრატული კინო“.  
„ინდოეთი“ — ამსოლდებური ლოჯიკის ფილმა, —  
წერდა ვოდარა ვერჩაღ „ყოფ დიდ სინემაში“ 1959  
წელს. — უფრო სოკრატელი, ვიდრე თვით სოკრა-  
ტი“. ეს განსაზღვრება დაკავშირებული იყო აგრე-  
თვე როსელინის განზრახვასთან გადაეღო ფილმი  
სოკრატეზე, რომელიც მან 1970 წელს განახორციე-  
ლა.

„ღამიწუთო ბოლოდან, მაგრამ სწორედ  
ეს ბოლოა სათავე“.

ბელა ახმადუღინას ეს სიტყვები იმასთან  
დაკავშირებით მომავონდა, რომ ჩემს სტა-  
ტიას თბილისში ლენინგრადის საბალეტო  
დასის გასტროლების შესახებ ვიწყებ ბო-  
ლოდან, იქიდან, რითაც დაასრულა თეატრ-  
მა თავისი გასტროლები — დ. შინკუსის  
„ჩრდილებითა“ და ა. ჩაიკოვსკის „ქავშირი-  
სანი“ პოტიომკინით“. ასეთი სურვილი სრუ-  
ლიადაც არ არის უცნაური. იგი საეცებით  
ლოჯიკურად იბიბადა, ვინაიდან სწორედ ამ  
ორ სცენურ ოპუსში გამოვლინდა განსაკუ-  
თრებული სიეხადითა და თვალსაჩინოდ თე-  
ატრის მისწრაფებანი. ის, რომ იგი ამჟვრად  
უხდის ხარკს თანამედროვე საბალეტო თე-  
ატრის ორ საპირისპირო იპოსტასს. ეს ურ-  
თიერთსაპირისპირო იპოსტასები გამოკვე-  
თენ ერთმანეთს, ავსებენ და მოწმობენ,  
რომ თეატრს ხელეწიფება „ესეც“ და „ის-  
იც“, რომ საბალეტო დასის ძიებები თანა-  
მედროვე ეტაპზე მასშტაბური და არაორ-  
დინარულია, აღბეჭდილია ფორმისა და თე-  
მატიკის მრავალფეროვნებით, სტილისტიკის  
სიმდიდრით და სცენური სახიერებით. და თუ-  
მეცა სხვადასხვაგვარი სტილის „გავრთიანე-  
ბის“ ბეჭედი აზის სხვა საგასტროლო სპექ-  
ტაკლებსაც „ჩრდილებისა“ და „პოტიომ-  
კინის“ მაგალითზე იგი შედარებით თვალსა-  
ჩინოდ და ხელშესახებად გამოიყურება.

მაგრამ ჟერ განემარტავ: ძნელია სპექტაკ-  
ლებზე წერა, როდესაც თეატრი სპექტაკ-  
ლის სანახავად მოსულ მაყურებელს მზარე-  
კენზეებით ხედება. მაყურებელი (მათ რი-

ცხეში მსაუბრებელი-კრიტიკოსი) პროგრამასთან ერთად შეიძენს ამ რეცენზიებს. უნებურად წამოიჭრება კითხვა: როგორ გავიგოთ ეს, როგორც თეატრის სურვილი — გაარკვიოს მსაუბრებელი მხატვრული ჩანაფიქრის პერსპექტივებში თუ როგორც აშკარა უცნაობა, რომ ზემოქმედება მოახდინოს მის აღქმაზე? ამონაწერი მაინც რომ ყოფილიყო რეცენზიიდან, ან ციტატა, კიდევ არა უშავდარა. მაგრამ არა, სახეზეა — მზა ანალიზი, მზა შეფასებები, და თანაც ისეთი პატივცემული და ნდობითაღიქურავილი კრიტიკოსისა, როგორიცაა ვ. გავესკი. „იქ ხომ ყველაფერი წერია“, როგორც ამბობდა ჩეხოვი და, მართლაც!...

ამრიგად „ჩრდილები“ მ. პეტიას უკვდავი ქმნილება. (ღირსი ვ. ფედოტოვი). მინქესის „ბაიადერკას“ მესამე აქტის დამოუკიდებელ ქორეოგრაფიულ სურათად გამოყოფა საბალეტო ლოგიკის თეატრალურ სივრცეში გამართლებულია, თუნდაც იმით რომ „ჩრდილების“ სცენა, უშუალოდ არ არის დაკავშირებული „ბაიადერკას“ სიუჟეტთან. იგი მხოლოდ ქორწილისა და ნიკიას დაღუპვის სცენის განყენებული ზმანებაა. საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილ ამ მესამე აქტს დამოუკიდებელი ღირებულება აქვს თავისი მომზიბლავი კლასიკური წყობით, ცეკვის აკადემიზმით, სტილის გამჭვირვალობით. სანახაობა სუნთქავს, გამოასხივებს უხილავ ნაკადს, ბადებს ესთეტიკური კმაყოფილების, სულიერი პარმონიის შვერძებებს. აქ, როგორც

იტყვიან, ვერაფერს „ვერ მოაკლებ და ვერც დაუმატებ“. მკაცრი და დიდებული არქიტექტურული ნაგებობის მსგავსად, რომელმაც საუბრეებს უნდა გაეფიქრებინა „ჩრდილები“ გარედან ჩარევასა და მხატვრულ და აველა. ვინც დღეს მის განხორციელებას მოისურვებს, უნდა ცდილობდეს — შემთხვევითი და უხერხული შეხებით არ დაარღვიოს სპექტაკლის მწყობრი, შთამაგონებელი წყობა, იტისოდენადაც არ შეარყიოს მისი საფუძვლები, შეინარჩუნოს სტილის სიფაქიზე. კეშმარიტი კლასიკური ბალეტის სწორედ ამ შესანიშნავ „ნიშნებში“ ჩინებულადაა ჩაწერილი სპექტაკლის ოცდაათორმეტი მოცეკვავის მწუხარე დიდებულება.

მისი პროფესიული სიმწეობრე ციდან როდია ჩამოვარდნილი. იგი მარიინის თეატრის ბალეტის სახელოვანი, მყარი, დაუწერელი ტრადიციით თაობიდან თაობას გადაეცემა. იგი თანამედროვე შემსრულებლებს „სისხლის ჭკუფშიც“ კი აქვთ გამჭდარი და მათი ხელოვნების განსაკუთრებულ ღირებულებას შეადგენს. მაგრამ ეს ღირებულება, რომელიც „თავისთავად“ კი არ არსებობს, არამედ ტრადიციის სიღრმეშია ჩადებული, მტკიცე საფუძველზე აღმოცენდება და თუ ეს საფუძველი მ. პეტიას ჩანაფიქრია, მაშინ, როგორც იტყვიან, ყველაფერი სწორია.

მაინც რაშია „ჩრდილების“ მიზიდულობის ძალის საიდუმლოება? თითქოს არაფერი განსაკუთრებული მასში არ ხდება.

„ვეფხისტყაოსანი“. ცენტრში: ნესტან-დარეჯანი — ტ. არსიკაძე







ჩრდილების მსვლელობა არ შეიცავს არც საცეკვაო ილეთების სირთულეს, არც თვით ცეკვის სისწრაფეს. პირიქით უველადური აგებულება სინკრონული მოძრაობის აშკარა გამოვლენაზე. რაც ქმნის მოსაბეზრებელი ერთფეროვნების საშიშროებას.

და აი, ხელოვნების სასწაული ხერხის ეს „გახსნილობა.“ დიახ, სწორედ „გახსნილობა“, უცებ იცვლება მისი საპირისპიროთი. მოძრაობების აშკარა მეთოდური, თითქმის მონოტონური გამოვლენა, მათი აბსოლუტური სინკრონულობა (იგი აბსოლუტურია ხელის მტევნებისა და თითების მოძრაობაშიც კი) ქმნის არამონოტონურ სურათს, ბადებს დაძაბული ემოციური დამბატულობის შეგრძნებას. ამ მზარდი სულიერი განცდის ეფექტი ძლიერდება „ჩრდილების“ რაოდენობის ზრდასთან ერთად. ჩრდილები სცენაზე გამოდიან (თითქოს აღმოცენდებიან) რიგრიგობით და ყოველი ახალი „ჩრდილის“ გამოსვლას ახალი ემოციური მუხტი შეაქვს მოძრაობის საერთო სურათში.

ცეკვა-მსვლელობა — ასე შეიძლება განისაზღვროს „ჩრდილების“ ნელი სვლა. ეს სვლა დიაგონალზე კი არ მიდის, ან პირდაპირ მაყურებლისაკენ კი არ არის „მიმართული“. ბალეტმეისტერმა მოიგონა სვლის ზეგზავისებური ხაზი, და ზუსტად მოხაზა ეს გზა. ამ მრუდზე, დაკლანილ ხაზშიც კი მაყურებელზე ზემოქმედების საიდუმლო იმალება. დარბაზიდან ეს ხაზი აღიქმება, როგორც მასობრივი ცეკვა და სწორედ ხაზის

ეს „დაკლანილობა“ ქმნის ამ ილუზიას. დასაწყისში დამძიმებელი სვლა ჩრდილებისა უცებ მსუბუქი, თითქმის ჰაეროვანი ხდება; მოძრაობების გამოვლენა სევდას გამოასხივებს. აი, ეს არის ხელოვნების გამოცანა! პოლარული საწყისების შეერთების ეფექტი მოულოდნელია. და უნებურად ფიქრობ, როგორი მზადყოფნა, შინაგანი ძალა, საკუთარი და კოლეგებთან ურთიერთობის მიხედვითი შეგნება სჭირდება კორდებალეტის ყოველ მსახიობს იმისთვის, რომ უველამ ერთად და თვითველმა ცალ-ცალკე მიიტანოს მაყურებელამდე პეტრეას გენიალური ქმნილების შესიკალური და პლასტიკური სახოვანების რთული კომპლექსი. ნამდვილად დიდებული, გრანდიოზული, განუმეორებელი სანახაობაა! ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ნიკო-ჩრდილის პარტიკაში ჩინებულ მოცეკვე ე. ზაკლინსკისთან (სოლორი) ერთად წარმოსდგა გალინა მეზენცევა, კიროვის თეატრის საბალეტო დასის ერთი ბრწყინვალე სოლისტოვანი, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება სპექტაკლის წარმატება. პეტერში შთაგონებამ და ტრაგიკული პათოსის სუნთქვამ თავისი ცვალი დააჩინეს ვ. მეზენცევას შესრულებას და: განუმეორებელი, მთრთოლვარე ხიბლი შესძინეს მის ლეთაებრივ სახეს.

ბალეტმეისტერ ოლეგ ვინოგრადოვის მიერ „ჩრდილების“ გამოყოფა განსაზღვრულ სცენურ პროგრამად ხაზს უსვამს სიმფონიური ცეკვისკენ მის მისწრაფებას, რაც მან არაერთხელ დამატკაცა თანამედროვე მარი-

ინის ბალეტის მხატვრულ ხელმძღვანელად ყოფნის წლებში. ო. ვინოგრადოვის ბალეტებში ყოველთვის აწყობილია მუსიკის კანონებზე. ეს კანონები ბატონობს აგრეთვე ა. ჩაიკოვსკის ბალეტ „ჩაიკოვსკის ბალეტის“ მისეულ დადგმაშიც (დირიჟორი რ. სალავატოვი)

მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ამ სპექტაკლის ჩანაფიქრი არ იყოს გამოძახილი ლ. ბერნსტაინის მუსიკაზე შექმნილი ბალეტისა „მეზღვეურები სანაპიროზე“ (ლიბრეტო და დადგმა დ. რობინსონისა), რომელიც 60-იან წლებში უჩვენეს ჩვენს ქვეყანაში. თუმცა შეიძლება ეს მხოლოდ ვარაუდი იყოს. ნამდვილი ჩემთვის სხვაა. ეჭვი იმისა, შესაძლებელია თუ არა ბალეტის სფეროსკან შორს მდგომი ასეთი თემის განხორციელება საბალეტო სცენაზე. მაგრამ ეს ეჭვი დაიბადა არა ცნობილ ფილმთან ანალოგიიდან, ბოლოს და ბოლოს საბალეტო თეატრში ყველაზე „ანტიბალეტური“ თემა შეიძლება მოულოდნელად საპირისპიროდ შემოტრიალდეს. პარტიული კრებაც კი შეიძლება „მოვითავსოთ“ „ძილის“ ან „მოგონების“ ტრადიციულ ქორეოგრაფიულ სცენაში, სადაც კრება აუცილებლად უნდა წარმოედგინოთ სახუმარო ან გროტესკულ პლანში, რაც სავსებით გამართლებული იქნება არა მარტო საბალეტო ლოგიკის თვალსაზრისით, არამედ ჩვენი ცხოვრების ლოგიკითაც. დიან, ჩვენს საოცარ და გამოუცნობ საუკუნეში ძნელია აზრის უცილობლობის დამკვიდრება.

ოლეგ ვინოგრადოვს კარგად ესმოდა, რომ „ჩაიკოვსკის“ „პოტიომკინის“ თემის მათვეება ბალეტთან იოლი არ იყო, აქ ცეკვას მისი პირველი სახით ვერ გამოატყობენ. ციულ „იაბლოჩკოს“ თუ წარმოადგენს მხოლოდ, ამიტომ მისთვის მთავარი (შედგენბის მიხედვით ვმსჯელობ) გახდა არა რთული საცეკვაო კომბინაციების ძიება, არამედ სცენური მოქმედების „გაშლა“ და ფორმა, რომელშიც მოქმედება განხორციელდება. ამ შემთხვევაში ბალეტმეისტერი აზროვნებდა არა იმდენად ქორეოგრაფიულად, რამდენადაც რეჟისორული ცნებებით.

სპექტაკლის რეჟისურა ნამდვილად უზადოა. ბუნებრივია, იგი უკავშირდება ცეკვას, მაგრამ აქ ცეკვა შემობრუნდა მოულოდნელი, ზოგჯერ არაესთეტიკური მხრითაც კი. ეს სავსედური არ არის, ეს უფრო თავად ფაქტის კონსტატაციაა. ბალეტმეისტერმა გაბეღული ნაბიჯიც კი გადადგა, რომლის შედეგი გაუთვალისწინებელი იყო და ყოველ შემთხვევაში უცილობელიც არ შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ ვინ თქვა, რომ ბალეტმეისტერ ო. ვინოგრადოვს უფრო მშვიდი გზა აწყობდა? ბალეტზე მუშაობის პროცესში მას უთუოდ აფრთხილებდნენ. მოსალოდნელი სირთულეების შესახებ და, ვინ იცის, იქნებ სწორედ ექვემბა წარმოშვა ბალეტმეისტერის საპასუხო გადაწყვეტი მოქმედება, პროტესტის იმპულსი რადგან მხოლოდ თვითდაჯერებულ, გამარჯვებაში დარწმუნებულ ადამიანს ძალუძს თავისი ხმოვანებით ისეთი მძლავრი, შთაგონებელი



„ვეფხისტყაისანი“.  
ნესტან-დარეჯანი —  
ტ. არისკინა

„ვეფხისტყაოსანი“.  
 ტარეღა — ე. ალიევი.  
 ნესტან-დარეჯანი —  
 ტ. არსისკინა



და ვეფხერთელა სანახაობის შექმნა, როგორც ეს ბალეტია. დიახ, მასში ზეიმობს პროტესტი. პროტესტი მიმართული ჩვეულებრივ საბალეტო ნორმებისა და ფორმებისადმი. პროტესტი, რომელიც აშკარად უარს ამბობს ცოცხალ, საზოგადოებრივ პროტესტს, რომელშიც აზროვნების სიახლე მიმართულია ოდინდელი საცეკვაო საზოგადოების „მოსაზრებისაკენ“, ბალეტის პირველყოფილი სახის „მოსაზრებისაკენ.“ მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ ჩემს მიერ ნაწარმოებულ სანახაობა ის საბალეტო თეატრი არ არის, რომელსაც მე ვუკავებ. ჩემთვის უფრო ახლობელია მშვენიერი, შთაბრძნავთელი ხელოვნება კლასიკური ცეკვისა თავისი პოეზიით, სულით და სილამაზით. მაგრამ ხელოვნებაში ერთი რაიმეს სიყვარული არ ნიშნავს მეორის უარყოფას. და მე ოღუგ ვინოგრადოვიც ბალეტში მსურს დავინახო ის, რაც მას ხელოვნებასთან აახლოებს.

ვფიქრობ, რომ ეს არის უპირველეს ყოვლისა ფორმა. ბალეტმეისტერმა თავის ბალეტს აღეგორია უწოდა, ამით მისი ენარის „მისამართი“ განსაზღვრა. თავად ენარის არჩევანში ბევრი რამ იხადება. ერთი მხრივ, სურვილი იმისა, რომ თავიდან აიცილოს თავისხმა, მეორე მხრივ, პასუხი ვასცეს მათ, ვინც რაიმეს იტყვის თემისა და საბალეტო სფეროს შეუთავსებლობაზე. აღეგორიული ენარი თავისი არსით უსაზღვროა, მას შეუძლია ერთბაშად დასვას და მოხსნას კიდევ ბევრი საკითხი, ასევე დიდი რაოდენობის გადაწყვეტანი და ქვეტექსტები შეიწივოს. ბოლოს, შემოგვთავაზოს მეტაფორების ნებისმიერი მრავალფეროვნება. დაწყებული უწყინარი მეტაფორიდან ყვე-

ლაზე დაუნდობელ და უმოწყალო მეტაფორამდე.

ვინოგრადოვი — რეჟისორი და ბალეტმეისტერი მაინცდამაინც არ ისწრაფვის იქით, რომ მეზღვაურთა მასისადმი სიმპათიით განაწყოს მყურებელი. მან უღიმღამო ტანსაცმლით შემოსა მასა, აღჭურვა ესთეტიკურ სახეებთან შეუთანხმებელი მოძრაობებით, შთაბერა აღვირახსნილი სული, უღმობელობა, მხეცური თვისებები.

აქ საერთოდ ყველაფერს უღმობელობის იერი ატყვია. ბორბტება გამარჯვებული დაბიჭებს ყოველგვარი მეტამორფოზებისა და გარდაქმნების ლაბირინთებში, სიკვდილიკი (გ. ბაბანინი) ცელით ხელში სწორედ რომ „ღირიგობს“ ამ ახირებულ, აღვირახსნილ პროცესს. აქ არ არიან და არც შეიძლება იყვნენ, ცოცხალი ადამიანები მათი ბუნებრივი, სასიცოცხლო თვისებებით — ფიქრით, სურვილებით. ოცნებებით. ცხოვრებამ წაართვა მათ ყველაფერი სულისშიერი, მსჯელობის უნარი. ადამიანები (მეზღვაურთა მასა) მექანიზმად ქცეულან, ისინი თითქოს „შედუღებიან“ იმ რკინის ზომალდის მექანიზმს, რომელზეც ცხოვრობენ. მათი მექანიკური, უნისონური მოძრაობები, მარშული ნაბიჯები, ხელების, სხეულის მოძრაობა უკიდურესად ორგანიზებული და ზუსტია და ზომალდის რკინისებურ ლოჯიკას, მის მარშულ დისციპლინას, მის მკაცრ დამმონებელ კანონებს ემორჩილება.

დიახ, ლოჯიკა ბალეტმეისტერს არ აკლია. აქ ყველაფერი მისი კანონებით ცხოვრობს — დაზებირებული საბომლო „რიტუალიდან“ მოყოლებული, ადამიანის ბრმა, ზომალდის ძალისადმი თითქმის უგუნური

შორჩილებით დამთავრებული. სწორედ ამ დამორჩილებასა და მკაცრ ძალებს შორის კონფლიქტში იშლება მოვლენების განვითარების ქმედითი ქარგა. სულერთია, როგორი თანმიმდევრობით წავა წუთიერი სიუჟეტური საწყისები, ეპიზოდები სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, მათში არ არის თანმიმდევრობა, არც განსაკუთრებული შემაჯავშირებელი ხაზი. რეჟისორი ყურადღებას აფიქსირებს ყველაზე საკვანძო კონფლიქტურ სიტუაციებზე. სწორედ აქედან იზადება მკვეთრი და თვალშისაცემი სცენური კონტრასტი, რაც აგრეთვე გააზრებულია, როგორც მწვანე, სატირული მოვლენა. რომელიც თავის თავში შეიცავს განზოგადების მომენტს. ეს არის მეორე აქტი, რომელშიც გამოჩნდება სხვა, მეზღვაურთა სცენებისაგან სრულიად განსხვავებული სცენური მოქმედების ნიშნები. გემზე გამეფებული ულიმამო ცხოვრების წყვილადს ცვლის უხვი სინათლე და ბროლის ქაღების კაშვამში, მდიდრული ფარდების ოქროს მოქარგულობა, აბრწყინდა თამამი კოსტუმები, უტიფარი ფრეილინებისა, რომლებიც მოურიდებლად ავლენენ თავიანთ ქცევებს და უღარდელი ფრიალოური ოფიცრები მათთან ერთად არაორაზროვან სცენურ ერთობას წარმოგვიდგენენ.

ო. ვინოგრადოვი, მკაცრად იცავს ეანრის კანონებს, რეჟისორის ხედვის არეში ხედება სპექტაკლის ასე თუ ისე ყველა მოქმედი პირი. აქ არ არიან და არც შეიძლება იყვნენ სოლო-„მარტოხელები“, რადგან ყველაფერი საერთო სოციალურ ქაოსს ემორჩილება. ამ სოციალურ ცხოვრებისეულ ქაოსში ჩაბმულია ყველა მოქმედი პირი, მისი სოციალური კუთვნილებს მიუხედავად. და ყველას თავს დასტრიალებს სიკვდილი. აი, აღიშართა მისი ცელი მეზღვაურთა მასის თავზე, აი, ჩამოეკიდა ცელს ზომალდის იუნგა (ე. კამლოვა), აი, ჩაიქროლებს იგი მეზღვაურთა რიგებში და... მათი გადარჩენა შეუძლებელია. მოუტანს კი სოციალური ქაოსი, რომელშიც ჩართული არიან ადამიანები, მათვე, ადამიანებს, სიკეთეს? აი, რა არის საკითხავი!

უღმობელი სიკვდილის სიმბოლო ტრიოლებს ჰაერში და ყველა მოქმედი პირი ადრე თუ გვიან მაინც მის ბრკველებში მოხვდება. ნებისით თუ უნებლიეთ იგი აღიქმება როგორც მრისხანე გაფრთხილება ყვე-

ლასთვის, ვინც ასე თუ ისე ჩართულია სიხლიან ქაოსში, ზომალდის ფეხბანზე რომ გამეფებულია. ბალეტმეისტერს ინტუიციამ უთუოდ უკარნახა ეს ვარიანტი. შექმნილი იყო, ქვეცნობიერად სწორედ რომ არ მისულიყო.

რეცენზიებში ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ფინალში იღვიძებს მეზღვაურთა მასა და ჩნდება თავისუფლების მოპოვების წადილი. დარბაზში მეზღვაურთა სირბილი უსიტყვოდ აღიქმება, როგორც გამოღვიძებული სულის ზეიმი.

ასე იყო თუ არა რეალურ ისტორიაში, რომელიც დღეს ასე მოულოდნელად და არაორაზროვნად გაამიშვლეს ჩვენს წინაშე? შესაძლოა, ამიტომ (თუნდაც ქვეცნობიერად!) ბალეტმეისტერმა თავზეხელაღებული მეზღვაურთა მასა მყაურებელთა დარბაზში გადაანაცვლა, ამით საშუალება მისცა მყაურებელს ახლოს გასცნობოდა ამ მასას და მის მიმართ თავისი დამოკიდებულება განესაზღვრა?

ადამიანს შეუძლია დანახოს ხელოვნების ნაწარმოებში ის, რისი დანახევა მას ძალუძს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თვითველი ჩვენთავანი როგორ ქვრეტს, როგორ აღიქვამს ნანახს. ხელოვნების ნაწარმოები, თუ იგი წარმატებითაა დადგმული, ამის საშუალებას იძლევა და მეც ვსარგებლობ ამ უფლებით და გამოვთქვამ ჩემს აზრს ფინალის ირგვლივ.

უსაზო მასა, რომელმაც ბორკლები გადაყარა და თავისუფლება მოიპოვა, ისტორიული სინამდვილის თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს შესანიშნავი, ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით. მანეკენები, რომლებიც ისტორიამ წარმოშვა (სწორედ ასეთებად წარმოგვიდგება მასა ბალეტში), არ შეიძლება იყვნენ ჭეშმარიტად თავისუფალნი. ისტორია, რომელმაც წარმოშვა ისინი, მოსპობს კიდევ მათ, ბალეტმეისტერი (ისევე ქვეცნობიერად), უთუოდ მაინც გრძნობდა რაღაც ამგვარს, როდესაც მეზღვაურებს მყაურებელთა დარბაზში უშვებდა. მათი უტიფარი სირბილი დარბაზში ჰგავს გრივალს, რომელიც თავს დაატყდება მშვიდობიან ადამიანებს, რომელთაც ჭერ არც კი უწყვიან, სადამდე მიიყვანს მათ ეს ბრძოლა ან „გამარჯვება“ და რა ელით მათ იქ, წინ. უსაზო მასა (თეატრი დაყინებით ასეთად წარმოგვიდგენს მას) უპირველეს ყოვლისა

სტიქია. ის სტიქია, რომელიც (და ამას არ შეიძლება არ გრძობდეს ბალეტმეისტერი) იოლად მოეპყვება ოქტომბრის უდროო, მოუშვადებელი გადატრიალების ნაყადში. ხდება ის, რაც არაფრით არ არის გათვალისწინებული ისტორიული ლოგიკით, და დღეს აშკარად იწოდება შეცდომად — ისტორიულ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და სხვა, ყოველგვარ შეცდომად.

რა იოლად წარმოვთქვამთ დღეს ამ ფრაზებს! რამდენი მსხვერპლია მათ უკან, რამდენი სისხლი, რამდენი გამოუსწორებელი შეცდომა! დღეს ჭაფუნოსნები, ჭაფუნანბატარალები და, რასაკარგოლია, ჩვენთვის, მიზლისტებისათვის კარგად ნაცნობი ტანკები, არ შეიძლება არ აღვიჭვავთ ისევე საზარლად, როგორც უველაფერი. რაც კი დაკავშირებულია სტიქიასთან და, სრულიადაც არა როგორც პოზიტიურის დასაწყისი, სტიქიაში იზადებოდა ის საშიში ძალა, რომელიც მრავალი, წლის მანძილზე სობოდა ყოველივე ცოცხალს, ზრდადს, სობოდა ხალხს, სობოდა ბავშვებს, სობოდა ადამიანის გონებას, აი რატომ ვერ აღვიჭვამ გამარჯვებულ, გამამხნეველად მეზღვაურულ მარშს, როგორც სულის განთავისუფლებას, როგორც გამარჯვების ზეიმს. ეს რბოლა, სურდა თუ არა ეს სპექტაკლის ავტორს, ობიექტურად ბადებს ასეთივე გიჟური ექსტაზის საშინელ სურათს, როგორც უველაფერი, რაც ასე შესანიშნავად იყო გააზრებული ზომალდის სცენებში. სტიქია, მორბენალი მეზღვაურების ისტერიულ ექსტაზში განსახიერებული, ადამიანის სულიერი ცხოვრების ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს გონივრული. სტიქია, ექსტაზი და სხვა ამგვარი გამოვლინება ვერ დათესავს ვერაფერს გონივრულს, სასიკეთოს, სამარადისოს.

მე არ ვმითხაობ იმაზე (და არც მინდა მითხაობა), გაიზიარებს თუ არა ჩემს მოსაზრებებს ბალეტმეისტერი? ყოველ შემთხვევაში მინდა ვითქვარო, რომ ეს მისთვის მთლად უცხო არ იქნება. ამ რწმენით ვამთავრებ საუბარს „ჭაფუნოსან „პოტიომკინზე“. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ეს ბალეტმეისტერ-რეჟისორის ძალზე სერიოზული, დაძაბული შრომის შედეგია, რომელშიც უველაფერი ზედმიწევნით გააზრებულია, ყოველი შტრიხი მოფიქრებული და გამოძერწილია. და თუმცა დაკარგულია ცეკვის

თავად სახვითი არსი, სამაგიეროდ მგზნებელია არაჩვეულებრივი ფორმა, რომელიც ბალეტმეისტერთან ერთად მონაწილეობს ბრწყინვალე მხატვარი თ. მურგენიძის მიერ აზროვნების მასშტაბებზე, უსაქმურესება და დახვეწილი გემოვნება შეერწყა სპექტაკლში ერთმანეთს და იგი ღრმა აზრით აღავსო. აქ არ არის და არც შეიძლება იყოს „ყოფითი“ მომენტები, მხატვარი მუშაობს მსხვილი, სახვითი მონასმებით, დიდებულად უკავშირებს მათ კონკრეტულ და ხილულ მხატვრულ ცნებებს. მაკარო, „უსულო“ რკინა კარგად ეთვისება ცალგზას და ფარდების მიღირსულ ანტირკავს და სწორედ ეს უნაწიური შეგნება ქმნის სპექტაკლის შთამაგონებელ ფელოსოფიურ არსს.

\* \* \*

გასტროლების მეორე პროგრამა იყო საბალეტო საღამო, რომელშიც ისევე, როგორც „ჩრდილებმა“ და „ჭაფუნოსანმა „პოტიომკინმა“, გამოავლინა, თუმცა „მცირე ფორმებში“ (ფრაგმენტებში და საკონცერტო ნორმებში), ის ტენდენცია, რაც ასე გამოვკვეთილად გაცხადდა ზემოთ განხილულ სპექტაკლებში. საბალეტო საღამოში შევიდა ექვსი, თემისა და სტილის თვალსაზრისით, სხვადასხვა ნაწარმოები და დივერტისმენტი მიჩქესის ბალეტიდან „პაზიტა“, სწორედ ამიტომ ასე სრულად და შესანიშნავად აისახა მასში თანამედროვე პეტერბურგის საბალეტო დასის მიღიარი შესაძლებლობები. თემატური და სტილისტიკური მრავალფეროვნება სრულიადაც არ არის ეკლექტიკურობის ნიშანი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, და ცდებიან ისინი, ვინც სწორედ ასე შეაფასა ჩვენი სტუმრების საგასტროლო პროგრამა.

საბალეტო საღამო გაიხსნა ჯორჯ ბალანჩინის ერთაქტიანი ბალეტით „შოტლანდიური სიმფონია“ მენდელსონის მესამე სიმფონიის მუსიკაზე (დირიჟორი რ. სალავატოვი). მან გამოავლინა მოუცკვავეთა ჭკუფისა და სოლისტების დახვეწილობა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ დასი და მისი ხელმძღვანელი დიდ პატივს სცემენ და დაინტერესებან იჩენენ ჩვენი დროის უდიდესი ბალეტმეისტერის შემოქმედებისადმი, რომელშიც უდავოდ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა კიროვის თეატრის ბალეტის ხელმძღვანელზე.

„შოტლანდიურმა სიმფონიამ“ გააფართოვა იმ კლასიკური სიმფონიური ბალეტების სია, რომლებიც ლენინგრადადელების რეპერტუარში შედის; გააფართოვა და გაამდიდრა თავისი არაორდინარულობით, ეროვნული შოტლანდიური კოლორიტის (კოსტუმი, ცეკვის ელემენტები) თამამი შერწყმით „წმინდა“ კლასიკასთან. მენდელსონის მუსიკის საშუალებით მიღწეული ეს მთლიანობა დიდებულად გამოავლენს ბალეტის ბალანჩინისეულ წყობას, თემების მკაფიო და დახვეწილ საცეკვაო „ხმოვანებით“ წარმართვის უნარს, ცეკვის კომპონაციებს. ეს შესაძლებლობას იძლევა თვალყური მივიდევნოთ ყოველ ცალკეულ თემას, ყოველ აღდგრებულ ნოტას.

მუსიკალური და საცეკვაო წყობის მთლიანობა განსაზღვრავს სოლო-ცეკვისა თუ კორდებალეტის ყოველი მოძრაობის ურთიერთშეთანხმებას, მკაცრ დახვეწილობას, ანიკებს ამ მოძრაობებს გონივრულობას, აზრობრივ დატვირთვას.

„შოტლანდიურ სიმფონიაში“ მყურებლის დიდი მოწონება დამისახტრეს შემსრულებლებმა ე. პანკოვამ, ე. ნეფმა, ა. კურკოვმა და განსაკუთრებით გ. მეზინცევამ.

ბალანჩინის ბალეტი შეცვალა საკონცერტო განყოფილებამ, იგი დაიწყო „გედის ტბის“ მეორე აქტის ნაწყვეტით. სრულდებოდა ადაეიო ოლა ლიხოვიცკაიასა და გ. მელნიკოვის მონაწილეობით, ო. ლიხოვიცკაიასათვის დამახასიათებელმა წყნარმა, მშვიდმა მოძრაობებმა, ქალურობამ და ხანების რბილმა მღერადობამ მსახიობს დიდი

წარმატება მოუტანა. ასეთივე წარმატება ხვდა მის პარტნიორს.

„თეთრი“ საცეკვაო სიმფონიის ერთგვარ გაგრძელებად იქცა სენ-სანსის „ქმეზუხვლევი გედი“ გალინა მეზენცევაძის „ქმეზუხვლევი“ მსახიობი ბრწყინვალედ გადმოსცემს გაფრენისაყენ ლტოლვისა და განზრახვის შეუძლებლობის საიდუმლოს. როგორც წამიერი გაელვება, ისე წარმოდგა იგი მყურებლის წინაშე ნარნარი, მოლიევიც სრიალით, სევდიანი და მთრთოლვარე.

ამ ორი ნომრის ერთგვარ კონტრასტად აღერდა ფრაგმენტი მ. ბაიერის ბალეტიდან „თოქინების ფერია“ (ქორეოგრაფები ნ. და ს. ლევატები) და „პა-დე-დე 30-იანი წლების სტილში“ დ. შოსტაკოვიჩის მუსიკაზე დ. ბრიანცევის დადგმით. ამ ორივე ნომერში ოსტატობით გამოირჩევიან ვ. იეანოვა და ა. ბასოვი, მ. კულიკი და ი. ფატევი. მათ გამოაქვინეს არა მარტო ტექნიკური სრულყოფა, არამედ ცოცხალი შესრულება, თავად ცეკვის მომენტი, სიცილე და სახისადმი თავიანთი დამოკიდებულება, ყოველივე ამან ზელი შეუწყო დარბაზთან აქტიური კონტაქტის დამყარებას.

და ვლად კონტრასტი. სრულიად სხვა პლანში, წმინდა კლასიკური გამოხატულებით, მაგრამ მგზნებარედ, ექსპრესიით, ტემპერამენტითა და დინამიურად შეასრულეს პა-დე-დე „დონ კიხოტიდან“ ე. პანკოვამ და ი. ზელინსკიმ. ამ უკანასკნელის წარმატებამ განსაკუთრებით გაახარა ჩვენი მყურებელი. იგორ ზელინსკი ხომ თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღზრდი-



ფრაგმენტი ი. ბაიერის ბალეტიდან „თოქინების ფერია“

ლია, მოწაფე ჩვენი საუკუნის გამოჩენილი მოცეკვის, ბალეტმეისტერისა და პედაგოგის, ყოფილი ლენინგრადელის ვახტანგ ჭაბუკიანისა, რომელი დღესაც კარგად ახსოვთ ლენინგრადში და ეთაყვანებიან. იგორის შესრულებაში შეიმჩნევა მასწავლებლის საცეკვო ტანადობა, წარმოსადგობა, მოხდენილობა, დიდი გზა ვესურვოთ მას.

ყველა ნომრისაგან განსხვავებული იყო ტ. ალბინონის „ადაიო“ — პატარა, მაგრამ ძალზე უჩვეულოდ ჩაფიქრებული ეტიუდი, დადგმული ბ. ეიფმანის მიერ. „ადაიო“ აღბეჭდილია დამდგმლის ჩანაფიქრის არანვეულებრივი სიმწყობით. გარეგნულ სტატუარულობაში დიდი შინაარსია ჩადებული. შესანიშნავად ასრულებენ თავიანთ არც თუ ისე იოლ ამოცანას ბალეტის სოლისტი ე. ნეფი და ბალეტის მსახიობები.

სალამოს დასასრულ ზევ კვლავ შევხვდით უკუნობი კლასიკის „სიფაქზესს“ და გამჭვირვალობას. ნახევრები იქნა ლ. მინკუის „პახიტა“. ბალეტში მთელი თავისი ბრწყინვალეობით წარმოადგა თეატრის დასი ლ. კუნაკოვასა და კ. ზაკლინსკის მეთაურობით. მათ დაადასტურეს, რომ ტექნიკურად ძლიერი, როგორც იტყვიან, „სიამედო“ და „მაგარი“ მოცეკვავებები არიან, თავისუფლად ფლობენ რთულ საცეკვო კომბინაციებს. ბალეტში ვიხილეთ აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობების, მ. კულიკისა და ა. ვარბუზოვის, ე. კრილოვასა და ე. ვე-სევეასა და სხვათა ხელოვნება, რომლებიც პა-დ-ტრუასა და ვარიაციებში სოლო-პარტიებს ასრულებდნენ (დირიჟორი ვ. ფედოტოვი).

მთლიანობაში კი მაყურებელი დაიპყრო ცეკვის ნაყადში, თავშეუკავებელში სტიქიამ. გამოკვეთილმა კლასიკურმა ფორმებმა, შესრულების სიმწყობამ, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჰუმბერტ ბელოვნიმას სახელები არ გააჩნია.

...მეორე დღეს, დღისა შე დავესწარი ბალეტის სოლისტის მკაცრი და მომთხონე გენადი სელიუკის ცეკვის გაცვეთილს. გაცვეთილი სანიმუშო იყო, ჩინებულად აგებული. ბევრი რამ გავიგე იმ წუთებში. დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს იმას თუ როგორ შეუპოვრად, სკრუპულოზურად ეუფლებიან ტრენაეს მსახიობები, როგორი სიბეჭითით ამუშავებს თვითიველი მათგანი

რთულ მოძრაობას, საღამოთი ასე მსუბუქად, ძალდაუტანებლად რომ გვეჩვენება სურათზე, თითქოსდა სულ იოლი იყოს მისი გასათქვამი.

...საღამოთი კი „ვეფხისტყაოსნის“ მესამე დიოდა.

\*\*\*

რუსთაველის უცვლადმა პოემამ რამის ჩირაღდნები იხილა. პირველად ჩვენს ქვეყანაში საბალეტო თეატრის სცენზე გაცოცხლდნენ პოემის გმირები, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი უკავშირებდა თავის წარმოდგენებს ცხოვრებაზე, თავის საუკეთესო მისწრაფებებს, იმედებსა და ოცნებებს.

ძნელია გადაამეტო ამ ფაქტის მნიშვნელობა. მასში ბევრი რამ აისახა, და გაერთიანდა — ჩვენი ლენინგრადელი მეგობრების მოკრძალება, და პატივისცემა ქართული კულტურის, ქართველი ხალხის მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების, საქართველოსა და ლენინგრადის კულტურის მოღაწეთა ძველი და მტკიცე კავშირისადმი. ჩვენი მეგობრობის ძლიერი ტრადიციადაკავშირებულია ყველასათვის სათავეებზედ სახელებთან — ჯორჯ ბალანჩინისა და ანდრია ბალანჩივადის, ვახტანგ ჭაბუკიანის, ელენე ჩიკვიძისა და ტატიანა ვეჩესლოვას, ევგენი შიქელაძისა და სოლიკო ვირსალაძის, ბორის არაპოვის, პეტრე რიზანოვის, გიორგი ალექსიძისა და სხვათა და სხვათა სახელებთან.

ქართველი ერის მიერ სალოცავად შეჩაქცული პოემის გადატანა საბალეტო სცენაზე თავიდანვე განსაკუთრებულ, მე ვიტყოდი, არნახულ პასუხისმგებლობას აკისრებდა მათ, ვისაც ეყო ამის სიამამე. სწორედ რომ სიმამაცე, ვინაიდან ამ ბალეტის შემქმნის თვით იდეა გულისხმობს გაბედულებას, შეუპოვრობას, თუ გნებავთ, — თავგანწირვას. ეს ყველაფერი არა მხოლოდ თავდადებულ შრომასთანაა დაკავშირებული (ეს თავისთავად ასეა), არამედ გარკვეულ რისკთანაც. რუსთაველის პოემის ხალხთან რში ინტერპრეტირების სურვილი იმთავითვე აყენებდა ბალეტის შემქმნელებს უდიდესი სირთულეების, ის კი არა, ხიფათის წინაშე. პოემასთან ამგვარი შეხება კი მკრეხელობად შეიძლება აღქმულიყო, ნებისმიერი სხვა ნაწარმოები რომ ყოფილიყო, და არა რუსთაველის პოემა, ასეთ შეგ-

რძეებს არც ექნებოდა ადგილი, მაგრამ რუსთაველი! „ვეფხისტყაოსანი“! ეს ყველაფერს ცვლის. სულ სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს, სხვაგვარ, მოწინააღმდეგე დამოკიდებულებას, სხვა „განზომილებებს“. ამასთან უნდა იცოდეთ ამ „განზომილებათა“ ხარისხი, რათა ჩაწედე საგნის არსს. შესაბამისად, პირდაპირპროპორციულად განისაზღვრება მათი პასუხისმგებლობის ხარისხიც, ვინც ეს რთული გზა აირჩია.

მაგრამ ბალეტი უკვე შექმნილია. და შექმნილია არა საქართველოში, არამედ რუსულ სცენაზე. საუკუნეებში განთქმულმა პეტერბურგის საბალეტო თეატრმა იტვირთა მისი პოემის — ქართული მზის ნაწილად შერაცხული ნაწარმოების — ინტერპრეტატორის რთული და საპასუხისმგებლო მისია. რა გვეთქმის, მადლობის მეტი. და კიდევ საყვედურის სიტყვები ჩვენს თანამემამულეთა, საბალეტო სამყაროს ქართველ წარმომადგენელთა მიმართ: ის რაც მათ არ გააყეთეს, იტვირთეს მათმა რუსმა კოლეგებმა.

ზემოთ უკვე ვახსენე სიტყვა თავგანწირვა. ნუ ჩამითვლით ამას უცნაურობაში. ამ სიტყვის არსი სრულიად ნათლად წარმოგვიდგება, თუ გავიზიარებთ და ჩავეწვდებით, რომ პოემის სცენაზე, მით უფრო საბალეტო სცენაზე, ხორცმესხმის ცდა არ გვიბრდებოდა ერთმნიშვნელოვან და თანაც აუტოლბლად წარმატებულ შედეგს. ხომ ნათელია, რომ სწორედ ამ კონტექსტში — „პოემა-ბალეტი“, იყარგება, ქრება უმთავრესი, რითაც დიდია რუსთაველის ქმნილება: სიტყვა, პოეტური სიტყვა. როგორ, რითი შეიძლება შეცვალო იგი? რა შეიძლება გაკეთდეს, რათა ეს შენაცვლება სიტყვის ღვთაებრივი ძალის ადეკვატური იყოს? რა სახით შევინარჩუნოთ პირველწყყარის სისასვე, სიბრძნე, სულიერი და პოეტური სიმძლავრე, დაბოლოს, ახალი „ფაქტურის“ ძირწყის უაღრესად რთულ გზაზე დაბოლოს როგორ შევინარჩუნოთ, არ დავაბნეოთ მისი ძვირფასი მარჯალიტები?

ეს არ არის უმნიშვნელო საკითხები. ისინი მომდინარეობენ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცოდნიდან, ჩვევების ლოგიკიდან, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს მომდინარეობს ხალხის სრული შერწყმიდან სულიერი სიმდიდრის იმ კემპარიტად თვალუწვდენელ სამყაროს-

თან, რომელსაც თავის თავში ატარებს რუსთაველის ქმნილება. და როგორი დანანიც არ უნდა იყოს ხალხის გული და ცნობიერებისთვის, ეს ურიცხვი სიმდიდრე ამ შემთხვევაში მაინც განიცდის დამატებით ამას ვერსად გაექცევი, ისევე როგორც ვერ გაექცევი დაუძმყოფილებლობის. ზოგჯერ სინანულის გრძობასაც. ნებისმიერი, საუკეთესო შედეგის მიღების შემთხვევაშიც კი, ბალეტის შემქმნელები გარდუვლად გადაიქცევიან მაყურებლის „სამიზნედ“. რას იზამ, თუკი შენდაუნებურად აღმოცენდება უღმებლობამდე უკომპრომისო შედარებები, ინადლება ათასი პრეტენზია ნაწარმოების ძირითადი ქმედითი ხალხს გაღარიბების მოვლენათა, მოქმედ პირთა არასრულად წარმოდგენის გამო. გეჩვენება, რომ ადგილი აქვს მასალისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას, მეტიც — ვერ გაუგიათ მისი აზრი და არსი; ერთი სიტყვით, ხალხი მკაცრ, დაუნდობელ მსაჯულად იქცევა, მისი შეფასებები უკომპრომისოდ ხდება. ამგვარი მაქსიმალიზმი თვით პოემისადმი მაქსიმალისტური დამოკიდებულებით არის განპირობებული (ამაზე ზევით მქონდა საუბარი). შეფასებისას ამგვარი მიკერძოება და გარდუვალი შედარება პირველწყყაროსთან, მკითხველის „დახარბება“ ლიტერატურულ მასალაზე სრულიად გასაკევი და მართებულია.

მაგრამ, მოდით, განვერიდოთ ემოციებს და შევეცადოთ არა იმდენად პროფესიული, რამდენადაც უბრალოდ ობიექტური პოზიციის დაკავება, შევთხზნდეთ, რომ საბალეტო თეატრს თავის ძიებებში ჯერ არ მიუშართავს ესოდენ რთული ლიტერატურული ფაქტურისათვის, სადაც ერთმანეთშია გადახლართული ფილოსოფიური, ეთიკური, პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, დაბოლოს სიუჟეტური პლასტები. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ბალეტის შემქმნელებს მეტად გაუჭირდათ ამ პლასტების მწყობრივ მხატვრული თანმიმდევრობით განლაგება. თეატრს არც დაუსახავს ეს ამოცანად. ცხადია, რომ ლიბრეტო, მუსიკა, ქორეოგრაფიული ჩანაფიქრი და მისი ხორც-მესხმა ვერ მოიკავდა მთელ პოემას. ბევრი რამ ბალეტის შემქმნელთა არა მხოლოდ ყურადღების, არამედ მათი შესაძლებლობების მიღმა დარჩა. შორს წაგვიყვანდა ყველა იმ მომენტის — სიუჟეტურის, ტექსტობ-



რევის, კონცეფციურის, — ჩამოთვლა, რასაც არ ეღიროს რამის ჩირაღდების ხოლოც ვინოგრაფიის სპექტაკლი არ წარმოადგენს ინსცენირებას ამ სიტყვის ჩვეული გაგებით. საბალეტო ხელოვნებაში „ინსცენირება“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ბალეტში სულ სხვაგვარადაა საქმე. ცხადია, ეს ანბანური კუშიმარტება მომყავს არა პროფესიონალ-სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის, ბალეტის ხელოვნების თავყანისმცემელთა თუ მისდამი სრულიად გულგრილი საზოგადოებისათვის, ახალშობილი ნაწარმოების სხვადასხვა კომპონენტების — პოეზიის, მუსიკის, ცეკვის სინთეზი გულისხმობს მის ხარისხობრივად ახალ სახეს. ახალ „ფაქტურას“, ახალ სპეციფიკურ მხატვრულ ხერხებს, რომლებშიც შესაძლებელია და საჭიროა ნაწარმოების სულის, მისი მხატვრული ხატის, სიბრძნის გადმოცემა. შესაძლოა ეს უფრო ამ ნაწარმოების „ახსტრაქცია“, „ანალოგია“ იყოს, ვიდრე მისი ზედმიწევნით ზუსტი წარმოსახვა. მაგრამ ეს ხარისხობრივად და „ფაქტურულად“ ახალი ხერხები პირველწყაროს არსის ადეკვატური უნდა იყოს, უნდა გამომდინარეობდეს მისი კონცეფციიდან, ეროვნული ფესვებიდან, რომელთა წიადშიც იბადება მისი ზოგადსაკაცობრიო ელერადობა.

ლიბრეტოს ავტორი დიდი საბჭოთა ბალეტმეისტერი იური გრიგოროვიჩი (ფურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე დიდი თეატრის ბალეტის გარშემო გამართულ პოლემიკაში ჩემი მონაწილეობისა და ჩემს მიერ ბალეტმეისტერის მისამართით გამოთქმულ მთელ რიგ კრიტიკულ მოსაზრებათა მიუხედავად, არ შემიძლია დავმალო ამ პიროვნებისადმი ჩემი უდიდესი პატივისცემა და აღტაცება ისეთი საბალეტო ოქუსებით, როგორცაა „სპარტაკი“, „ქვის ყვავილი“, „ივანე მრისხანე“ და მრავალი სხვა), ცხადია, ითვალისწინებდა ამ სირთულეებს, ჩინებურად იცოდა „რაზე აღმართა ხელი თვისი“. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ლიბრეტოზე მუშაობა მიმდინარეობდა კომპოზიტორთან მჭიდრო თანამეგობრობაში. მუშაობის პროცესზე უდაოდ მისი, ბალეტმეისტერ გრიგოროვიჩის, ხედვაც აისახა — რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგი თავად აპირებდა ამ ბალეტის დადგმას, როგორც

ჩანს, რაღაცამ შეუშალა ხელი ამ მიზნის ხორცშესხმას და ბალეტმეისტერი „ვეფხისტყაოსნის“ სცენურ პარიანტში ლიბრეტოს ავტორად მოგვევლინა.

კომპოზიტორისა და ლიბრეტოს ავტორის თანამშრომლობა, მათი სრული ურთიერთშეთანხმება-ურთიერთშეგრძობა ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობა (შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ ეს ასევე ეხება ბალეტმეისტერს, დირიჟორსა და მხატვარს). სპექტაკლის ყველა კომპონენტის გაერთიანების, შეჯერების მხრივ ლენინგრადალთა სცენაზე დადგმული ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ მის შემქმნელთა და მონაწილეთა პოზიციების ერთმანობის ნიმუშს წარმოადგენს. ეს სინთეზის პარამონიულობა უბადლოა. მართლაც ძნელი, თითქმის შეუძლებელია ამ ერთსულოვნებიდან ვინმეს გამოყოფა და მისი აღიარება წამყვანად, ინიციატორად. ყოველი მათგანი მტკიცედა შედუღაბებული ერთ მთლიანობაში, განუყოფელია მისგან.

ალექსი მაკავარიანი — თვალსაჩინო ქართული კომპოზიტორი, მისი სახელა ფართოდაა ცნობილი საქართველოსა და კავშირის ფარგლებს გარეთ. თუმცა დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ამგვარი საერთაშორისო აღიარება ბევრისთვის კარგავს მიწი-დევლობას. უხვად გაისმის შენიშვნები საზღვარგარეთ ცნობილი ჩვენი თვალსაჩინო მოღვაწეების მიმართ. გვარაიანად მისცხებს ოთარ იოსელიანს, რომერტ სტურუას, ჯანს სულ პაბოქის, ლიან ისაკაძის (ვგონებ, პაბატი ავტობიოგრაფიასაც მისდგენს) და სხვებს. სამართლიანია კი ამგვარი დამოკიდებულება? ცხადია ამ წერილში უადგილო იქნება ამ პრობლემის განხილვა, მაგრამ ერთს კი შევნიშნავ: ეს შეუძლიათ მხოლოდ მათ ამტკიცონ, ვისაც არ ესმის ამგვარი აღიარების ფასი, მნიშვნელობა (იგი, უპირველეს ყოვლისა, მრავალსაუფუნოვანი და თანამედროვე ქართული კულტურის საუკეთესო მიღწევებია პროზაგანდაში, დემონსტრირებაში, ამ კულტურის მსოფლიო აღიარებაში).

მაშ ასე, ა, მაკავარიანი მსოფლიო აღიარება მოიპოვა და მაინც ქართველ კომპოზიტორად დარჩა. მე მიყვარს იგი როგორც პიროვნება, მიყვარს მისი მუსიკა, უადრესად ეროვნული, თავისი კოლორიტით ელერადი და ექსპრესიული, ტემპერამენტული და მძლავრი.

ა, მაკავარიანი მრავალი წლის მანძილზე

მუშაობდა ამ ახალ ნაწარმოებზე, თავის არსებაში ატარებდა ამ ოცნებას.

ამ ბალეტის მუსიკა ძალზე რთულია და ადვილი როდია მისი მოსმენით აღქმა. პირადად ჩემთვის, არა მუსიკოსისათვის. საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა ერთ მოსმენით — ჯერ კიდევ ლენინგრადში — მისი არსის წვდომა. გააზრებისთვის საკუთარ აღმოჩნდა დრო. ა. მაკავარიანის მუსიკას ახასიათებს ხმოვანებისა და რიტმის ცვალებადობა, სიარაკის მრავალსახოვანება. ზოგჯერ ყველა თავისებურება ერთადაა თავმოყრილი, გამოყენებულია მათი სინთეზი, ზოგჯერ ერთი სწრაფად ცვლის მეორეს. აი, გავიხსენოთ თუნდაც სპექტაკლის დასაწყისი, მუსიკის პირველი ტაქტები. ისმის ზარის რეკვა, მას დასარტყმელი და ჩასაბერი ინსტრუმენტების წლელვარე, ამფორიებზელი, თითქოს რაღაც ავის მომასწავებელი, ტემბრი ცვლის. მუსიკალური კომბინაციები მელოდირ უკიდურესობათა სინთეზზეა აგებული. წმინდა ქართული მელოდები ძალდაუტანებლად და ორგანულად ერწყმის თანამედროვე მუსიკალური სახიერების წიაღიდან აღმოცენებულ ხმოვანებას. ამავე დროს, ქართული კრიმანჭულის ინტონაცია, შუასაუკუნეების ქორალები, ფოლკლორული ელერადობა უკავშირდება კომპოზიტორის მიერ საკუთარი შემოქმედებიდან ნასესხებ ციტატებს (რომანის „მზეთამზეს სახელს“), რომელმაც განსაკუთრებულად გაიძღვრა საგიოლინო სოლოში სპექტაკლის ეპილოგში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე მუსიკალური ხმოვანებისა და

ქართული მელოდების ორგანული ერთმანეთში ერწყმის მიუხედავად, „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილ ბალეტში პირადად ჩემთვის უფრო ახლოზელი იყო ქართული ეროვნული, გარემოცვა, ვიდრე მისი საბიუროსპირო ხაზი. მით უფრო, რომ სწორედ ეს ეროვნული ხმოვანება ქმნის ჩინებულ კონტრასტს ნოვატორული იდეების წინაშე ვალის მოხდის მიზნით შემოტანილ ხმაურთან და ზოგჯერ დისპარმონიულ კომბინაციებთან. ის კი არა, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ კომპოზიტორი საკუთარ ბუნებას დააბატობს, თავის თავზე ახდენს ძალდატანებას. თუმცა ჩემს ამ სადაო დებულებას შეიძლება მეორე ახსნაც მოუძებნო: ბოლოსდაბოლოს, შემოქმედი ერთ ადგილზე ხომ არ გაიყინება. ცხოვრება, მისი განვითარება, თანამედროვეობისა და თანამედროვე მუსიკის მაჩისცემა მას ახალ კანონებს კარნახობენ და ისიც ეხმიანება ამ ახალს, მაგრამ ჩემი აზრი, თუ ეჭვი მე მაინც გამოვთქვი, მით უმეტეს, რომ იგი უკავშირდება ბალეტის საერთო კონცეფტუალურ გადაწყვეტას, მის შემქმნელთა თემისადმი მიდგომასა და მასში ერთგვარი „განმაზოგადებელი“ მოტივების ამოხსნის მცდელობას. ეს სიტყვა მე შეგნებულად მომყავს ბრჭყალებში, ვინაიდან ის ხერხები, რომელოც დამდგმელები მიმართავენ, არა მხოლოდ განაზოგადებენ პრობლემებს, არამედ — სწორედ განზოგადებისას — ორ ურთიერთსაწინააღმდეგო იპოსტასში ხლიჩვენ. ავტორთა პოზიცია საკმაოდ ნათლადაა გამოხატული: დაპირისპირებული მხარეები მუდამ ებრძვიან ერთმანეთს. თეთრი და შავი, სი-



სენია ბალეტიდან.  
„შოტლანდიური სიმფონია“

კეთ და ბორბობა, სიყვარული და სიძულვილი, ადამიანობა და სიმშობლე. ამგვარი გულახდილობა ერთგვარი სქემატურობის ელფერის ანიჭებს მთელ სანახაობას. არსებითად ამ წინასწარგანსაზღვრულ „სქემაში“ მოქცეული მოქმედება, რომელშიც საბოლოოდ იმარჯვებს ავტორთა და შემსრულებელთა უდიდესი პროფესიონალიზმი, ოსტატობა, ნიჭიერება, მასალისადმი სიყვარული, შემართება.

და კვლავ „განზოგადებამა“ შესახებ: პოემაში გამოყენებულია გეოგრაფიული შიფრი, რომელიც საჭიროა მივიღოთ სწორედ როგორც შიფრი და არა მოქმედების ადგილის პირდაპირი, სარკისებური ასახვა გეოგრაფიული სივრცეების სიდიდე (არაბეთი, ინდოეთი და ა. შ.) სრულებითაც არ უშლის იმის გაგებას, რომ ნაწარმოები სწორედ საქართველოში შეიქმნა, რომ ქართველი რუსთაველი საქართველოს, მისი ხალხის, მისი პრობლემების შესახებ წერდა. პოემაში განიჭურბრება კონკრეტული პრობლემები იმ ეპოქისა, რომელშიც ცხოვრობდა პოეტი.

დაიხაც, პოემის ეროვნული ფესვები სრულიად გარკვეულია და ზუსტი. და სწორედ პოემის უსაზღვრო მასშტაბებისა და მასზე დასმულ პრობლემათა გლობალური ხასიათის გამო იძენს იგი თავის განზოგადებულ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პოემის სცენური სახე-ხატის შექმნისას შესაძლებელია არ ვაგვითავისუფლოთ მისი ეროვნული ფესვები. გულახდილად გეტყვით, მე გამოაცა ჩვენი ნიჭიერი თანამემამულის, მხატვარ თეიმურაზ მურვანიძის მიერ გამოთქმულმა აზრმა: „მე მინდოდა შემექმნა სპექტაკლის განზოგადებული ხატი, გარკვეული მისამართის გარეშე“. რატომ? — გინდებდა მისდამი კითხვა. მხატვარმა თავის რუს კოლეგებზე უკეთ უნდა იცოდეს პოემის ეს გარკვეული მისამართი. იცოდეს მასალისადმი მიდგომის გზები. მის ქეშმარიტად ბრწყინვალე, თავისი ფანტაზიითა და გემოვნებით დახვეწილ ნამუშევარში, მაინც იგრძნობა ტენდენცია გვიჩვენოს არა კონკრეტულად საქართველო, არამედ ზოგადად აღმოსავლეთი. სპექტაკლს დაპირავს ერთგვარი ორიენტალიზმის ელფერი. იგი არა მხოლოდ მხატვრის ნამუშევარში ვლინდება, არამედ საცუკავო ლექსიკაშიც.

ეს სრულებითაც არ მოვეწოდებ, რომ აუცილებლად ყოფილიყო დადგმული ქართული ცეკვები, მაგრამ ცეკვების, მოძრაობების ლექსიკური წყობა ასე თუ ისე უნდა ითვალისწინებდეს ქართული კულტურის სიათს, მის პირველქმნილ, დასაბამილ არა „აღმოსავლეთისაგან“ ნასესხებ საცუკავო ტრადიციებს.

სამწუხაროდ, სპექტაკლში ეს მთლიანობა ზოგჯერ ირღვევა. მაგალითები? აი თუნდაც ერთი. ქორეოგრაფიულ ლექსიკაში დიდ ადგილს იკავებს სხეულების ურთიერთშერწყმა, გადავლდობა. საცუკავო დუეტებს ბალეტმეისტერი ძირითადად ამ ხერხის გამოყენებაზე აგებს. სპექტაკლის მსვლელობისას ჩემს შეხსიერებაში რამდენიმეჯერ აღდგა პასტერნაკის ცნობილი სტრიქონი:

«Скрешенье рук, скрешенье ног, судьбы скрешенье...»

უცნაური და, ცხადია, შემთხვევითი ასოციაცია. მისი აღქმა არ ღირს პირდაპირ პარალელად ბალეტთან მით უფრო, რომ პოეტის ეს სიტყვები სრულიად სხვა საგანს ეხება. ხოლო — აქ სპექტაკლში სხეულების ეს შერწყმა უხერხულობას ბადებს. ხელების, ფეხების, სხეულების ამ შეჯვარებაში არის რაღაც გადამეტებულად ხორციელი. სხვა სახელწოდების, სხვა ფაქტურისა და სტილისტური წყობის ბალეტში ეს ხერხი, ალბათ, პოევებდა თავის გამართლებას და სავსებით მისადაგებულად იქნებოდა. მაგრამ ეროტიულ საწყისზე უფრო მკაცრ მინიშნება ე სრულიად შეუთავსებელია. რუსთაველისა და მის გმირებთან. ეს უბრალოდ ეწინააღმდეგება მათ ბუნებას.

ამას ემატება მთავარი გმირი-ქალის კოსტუმიც, — საბალეტო ტრიკო, რაც კიდევ უფრო „აძლიერებს“ აღმოცენებულ შეგრძნებას და სრულებით არ უწყობს ხელს გამკვირვალე, კრისტალური სისუფთავის ხატად მის წარმოსახვას. ფერში მშვენივრად გადაწყვეტილი ეს კოსტუმი, თავისთავად ბადებს მხატვრის ზუსტი აზრობრივი მიმართების შეგრძნებას. თუთრ ფონზე შეილაქა-მონასმები, ვეფხვის ტყავს გვახსენებს. მაგრამ მხატვრის მიერ მიგნებული ფერთა შეხამება, ბალეტმეისტერის ნებით ემსახურება კოსტუმი-ტრიკოს აზრობრივ დატვირთვას, რომელიც სრულიად არ ეთანხმება თვით გმირის სახის არსს. ეს სხვა ქალთა

სახეებსაც ეხება. ბალანჩინმა ერთხელ აღი-  
არა, რომ მას თავისი მოცეკვავე ქალებისა-  
თვის „ტრიკო“ კარგი ცხოვრებისაგან არ  
ჩაუტყვევია: ფინანსურმა მდგომარეობამ და  
არა გულის ძახილმა აიძულა...

რაკი სიტყვა კოსტუმებზე ჩამოვარდა, მინ-  
და აღვნიშნო მხატვრის მიერ მათი შექმნი-  
სათვის გაწეული კუშმარტიად ვირტუოზუ-  
ლი მუშაობა. ფერთა გამის სიუხვე, კონტ-  
რასტული მონასმები, უჩვეულო შეუთავსე-  
ბლობათა შეთავსება სრულიადაც არ არის  
სიჭრელის მაჩვენებელი. პირიქით: თითქოს  
ლოგიკის საწინააღმდეგოდ ფერთა შეხამება,  
რომელშიც გვერდიგვერდ თანაარსებობენ  
პასტელის ტონალობები და მკვეთრი, მკაბე  
მონასმები, შავ-თეთრ-წითელ ფერთა კომ-  
ბინაციები ესოდენ აუცილებელ ფერწერულ  
პარმონიას ბადებს.

მივმართოთ ქორეოგრაფიას და შეძ-  
ლებისდაგვარად ცალკეული, ბუნებრივია,  
საკვანძო სცენების მიხედვით განვიხილოთ.  
ეს აუცილებელია არა მხოლოდ მათთვის,  
ვისაც არ უნახავს სპექტაკლი, არამედ საერ-  
თოდ ბალეტის, კერძოდ კი ქართული ბა-  
ლეტის ისტორიისათვისაც, ვინაიდან დადგმა  
ქართული მასალის საფუძველზეა განხორ-  
ცილებული და, მაშასადამე, თანაბრად გა-  
ნეკუთვნება ქართული ქორეოგრაფიული  
ხელოვნების ისტორიასაც. მით უმეტეს, რომ  
მის შემქმნელთაგან სამი საქართველოს წარ-  
მომადგენელია.

...ნახევრად ჩაბნელებული სცენა. უკვე მი-  
ჩუმდა ზარის რეკვა, დაფდაფების მშფოთ-  
ვარე დარტყმები და სიბნელიდან აღმოცენ-  
დება ყმაწვილთა სტატიური ჯგუფი: მათ  
შორისაა ტარიელიც. ანალოგიური პლასტი-  
ური გამოსახულებით მათ გვერდით ჩნდ-  
ება კიდევ ერთი ჯგუფი, ამჯერად ქალწულე-  
ბისა, და მათ შორის ვამჩნევთ ნესტან-და-  
რეჯანს. ორივე ჯგუფის საცეკვაო მოძრაო-  
ბები, პლასტიური ხატი იდენტურია. დამდ-  
გმელი პროლოგშივე დამაჭრებელ განაც-  
ხადს აკეთებს: ორივე გმირი და მათი გა-  
რემოცვა ერთიანი შემართებითაა შეპყრო-

ბილი, აქ ვერ შეხვდებით გრძნობათ დის-  
პარმონიას, მათ შორის შინაგანი სიმშველდე,  
სულიერი სიაზლოვე და პოეტური ერთი-  
ნობა სუფევს. ეს ქორეოგრაფიული ქმნი-  
ფორა საკმაოდ მკაფიო და სპირიტუალურად  
რია იმისა, თუ როდენ მტკიცეა გმირების  
პოზიციები, მათი გრძნობები. მთავარი პარ-  
ტიების შემსრულებლები ტ. არისკინა (ნეს-  
ტან-დარეჯანი) და ე. ალიევი (ტარიელი)  
ჩინებურად ძლევენ მათ წინაშე დასმულ  
ამოცანას. მათი ჰეროვანი მოძრაობები სპე-  
ქტაკლის პროლოგში ჯგუფური სცენების-  
თვის დამახასიათებელ სკულპტურულ სტა-  
ტიურობასთან თანაარსებობენ. მათ მოს-  
დევს ორი გმირის ემოციური ადაფიო, რო-  
მელიც თავის მხრივ თითქოსდა ბალეტის  
„ნათელი გმირების,“ აეთილი ძალების გან-  
მასახიერებელი საცეკვაო ლექსიკის პრო-  
ლოგს წარმოადგენს.

ჰეროვნება, სიმსუბუქე ბალეტში განყე-  
ნებულად გაგებული კი არ არის, არამედ  
მხატვრული სახის კონკრეტულ ხედვაში,  
მასთან მკიდრო კავშირში. გაფრენა — არა  
მხოლოდ მაღალ, ჰეროვან ნახტომშია, არა-  
მედ ხელების მოძრაობასა და მთელი კორ-  
პუსის ქორეოგრაფიულ დაყენებაში. თავის  
დუეტის ფინალში ტ. არისკინა და ე. ალიე-  
ვი ჰერში ფრენისას ერთმანეთს გადაჭლო-  
ბილი ფრინველებივით ქვედაებიან. ფრინვე-  
ლის ფრთებივით განერთხმევა ქაქთა უფ-  
ლისწულის ხელები მუხლებზე დამხობილი  
ნესტან-დარეჯანის თავზე. ყველაფერი ეს  
უწვრილმანეს დეტალებამდეა გააზრებული,  
ერთმანეთთან შედუღებებული ბალეტმეის-  
ტრის მკაფიო, ზუსტი ხედვითა და მოქმე-  
დების ლოგიკით. მთლიანობაში კი ნახტო-  
მებიც, გაფრენებიც და სხვა საცეკვაო კომ-  
ბინაციები (ტრიალი, ხელში ატაცება, წრეზე  
მოძრაობა და სხვა.) ბალეტმეისტრის მიერ  
თითოეული მხატვრული სახის შინაგან არ-  
სთან შეთანხმებაშია წაკითხული, როგორც  
იტყვიან — ყველა თავისას ლებულობს.  
აქედან გამომდინარეობს პოლარულ მიგნე-  
ბათა გამუდმებული ცვლა. მიმდინარეობს  
კუშმარტი ჰაქქობა ცეკვაში. ცეკვის დი-

ნამიკა უმალ იცვლება, ხოლო მასთან ერთად ერთბაშად იცვლება მოქმედებაც. ახლა მასში ბორბოტი, ბნელი ძალები იჭრებიან. იკვთება სპექტაკლის მამოძრავებელი თემა — ურთიერთდაპირისპირებათა ორთაბრძოლა. სცენაზე აღმოცენდება უზარმაზარი, ბრწყინვალე პანო: ეს შთამბეჭდავი «განზოგადება» ეპოქის ემბლემის სახიზ წარმოგვიდგება და მხატვარ თ. შერვანიძის არნახული გაქანებით გამოხატულ ემოციას გამოსახავს. მის ფონზე «მსხვილი პლანიო» გათამაშდება სიყვარულისა და ვერაგობის, სიცოცხლისა და სიკვდილის გულისშემძვრელი ეპიზოდები.

სცენაზე უგონოდ წევს ნესტან-დარეჯანი. მისდამი თანაგრძნობა, მხარდაჭერა გამოსკვივის სეფე-ქალების ცეკვაში, რომელსაც ცვლის მეფე-მამის — ფარსადანის (ა. კრუტოვი) გამოსვლა. მეფის მკვეთრი, კუთხოვანი მოძრაობები მის ზრახვებს ააშკარავენ. ნესტან-დარეჯანის საპასუხო საცეკვაო მონოლოგში ვედრება, პროტესტი, გმირის სულიერი ტანჯვა ასახული. მათთან ერთგვარ კონტრასტს ქმნის ქაჯთა უფლისწულის შემოსვლა. ს. ვიხარევის შესრულებაში არის რაღაც ეშმაკისეული, ჯოჯობითიდან მომდინარე. წითელი სამოსი, მკვეთრი, გაშლილი, უხეში მოძრაობები, მაღალ ნახტომში გამოხატული ექსპრესია, რეაქციების სისწრაფე აშკარა კონტრასტს ქმნის ტ. არისკანს ნესტან-დარეჯანის ფაქიზ, დენად საცეკვაო ნახაზთან.

არ შემიძლია არაფერი ვთქვა გ. მეზენცევის შესახებაც, რომელიც გაიღლებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ ლენინგრადში ვნახე ნესტან-დარეჯანის პარტიაში. დღეს მიჭირს მის მიერ შექმნილი სახის დეტალების ზუსტი აღდგენა, მაგრამ უდაოდ დასამახსოვრებელი იყო მისი ნესტან-დარეჯანი — ძლიერი ნებისყოფის, სულიერი ძალით აღბეჭდილი პიროვნება, რომელიც ცოცხლობს მისი ბედნიერების ხელისშემშლელი ძალების მიმართ გაცხარება, რომელიც ტრაგიკული სასოწარკვეთის წუთებს განიცდის

„დე-დე“ დონ კობიტან“. ბაზილი — ა. ზელნსკი



და ჩვენს წარმოსახვაში საბრძოლველად გამზადებული ვეფხე-ქალის სახე აღმოცენდება. ეს კი არც თუ უმნიშვნელო მომენტია თვით პოემის კონცეფტიაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბალეტის შემქმნელთა ფანტაზია შესაძლებელს ხდის ნაწარმოების სიუჟეტური ხაზიდან გადახვევას: საბალეტო თეატრისათვის ეს ჩვეული მოვლენაა. ასე ჩნდება ნადიმის სცენა. ნადიმი, როგორც ყოველთვის, ცეკვების დივერტისმენტული მონაცვლეობის საბაზია და ერთმანეთს ცვლის საცეკვაო კომბინაციების მთელი წყება. უშეცდომოდ გათამაშდება კონტრასტის ეფექტი. ქაჯი ქალ-ვაყების ცეკვებს დაუოკებელი, ყოვლისწამლგავი სტიქია წარმართავს და მათ გვერდით ნათლად გამოკვეთავს რაინდთა ცეკვას ნესტან-დარეჯანის თეთრი მანდილით, თვით ნესტან-დარეჯანის ვარაიკებს, მის დუეტს ტარიელთან. ამ ცეკვებიდან სულიერება, იმედის ნათელი სხივი გამოსკვივის, ისეთივე ნათელი და მსუბუქი, როგორც მეფის ასულის მანდილია.

მოქმედება ვითარდება, სიტუაცია სწრაფად იცვლება. ნესტან-დარეჯანის მოძრა-

ობებში შემფთოება, ნერვიულობა, შიში და გაცხარება იჩენს თავს. საოკრად დინამიურია ის მომენტები, როდესაც ქაჩების მიერ მოხელთებული მეფის ასული ტარიელის მკლავებში გადაინაცლებს, შემდეგ კი კვლავ დაშორდება სატრფოს. ასულის თერთი მანდილი — სისუფთავეს უბიწობის, წმინდა გრძნობების სიმბოლო, ხელიდან ხელში გადადის და ბოლოს მიგდებული აღმოჩნდება. ასე იჭრება ტრაგიზმის შეგრძნება სპექტაკლში. ხოლო როდესაც ჩამოეშება გამჭვივრავლად შავი ფარდა და პოემის გმირებს დროებით მაინც თითქოს მოწყვეტს ქაჩების შავბნელი, შემზარავი სამყაროსაგან, იწყება ნელი, მტანჯველი შეგრძნებით აღსავსე საცეკვაო დუეტი. ლიბრეტოში ნათქვამია: „ქალი კიცხავს ტარიელს“. სცენაზე ამას ვერ ვხედავთ. უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა, ემუდარება, ეფერება, სიყვარულს ეფიცება. და კვლავ უჩვეულო კომბინაციაში გადახლართვა, ამჯერად უფრო გართულბულ ვარიანტში. ნესტან-დარეჯანი თითქოს გადაეწნობა სატრფოს სხეულში: მათი ხელ-ფეხი ერთმანეთშია გადახლართული, შემდეგ ქალი ტარიელის ხელთან შეერთებულ საკუთარ ხელს გადაეკლებს. ეს შარტლავ უაღრესად რთული კომბინაცია, უნდა ვიგულისხმოთ, გმირების მიერ დასახული მიზნის მიღწევის რთული გზის განსახიერებას წარმოადგენს. უჩვეულო ასოციაციაც კი ჩნდება: ეს კომბინაცია მოგაგონებს თავისებურ დახლართულ ლაბირინთს, რომლიდანაც არ არის და არც შეიძლება იყოს გამოსავალი.

პირველი აქტის დასასრული: ქაჯთა უფლისწულის სიკვდილი და ტარიელის — ეალიევის ბოშოქარი, „ფეთქებადი“ მოძრაობებით, ექსპრესიით აღსავსე მონოლოგი, რომელშიც ბრძოლისათვის მზადყოფნაა გაცხადებული.

მეორე აქტი წმინდა ქორეოგრაფიული თვალსაზრისით არ წარმოგვიდგენს რაიმე სიახლეს. საცეკვაო ლექსიკა არსებითად უცვლელი რჩება, არაფრით განაზღვრება.

უცვლელია რეჟისურის პოზიციაც, იგივე განსაზღვრულობა ბალეტში მოქმედ სივრთა განცალკევებისას, იგივე ურთიერთდაპირისპირებანი, რაც განმეორებულია მთელი სპექტაკლის კმნის (ზოგიერთი შტრიხებისა და დეტალების) გარდა.

მეორე აქტი იწყება ნესტან-დარეჯანის წერილით, რომელიც თავისი წყობით ტრაგიკულ ეპილოზში გამოისახა. გაისმის გულისშემძვრელი ხმა-ტირილი (ალტ-მეცო). ეს თვით მეფის ასული დასტირის საკუთარ ბედს. ქაჩების მიერ მოქალაქეზულს თავისი ადამიანური იერი დაუკარგავს. დენადი და მწყობრი პასაჟების, ძღვრადი კანტილენის მაგიერ, მის მოძრაობებში თავი იჩინა სიუხეშემ, ეუთხოვანმა ეესტებმა, თვალბში გაცხარებამ იელვა. ვეღარ ვხვდებით უწინდებურ სიმსუბუქეს, მთრთოლვარე ალტონებას. ეფექტურ მაგრამ თავისი აზრით შემზარავ პანტომიმურ სცენაში ქვარცმული ქალწულის ხელები გმირის უდიდესი დრამის, ტანჯვის, უკურნებელი სევდის გამოშხატველ სიმბოლოდ ალტმეება. ნესტან-დარეჯანის მონოლოგი-ქვითიანი სულდალეულ ქაჯთა უფლისწულის ფონზე იმართება.

ეს სევდა და გამოუსავლობა ტარიელის რიხიან მონოლოგშიც ვაიფლერებს. აქ კი მოცეკვავს ნამდვილად ეძლევა საშუალება გაბედულ და მკვეთრ ნახტომებში ეედრებით აღმართულ ხელებში, სწრაფ, თითქმის გაცხარებულ მოძრაობაში გამოხატოს თავის გრძნობები.

მეორე აქტში ჩნდებიან აეთანდილი (ე. ნეფი) და თინათინი (ე. ევტევეა). ამ წყვილის კოსტუმი, მოძრაობები, ქცევა, პლასტიკა სასესებით შეესატყვისება პირველი წყვილის — ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის გამომსახველობას. რეჟისორ-ბალეტმისტერი ამჯერადაც ხაზს უსვამს მათი ერთიანობის, საერთო მისწრაფებების, ერთმანეთისადმი ერთგულების იდეას. ავთანდილისა და თინათინის დუეტის თანამდევნი მუსიკა ნათელია, მხნე, გამომწვევი, საზეიმოც კი.

ამ აქტში დასამახსოვრებელია „მიჯნურთა ხილვების“ სცენა. ეს არის ცეკვა-კვარტეტი, რომელშიც ოთხივე გმირი მონაწილეობს. ქორეოგრაფი მსხვილ, შთამბეჭდავ ნახაზებში ვადმოგვეცემს. მამაკაცების წარმოსადგეი და რიხიანი იერი, ჩამოთლილი ნაბიჯი, ექსპრესია ჩინებულად ერწყმის ქალების ლირიულობას, სიმსუბუქეს, თავშეკავებულ ემოციურობას. ცეკვა სინქრონიულობის პრინციპზეა აგებული და თითოეული შემსრულებლის ზუსტი შეწყობილი მოძრაობა გადაწყვეტ როლს თამაშობს. ცეკვა წარსულის ხილვად, მოგონებდაა ჩაფიქრებული, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შესრულებისას არა მხოლოდ ეფემერულობის, ზმანებისა და ოცნების მომაქადებელი შეგრძნება არ დაიკარგოს, არამედ ამასთან არ დაგვაფიწყდეს, რომ ეს რეალური ცეკვაა და ძალზე სერიოზულ დამოკიდებულებას ითხოვს.

მოგონებების ფაქიზი ლირიული სცენიდან ბალეტმეისტერი ავთანდილისა და ტარიელის ექსპრესიულ დუეტზე გადადის. ეს ფიცის სცენაა, რომელიც საერთო ელემენტით (ნადირობით) შეზავებულ ლირიულ-რომანტიულ ნოტზე იწყება, შემდეგ თანდათანობით ნელა შემოდის „ლილოს“ ინტონაცია, რომელშიც შეუმჩნევლად მზადდება გმირთა სრული ერთიანობის თემა. ხდება მათი ადამიანური გრძნობების, სულიერი მისწრაფებების შერწყმა და ეს თვალნათლივ აისახა მათ შეწყობილ დუეტში. სცენა, რომელიც დაიწყო სიმებიანი საკრავებით — სხვა ინსტრუმენტების თანდათანობითი შემოსვლით, — მთელი ორკესტრის მძლავრი ელერადობით მთავრდება. ბალეტის რთულ პარტიტურას ჩინებულად წვდება ახალგაზრდა ღირიყორი ვახტანგ მაჭავარიანი და შთაგონებით ტემპერამენტით მართავს ორკესტრს. ძალზე მახარებს ესოდენ რთული გამოცდის წინაშე ვახტანგის ხილვა პულტთან. ერთ-ერთ წარმოდგენაზე თვალს ვადევნებდი მას გვერდითა ლოკიდან: იგი მთლიანად ჩაღრმავებულია მუსი-

კაში, ცხოვრობს მუსიკით, გრძნობს მის/წინა-  
უანსებს, ძალუძს მათი გააზრება.

...დაფდაფები ქაჭთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას გვამცნობენ. ბრძოლის სურათი რიტმებისა და სხვადასხვა მუსიკალური ხილვების სიმრავლითაა გაჭერებული. ეს სცენა, ალბათ, ბალეტის კულმინაციად უნდა ჩაითვალოს, აქ დაპირისპირებულ ძალთა გააფთრება უმაღლეს წერტილს აღწევს. ცეკვაში იქმნება სრული ილუზია, რომ რაინდები ფეხით თელავენ მტრებს, ზედ გადადიან მათ სხეულებზე. ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ბალეტმეისტერის მიერ შეთხზული გამომსახველობითი ხერხები სამკედრო-სასაციოცლო ბრძოლის დინამიურ სურათს ქმნის. თუმცა კულმინაცია ჯერ კიდევ წინაა; ფინალურ სცენაში — „ცხოვრებისკენ დაბრუნება“, რომელიც სიყვარულისა და ერთგულების აპოთეოზს წარმოადგენს.

\* \* \*

თბილისური გასტროლების დახურვას თეატრი „ვეფხისტყაოსნით“ აპირებდა. ეს იყო 13 ოქტომბერი — ტრაგიკული დღე საქართველოსთვის. სპექტაკლი მოიხსნა. თეატრის კოლექტივმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად პატივი მიაგო ჩვენგან უდროოდ წასული ეროვნული გმირის — მერაბ კოსტავას ხსოვნას. ეს კიდევ ერთი დასტური იყო იმ დიდი ურთიერთპატივისცემისა, რაც საქართველოსა და ლენინგრადის კულტურის მოღვაწეთა შორის ურთიერთობებს განსაზღვრავს.

«Ахметели Алексей Васильевич, 1886 г. рожд., главный режиссер и зав. худ. частью 1-го Государственного Грузинского театра имени Руставели. Занимает эту должность с 1927 г., т. е. после ухода из театра Марджанова. До этого занимал должность режиссера и заместителя Марджанова. При правительстве меньшевиков состоял членом учредительного собрания Грузии. До 1917 года находился в партии нац. демократов, состоял членом ЦК этой организации. На учредительском съезде партии и/д в 1917 г. произошел раскол. Выделилась группа во главе с Ахметели и основала партию радикал-демократов. Лидером этой партии был Ахметели. Спустя 2—3 года партии радикал-демократов и нац. демократов поставили вопрос о слиянии и создании объединенного ЦК. В 1921 г. в январе эти партии слились в одну партию под названием «Демократическая партия Грузии». Было избрано объединенное ЦК, куда вошел и Ахметели. После советизации Грузии Ахметели вновь «перекочевал» в партию нац. демократов и стал вести нелегальную работу. Был

председателем ТК и членом ЦК этой же организации. В 1923 г. привлекается к ответственности по делу «Военный центр» ... является идейным вдохновителем и руководителем нелегальной антикоммунистической организации «Дурдჯი» (Durdji) ... скрывает борьбу против коммунистического влияния в театре. Желая выехать за границу, умышленно срывает сезон.

Хорავა Акакий Алексеевич 1895 г. рожд., актер театра Руставели, начальник штаба меньшевистской гвардии, после советизации вел нелегальную антисов. работу, за что был арестован ГПУ в 1923 г., активный член нелегальной антисов. организации «Дуруджи», на его квартире происходили нелегальные собрания этой организации. Из кулацкой семьи (отец был лишен права голоса). Настроен против Сов. власти крайне враждебно.

Васадзе Акакий Алексеевич актер и режиссер театра Руставели, быв. член соц. дем. партии, один из активнейших членов и организатором нелегальной а/с организации «Дуруджи». Систематически ведет агитацию против сов. власти, используя для этого временные затруднения и др. «Правая» рука Ахметели. Состоит на формулярном учете<sup>4</sup>.

ამგვარადღვია დახასიათებული დანარჩენი მსახიობებიც. როგორც ვხედავთ, ლ. ბერიან რუსთაველის თეატრს მიიჩნევდა ანტისაბჭოთა მოძრაობის ბუდედ. სადაც თავი მოეყარათ საზღვარგარეთ გაქცევის მოსურნე ნაციონალისტებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც ერთი მსახიობი დადებითად არ არის დახასიათებული და ძირითადი ბრალდებაც კორპორაცია «დურუჯი» წევრობა იყო. ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: მეორე განყოფილების უფროსი ლინეცკი და უფროსი რწმუნებული გუგუნავა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე უარი უთხრეს უკვე გასამგზავრებლად მზადყოფნა თეატრს, თუმცა მისი შემოქმედება როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთელი სპეციალისტების მიერ ერთნაირად იყო აღიარებული.

ვითარება დაიძაბა. ერთის მხრივ უდიდესი წარმატება, საერთაშორისო აღიარება, სექტრატელ «ლამარაზე» პოლიტიკურის დასწრება და მათთან ერთად სურათის გადაღება, მეორეს მხრივ ეკ, სრულიად საწინააღმდეგო საბუთის შედგენა საქართველოს პოლიტიკური სამმართველოს მიერ, რის შედეგადაც მოსალოდნელი იმედები არ გამართლდა და თეატრი საზღვარგარეთ (მაშინ ყველასათვის

გაურკვეველი მიზეზით) არ გაუშვეს. ეს გაურკვეველი ვითარება თვეების მანძილზე გრძელდებოდა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ა. მაშაშვილის პისის „განგაშის“ რეპეტიციები 1931 წლის 22 მარტს დაიწყო, პრემიერა კი 22 მაისს შედგა. ეს ფაქტიც იმისთვის გამოიყენეს, რომ დამტკიცებინათ ს. ახმეტელის მიერ სეზონის განზრახ ჩაშლის მცდელობა.

თითქმის იგივე განხორდა 1933 წელსაც. მოსკოვსა და ლენინგრადში კვლავ ტრიუმფალური წარმატების შემდეგ დაიგეგმა საგასტროლო ტურნე ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყველანი გამგზავრების მოლოდინში იყვნენ და ამიტომაც სეზონი არ იხსნებოდა. ამ გაურკვეველობამ რამდენიმე თვეს გასტანა. ამიტომ 1933-1934 წ. წ. სეზონი გაიხსნა 31 დეკემბერს გ. შატბერაშვილის „დუშმანი“. მხოლოდ 1934 წლის 5 მარტს ს. ახმეტელი უგზავნის საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს პ. აღნიაშვილს შემდეგი შინაარსის თხოვნას: „გთხოვთ თქვენს დასვენას ამერიკაში რუსთაველის თეატრის რწმუნებულების მინიჭების შესახებ ცნობილ სათეატრო კრიტიკოს ოლივერ საილარისათვის. ხსენებული პიროვნება დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებასთან, როგორც აქტიური წევრი და საბჭოთა სათეატრო კულტურის დიდი მკოდნე. ოლივერ საილარისაგან მიღებულია ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს რწმუნებულის ფუნქციებს. სოილერი კისრულობს უცხოეთის ბაზარში გააშუქოს როგორც რუსთაველის თეატრის მიღწევები, აგრეთვე საბჭოთა საქართველოს კულტურის სხვა დარგები საუწყებათაშორისო კომისიის და „ეოქსის“ გეგმებთან დაკავშირებით“.<sup>5</sup>

წერილიდან ჩანს, რომ გამგზავრება ახლოვდებოდა. პარალელურად მიმდინარეობდა თეატრის იუბილესათვის მზადება. საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით თეატრის წარმომადგენლები მიწვეულ იქნენ ცენტრალურ კომიტეტში. სწორედ აქ გაირკვა გასტროლების დაგეგმვის მიზეზიც. საუბრისას ლ. ბერიამ განაცხადა, რომ ს. ახმეტელი აპირებდა საზღვარგარეთ დარჩენას, ხოლო დასს გაურკვეველი ბედი ეწერა. ამიტომ, თეატრის გადარჩენის მიზნით გასტროლები ჩაშლა. ვითარება იმანაც გაამწვავა, რომ წამყვანმა მსახიობებმა ურთიერთობები დაამყა-

რეს მთავრობასთან და პირად საკითხებზეც მათ მიმართავენ. ს. ახმეტელი ხატავდა, რომ მთავრობასთან ურთიერთობის დასაბუხსთან ერთად თეატრის რკინისგზებზე უფლებებილიაც ირღვეოდა. რასაც შემყვალმა წყაღებულმა პოლს ზეგავლენის შესუსტება მოჰყვებოდა. ამის შესახებ 1934 წლის 25 სექტემბერს დასის შეკრებაზე იგი ამბობდა: „ჩვენი შინაგანი მხატვრული დისციპლინა და დასის მთლიანობა თუ არ გამოსწორდა, თუ არ წვაჯ წინ, როგორც ჩვენი შემოქმედება, მაშინ სჯობს თეატრი დაიშალოს. ჩვენი ახალგაზრდები ერთმანეთთან არ არიან კარგ დამოკიდებულებაში... ასეთი შეგნებით ჩვენ ვერ შევქმნით ხელოვნურ ნაწარმოებს... საკითხო ჩვენი მეგობრობის და ამხანაგური სიყვარულის უფრო გაერკველება და განმტკიცება“.<sup>6</sup> მაგრამ სულ უფრო იკეთებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები და პოზიციები. ერთნი გასტროლების ჩაშლაში თვით ს. ახმეტელს დებდნენ ბრალს, თითქოს მან სათანადო ზომები ვერ მიიღო. შეიქმნა ახალგაზრდების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ: ელ. ლორთქიფანიძე, ივ. აბაშიძე, ივ. ლალიძე, ი. ქანთარია, ბ. შვეიშვილი, რ. ბერიძე, ისინი დაუპირისპირდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს: ა. ვასაძეს, ა. ხორავას, კ. პატარიძეს, ი. ტუსკიას, შ. აღსაბაძეს, ი. გამრეკელს. გაურკველდა ხმები, რომ ს. ახმეტელი მუშაობისას მთელ ყურადღებას ახალგაზრდებზე გადაიტანდა, ხოლო უფროს თაობას მოიშორებდა. ამგვარი აზრები თავის დანიშნულებას ასრულებდნენ და ყველას აფორიაქებდნენ. ამიტომ კოლექტივში განხეთქილებამ იმატა. ამ მიზეზით 1932-33 წ. წ. სეზონში შილერის „ყაჩაღების“ გარდა არაფერი დადგმულა, ხოლო მომდევნო სექტაკლის „დუშმანის“ რეპეტიციები მხოლოდ 1933 წლის 14 ნოემბერს დაიწყო.

ამასთანავე დაიძაბა ს. ახმეტელის ურთიერთობები მწერლებთან. ეს კონფლიქტი კარგად გამოჩნდა 1933 წლის 19 აპრილს გამართულ მწერალთა კავშირის რესპუბლიკურ თათბირზე, სადაც მესამე ხდომილება განიხილეს „საბჭოთა დრამატურგის ამოცანები“. აქ დრამატურგისა და თეატრის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ კამათისას ს. ახმეტელს დაუპირისპირდნენ შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, ნ. მიწიშვილი, ს. ჩიქოვანი და სხვები. თავის გამოსვლაში ს. ახმეტელი აღნიშნავდა: „ჩვენ გვოდგას არა მარტო ახალი



ფორმის, არამედ ეროვნული ფორმის გამო-  
ხატვის საკითხი. ოქტომბრის რევოლუციამ-  
დე ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობდით რუ-  
სული კულტურის გავლენის ქვეშ. ეხლა კ'  
ეროვნული კულტურის შექმნის საკითხი და-  
ისეა. მე გეტყობებით, რა გააყეთა ჩვენმა დრა-  
მატურგებმა: ვიართ ძველი რუსული დრამა-  
ტურგის ფორმით, თუ საკირორა ახალი ფორ-  
მის მონახვა. ჩვენს დრამატურგებში ამხე  
დაისეა საკითხი? ესაა მთავარი და არა ის, თუ  
ვინ არის წამყვანი: თეატრი თუ რეჟისორი? ა'  
მ შემთხვევაში ს. ახმეტელი ეხება საერთოდ  
ქართული თეატრის წარსულსა და აწმყოს.  
მიზეზად იმისა, რომ მთელი რიგი თეატრები  
ვერ ამყოფილებდნენ მაღალმატერულ მო-  
თხოვნებს, მას ქართული დრამატურგის სი-  
სუსტე მიაჩნდა. ამასთანავე კონკრეტულად  
გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს ს. ახ-  
მეტელი „ძველი რუსული დრამატურგის  
ფორმაში“. ამ გზით რუსთაველის თეატრს არ  
უვლია, იგი უფრადლებას ამხევილებდა საბ-  
ჭოთა დრამატურგიაზე და მნიშვნელოვან  
წარმატებებსაც აღწევდა. 30-იანი წლებიდან  
კ ს. ახმეტელი ეროვნულ დრამატურგისა  
მიმართავს, მაგრამ მაღალმატერული პიესები  
შ. დადიანის „თეთნულდის“ გარდა არ აღმო-  
ჩნდა. ამიტომ დაიდგა ა. მამაშვილის „განგა-  
ში“, ს. შანშიაშვილის „სამინი“, პ. სამსონაძის  
„სალტე“, რომლებსაც თეატრისათვის წარ-  
მატება არ მოუტანიათ და ს. ახმეტელმაც გა-  
აძლიერა კრიტიკა ქართველი დრამატურგე-  
ბის მიმართ. ამან კი ურთიერთობები დაძა-  
ბა. თავის დაცვის მიზნით დრამატურგები  
აყენებდნენ დებულებას, რომ თეატრში წამ-  
ყვანი ლიტერატურული ნაწარმოები უნდა  
იყოს და არ სცნობდნენ რეჟისორის თვით-  
ნებურ ჩარევას ავტორისეულ ტექსტში. თავის  
გამოსვლაში ს. ახმეტელი კატეგორიულად  
ეწინააღმდეგება მწერლებს: „რასაც ზოგიერ-  
თი დრამატურგი მოითხოვს, ეს არის ძველი.  
დრომოქმული კონსერვატიული ამბავი. ამ  
გზით წასვლა თეატრის დაქვეითება იქნებო-  
და... ჩვენ ყველა დრამატურგს თეატრში ვერ  
მივიღებთ. შეიძლება იდეოლოგიურად მისა-  
ღები პიესა მოიტანოთ, მაგრამ რუსთაველის  
თეატრის ეპოქის ვერ ნახავს, თუ თქვენს მიერ  
მოტანილი ფორმა ჩვენთვის უცვლად მიუღ-  
ებელია. ჭერ-ჭერობით კონსტაქტი არ არის. ვერ  
მივიღეთ ავტორი, რომელიც სავსებით გაიზი-  
არებს იმ იდეას და იმ გზაზე დადგება, რის  
იდეოლოგიური პიესა ახალი ფორმის ძიებით

დაწეროს. მწამს ასეთ კაცს ეიპოვნით... ს. ახ-  
მეტელს მხედველობაში აქვს პიესას წერი-  
ტრადიციული ფორმა, რომელიც მას ახალი  
სტილის ძიების დროს არ ამყოფივდებოდა...  
დრამატურგებისაგან მოითხოვდა მისი კატეგორი-  
ტიკიდან გამომდინარე შესაფერის გამოშახ-  
ველობით საშუალებებს. ასეთი კატეგორიუ-  
ლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ს. ახ-  
მეტელი ამ ძიებისას ექსპერიმენტულ მუშა-  
ობას ვერ გასცდა. „ბერიკობის“ რეპერტიცი-  
ები ხალხური ნიღბების გამოყენებით სასუ-  
რველ შედგეს არ იძლეოდა. ამავე პერიოდ-  
ში იგი მუშაობს პიესებზე „კაცია-ადამიანი!“,  
„იულიუს კეისარი“, „ზოგაი“, წაკითხულ და  
დაწუნებულ იქნა „შაა-ნამე“. აი, რას ამბობს  
იგი რეპერტიციებზე: „თეატრი უნდა განთავი-  
სუფლდეს ძველი რეპერტუარისაგან, რომ  
შეიქმნას სრულიად ახალი სტილი“ და იქვე  
ასახელებს „არსენას“, „შემოდგომის აზნა-  
რებს“, „თემარას“. შემდეგ ამავე აზრს სხვა  
რეპერტიციაზეც აგრძელებს: „ჩვენ ერთი გა-  
მოსავალი დაგვრჩა, რომ გადაეწყვიტეთ მი-  
ემართოთ ძველ კლასიკოსებს... სისტემა ჩე-  
ვნი მუშაობისა იქნება ძალიან ფრთხილი.“ ასე-  
ვე ახალი ქართული კომედიის სტილს ეძებდა  
ვ. შვეარციის „ნაბიკვარის“ (გ. ბუხნიკაშვი-  
ლის მიერ ვადმოქართულიებული) განზორციე-  
ლებისას, სადაც კვლავ სასურველი შედეგი  
ვერ იქნა მიღწეული. ს. ახმეტელი დაძაბულ,  
რთულ შემოქმედებით და საზოგადოებრივ  
ვითარებაში აღმოჩნდა.

ათაბერზე ს. ახმეტელი განსაკუთრებულ  
კრიტიკულობით იყო განწყობილი შალვა  
დადიანის მიმართ. ამ ურთიერთობის სათავე  
1929-30 წ. წ. სეზონიდან მომდინარეობს, რო-  
დესაც შ. დადიანი რუსთაველის თეატრის  
დირექტორი იყო და აღმინისტრაციულ სა-  
კითხებთან ერთად შემოქმედებით ცხოვრ-  
ებაშიც სცადა აქტიურად ჩაბმა, რამაც ს. ახ-  
მეტელის პროტესტი გამოიწვია. შემდგომ  
კონფლიქტი 1933 წელს მოსკოვში გასტრო-  
ლების დროს გამწვავდა. „თეთნულდი“ იყო  
პირველი ცდა თანამედროვე ტრაგედიის შექ-  
მნისა, მაგრამ პიესასა და სპექტაკლში მხატვ-  
რულად უფრო სრულყოფილად გამოიყუ-  
რებოდნენ უაზროვანი გმირები — ძველი  
ათაბის წარმომადგენლები, ვიდრე კომკავ-  
შირელები. ამან რუს კრიტიკოსთა რეაქცია  
გამოიწვია. ს. ახმეტელმაც ამ მოსაზრებიდან  
სათანადოდ ვერ დაიკვა პიესა. ამის შესახებ  
განაწყენებულმა დრამატურგმა განცხადებო-

თავ კი მიმართა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს" და თავისი შეხედულება განაზოგადა — ს. ახმეტელი მხარს არ უჭერს ქართველ დრამატურგებს.

ასეთი იყო ამ ორი ხელოვანის დაპირისპირების მიზეზები. კონფლიქტები გრძელდებოდა...

1933 წლის 20 ნოემბერს მწერალთა კავშირმა, ს. ჩიქოვანის განცხადების საფუძველზე, განიხილა მასსა და ს. ახმეტელს შორის მომხდარი კონფლიქტი. მათ შორის უთანხმოება ჯერ კიდევ 1928 წელს დაიწყო, როდესაც ს. ჩიქოვანმა ტენდენციურად გააყრიტა სეზონის საუკეთესო სპექტაკლები „რღვევა“ და „ანზორი“. ამ სხდომაზე ს. შანშიაშვილი აღნიშნავდა, რომ „საერთოდ მოქალაქე ახმეტელი მწერალთა მიმართ არ არის კეთილსინდისიერად განწყობილი, მან შექმნა დრამატურგებს შორის ისეთი აუტანელი ატმოსფერო, რაც არავის არ უნდა ეპატიოს“.<sup>11</sup> იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ამ სხდომის შესახებ, მოვიყვანო კრების თავმჯდომარის მ. ტრორშელიძის<sup>12</sup> გამოთქვამს ოქმიდან: „ამხ. ტრორშელიძე აღნიშნავს, რომ ცკ-მ გამოიტანა საკმაოდ მკაცრი დადგენილება ამ საკითხის გარშემო გამოწვეული არანორმალური ურთიერთობის შესახებ. იმ მიზნით, რომ გამოჩახულ იქნეს საერთო ენა მწერლებსა და რუსთაველის თეატრში მომუშავე ზოგიერთ ამხანაგს შორის, არ მოხდეს ჯგუფობრობა, როგორც მაგალითად ამხ. პ. ჭიჭიძის<sup>14</sup> მიერ ახმეტელის წინააღმდეგ განცხადებაზე ხელის მოწერის ჩატარება. ცკ აღნიშნავს, რომ რუსთაველის თეატრი არის საბჭოთა თეატრი და მწერლებმა კავშირი უნდა იქონიონ ამ თეატრთან და არ მოხდეს ისეთი გამოვლენები, როგორცაა, მაგალითად, ადგილი ჭკონდა ამხ. ამალბოების<sup>15</sup> ხელმძღვანელობით მოსკოვში თეატრის ყოფნის დროს. ცკ ასეთ საქციელს არ დაუშვებს, როგორც პარტიულ, ასევე უპარტიო ამხანაგების მიერ, ვინაიდან რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელს ამხ. ახმეტელს მწერლების ერთი ჯგუფი ისეთ პირობებს უქმნის, რომ იგი მიჰყავთ ისეთ უხეშ და ფულგარულ მოქმედებამდე, რომ მწერლებს ვერბოკურადაც ეკუთხება“.<sup>16</sup> ასეთი ვითარების შექმნა განაპირობა ყველა მოვლენის ერთობლიობამ, რომელმაც საზოგადოებრივ დაპირისპირებაში იჩინა თავი.

მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა 1934 წელს, როდესაც აღინიშნა რუსთაველის თე-

ატრის 10 წლის იუბილე. მსახიობთა/მეორე ჯგუფმა მიიღო წოდებები, ხელს უწყობდა თათბის მსახიობი ალ. იმედაშვილი წოდების გარეშე დარჩა, რის გამოც ვენეციური სპეციალმა დატოვა თეატრი. უკურად დატოვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. დავითაშვილი და ნ. ჯავახიშვილი, ამას გარდა, დასში გაჩნდა აზრი, რომ ს. ახმეტელის ნიჭი სათანადოდ არ დაფასდა და იგი წოდებით გაუტოლეს მსახიობებს ა.კ. ვასაძეს, ა.კ. ხორავას და გ. დავითაშვილს. ამიტომ, ს. ახმეტელის შემოქმედებას ჰუმბოლტად მხოლოდ საზღვარგარეთ დაფასებდნენ და სხვა ამგვარი. ასეთმა ურთიერთობებმა თეატრში დაჯგუფებები შექმნა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდგომში საქში მომხდარი ინციდენტის გართულებაში.

საიუბილეო თარიღის განსაზღვრა ს. ახმეტელის ინციპტივიდან მომდინარეობდა, რადგან იგი იყო „დურუჯის“ სულისჩამდგმელი და მისი ხელმძღვანელი. კორპორაციის მიზანი მდგომარეობდა შემოქმედებითი ცხოვრების გარდაქმნასა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, რაც პირველ რიგში უდისციპლინობასთან შეუიკავებლობას ნიშნავდა, უარყოფდა იმ დრომოქმედით თეატრალურ ფორმებს, რომლებიც ვერ გამოხატავდნენ ახალ პოლიტიკურ ვითარებას. ამ პოზიციიდან გამომდინარეობდა ახალი ეტაპის დასაწყისიც. სწორედ ეს გარემოება ჭკონდა მხედველობაში ს. ახმეტელს, როდესაც თავის წერილში „საბჭოთა ხელისუფლების პირში“ წერდა: „დავიწყეთ რა ბრძოლა ძველ ეპიგონურ ქართულ თეატრთან, ჩვენ, რუსთაველებმა, მთელი ჩვენი შემოქმედებითი ძალეები მივმართეთ ჩვენი საკუთარი სცენური და აქტიორული შემოქმედებითი მეთოდის შექმნისაკენ და ჩვენს მუშაობას საფუძვლად ვუდებდით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასების ნამდვილ შემოქმედებას და ოსტატობას“.<sup>17</sup> ამასთანავე კრებულში არსად არ იხსენიება კოტე მარკანიშვილის ღვაწლი. როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა საიუბილეო თარიღის დადგენა ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგი იყო. ამიტომ მართებულად არ მივაჩნია თ. წულუკიძის მოსაზრება:

«Александр Васильевич не хотел этого юбилея. Старшие актеры настояли, уговорили его, упростили. Естественно, всем хотелось как-то отметить десятилетнюю дату непрерывного, самозабвен-

ნოგ, ნაპრავნიანი ტრუდა, ხოტელს პო-  
პრადნივათ, პოჩუვსტვოვათ სება იმენი-  
ნიკამი»<sup>18</sup>.

თეატრში უფროსი თაობის მხოლოდ ზე-  
მთ ბსენებელი მსახიობები იყვნენ, რომლებ-  
საც ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა  
არ მიუღიათ და საიუბილეო დღეებში საერ-  
თოდ მივიწყებულნი აღმოჩნდნენ. ამას გარდა  
„შეუწყვეტელი მუშაობა“ სინამდვილეში  
1920-1921 წ. წ. სეზონიდან დაიწყო და არა  
1924 წლიდან, ხოლო „თავდადებული და და-  
ძაბული შრომა“ კი—1922 წლიდან, როდესაც  
თეატრის სათავეში კ. მარჯანიშვილი ჩაუღდა.  
ამ თარიღის გარეშე მისი მანძილად საზოგადო-  
ებაში აზრთა სხვადასხვაობა მიმდინარეობ-  
და. ამიტომ უფრო სარწმუნოა ა. ე. ვასაძის  
მოსაზრება „სანდრო ახმეტელის კატეგორი-  
ული მოთხოვნით რუსთაველის თეატრის შე-  
მოქმედებითი ცხოვრება 1924 წლიდან დაი-  
წყეთ“.<sup>19</sup>

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იუბი-  
ლეს აღნიშვნის თარიღი გაიზიარა როგორც  
მთავრობამ, ასევე ქართული მწერლობისა და  
ინტელიგენციის ავტორიტეტულმა წარმომად-  
გენლებმა. ამ ვითარებაში უკეთ გაჩვენების  
მიზნით საჭიროა განვიხილოთ საიუბილეო  
კრებულის ზოგიერთი წერილი.

აი, რას წერს მაშინდელი განათლების სა-  
ხალხო კომისარი ა. ე. თათარიშვილი, რომელ-  
მაც ერთი ხელის მოსმით უარყო თეატრის  
საბჭოთა პერიოდიკ კი 1921 წლიდან: „რუს-  
თაველის თეატრის მიღწევები თავისი არსე-  
ბობის 10 წლის თავზე საბჭოთა ქართული  
კულტურის ბრწყინვალე გამარჯვებაა...“<sup>20</sup>

თეატრის ისტორიას უფრო „ღრმად“ ანა-  
ლიზებს პროლეტარული მწერალი გრ. მუში-  
შვილი: „საესებით სწორია რუსთაველის თე-  
ატრის ისტორიის ასეთი გაგება. თანამედრო-  
ვე რუსთაველის თეატრის ისტორიის ნამდ-  
ვილი ისტორია იწყება 1924 წლიდან... 1921-  
1923 წლები არის წინასტორიული პერიოდი.  
ეს პერიოდი ძირითადად ხასიათდება რეაქ-  
ციული რომანტიზმით. შოვინისტური ინტელი-  
გენციის ანტისაბჭოთა განწყობილება განსა-  
კუთრებით მკაფიოდ იდგომოლოგიურ სფეროში  
გამოვლინდა თავისი შინაგანი სიმბინჯით.  
მთელი თავისი სიძლიერით... ამ „რევოლუ-  
ციას“ იწყებს დიდი ხელოვანი, თეატრალუ-  
რი კულტურის მესაქე კოტე მარჯანიშვილი.  
„რევოლუციური“ გარდატეხა აღინიშნა „ფუ-  
ენტე ოვეზუნას“ დადგმით. გაერკელებულია,

მეტი კიდევ. — გამაბტონებულია აზრი რომ  
ამ პიესით დაიწყო ჩვენში მხატვრული დე-  
ლოგიური რევოლუცია. არსებითად ეს ასე  
არ არის: „ფუნენტე ოვეზუნას“ დედადგმით  
არ არაფერი შეცვლილა თეატრის; [წარმოუ-  
რებაში, არსებითად არ შენელებულა მისი  
რეაქციულ-ნაციონალისტური ტენდენციე-  
ბი...“<sup>21</sup>

ასეთივე აზრს გამოხატავს ალი აღნიშ-  
ვილიც: „ინდელისტური ინდივიდუალისტი,  
ანარქისტულ-ეკლექტიკური არაბესიების და-  
უსრულეველი კომბინაციების მძიებელი მარ-  
ჯანიშვილი კმნიდა თვითმყოფ, პანთეისტურ  
ესთეტიზმით გამსკვალულ სპექტაკლებს, სა-  
დღე კურკითი მეთოდით ფერანაცვლი სცე-  
ნური „სინამდვილე“ რიცხვდა სინამდვილის;  
რევოლუციურად გადაქმნილ კონკრეტულ-ის-  
ტორიული ტენდენციების აქტიურ გამოვლენ-  
ას“.<sup>22</sup> ასევე კომპოზიტორ ი. ტუსკო-  
ას<sup>23</sup> წერილში მუსიკის მნიშვნელოვანი როლი  
მხოლოდ ახმეტელის სპექტაკლებშია აღნიშ-  
ნული. მხოლოდ კრიტიკოსი შ. აფხაიძე<sup>24</sup> მოკ-  
რძალებით ასხენებს კ. მარჯანიშვილის დამსა-  
ხურებას.

აღნიშნული კრებული თეატრის 10 წლის  
იუბილეს და ამ დროიდან მიღწეულ წარმა-  
ტებებს ეძღვნება. მაგრამ ამავე დროს დაბე-  
ჭდილია ნ. დავითაშვილის, ს. შანშიაშვილისა  
და ა. ე. ვასაძის მოგონებები „ბერდო ზმანი-  
ას“ შესახებ. აქაც გამიზნულად იქნა გამოც-  
ლკევებული ს. ახმეტელის პირველი სპექტაკ-  
ლი. სამი მოგონება ერთ სპექტაკლზე, რომე-  
ლიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ-  
დე დაიდგა, ეწინააღმდეგება კრებულში და-  
ბეჭდილ ყველა წერილს, რომლებიც თეატ-  
რის ისტორიას 1924 წლიდან იწყებენ.

მოყვანილი ციტატები გამოხატავენ იმდრო-  
ინდელი რუსთაველის თეატრის შინაგან ატ-  
მოსფეროსა და ტენდენციურ განწყობას.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოებაც, რომ,  
როგორც აღვნიშნეთ, 1930 წ. თეატრის საზ-  
ღვარგარეთ გამგზავრებაზე უარის თქმისთ-  
ვის გამოყენებულ იქნა „დურუქის“ ანტისა-  
ბჭოთა პოზიცია. ეს დოკუმენტი ხომ ლ. ბე-  
რძის ხელმძღვანელობით შეიკმნა. საინტე-  
რესოა, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა სა-  
ქართველოს მთავრობა, როცა იუბილეს აღ-  
ნიშვნა „დურუქის“ შექმნიდან დაიწყო. ამ  
შემთხვევაში რატომ არ იყო კრებულის და-  
ბეჭდვის წინააღმდეგი პოლიტიკური სამმარ-

თველო? კრებული ხომ ეწინააღმდეგებოდა მის თვითკმალოვარ გადამწვეტილებას.

საიუბილეო საღამოს მოხდა მცირე ინკუდენტის ს. ახმეტელისა და ლ. ბერიას შორის. თეატრის ფოიეში მოწყობილი გამოფენის ექსპოზიციის მიხედვით, როგორც ეს იმ წლებში იყო მოღებული, არ ჩანდა ლ. ბერიას „დამსახურება“ რუსთაველის თეატრის წარმატებაში. ს. ახმეტელმა არც მისი მითითება შეასრულა — საღამოზე მოხსენება თვითონ არ გაეკეთებინა და საკუთარ წარმატებებზე ნაკლებ ელაპარაკა. ს. ახმეტელი კი პირიქით მოიქცა, ამასთანავე არ აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის დამსახურება თეატრის იდეოლოგიური ხაზის გამომწვევაში. ამან, რა თქმა უნდა, იმოქმედა პირველი მდივნის პატემოვარეობაზე და პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა.<sup>25</sup> ამ შემთხვევას იმხანად არ მისცენია დიდი მნიშვნელობა, მაგრამ როგორც მომავალში აღმოჩნდება, საერთო მდგომარეობის გამძაფრებაში თავისი წვლილი უთუოდ შეიტანა.

ლ. ბერიას ორბუნიბოვნობა, მისი პოლიტიკური ავანტიურისტული დიპლომატია თეატრის მიმართ 1930 წლიდან იღებს სათავეს. მისი მოჩვენებითი კეთილგანწყობა 1935 წელსაც გაგრძელდა. ამის დასტურია ი. სტალინისადმი გაგზავნილი წარდგინებაც დაჯილდოებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის მიერ ხუთი წლის წინანდელ საბუთებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაჯილდოება არ მომზდარა და იგი ფარატინა ჯალალდად დარჩა. იმ პერიოდში შეუძლებელი იყო ლ. ბერიას წარდგინება არ შესრულებულიყო, მაგრამ ესეც მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკას ემსახურებოდა:

ЦК ВКП(б) — тов. СТАЛИНУ<sup>26</sup>

О награждении театра имени Руставели и его руководителя тов. АХМЕТЕЛИ — орденами Красного Трудового Знамени Союза ССР.

В 1934 году исполнилось 10 лет работы театра имени Руставели в Тифлисе.

За эти годы творческий коллектив театра под руководством т. Сандро АХМЕТЕЛИ сумел превратить театр в значительный фактор роста Советской культуры, отражая своими художественными достижениями успехи Ленинской

национальной политики. Проведана также огромная работа по подготовке и воспитанию высоко - квалифицированных кадров деятелей театра и драматургии.

Своими успехами театр отличился в значительной мере обязан неутомимой, энергичной и выдающейся творческо - художественной деятельности руководителя театра талантливого режиссера т. АХМЕТЕЛИ, вложившего много труда и сил в дело создания и развития театра им. Руставели, хорошо известного и за пределами ССР Грузии.

Ряд работников театра решением Правительства ССР Грузии награжден званием народных и заслуженных артистов и деятелей искусства Республики Грузии.

ЦК КП(б) Грузии ходатайствует перед ЦК ВКП(б) о награждении орденами Красного Трудового Знамени Союза ССР: а) театра имени Руставели и б) руководителя театра т. АХМЕТЕЛИ Александра Васильевича.

Секретарь ЦК ВКП(б): (Л. БЕРИЯ) 8 февраля 1935 г.

თუ ზემოთ მოყვანილ 1930 წლის დაბასია-ტებაში თეატრი ანტისაბჭოთა პოზიციის იყო, ამჯერად კოლექტივი ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკაზე დაყრდნობით ზრდიდა საბჭოთა კულტურის მიღწევებს. ასეთი დასკვნაა გამოტანილი იმისდა მიუხედავად, რომ ს. ახმეტელმა საეტაპო სპექტაკლების უმრავლესობა სწორედ 20-იანი წლების ბოლოს განახორციელა. ხოლო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვან სპექტაკლთაგან მხოლოდ ორი გამოირჩეოდა „თეთნული“ და „უჩალები“. საკუთარ პოზიციასა ასეთი ცვალებადობა მიუთითებს ლ. ბერიას იმ წინასწარ გამოზნულ ზრახვებზე, რაც შემდგომში მალე დადასტურდა. სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ მოვლენები რადიკალურად შეიცვალა ბაქოში მომზდარი კონფლიქტის გამო.

სპექტაკლ „ლამარს“ ჩვენების დღეს აკაკი ხორავას სასტუმროს რესტორანში შეხვედსომეხი მსახიობი ი. აბელიანი.“ იგი 1918 წლიდან რამდენიმე ხანს თბილისში მოღვაწეობდა, იყო „არტისტთა კავშირის“ თავმჯდომარე. ბუნებრივია შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და აკ. ხორავა სპექტაკლზე ნასეთი გამოცხადდა.

ამ ფაქტის შესახებ არსებობს სპექტაკლის მონაწილეთა საწინააღმდეგო მოგონებები.

მურად ხინკაძე წერს: „ხორავამ ასწია ლაპარაკი, გაუვარდა ხელიდან და თვითონაც წაიჭრა.“<sup>28</sup> ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, თვით ლამარას შემსრულებელი თ. წულუკიძე ამას აუცილებლად აღნიშნავდა და მხოლოდ ამას არ დაწერდა:

«Только с выходом на сцену я взглянула на Хораву и все поняла: нет, он не болен!.. Он просто пьян! В зрительном зале слышался неясный говор, чей-то голос громко выкрикнул какую-то шутку, в зале засмеялись. Не стану рассказывать подробности»<sup>29</sup>.

აქ ვასაძე მოვლენებს სხვაგვარად აღწერს: „მეოთხე მოქმედებამ ისე ჩაიარა, ავის მომასწავებელი არაფერი ისმოდა. უკვე გრძნის ვიხსნიდი, როდესაც გარედან რაღაც ალიაქოთი მომესმა... ახმეტელისთვის ენა მიეტანათ“.<sup>30</sup> ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის დადგენა, თუ ვინ იყო ენის მიმტანი. აქ ვასაძეს იქვე მოჰყავს აქ. ხორავას სიტყვებში: „მგონი უკვე იყოსაქ კოდან. შესასვლელში რეისორის თანაშემწემ აღნიშნა თავის დროზე გამოცხადება და ვითომ გიყვება ჩემზე, შემომებღალუნა“.<sup>31</sup> ეს პიროვნებაა შალვა წერეთელი.

აქ, ხორავა კი წერს: „ვცხოვრობდით სასტუმროში. იქვე ვსაუბრობდით და ვსადილობდით. ერთ დღიას ჩაის დასალევად სასტუმროს რესტორანში შევედი. იქ ყოველდღიურად იქნა ხოლმე ცნობილი სომეხი მსახიობი აბელიანი, იგი ხშირად ესრუბოდა ჩვენს წარმოდგენებს და კმაყოფილებაც ეტყობოდა. რომ დამინახა თავის მაგიდასთან მიმიწვია. მეც უარი ვერ ვუთხარი — მაინტერესებდა: ამ დიდი მსახიობის გაცნობა და მასთან გასაუბრება. შევეყვით საუბარს და თანაც პატარ-პატარა სასმისებით კონიაკს ვსვამდით. ლაპარაკი საინტერესო გაიმართა. ყვებოდა თავის ახალგაზრდობაზე, იგონებდა ქართველ სომეხ და უცხო ქვეყნების მსახიობებზე, ამა თუ იმ როლის შესრულებაზე. ამ საუბარს ისე შევეყვი, რომ ვერც კი შევნიშნე კონიაკი როგორ მომეკიდა. მალე სადილობის დროც მოვიდა, იმ საღამოს იჩოს ვთამაშობდი. გამოვემშვიდობე. ვატყობ მთერალი ვარ. ყველამ იცოდა, რომ შექმნილი ვითარების გამო თეატრში მთერალი მისვლა ჩემსა და ახმეტელს შორის დიდ სკანდალს გამოიწვევდა. წარმოდგენის დაწყებამდე დიდი დრო იყო. პა-

რი დავიბნაძე. სიმძვარელე რომ გამსვლოდა. საჩჩიმლოძემ<sup>32</sup> მანქანა იქირავა და მთელი ერთი საათი ქალაქში დავდიოდით. ერთი ხელი ათი წაძინებაც მოვასწარი და თეატრში თავის დროზე სრულიად ფხიზელი გამჩქვანდნა. უკან საკვირველია ახმეტელი დააჩქვანუნა. მისებ მთერალი მივედი... წარმოდგენა ჩვეულებრივად ჩატარდა. მე სრულიად ფხიზელი, ისევე მსუბუქად დავდიოდი სცენაზე და ხელზე წამოწოლილ ვატარებდი ლამარას ძალზე დაქანებულ დეორაკიაზე.“<sup>33</sup>

ამასთანავე ფრიად მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ფაქტის შესახებ თ. წულუკიძის უფრო დაწვრილებითი მოგონება, რომელსაც იგი დიდი ტაქტით გვერდს უვლის:

«Я не в силах заново пережить эти трагические дни, рассказывая о них подробно. Они выжжены в моей памяти доныне болезненными шрамами»<sup>34</sup>.

თ. წულუკიძის წიგნიდან მოყვანილი ორივე ციტატა დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს და დღეს კი დადგა მათზე გულწრფელად თქმის დრო, რა გინდ პირად განცდებს არ უნდა იწვევდნენ ისინი.

ამ კონფლიქტში საინტერესოა იმ „ექვსეულის“ გარკვევაც, რომლებიც მოგონებებში იხსენიებიან. თ. წულუკიძე ამის შესახებ წერს:

«Кто-то заинтересованный подобрал и объединил эти мелочные недовольства, сколотил группу — человек шесть «протестантов»<sup>35</sup>.

ამ ჩგუფის შესახებ მ. ხინკაძეც აღნიშნავს: „ის ექვსეული, რომელმაც თავი გამოიჩინა: ახმეტელის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაჭილღოვდა საპატიო ნიშნის ორდენებით“.<sup>36</sup> ჩერ-ჩერობით ძნელია ამ ჩგუფის ზუსტი შემადგენლობის დადგენა, რადგან არც ერთ მოგონებაში არ იხსენიებიან. მაგრამ, ცხადია, ისინი ამ დაჭილღოებულთა შორისაც უნდა ვეძებოთ, რომელთა სიაც უფრო ვრცელია: ენეია ირ. ვაჩიყელი, ი. ტუსკია, ემ. აფხაძე, ნ. ჭავჭავაძე, სტ. ჭავჭავაძე, გ. საღარაძე, დ. მეხია, მ. ჭავჭავაძე, თ. თუშოშვილი. ჩვენ არ დავიწყებთ მარჩიელობას და ვერც ასეთ პასუხისმგებლობას ავიღებთ საკუთარ თავზე, რომ ვინმეს გამოცალკევებით დავადოთ ხელი, მაგრამ ცხადია მ. ხინკაძის კატეგორიულ ნათქვამი სრულ სიმართლეს არ შეიცავს...

ბაქოდან თბილისში დაბრუნების შემდეგ მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ საქმეში საქართველოს ცენტრალური კომიტეტი ჩაერია. მის მიერ მოწვეული იქნა სამი (ივ-

ლისში, აგვისტოსა და სექტემბერში) ფრიად მნიშვნელოვანი თათბირი, რომლებსაც მოჰყვა გადაწყვეტილება რუსთაველის თეატრის რეორგანიზაციის შესახებ.

1935 წ. 25 ივლისის თათბირის სტენოგრაფია მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ა. ვსაძის, ა. ხორავესა და თ. წულუკიძის მოგონებებში იგი არ არის მოხსენიებული. ამ დოკუმენტმა გვაძინო კონფლიქტის ძირითადი არსი და ამათში მონაწილე პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისიის განწყობილება. ლ. ბერია, ე. ბეღია, ა. თათარშვილი, გ. მგალობლიშვილი აღნიშნავენ ს. ახმეტელის მიერ ერთბაშად აღნიშნული მმართველობის ჩამოყალიბებას, რომ იგი ანგარიშს არ უწევდა სარეჟისორო კოლეგიის მოსაზრებებს, კრიტიკულ შენიშვნებსა და სხვა სახის შეხედულებებს. ამ მოვლენის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 30-იან წლებში ტრადიციული რეჟიმის დამყარებისა და პიროვნების კულტის აღზევების დასაწყისი. ეს მოვლენა მთელი სახელმწიფო აპარატზე გავრცელდა და, ბუნებრივია, ნაწილობრივ რუსთაველის თეატრშიც შეაღწია.

სტენოგრაფია რუსულადაა ჩაწერილი და არ არის სრულყოფილი. არ ჩაიწერეს ქართულ ენაზე გამოსულთა სიტყვები, არ არის აგრეთვე ს. ახმეტელის საბასუხო სიტყვა, სადაც უნდა ვიგულისხმოთ, აისახა მისი თვალსაზრისი კონფლიქტის მიზეზებზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მთავრობის წარმომადგენელთა შეხედულებებს. ასევე სტენოგრაფიკული არ არის რუსთაველის თეატრის მსახიობთა — პ. კორიშელის, სტ. ჯაფარიძის, გ. სალარაძის, დ. მეფიას და რეჟისორ კ. პატარიძის გამოსვლებიც. სამაგიეროდ თავის გამოსვლებში სრულიად ერთნაირ პოზიციას გამოხატავენ ზემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებელი მუშაკები. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ წამყვანი მსახიობების ა. ვსაძისა და ა. ხორავეს განთავითუფლება და გამოთქვამენ აზრს შემოქმედებით მუშაობის გაგრძელების შესახებ.

ს. ახმეტელი პრინციპულად არ ეთანხმებოდა ზემდგომი ორგანოების აზრს. მას მიაჩნდა, რომ თეატრის შიდა შემოქმედებით საკითხებში არავინ არ უნდა ჩარეულიყო. ამით იყო განპირობებული ის გარემოებაც, რომ ს. ახმეტელმა დარბაზიდან მოუბრუნებლად გაისტუმრა რეპეტიციასზე შემოსული ლ. ბერიას წარმომადგენელი. ასეთ დამოკიდებულე-

ბას 30-იანი წლების მეორე ნახევარში, რა თქმა უნდა, არავინ აპატიებდა.

თათბირს თავმჯდომარეობდა ლ. ბერია, რომელიც ცდილობდა ყურადღებას გაემხველებინა მისთვის ხელსაყრელ მოხატულ საველ სიტყვაში იგი აღნიშნავს, რომ ასეთ კონფლიქტში მთავრობა ერევა თეატრსა და ხელისუფლებას შორის კავშირის განმტკიცებისათვის. იქვე გამოთქვამს კატეგორიულ მოსაზრებას სახალხო არტისტების მთავრობასთან შეუთანხმებლად მოხსნის გამო.

საერთოდ ს. ახმეტელი ანგარიშს არ უწევდა ზემდგომი ორგანოების „რჩევებს“. იმ დროს კი ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მტკიცებოდა თეატრის რეპერტუარიც. იმიტომ იგრძნობდა ბერიას მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება თეატრის ხელმძღვანელის მიმართ. ფრაზა: „მე ადრეც მინდოდა ამხანაგებთან მესაუბრა თეატრის შემდგომი შემოქმედებით საქმიანობის შესახებ“, — ეს ლ. ბერიას პირველი დემოგოგიაა, რადგან ამ შეკრებაზე მას უცვლელად უკონდა შეხედრები თეატრის წარმომადგენლებთან. შემაჩაბრულ სიტყვაში იგი თავის განწყობას უფრო ვრცელად ავლენს და განსახტომის საშუალებით მიუთითებს ს. ახმეტელს — დაუყოვნებლივ აღადგინოს ა. ვსაძე და ა. ხორავე. შემდგომ, თეატრში არსებული დისციპლინის განხილვით იწყებს სამხატვრო ხელმძღვანელის კრიტიკას: ეხება ადგილკომის იგნორირებას, „დურუჯ“, რომელიც თითქოსდა იმიტომ არსებობდა, რომ შეესუსტებინა საბჭოთა ხელისუფლება თეატრში. შენიშნავს რა კორპორაციული პრინციპებით მუშაობის ცვლაცე გაგრძელებაზე, ლ. ბერია შეფარვით უყენებს ს. ახმეტელს პოლიტიკურ ბრალდებას: „იგი სარგებლობს ამ ხელისუფლებით ლეგალური და არალეგალური სახის მიზნების განსახორციელებლად“. ე. ი. თუ მსგავსი შეხედულებები ჭერ კიდევ ცოცხალია, მაშინ უკვლავური მოსალოდნელია: დისციპლინის მოშლა, დაუმორჩილებლობა, საზღვარგარეთ გაქცევა და სხვა ამგვარი. შემდგომ თეატრის წარმომადგენლებზე ამბობს: „არ შევუდგებო თეატრის ქებას, ჩვენ ვიცით, თქვენ ჩინებული მსახიობები ხართ, კარგი მემკვიდრეობა გერგოთ“, აქ უცვლელად ლ. ბერია გვერდს უვლის რეჟისორის შეფასებას და მსახიობთა ქებაზე გადადის, მიუთითებს აგრეთვე კ. მარჩანიშვილის მიერ შექმნილი დასის ტრადიციების გაგრძელებაზე. გამოდის, რომ ს. ახმეტელს თეატრისათ-



ვის განსაკუთრებული არაფერი გაუეთქვამა. ამ აზრის განვითარებაა სიტყვებშიც: „1934 წელს გაუთანბრდით 1927-28 წლებს“, სწორედ 1928 წელს დაიდგა საუკეთესო სპექტაკლები „რუფვა“ და „ანზორი“. ამ წარმატების გაიგივება 1934 წლის სუსტ სეზონთან უმართებულოა. საკმაოდ ორაზროვნად ვაისმის პირველი მდივნის სიტყვები: „ამბეტელს არ სჭირდება თქვენი დახმარება, დაკვა ჩვენს წინაშე. გთხოვდით სიმართლის თქმას, ვაიჭლებდით ყველაფრის მოყოლას, რათა ჩვენთვის გადავცილებულიყო ამ სიტუაციაში ორიენტირება და არა იმისათვის, რომ დაგვეხერხებინა ამბეტელი“. ნათელია, რომ ლ. ბერიამ მეგობრული კეთილგანწყობის ნიღაბქვეშ განაჩენი გამოიტანა. ციტატაში „დახერხების“ ხსენება შინაარსობრივად აუცილებელი არ იყო, მაგრამ ამით მიანიშნა, რომ ამბეტელს ვერაფერი დაეცავდა. ეს სიტყვა ხაზგასმულადაა ნათქვამი, რადგან ლ. ბერიასათვის გარკვეულია ს. ამბეტელის „ურჩობა“ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამდე საჭირო იყო საზოგადოების ფსიქოლოგიური მომზადება. ამიტომაც ანვითარებს აზრს ამბეტელის გარეშე თეატრის არსებობის შესახებ და ვითომდა ობიექტურობის დასაცავად ამასაც ამბობს: „თუკი საჭირო გახდა, ხორავას გარეშეც გაიძლება“. ეს არის ლ. ბერიას მორიგი მანერო, თითქოს მისთვის სულერთია ვინ წავა თეატრიდან, კოლექტივი წინსვლას მაინც განაგრძობსო. ეს მაშინ, როდესაც ა. ე. ვასაძისა და ა. ხორავას თეატრში აღდგენას პრინციპული მნიშვნელობა მიეცა, გახდა კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავების მიზეზი. ამასთანავე აქ არის მუქარა ა. ხორავას მიმართ, რადგან იგი ს. ამბეტელის გამართლებას ცდილობდა: „ალექსანდრე ვასილის ძე დიდი ოსტატია და მის გარეშე თეატრი 80%-ით ძირს დაეშვება“. ასეთი მოსაზრება ეწინააღმდეგებოდა ლ. ბერიას შეხედულებებს. ამიტომ ცდილობს ს. ამბეტელის მუშაობის დაქინებას და თავისი პოზიციის განმტკიცებისას წინააღმდეგობაში ვარდება. „თქვენ ამბობთ, რომ თვითონ შექმენით სტილი, მიმართულება და აქვე ამბობთ, რომ ამბეტელის გარეშე თეატრი არ არსებობს“. გამოდის, რომ სტილი თავისთავად შეიქმნა, ორატორისათვის კი კარგად იყო ცნობილი, რომ თეატრის შემოქმედებითი სახე ს. ამბეტელის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. ლ.

ბერია დემოკრატიურად მიაწერს ამ წარმატებას მხოლოდ „საბჭოთა ორგანოს“ აქვე უწოდებს ს. ამბეტელს ფაშისტს. კვლავ აშკარად გამოიკვეთა მისი აზროვნების მიმართულება — უნდა დაიხრჩუნოს სპექტაკლი, რომელიც უზღვევებელაქროს მთავრობას. თეატრის წარმატებებში დიდი წვლილი არ მიუძღვის და დისციპლინის საკითხებში „ფაშისტური გადახრებიც“ ახასიათებს — აი, ლ. ბერიას სიტყვები შენიღბული დედააზრის. ამასთანავე იგი ვერ მალავს სიმპათიებს ფაშისტთან, რაც მის ბუნებასთან საოკრად ახლობელი აღმოჩნდა: „ფაშისტებსაც ახასიათებთ ბევრი კარგი რამ, მაგრამ ეს კარგი სულ 20%-ს შეადგენს“. ეს გულწრფელად ნათქვამი წარმატებითაც გამოიყენა პრაქტიკულ მუშაობაში და საკუთარ თავში არსებული ამ „უცხო ელემენტის“ გამოვლენა ს. ამბეტელის საწინააღმდეგოდაც დაიწყო.

აქ ძირითადად მთავრდება ლ. ბერიას მთავარი შეხედულებები და იწყება პრაქტიკული მაგალითების მოყვანა. „ურჩობის“ განსამარტავად მოჰყავს იმ პერიოდში აბელ ენუქიძის განთავისუფლება სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან (რომელიც ბრალდების გარეშე სამუშაოდ ხარკოვაში გადაიყვანეს, გ. შ.) ამ შემთხვევაში ლ. ბერია გულისხმობს, რომ ა. ენუქიძემ თავი ვერ გართთვა მოვალეობის შესრულებას, პარტიამაც ეს ამბავი ხალხსაგან არ დამალაო. ამ მაგალითითაც ორატორი ყურადღებას ამახვილებს პარტიასა და ხალხის მკვიდრო, „გულწრფელ“ ურთიერთდამოკიდებულებაზე და მხედველობაში, რა თქმა უნდა, ს. ამბეტელი ჰყავს. დადებით მაგალითად კი მოჰყავს ი. სტალინის დემოკრატიულობა: „სტალინი პირადად ესაუბრა რამდენიმე ასეულ ადამიანს, დამკვრელურ ბრალდებებს, რათა თითოეულიასთვის ეკითხა, როგორ სჯობს ამა თუ იმ საკითხის გამოტანა, რა იქნება უკეთესი“. აქაც ლ. ბერიამ ცვლავ მიმართა დემოკრატიას, რათა თეატრში არსებული ერთმმართველობის პრინციპი გაეზათილებინა. სინამდვილეში დღეისათვის ცნობილია, რომ 1928 წლის შემდეგ ი. სტალინი კოლმუერნეობებში აღარ დადიოდა და მშრომლებსაც მხოლოდ საზეიმო შეკრებებზე ზედებოდა. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს კაბინეტურ-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მეთოდი.

ლ. ბერია საკუთარი პოზიციის განსამტკიც-

უკლად ისტორიული ფაქტების გაყალბებასაც არ ერიდება. ეს კი იმისთვის სჭირდება, რათა ყველა დაარწმუნოს — თეატრის ცხოვრება მისი შემქმნელი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდეს. რაც მთავარია დამსწრეთაგან ვერაინი ბედავს რეპლიკის თქმასაც კი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ლ. ბერია მთლიანად ფლობდა სიტუაციას და ამიტომ არაყოფიერ აღნიშნავს კიდევ, რომ თეატრში ნათქვამი ყოველი სიტყვა მისთვის ცნობილი იყო და კოლექტივი სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთმა ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომში მოვლენების დრამატულ განვითარებაში.

ე. ბედიას გამოსვლა გამსჭვალულია ლ. ბერიასადმი მლიქვნელობით და შეძლებისდაგვარად ფაქტების გამჟღავნებით. ის ამბობს: „ხუთი წლის მანძილზე რუსთაველის თეატრმა მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი წარმოდგენა მოგვცა. „აქ იგულისხმება შილერის „ყაჩაღები“, ხოლო „თეთნულდის“ წარმადგენს არც ასხენებს. სამსახიობო მიღწევები ლ. სლაფინის „ინტერვეუსასაც“ ჰქონდა. ამიტომ ე. ბედია ცდილობს დაამტკიცოს, ამ პერიოდში რამდენად „უკან დაიხია თეატრმა“ პოლიტიკურადაც. სათანადო მტკიცების უქონლობის გამო გ. შტებერაშვილის „დღეშმანს“ ასახელებს. პიესის სიუჟეტი კი უნება სოფლად ქულებთან ბრძოლას. ასე, რომ სპექტაკლი არაფრით არ განეკუთვნებოდა „ანტისაბჭოთა“ დადგმას. აქ გამომსვლელი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი წინა პლანზე იყო წამოწეული და მავურბელებს ქულებათა მიმართ გარკვეული სიმპათიითაც განაწყობდა. იმდროინდელი პრესა პოლიტიკურად ასე ფასებდა სპექტაკლს: „გ. შტებერაშვილის პიესა დღევანდელი დღის მიერ წამოყენებულ კითხვაზე გაკმეული პასუხია.“<sup>37</sup> ხოლო ავამებდა რა დადგმის მხატვრულ დონეს აღნიშნავდა: „დადგმა რუსთაველის თეატრის ტრადიციული სტილით არის გაკეთებული. რეჟისორი ხშირად მიმართავს სტილიზაციის ხერხს. მიზანსცენები მოფიქრებულია სწორად.“<sup>38</sup> ანდა: „მთელი კოლექტივი თამაშობს მწყობრად, ტემპერამენტით. მხატვრული ზომის დატვირთვით.“<sup>39</sup> შენიშვნის სახით კი მხოლოდ ითქვამს: „პიესის ნაკლად მიგვაჩინია ის გარემოება, რომ იგი ცხადად არ იძლევა კომუნისტ პარტიელების საბეს.“<sup>40</sup> ასეთი საზოგადოებრი-

ვი აზრიდან გამომდინარე ე. ბედიამ პიესა ანტისაბჭოთად გამოაცხადა და „გამოიტანა“ დასცხვა: „მხატვრულობის მთავარწინააღმდეგობა თეატრში ძალზე არასასიკეთო მდგომარეობაა“. აქ ორატორი წინააღმდეგობით უმობს და, ამასთანავე იგი არ იხსენებს სპექტაკლის დადგმელს შ. აღსაბაქეს“ და ყველაფერს მართო ს. ახმეტელს აბრლებს, სხვა მხრივ ე. ბედია უარყოფით აზრს ვერ გამოთქვამდა და ამიტომ რეალური ფაქტები საკუთარ პოლიტიკის მოარგო. მართალია თეატრში დადგმული ახალგაზრდა დრამატურგთა პიესები მხატვრულად სუსტი იყო, მაგრამ სინამდვილეში, ასეთი თემატიკის პიესების დადგმას თვით მთავრობა აიძულებდა. იმ პერიოდში „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპის მუშაობა საბჭოთა ცხოვრების ასახვას გულისხმობდა, მაგრამ ვალბ „კლასობრივ ბრძოლებზე“ აგებულმა სიუჟეტებმა მხატვრულ დაძაქვრებლობა ვერ მოიპოვეს. თეატრის ღირსებაც სწორად იმართ მდგომარეობდა, რომ „მტრების“ ვულგარიზებული ტენდენციების პიესებიდან შედარებით უკეთესი მხატვრული დონის სპექტაკლები იქმნებოდა.

ტენდენციურია ე. ბედიას შემდეგი აზრიც: „თქვენი თავი წარმოიდგინეთ გენიოსად, რომელსაც უფლება აქვს ასწავლოს მთელ საბჭოთა კავშირს და ამერიკასაც კი. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ მთები შეგიძლიათ ააყიროთ, ყველაფრის უფლება გაქვთ, სხვები კი პაიკები არიან“. ე. ბედიას მხედველობაში აქვს ს. ახმეტელის მიერ ამერიკაში გამგზავრებისათვის მზადება მოსკოვში, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან შეუთანხმებლად, რამაც პირადად ლ. ბერია ააღელვა და გასტროლებიც განწირული აღმოჩნდა. ეს გარემოება შეფასებულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად. ამასთანავე ე. ბედია ოსტატურად ახვიადებს ს. ახმეტელის პირად ნაკლოვანებებს. რასაც შემოქმედებითი წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევს და თეატრში თქვენილი ატმოსფეროს ახსნასაც ამით ცდილობს. ფაქტების ასეთი „დამაჯერებლობა“ იქითყენა მიმართული, რომ ყველა დაარწმუნოს ს. უახმეტელოდ. კოლექტივის წინსვლის მიზანშეწონილობაში.

აქ, თათბირშიელი უკმაყოფილოა, რომ ს. ახმეტელი უსიტყვოდ არ ემორჩილებოდა და არ ასრულებდა განაილების სახალხო კომისარიატის მითითებებს, საქმის კურსშიც არ

აყენებდა მას შემოქმედებითი მუშაობის შე-  
სახებ. თეატრის ასეთ პოზიციას იგი ხსნას  
„დურუქის“ ტრადიციებითა და ბელადობის  
პრინციპით. ასეთ ატმოსფეროს „ნულამდე  
დაწყავს თეატრის წამყვანი კადრების როლი“.

ა. თათარიშვილი მეტ კრიტიკას მოელოდა  
ა. ვასაძისა და ა. ხორავასაგან. ამ „ხარვეზს“  
თვითონ ავსებს. იგი დემოგოგიურად იყენებს  
თეატრის ბოლო პერიოდის წარმმატებლობას  
და შექმნილ მდგომარეობას „უძრავობის მი-  
მართ მკვეთრად გამოხატულ პროტესტს“ უწ-  
ოდებს. აქ გამოხსვლელი პრედგვლობაში გა-  
ხზრავს არ იღებს თეატრის ახალი სტრუქტურის ძი-  
ების რთულ პერიოდს (რაც ზემოთ აღვნიშ-  
ნეთ) და ანვითარებს აზრს, რომ ს. ახმეტელი  
საბჭოთა ორგანიზების მიმართ პროტესტი  
ნიშნად ხელოვნურად ქმნიდა ასეთ შემოქმე-  
დებით ატმოსფეროს.

ა. თათარიშვილმა კარგად იცოდა ს. ახმე-  
ტელის მწერლებთან ურთიერთობა. ამიტომ  
დრამატურგთა მხარდასაქვრად და ს. ახმე-  
ტელის გასამტყუნებლად პარტიის „ძირითელ  
პრინციპად“ აღიარებს დრამატურგიის წამყ-  
ვან როლს თეატრში და ამით კამათს ამწე-  
ვებს. ამასთანავე იგი წინა წლებში მომხდარ  
უთანხმოებასაც არსებულ კონფლიქტს უკა-  
ვშირებს: „წარსული მუშაობის დიდი ტრადი-  
ციით — არ შეიძლება არ იყოს უთანხმოე-  
ბანი“. აქ მხედველობაში აქვს კ. მარჯანიშ-  
ვილის თეატრიდან წასვლის ფაქტი. ამით მი-  
თითებულისა ს. ახმეტელის კონფლიქტებზე  
ნებნებაზე. მის არაკოლექციურ დამოკიდებუ-  
ლებაზე, არსებულ ვითარებაში კი ამ ფაქტს  
განსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა.  
მთავრობისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტი-  
ლების მისაღებად.

გ. მგალობლიშვილის გამოხვლა არსებულ  
მდგომარეობის გაყალბებაზეა აგებული. იგი  
თეატრს ბრალს სდებს, რომ საქმარისად არ  
იდგებოდა რუსული პიესები, სწორედ 1934  
წელს დაიდა ლ. სლავინის „ინტერვენცია“  
და ვ. შვეპკინის „ნაბიჭვარი“. ეს ფაქტიც  
დაიწიყებულა თეატრის მუშაობის უარყო-  
ფითად შეფასების მიზნით. დანარჩენ საკ-  
თხებში იგი ეთანხმება გამოხსვლელთა უმ-  
რავლესობას.

საერთოდ ოფიციალურ პირთა მთავარი  
უურადლება კონფლიქტის გარკვევიდან გადა-  
ტანილა თეატრის შემოქმედებით უძრავობა-  
ზე, რაც უარყოფითი შეფასების მეტ საშუა-  
ლებას იძლეოდა. ამიტომაც ზშირად გაისმის

წინადადებები კოლექტიური ხელმძღვანელო-  
ბის შესახებ. თეატრში არსებულ კონფლიქ-  
ტის „არასაბჭოური“ მეთოდების, ახმეტელის  
„ფაშისტური“ ქმედებით, საბჭოთა კოლექტი-  
ვის არამხატვრული ასახვით, მისი მხარე-  
თქმეა ვერავინ გაარკვია რაში მდგომარეობ-  
და სპექტაკლების ანტიპოლიტიკური თვალ-  
თახედვა. ყოველივე ეს კი ხელოვნურად იყო  
გაზვიადებული, რადგან ს. ახმეტელი აკრიტი-  
კებდა და არ იზიარებდა ზემდგომი ორგანი-  
ზების დადგენილებებს. ასეთი მკვეთრი პოზი-  
ცია იმ პერიოდში მიუღებლად აღიქმებოდა.  
ამიტომ გამოხსვლელთა პოზიციების სრულ-  
ერთიანობა წინასწარ მოფიქრებული იყო და  
ს. ახმეტელის საწინააღმდეგოდ წარმართა.

კონფლიქტის მონაწილეები რამდენიმეჯერ  
იყვნენ გამოძახებულნი ცენტრალურ კომი-  
ტეტში და სიტყვიერი წინადადება მიეცათ,  
საკითხი მოეგვარებინათ მხოლოდ ადმინისტრ-  
რაციულ სასწილთ. მაგრამ ამ შეხვედრე-  
ბა სათანადო შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ  
მომდევნო ოქტომბერში იყო 25 ივლისის თა-  
თბირი, რომლის საფუძველზე 1935 წლის 3  
აგვისტოს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო  
დადგენილება. ეს დოკუმენტი მაშინდელ პარ-  
საში არ გამოქვეყნებულა, რადგან იგი თავი-  
სი შინაარსით თეატრის შინაგანი მდგომარე-  
ობის მოწესრიგებას გულისხმობდა. მოგვიან-  
ებით კი ამ დადგენილების შესურსებლობა-  
და დაყო საფუძველად ს. ახმეტელის განთა-  
ვისუფლებას. ამ აქციას საზოგადოებაზე პი-  
რადი ურთიერთობიდან წარმოქმნილი კონფ-  
ლიქტის შთაბეჭდილება რომ არ მოეხდინა, ს.  
ახმეტელს გადაჭარბებულად მიუწერა არარ-  
სებული შემოქმედებითი შეცდომებიც.

საქართველოს კ. ც. (ბ) ბიუროს  
დადგენილება<sup>12</sup> რუსთაველის თეატრის  
მდგომარეობის შესახებ № VIII.  
1935 წელი

1. ც. აღნიშნავს, რომ რუსთაველის თეა-  
ტრში, რომელმაც მაღალმხატვრული დადგ-  
მებით მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია  
(„რღვევა“, „ლიანდაგი გუგუნიებს“, „ანზო-  
რი“, „ინტირანოსი“ და სხვა) და საბჭოთა  
კავშირის საუკეთესო თეატრთა რიგში ჩადა,  
უკანასკნელ ხანს რამდენადმე შეასუსტა მხა-  
ტვრულ-შემოქმედებითი მუშაობა.

2. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე თეა-  
ტრის ამ მდგომარეობამდე მისვლა განაპი-  
რობა საერეისორო კოლექციის არადამაკმაყო-

ფილებელმა მუშაობამ, ცალკეულ მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის სუსტმა გამოყენებამ, თეატრალური საზოგადოებრიობის იგნორირებამ და ღირეკციის მიერ საკითხთ: ადმინისტრაციულ-მმართველური მეთოდებით გადაწყვეტამ.

რუსთაველის თეატრის გარშემო ჩერ კიდევ არასაკმარისად არის ორგანიზებული საბჭოთა მკურნებელთა, მწერალთა, დრამატურგთა, მხატვართა საზოგადოებრიობა.

თეატრის ხელმძღვანელობაში ადმინისტრირების ელემენტთა გამოვლენის ერთ-ერთი მავალითაა ღირეკციის ამხ. ახმეტელის მიერ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ამხ. ზორაყას და რეჟისორის თანამდებობიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტ ამხ. ვასაძის არასწორი განთავისუფლება.

3. თეატრში არადამაკმაყოფილებლად პარტოგანიზაციისა და პროფოგანიზაციის საქმიანობა.

განათლების სახალხო კომისარიატი სუსტად ხელმძღვანელობს თეატრის მუშაობას, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცკ, პარტკომის, ადგილკომის მიერ კოლექტივის წევრთა შორის ცუდად იქნა ორგანიზებული პოლიტიკურ-აღზრდელობითი და საზოგადოებრივი მუშაობა.

აქედან გამომდინარე ცკ აღგენს:

1. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარს ამხ. თათარიშვილს:

ა. ღირეკტორთან (ამხ. ახმეტელი) და თეატრის კოლექტივთან ერთად შეიმუშაოს 1935-36 წ.წ. სარეპერტუარო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება რიგი ახალი დადგმები და განსახილველად წარმოდგინოს ცკ. გამლიერდეს და გამოცოცხლდეს სარეჟისორო კოლექციის მუშაობა. თეატრში ისეთი წესრიგი დამყარდეს, რომ მხატვრულ-შემოქმედებითი საკითხები განხილულ იქნას სარეჟისორო კოლექტივზე, ამასთანავე უფრო მეტად გაიშალოს ცალკეულ რეჟისორთა შემოქმედებითი ინიციატივა.

ბ. გულდასმით შემოწმდეს თეატრის სტუდიის სასწავლო გეგმები, პროგრამები და სწავლების მეთოდები. შემოღებულ იქნას სა-

ზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკიპლინათა და საბჭოთა ისტორიის სწავლება.

ცკ ელტურისა და პროპაგანდის გამყოფილებამ უზრუნველყოს სტუდიის სასწავლო-დოებრივ-პოლიტიკურ დისკიპლინით სავალდებულო ფიციური პედაგოგებით.

ვ. გაძლიერდეს ხელმძღვანელობა და თეატრის ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება გაეწიოს ორგანიზაციულ-სამეურნეო და შემოქმედებით მუშაობაში.

გ. ღირეკტორთან, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად გაძლიერდეს თეატრის კავშირი მწერლებთან, დრამატურგებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, პრესის წარმომადგენლებთან და სხვა ელტურული ფრონტის მუშაკებთან მათი მიწვევით თეატრის შემოქმედებით საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე ცალკეულ დადგმათა განსახილველად ერთობლივი კრებების ჩატარებით.

დ. თეატრში აღდგენილ იქნან: მსახიობები აკაკი ზორაყა, სარეჟისორო და სტუდიაში პედაგოგიურ სამუშაოზე მსახიობი აკაკი ვასაძე და დაედოთ სასწავლო დაშვებული შეცდომებისათვის.

2. სუსტი მუშაობისათვის მოიხსნას პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. კოპალეიშვილი. წინადადება მიეცეს კპ (ბ) თბილისის კომიტეტს სამ დღიან ვადაში თეატრში პარტკომის მდივანად მიაგლინოს გამოცდილი პარტიული მუშაკი.

3. წინადადება მიეცეს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცკ არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის ადგილკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაანთავისუფლოს ამხ. კორიშელი და თეატრის შემოქმედებითი კოლექტივიდან ადგილკომის თავმჯდომარედ დაწინაურდეს აქტიური მუშაკი.

4. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის თანამდებობიდან მოიხსნას ღირეკტორის მოადგილე ამხ. ხაჭალია. ღირეკტორის მოადგილედ დაინიშნოს ამხ. გ. გუგუნავა.<sup>42</sup>

5. მოცემული გადაწყვეტილებების დამუ-

შეებებისათვის მსახიობთა შევებულების დამ-  
თავრების შემდეგ, აკვისტოს მეორე ნახევე-  
რში, თეატრში ჩატარდეს პარტიულ და კომ-  
კავშირულ ორგანიზაციათა კრება, შემდეგ კ  
თეატრის კოლექტივის საერთო კრება.

ამავე კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილება-  
თა განმარტება დაევალოს ამბ. თათარიშვილს  
და გოგავშილს.<sup>44</sup>

დაევალოს ამბ. მ. გობეჩიას,<sup>45</sup> ე. ბედიას,<sup>46</sup>  
შ. ჩიხლაძეს და შარიას<sup>47</sup> პარტიულ და კომ-  
კავშირულ ორგანიზაციათა და რუსთაველის  
თეატრის კოლექტივის საერთო კრებაზე და-  
სწრება.

ამ დადგენილებების საფუძველზე პარტი-  
ული კომიტეტის მიღებულ კომინენტი კრავ-  
